საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№17 (299)
13 - 19 მაისი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## «ამერიკელების ნაქეზებით, საქართველოში, შესაძლოა, მეორე ფრონტი გაიხსნას» 9

## «2002-დან 2014 წლამდე საზღვარგარეთ მუდმივად საცხოვრებლად წავიდა 740 ათასი კაცი, ქვეყანა, ფაქტობრივად, დაიცალა» 6



## «საქართველოს მოსახლეობა 2002-2014 წლებში 15 პროცენტით შემცირდა» 15

NDI NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE FOR INTERNATIONAL AFFAIRS

## «თუკი ამერიკული ორგანიზაცია აქვეყნებს კვლევის შედეგს, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის 31% ევრაზიული კავშირის მომხრეა, ეს იმას ნიშნავს, რომ მომხრე გაცილებით მეტია» 5



ჟანინ ჰენის-პლასშერტი, ნიდერლანდების თავდაცვის მინისტრი



ანე სტრომ-ერიქსენი, ნორვეგიის თავდაცვის მინისტრი 2012-2013 წწ.



თინათინ ხიდაშელი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი 2015 წ.

# სამშობლოვ, თინდება! 8



კარინ ენსტრემი, შვედეთის თავდაცვის მინისტრი



ურსულა ფონ დერ ლაიენი, გერმანიის თავდაცვის მინისტრი



კარმე ჩაკონი, ესპანეთის თავდაცვის მინისტრი 2008-2011 წწ.



მამა გიორგი (რაზმაძე):

## თუკი ადამიანი, რომელიც ამბობს, უცხოპლანეტელი ვარ ან ფრინველი, ან თევზიო, ითვლება არანორმალურად და მიჰყავთ საავადმყოფოში; მამაკაცი, რომელიც ამბობს, ქალი ვარო და ქალი, რომელიც ამბობს მამაკაცი ვარო, შეიძლება ნორმალური იყოს?! 7

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## გამოკითხულთა 50% თვლის, რომ ხელისუფლება მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს არ ახორციელებს



**ენ-დი-აის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 45% მიიჩნევს, რომ ხელისუფლება მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებს, 50%-ის შეფასებით კი — არა. ასე ნაწილდება გამოკითხულთა პროცენტული მაჩვენებელი შეკითხვაზე: „რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ არსებული ხელისუფლება ახორციელებს თქვენთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს?“** რაც შეეხება შეკითხვას „საპარლამენტო ოპოზიცია რომ ხელისუფლებაში იყოს, განახორციელებდა თუ არა მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს?“ — 51%-ის აზრით, ეს ასე არ იქნებოდა, 22% კი ამ მოსაზრებას ეთანხმება. კვლევა 27 მარტიდან 19 აპრილის პერიოდში ჩატარდა. კვლევის ფარგლებში 4 360 რესპონდენტი გამოიკითხა.



## გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციასა და დაინტერესებულ პირებს

**განცხადება**

მე, ბერდია გუგავას, მსურს, გავაკეთო განცხადება ჩემ მიერ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუზე, რომელიც ეხება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საპატრიარქოსთვის გადაცემას.

მინდა, განვმარტო, რომ მის უწმინდესობას გადავეცი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის სავარაუდო დედანი იმ მიზნით, რომ ეს ჩვენი ერისთვის ძვირფასი დოკუმენტი ერის სულიერ მამას ჩაბარებოდა დასაცავად, რადგან იმხანად არსებულ რთულ პერიოდში შეიძლებოდა, ეს განძი ვერ დამეცვა. ყოველივე ამისათვის მადლიერი ვარ ჩემი პატრიარქის!

2012 წელს, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ვიფიქრე, რომ დადგა დრო, ამ აქტის შესახებ ერისთვის მეცნობებინა, მაგრამ, ალბათ, ეს განცხადება საპატრიარქოსთან ერთად უნდა გამეკეთებინა, რაც ასე არ მოხდა და ძალიან ვნანობ.

რაც შეეხება ჩემს ინტერვიუს, რომელიც ცოტა სხვა კონტექსტით იქნა გაგებული და რომელმაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, როგორც ქრისტიანმა, მინდა, შენდობა ვთხოვო მის უწმინდესობას, თუ, უნებლიეთ, მისი სიტყვების არასწორი ციტირება მოვახდინე. ბოდიშს ვუხდი ყველა იმ პირს, რომლებიც ინტერვიუში ვახსენე.

მეგონა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოჩენა, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა, სიხარულის მომტანი იქნებოდა მთელი ერისთვის, სწორედ ეს მიზანი ჰქონდა ჩემს ინტერვიუს.

**ბერდია გუგავა**



### ირაკლი ღარიბაშვილი — «ნაციონალებს»:

## გყავდათ სპეციალურად მომზადებული ქილერები, რომლებსაც არასასურველი პიროვნებების გასანეიტრალებლად ამუშავებდით

**პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საკანონმდებლო ორგანოში გამოსვლისას საპარლამენტო უმცირესობას მიმართა და აღნიშნა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ბევრი ისეთი დანაშაულია გამოძიებული, რომლებიც წინა მთავრობის პერიოდში იყო ჩადენილი.**

„ყოფილი პოლკოვნიკების, მაიორებისა და ა.შ. ადამიანების გაუჩინარება, მათი დახოცვა, ეს საქმეები შემდგომ ახალმა ხელისფლებამ გამოიძია ჩემი მინისტრობის დროს. შემიძლია, კიდევ ერთხელ შევახსენო საზოგადოებას, რომ გყავდათ სპეციალურად მომზადებული ჯგუფები, ე.წ. ქილერები, რომლებსაც ამუშავებდით თქვენთვის არასასურველი პიროვნებების გასანეიტრალებლად. ეს იყო რეალობა“, — მიმართა ღარიბაშვილმა საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლ ირმა ნადირაშვილს.

„სამეგრელოში ჩადენილია უმძიმესი დანაშაულები. მე ძალიან მიკვირს, როგორ ბედავთ სამეგრელოში ჩასვლას, იმ ტრაგედიის შემდეგ, რომელიც გადაიტანა ამ რეგიონის მოსახლეობამ. საშინელი სტრესის ქვეშ ამყოფებდით არა მხოლოდ სამეგრელოს, არამედ სხვა რეგიონებსაც. ეს არის სწორედ ის მეთოდები, პრაქტიკა და სტილი თქვენი მუშაობისა, რომელიც დამკვიდრებული იყო საქართველოში და ჩვენ დავასრულეთ. დიახ, მე ვიყავი მინისტრი, როდესაც ეს უმძიმესი დანაშაულები გამოვიძიეთ. უნდა გრცხვენოდეთ, როდესაც საუბრობთ და ვითომ იცავთ პოლიციელების ინტერესებს. ჩემზე მეტად ნამდვილად არ შეგტკივათ გული არც იმ სპეცრაზმელებზე, არც პოლიციისა და პროკურატურის იმ თანამშრომლებზე თუ სხვებზე. მე ამის გარანტიას გაძლევთ!“ — მიმართა ღარიბაშვილმა საპარლამენტო უმცირესობას.



### სუმა ჩაკრაბარტი:

## საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა რთულია, მაგრამ არა — დაუძლეველი

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტი, სერ სუმა ჩაკრაბარტი, იმედოვნებს, რომ საქართველოს მთავრობა დაძლევს არსებულ რთულ სიტუაციას და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი უფრო მაღალ ნიშნულზე ავა. ამის შესახებ სუმა ჩაკრაბარტიმ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ 12 მაისს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სადაც ხელი მოეწერა ქვემო ქართლში მყარი ნარჩენების პროექტის განხორციელების მიზნით ხელშეკრულებებს.**

„საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა ამჟამად რთულია, მაგრამ ეს არ არის დაუძლეველი. რეგიონში ეკონომიკური ზრდა შენელებულია რუსეთის ეკონომიკის მდგომარეობის გამო. ვფიქრობ, საქართველოში არის ძლიერი საფუძვლები ეკონომიკური ზრდისთვის. სწორედ ამიტომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა ყველაზე მეტი ინვესტიცია რეგიონში თქვენს ქვეყანაში განახორციელა. ვიმედოვნებ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს მთავრობა ეროვნულ ბანკთან ერთად კარგად გაუძლვება სიტუაციას და შეძლებს, ეკონომიკური ზრდა უფრო მაღალ ნიშნულს მიუახლოვოს. ამის პოტენციალი ქვეყანაში ნამდვილად არსებობს“, — განაცხადა სუმა ჩაკრაბარტიმ.

ევროპის რეკონსტრუციისა და განვითარების ბანკის მიერ ბოლოს გამოქვეყნებული მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 4,2% იყო.



## შარშან მსოფლიოში 118 ჟურნალისტი დაიღუპა

**2014 წელს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას მსოფლიოში 118 ჟურნალისტი დაიღუპა, რაც წინა წელთან შედარებით 13 ადამიანით მეტია, — ამ ინფორმაციას ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის ბრიუსელის ოფისი ავრცელებს.**

ჟურნალისტების მუშაობისთვის ყველაზე საშიშ ქვეყნად პაკისტანი და სირია დასახელდა. შარშან პაკისტანში — 14, სირიაში კი 12 ჟურნალისტი დაიღუპა. მასმედიის წარმომადგენლებს განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენას ურჩევენ ერაყში, ავღანეთში, ღაზის სექტორში, მექსიკის ზოგიერთ რეგიონსა და ჰონდურასში. საშიში ქვეყნების სიაში მოხვდა უკრაინაც, სადაც 8 ჟურნალისტი დაიღუპა, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელები. კიდევ 17 სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას უბედურ შემთხვევას, ან ბუნებრივ კატაკლიზმს ემსხვერპლა.

## გმირის უკვდავსაყოფად

**9 მაისს, დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღეს, სამეგრელომ ღირსეული პატივი მიაგო ჩვენს თანამემამულეს, ლეგენდარულ მელიტონ ქანთარიას, რომელმაც რუს მიხეილ ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აღმართა რაიხსტაგზე — ფაშიზმისგან კაცობრიობის გადარჩენის სიმბოლოდ.**

9 მაისს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ორგანიზებითა და დაფინანსებით ქალაქ ჯვარში საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა კავშირის გმირის — მელიტონ ქანთარიას ბიუსტი.

20 წელიწადზე მეტი დასჭირდა იმ ბიუროკრატიული ბარიერების და აკვიატებული პოზიციების დაძლევას, რომლებითაც ჩახერგილი იყო ამ კეთილშობილური აქტის განსახორციელებელი გზა.

მადლობა უნდა ვუთხრათ დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, მათი გაერთიანების ხელმძღვანელებს, რომელთა დაჟინებამ და პრინციპულობამ, როგორც იქნა, შედეგი გამოიღო.

გმირის ხსოვნას პატივი მიაგეს ომის ვეტერანებმა, რაიონის მოსახლეობამ, მათ შორის, ახალგაზრდებმა და, რა თქმა უნდა, ქანთარიების გვარის წარმომადგენლებმა. საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული ლევან შონია და წალენჯიხის



გამგებელი გიორგი გულორდავა.

ბიუსტის ავტორია ცნობილი ქართველი მოქანდაკე რომან შეროზია, 2015 წლის აპრილში ბრინჯაოში ჩამოასხა მოქანდაკე თეიმურაზ კიკნაველიძემ.

**ბექა ქანთარია** (ავტორის ფოტო)

ამბები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## გამოკითხულთა 31%-ისთვის ევრაზიულ კავშირში გაწევრება მისაღებია



**აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, რესპონდენტთა 31%-ისთვის მისაღებია საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაერთიანება; 41% წინააღმდეგია და 27%-მა არ იცის, მისაღებია თუ არა.** აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის მიერ ბოლო წლებში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი მნიშვნელოვანია გამოკითხულთა მხოლოდ 27%-ისთვის. კვლევა 27 მარტი-19 აპრილის საანგარიშო პერიოდში ჩატარდა და 4360 ადამიანი გამოიკითხა. კვლევის ცდომილების ზღვარი +/- 2.3 პროცენტს შეადგენს.

The American Conservative

### პატრიკ ბიუკენენი:

# გაკოტრება ბოლოს მოუღებს აშშ-ის ომებს მსოფლიოში!

**„სერიოზული ეკონომიკური პრობლემების გამო აშშ ველარ შეძლებს სამხედრო ოპერაციების ჩატარებას სხვა ქვეყნებში“, — წერს ამერიკელი პუბლიცისტი და პოლიტიკოსი, აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი 1992, 1996 და 2000 წლებში პატრიკ ბიუკენენი The American Conservative-ს ფურცლებზე.**



პრეზიდენტ ობამას დაპირებიდან აშშ-ის ეკონომიკის აღდგენის შესახებ უკვე 6 წელი გავიდა, მაგრამ 2015 წლის პირველ კვარტალში ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტი მხოლოდ 0,2%-ით გაიზარდა. მიმდინარე წლის მარტში აშშ-ის სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა 15,5 მილიარდი დოლარით მოიმატა და 51,37 მილიარდი შეადგინა.

**აშშ-ის სავაჭრო და საგარეო პოლიტიკის გაკოტრება, რომელმაც შეერთებული შტატების დაცემა და ჩინეთის განსაცვიფრებელი აღზევება გამოიწვია, ფაქტობრივად, ყველა სფეროში თვალნათელია. ერა, როდესაც ამერიკა მოწოდებული იყო, ეწარმოებინა ნაციონალური ინტერესებისთვის შეუსაბამო ომები, დასასრულს მიახლოვდა.** ალკოჰოლიკის მსგავსად, რომელიც მანამდე ვერ აცნობიერებს თავის მდგომარეობას, ვიდრე ორმოში პირქვე ჩამხობილი არ აღმოჩნდება, აშშ-საც, ალბათ, დასჭირდეს დრო, ვიდრე ჩვენ იმპერიული ბიზნესის წარმოებას გადავეჩვევით“, — წერს პატრიკ ბიუკენენი.



**«აშშ-ის სავაჭრო და საგარეო პოლიტიკის გაკოტრება, რომელმაც შეერთებული შტატების დაცემა და ჩინეთის განსაცვიფრებელი აღზევება გამოიწვია, ფაქტობრივად, ყველა სფეროში თვალნათელია. ერა, როდესაც ამერიკა მოწოდებული იყო, ეწარმოებინა ნაციონალური ინტერესებისთვის შეუსაბამო ომები, დასასრულს მიახლოვდა»**



## «ცივი შხაპი» ამერიკელებისთვის — რუსეთი კუბაზე სამხედრო ბაზის აღდგენას აპირებს

**„რუსეთი გაააქტიურებს კუბასთან სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობას და განაახლებს სამუშაოებს ჰავანის გარეუბან ლურდესთან განლაგებული რადიოელექტრონული სადაზვერვო ცენტრის აღსადგენად, რომელიც რუსეთის ფედერაციამ 2002 წელს დატოვა“, — განაცხადა რფ-ის სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გოროვცოვმა.**

რუსი პარლამენტარები თვლიან, რომ ეს იქნება „ცივი შხაპი“ აშშ-ისთვის, რომელიც რუსეთის მიმართ აგრესიულ პოლიტიკას ატარებს.

ექსპერტთა აზრით, კუბა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონია — ფაქტობრივად, გასაღები ჩრდილოეთ და სამხრეთი ამერიკისა, ამიტომ იქ რუსეთის სამხედრო ბაზის აღდგენა რუსეთსა და კუბის ინტერესებს შეესაბამება.

ლურდესში რუსული რადიოელექტრონული დაზვერვის ცენტრი 1967 წელს აიგო და 2002 წლამდე ფუნქციონირებდა, შემდეგ კი ეკონომიკური სირთულეების გამო დაიხურა.



### კარლ როუვი:

# ობამას პრეზიდენტობის 6 წლის შემდეგ აშშ ჩიხში შევიდა

**„ჩამონათვალი პრობლემებისა, რომლებშიც ბარაკ ობამას ხელი ურევია, იზრდება როგორც საშინაო, ისე საგარეო ფრონტზე, რომლის გამოც მისი მმართველობის 6 წლის შემდეგ ქვეყანა ჩიხში შევიდა“, — წერს გამოცემა The Wall Street Journal-ის კონსულტანტი პოლიტიკურ საკითხებში, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უმცროსი) ყოფილი მრჩეველი კარლ როუვი.**

„ბარაკ ობამამ შექმნა, უყურადღებოდ დატოვა და გააღრმავა როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პრობლემები, რომელთა წინაშეც დღეს დგას აშშ.

ამ პრობლემების სიის სათავეშია დაბალი ეკონომიკური ზრდა — სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ობამას მმართველობის პერიოდში მთლიანი შიგა პროდუქტის მონაცემი მინიმალურ ზღვრამდე დაეცა. სახელმწიფო ვალი 33,3%-ით გაიზარდა, შემცირდა სამუშაო ადგილების რაოდენობა, დაბალია ხელფასები, არაჯანსაღი — ბიზნესკლიმატი, სოცუზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა კი მალე კრახით დასრულდება.

უამრავი პრობლემაა საერთაშორისო პოლიტიკაშიც, რომელთა გადაჭრაც ობამამ ვერ მოახერხა.

ამ პრეზიდენტის თეთრ სახლში ყოფნის 6 წლის შემდეგ ქვეყანა ჩიხში შევიდა არასწორი ხელმძღვანელობის გამო“, — ასკვნის კარლ როუვი.

### ამერიკელი ჟურნალისტი:

# თეთრი სახლი ბინ ლადენის დაღუპვის შესახებ სიცრუეს ავრცელებს



**ამერიკელი ჟურნალისტისა და ადამიანის უფლებების დამცველის — პულიტცერის პრემიის (ეს პრესტიჟული ჯილდო ენიჭებათ ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, მუსიკისა და კინოს წარმომადგენლებს — რედ.) ლაურეატის — სეიმურ ჰერშის სტატიას პრეტენზია აქვს, იყოს „ტერორიზმთან ბრძოლის ალტერნატიული ისტორია“, — წერს გამოცემა Busines inseder-ი.**

სეიმურ ჰერში პრეზიდენტ ბარაკ ობამას უახლესი გარემოცვის წევრის მონათხრობზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ თეთრმა სახლმა აშკარად იცრუა 2011 წლის მაისში „ალ ქაიდას“ ლიდერის — უსამა ბინ ლადენის მკვლელობის ვერსიის გავრცელებისას.

ოფიციალური ვერსიის თანახმად, უსამა ბინ ლადენი 2011 წლის მაისში თავის სახლში, პაკისტანის ქალაქ აბოტაბადის გარეუბანში მოკლეს ამერიკელმა სპეცრაზმელებმა. რამდენიმე ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ კი ტერორისტის გვამი (მკაცრად გასაიდუმლოებულ ვითარებაში) ზღვაში ჩაძირეს.

ჰერში ამ ვერსიას უარყოფს და წერს, რომ **ბინ ლადენი პაკისტანის სპეცსამსახურმა 2006 წელს დააპატიმრა და ერთ-ერთ საპყრობილეში გამოამწყვდია. „ალ ქაიდას“ მეთაურს თალიბებსა და სხვა ექსტრემისტებზე ზემოქმედებისთვის იყენებდნენ, რათა მათ პაკისტანსა და ავღანეთში მოქმედება შეეწყვიტათ.**

**„№1 ტერორისტის“ ადგილსამყოფელი კი აშშ-ის ხელისუფლებას პაკისტანის დაზვერვის თანამშრომელმა შეატყობინა 25 მლნ დოლარის სანაცვლოდ, ანუ ბინ ლადენი ამერიკელი სპეცრაზმის წევრებს არ დაუპატიმრებიათ, როგორც ამას თეთრი სახლი იუწყებოდა.**



ჰერშს არც ის მიაჩნია სარწმუნოდ, რომ ბინ ლადენის ცხედარი ზღვაში ჩაძირეს ისლამის წეს-ჩვეულების მიხედვით. ჟურნალისტი იმოწმებს ერთ-ერთი ამერიკელ სპეცრაზმელს, რომელიც ამბობს, რომ ტყვიებით დაცხრილული ბენ ლადენის ნეშტი ტომარაში ჩადეს და ქალაქ ჯელალაბადთან ახლოს მდებარე მთიანი მასივის თავზე ვერტმფრენიდან გადმოაგდეს.

l'Humanité

### ფრანგული გამოცემა:

# «დიდმა სამეულმა» უკრაინა სიღარიბეში ჩააგდო. მოსალოდნელია ბუნტი!

**პოპულარული ფრანგული გამოცემა „იუმანიტე“ წერს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, მსოფლიოს ბანკმა და ევროკავშირმა აიძულეს უკრაინა, გაენადგურებინა მოსახლეობის 90 პროცენტის ცხოვრება და ისინი უკიდურეს სიღარიბეში გადაესროლა. ამან კი შეიძლება, სოციალური აფეთქება გამოიწვიოს და გაღარიბებული უკრაინელები ქვეყნის ხელისუფლების დასამხობად განაწყოს.**

ევროპული მედიასაშუალება აღიარებს, რომ კრედიტების მიღების მიზნით „დიდი სამეულის“ პირობების შესრულებამ „ქვეყნის მოსახლეობა შეიძლება ისეთ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააგდოს, რომ მისი განადგურების რისკი მაღალი იქნება“.

„ზომები, რომელთა გატარებაც „სამეულმა“ მოითხოვა 17,5-მილიარდიანი დახმარების პროგრამის სანაცვლოდ, ისეთივეა, როგორც იყო საბერძნეთისა და ესპანეთისთვის — სახელმწიფო ბიუჯეტის შემცირება, სახელმწიფო მოხელეებისთვის ხელფასის შემცირება, ფასების მომატება ბუნებრივ აირზე, რომლის სუბსიდირება დღესაც მიმდინარეობს. ამ ზომებმა შეიძლება მოსახლეობის მყიდველუნარიანობა 90%-ით გაანადგუროს. ჩვენ სოციალური აფეთქებისკენ მივდივართ“, — ციტირებს გამოცემა უკრაინელი ექსპერტების სიტყვებს.

ექსპერტთა ვარაუდით, აშშ ვერ შეძლებს უკრაინის ხსნას დეფოლტისგან. თვით The Financial Times-იც კი წერს, რომ „უკრაინის დეფოლტი გარდაუვალია“.

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1937-1940 წლებში (ანუ გაგანია სტალინური ტერორის პერიოდში) საქართველოში გამამართლებელ განაჩენთა რაოდენობა 10%-ს შეადგენდა, ხოლო „დემოკრატიის შუქურის“ მმართველობისას, 2008–2010 წლებში, – 0,01%-ს! ანუ, თუ სტალინის მმართველობის პერიოდში ყოველი 100 დაპატიმრებულიდან 10 გაამართლეს, სააკაშვილის მმართველობისას ყოველი 100-დან მხოლოდ ერთი მართლდებოდა და ისიც — საპროცესო გარიგებით!**

# ერთი პატარა ბრძოლა მაინც მოიგეთ, საქართველოს დაკარგული მიწები დაიბრუნეთ და სტალინზე მერე ილაპარაკეთ!

**ჩაიარა 9 მაისმა. ეს დღე თბილისში ერთობ მოკრძალებულად აღინიშნა, მაგრამ მაინც მადლობა პრეზიდენტს, პრემიერს, თავდაცვის ახალ მინისტრს, უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინებით რომ შეამკეს, თუმცა მოსკოვში ჩასვლის და აღლუმზე დასწრების სიმამაცე არავის ეყო. ვინც ამას „ოკუპანტის კარზე მიახლებას“ უწოდებს, კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ საქართველომ ყველაზე მეტი სისხლი (ახლა ამას კონტრიბუციას ეძახიან) გაიღო იმ საშინელ ომში და ამ გამარჯვებაში ჩვენი წილის დათმობა არა მხოლოდ ვეტერანების, არამედ საკუთარი ისტორიის უარყოფაა. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ამგვარი ღონისძიებები ყველაზე მოსახერხებელია მძიმე, მაგრამ აუცილებელი დიალოგის დასაწყებად.**

ვაკის პარკის არაოფიციალური ნაწილი უფრო შეუხედავი იყო და მძიმე ემოციებს აღძრავდა. „ლენტებზე მონადირეთა“ მიმართ უკვე ბევრი ითქვა, ყველაზე გონებამახვილებმა მათ ქართული ლექსის პერიფრაზიც უძღვნეს: „ერთი შვილ მაინც გავზარდე, ლენტებზე მეომარია“! **„ნაცმოძრაობის“ ის ნარჩენები, რომლებიც დღეს ასე გახელებით ებრძვიან ე.წ. გეორგიევსკი ლენტებს, 2008 წელს ან რუს გენერლებს ატარებდნენ, ან ფულს სთავაზობდნენ სტალინის ძეგლის აფეთქების სანაცვლოდ. ყოველ შემთხვევაში, არც ერთ მათგანს მათთვის სამხრეები არ ჩამოუგლეჯია, ახლა კი დაუსჯელობით თავგასულები რუს ტურისტებს მანქანებიდან ახევენ ამ ბაფთებს და ამ უაზრო აგრესიას პატრიოტიზმის მანტიით მოსავენ.**

წარსულის პოლიტიკოსები და მათი ხელის ბიჭები (ხანდახან გოგონებიც), როგორც სჩვევიათ, ყველაფერს თავდაყირა აყენებენ. სტალინის ძეგლი კარგი იყო 2003 წელს, როცა მის კვარცხლბეკთან შეკრებილ გორელებს სააკაშვილი თბილისში წამოსვლისა და ხელისუფლების დამხობისკენ აგულიანებდა, მისი მომხრეები კი, ხალხში გარეულები, ჩურჩულით აგებინებდნენ – სტალინის დაბადების დღეს არის დაბადებული ჩვენი მიშიკოო! როცა ძალაუფლებაში ფესვი გაიდგეს, მერე სტალინის ძეგლიც მოიშორეს, თანაც ქურდულად — ღამით!

**დიდი სამამულო ომის ვეტერანები მიშიკოს არჩევნების წინ ახსენდებოდა და თავსაც უქონავდა, ახლა მისი მომხრეები ვაკის პარკში მისულ ადამიანებს ლურჯ საღებავს ასხამენ და სულში აფურთხებენ. ომის სამარცხვინოდ წაგებანი ყველაზე მასშტაბურ ომში გამარჯვებულებს შეურაცხყოფენ, საზოგადოება კი მათ, საკადრისი პასუხის გაცემის ნაცვლად, ამუნათებს, თითქოს მგლის თავზე სახარების კითხვას ოდესმე აზრი ჰქონია!**

საზოგადოდ, სრულიად უკუღმართი პარადიგმაა გამეფებული. ყველა, ვინც 9 მაისს დღესასწაულად მიიჩნევს, მონა და რუსეთუმეა, ვინც ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე ჟღურტულებს – პატრიოტი. მართალია, ნატოს წევრი სახელმწიფოების ლიდერებმა არაერთხელ გარკვევით გვითხრეს, რომ ახლო მომავალში ნატოში არც ჩვენ მიგვიღებენ და არც უკრაინას, მაგრამ ნატოს ერთგულების დემონსტრირება კვლავაც პოლიტიკურ ტრენდად რჩება.

ბოლო კვლევების თანახმად, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში გამოკითხულთა უმეტესობას ჰგონია, რომ მეორე მსოფლიო ომი სწორედ მათ მოიგეს. ეს პროპაგანდა ისეთი ინტენსიური იყო, რომ ბოლოს თვითონაც დაიჯერეს, თითქოს სწორედ ასე იყო. აკადემიკოსმა **ალექსანდრე ჭაჭიამ** ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში სრულიად მართებულად ბრძანა: **„ჰიტლერს დანიის დაპყრობისთვის ერთ დღე დასჭირდა, საფრანგეთის — ერთი თვე. 2,5-მილიონიანმა ფრანგულმა არმიამ 80 ათასი ჯარისკაცი დაკარგა და ნაცისტებს ჩაბარდა... აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა 320 და 300 ათასი სამხედრო დაკარგეს, ანუ ზუსტად იმდენი, რამდენიც 3-მილიონიანმა საქართველომ“.**

სწორედ ასე იყო და სამარცხვინოა, როცა წინაპრების მიმართ მადლიერების ნაცვლად გლობალურ იდეოლოგიურ ისტერიაში ცდილობს მავანი გარევას. **სასაცილოა, მაგრამ ცოცხალ მტრებზე გამარჯვების უნარის არმქონენი (და აქ მხოლოდ სააკაშვილსა და მის „მამაც“ თანამებრძოლებს როდი ვგულისხმობ) ექვსი ათეული წლის წინათ გარდაცვლილ გენერალისიმუსთან ბრძოლას განაგრძობენ! საბჭოთა კავშირის დაშლის მოსურნენი ყოველთვის იყენებდნენ რეპრესიების თემას, თუმცა საკითხის ბოლომდე გარკვევას არ ცდილობდნენ.**



**სასაცილოა, მაგრამ ცოცხალ მტრებზე გამარჯვების უნარის არმქონენი (და აქ მხოლოდ სააკაშვილსა და მის «მამაც» თანამებრძოლებს როდი ვგულისხმობ) ექვსი ათეული წლის წინათ გარდაცვლილ გენერალისიმუსთან ბრძოლას განაგრძობენ!**

ორი აზრი არ არის – რეპრესიები იყო და ძნელია, საქართველოში მოძებნო ოჯახი, რომელსაც იგი რაიმენაირად არ შეხებოდა. და მაინც, ვინ იყო რეპრესიების შემოქმედი და ვის დაბრალდა საბოლოოდ სისხლის მდინარეები? **ყურით მოთრეული ტერმინი „37 წელი“ თითქოს იმას მიანიშნებს, რომ ყველაზე დიდი მსხვერპლი სწორედ ამ ერთ წელიწადს იყო, მაგრამ რა ვუყოთ 1917 წლიდან, რევოლუციის მომენტიდან, განადგურებულ ადამიანებს? ან ვინმეს სჯერა, რომ რევოლუციის 20 წლისთავზე უცებ ამოვარდა რეპრესიების ქარიშხალი, მანამდე კი დიად საბჭოეთში მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება სუფევდა?**

რეპრესიების ავტორები და სულისჩამდგმელები **ლენინი** და **ტროცკი** იყვნენ. მხოლოდ ლენინის ბრძანებების ტექსტის წაკითხვა შეგზარავს ადამიანს, რომელიც პირდაპირ მოითხოვს ნებისმიერი განსხვავებული აზრის მქონე ადამიანის, განსაკუთრებით — სამღვდელოების განადგურებას. ასეც ხდებოდა. საზოგადოება „მემორიალის“ მონაცემებით, 1937-38 წლები ყველაზე მასშტაბური რეპრესიების წლები იყო: დააპატიმრეს 1,7 მილიონი ადამიანი და მათგან 700 ათასი დახვრიტეს. საშინელი ციფრებია, თუმცა ვნახოთ, როგორ იყო ეს ყველაფერი სინამდვილეში.

„90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა ტერორის სტატისტიკას ვსწავლობდი. უზარმაზარი მასალა გავაანალიზე. სერიოზული სტატისტიკა 1921 წლიდან იწყება, მანამდე მხოლოდ ცალკეული ეპიზოდებია ცნობილი (ეს სწორედ ის „ცალკეული ეპიზოდებია“, როცა ლენინისა და ტროცკის მეცადინეობით სასამართლოსა და გამოძიების გარეშე ხვრეტდნენ ადამიანებს – ნ. დ.). ამ უზარმაზარი მასალის შესწავლა 1994 წელს დავასრულე და გამოქვეყნება დავაპირე, მაგრამ ციფრებს რომ შევხედე...

ჩემი გაანგარიშებით, 1921-დან 1987 წლამდე (66 წელი!) უშიშროების ორგანოების მიერ დაპატიმრებული იყო 7 მილიონ 100 ათასი ადამიანი. ამასთანავე, მათ შორის არაპოლიტიკური მუხლებით დაპატიმრებულებიც ითვლება, თანაც — საკმაოდ ბევრი. მათაც უშიშროება აპატიმრებდა ბანდიტიზმის, კონტრაბანდის, ყალბი ფულის მოჭრისა და სხვა ბრალდებებით. სტატისტიკა მოწესრიგებულია, ზუსტად არის აღნუსხული, სად გადაიყვანეს პატიმარი, რამდენი საქმე გადაეცა საგანგებო თათბირს, რამდენი – სასამართლოსა და ტრიბუნალს, არასასამართლო ორგანოებს, რამდენი გარდაიცვალა, რამდენი გაიქცა. სხვათა შორის, გაქცევათა რაოდენობა ძალიან მცირე იყო.

ჯამში, მთელი **საბჭოთა წყობის განმავლობაში 7 მილიონი დაპატიმრებული გამოვიდა. რა უნდა მექნა? საზოგადოებრივი აზრი ასეთი იყო, რომ მხოლოდ 1937—1939 წლებში 12 მილიონი ადამიანი დააპატიმრეს.** და მეც ამ საზოგადოებას ვეკუთვნი, მისი ნაწილი ვარ — არა საბჭოთა ხელისუფლების, არა რუსული დემოკრატიის, არამედ ამ ხალხის. ზუსტად ვიცოდი, რომ არ დამიჯერებდნენ და, რაც მთავარია, **ადამიანთა ამ წრისთვის ეს იმის მაუწყებელი იქნებოდა, რომ, რასაც პატივისცემის ღირსი ადამიანები ამბობდნენ, სიცრუე ყოფილა. და ჩემი კვლევა გვერდზე გადავდე, აღარ გამომიქვეყნებია“.**

ეს სიტყვები საზოგადოება „მემორიალის“ თავმჯდომარე **არსენი როგინსკის** ეკუთვნის. მან ამის შესახებ 2012 წელს მრგვალ მაგიდასთან „ისტორიკოსი რეალობასა და მეხსიერებას შორის“ ილაპარაკა.

ახლა სხვა სტატისტიკაც ვნახოთ. პროფესორმა **გია მეფარიშვილმა** გამოწვლილვით დაამუშავა სასამართლო განაჩენების სტატისტიკა და ასეთი შედეგი მიიღო: **1937-1940 წლებში (ანუ გაგანია სტალინური ტერორის პერიოდში) საქართველოში გამამართლებელ განაჩენთა რაოდენობა 10%-ს შეადგენდა, ხოლო „დემოკრატიის შუქურის“ მმართველობისას, 2008-2010 წლებში, — 0,01%-ს! ანუ, თუ სტალინის მმართველობის პერიოდში ყოველი 100 დაპატიმრებულიდან 10 გაამართლეს, სააკაშვილის მმართველობისას ყოველი 100-დან მხოლოდ ერთი მართლდებოდა და ისიც — საპროცესო გარიგებით!**

ციფრები მართლაც ჯიუტი რამ არის — ვერც შეეკამათები, ვერც შეაშინებ, ვერც დაარწმუნებ; თუმცა არის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ადამიანების უანგარიშო განადგურებას (1921 წლამდე, სტატისტიკა რომ არ არსებობს) და უკანონობას, 1937 წელს მართლაც მოჰყვა „ენ-კა-ვე-დე-ს“ წმენდა და რეპრესიულ მანქანაში ახლა უკვე გუშინდელი ჯალათები მოყვნენ. საკითხავია — **უნდა ჩაითვალონ თუ არა რეპრესიების მსხვერპლად ისინი, ვინც 37 წლამდე აწამებდნენ, ასახიჩრებდნენ და ხვრეტდნენ ადამიანებს?**

არადა, ყველაზე დიდი ხმაური სწორედ ამ მოვლენებს მოჰყვა და დღემდე მოჰყვება. **ხომ არაფერს გაგონებთ ეს — როცა გუშინდელი ჯალათი „პოლიტიკური მოტივით დევნაზე“ გაჰყვირის?**

ვერაფერი გადაწონის იმ მსხვერპლს, რომელიც მხოლოდ საქართველომ გაიღო იმ წლებში. ამის მაგალითად მხოლოდ **მიხეილ ჯავახიშვილი** იკმარებდა, მაგრამ სამარცხვინო და შეურაცხმყოფელია, როცა იგიც რეპრესირებულად ითვლება და ჯალათი **იაგოდაც! ხვრეტდნენ ანგარებით, პირადი ანგარიშსწორების სურვილით, შურით, იდეური მოტივაციით, მაგრამ გავიდა 70 წელი და „დემოკრატიის“ ზეობისას ასევე ურცხვად, საჩვენებლად დახვრიტეს პროფესორი გურამ შარაძე — დღისით-მზისით ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე. არ დაუხვრეტიათ, მაგრამ „გაზით“ მოინელეს პრემიერმინისტრი ზურაბ ჟვანია, ქუჩაში დახვრეტილ ახალგაზრდებზე და სპეცოპერაციებში ლიკვიდირებულებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.**

და ეს ადამიანები ებრძვიან სტალინს?!

მწერალმა და ჟურნალისტმა, დისიდენტმა **სერგეი დოვლატოვმა** რომანში „ზონა“ მოსწრებულად თქვა ამის თაობაზე: „ჩვენ გაუთავებლად ვაკრიტიკებთ ამხანაგ სტალინს და მიზეზებიც გვაქვს, მაგრამ მინდა, დავსვა კითხვა – ვინ დაწერა 4 მილიონი „დონოსი“? ძერჟინსკიმ? ეჟოვმა? აბაკუმოვმა და იაგოდამ? არა, უბრალო საბჭოთა ადამიანები აბეზღებდნენ ერთმანეთს“. ასეთი „უბრალო“ ადამიანები დღესაც ბევრია და იმაში, რაც ასე არ მოგვწონდა გუშინდელი ხელისუფლების ნამოქმედარში, უთუოდ მათი წვლილიც არის.

ტყუილით, მანიპულირებით, სხვისთვის საკუთარი დანაშაულის გადაბრალების ოსტატები სტალინს ან რეპრესიებს კი არ ებრძვიან (ციფრები აკი მოვიტანე უკვე), არამედ იმას, რაც ყველაფერს გადაწონის – მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებას. მართლაც, თუ ესეც არ ყოფილა, მაშინ სტალინს არც არაფერი გაუკეთებია, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ მის დროს აშენებულსა და გაკეთებულს ყიდიან დღემდე და, როგორც ირკვევა, გასაყიდი კიდევ ყოფილა დარჩენილი!

სინამდვილეში ეს სულაც არ არის გასაკვირი. **საკონცენტრაციო ბანაკ-** ▶

მიმოხილვა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენს ქვეყანაში ტყუილუბრალოდ არაფერი ხდება — ყველა შედეგი ტექნოლოგიურად მზადდება. ამის კარგი მაგალითია რესპუბლიკელების ხელისუფლებაში მოსვლა. მოსახლეობამ ხმა მისცა ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც ლოკომოტივის ფუნქცია შეასრულა და ხელისუფლებაში რესპუბლიკელები მოგვიყვანა. ეს პარტია დამოუკიდებლად 5%-საც ვერ დააგროვებდა. დღეს კი ხელისუფლებაში ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ისინი არიან წარმოდგენილნი“.**

**თამარ კიკნაძე:**

**◀ების შემქმნელ ტროცკის (იმ ბანაკებთან შედარებით გულაგის ბანაკები სანატორიუმს ჰგავდა), რომელიც ლამის სიმართლისთვის წამებულად უნდათ, წარმოაჩინონ, იდეური მემკვიდრეები ჰყავს აშშ-ში და ჩვენი „დემოკრატი“ სააკაშვილის მხარდამჭერებიც სწორედ ისინი არიან, ოღონდ დღეს მათ ნეოკონსერვატორებს უწოდებენ.** ისინი განაგრძობენ ტროცკის „პერმანენტული მსოფლიო რევოლუციის“ იდეას, რომელმაც იუგოსლავიიდან დაწყებული, საქართველოთი და უკრაინით გაგრძელებული არაბული სამყაროც მოიცვა. რა მოუტანა ამ ე.წ. ხავერდოვანმა რევოლუციებმა ამ ქვეყნების ხალხებს, 2003 წელს თუ არა, დღეს მაინც ყველამ დაინახა.

და ისევ „გეორგიევსკი ლენტებს“ დავუბრუნდეთ. „ნაციონალების“ ვერსიით, ისინი ოკუპაციის სიმბოლოა. მე თუ მკითხავთ, **ოკუპაციის სიმბოლო არის სააკაშვილის გალეჭილი ჰალსტუხი, ეროვნული სირცხვილი – მისი განცხადება, რომ 150 დაკარგული სოფელი უსარგებლო ქვა და ღორღი ყოფილა, მაგრამ მათ ხომ არ რცხვენიათ და უსირცხვილო ადამიანს რა უნდა შეასმინო! უნდა დასაჯო უზნეობისთვის და პარლამენტში ან „რუსთავი 2“-ზე არ უნდა ედებატო.**

ეს ბაფთები, „გეორგიევსკის“ კი არა, წმინდა გიორგის სახელს ატარებს, თუმცა ამის ცოდნას ვერ მოსთხოვ სუბიექტებს, რომლებიც რუსეთისა და სლოვაკეთის დროშებს ვერ არჩევენ. ვერც იმას მოსთხოვ, იცოდნენ, რომ ამ ბაფთაზე მაგრდებოდა ორდენები, რომლებიც დიდ სამამულო ომში ჩვენმა ვეტრანებმა საკუთარი სისხლით და არა ლურჯი საღებავით მოიპოვეს. მათ არც ის იციან, რომ წმინდა გიორგის ბაფთით შემოუერთდა საქართველოს სამცხე-ჯავახეთი 1829 წელს და აჭარა — 1878 წელს, ამიტომ სულაც არ არის შემთხვევითი, რომ საქართველოს ტერიტორიების დამკარგავნი მისი გამთლიანების სიმბოლოებს უპირისპირდებიან.

„ნაციონალები“, რომლებმაც წმინდა გიორგის სახელის პრივატიზება მოინდომეს და თავისუფლების მოედანზე მისი ძეგლიც კი აღმართეს, უპირისპირდებიან ბაფთას, რომელიც პირველად სწორედ წმინდა გიორგის ორდენთან ერთად გაჩნდა. „ნაციონალების“ იდეურმა მამამ, ლენინმა (ტროცკისთან ერთად), ყველა სამხედრო პირი გაათანაბრა და წმინდა გიორგის ბაფთაც ხმარებიდან ამოიღო. 1942 წელს სტალინმა აღადგინა ეს ბაფთა, მაგრამ იდეოლოგიური კონიუნქტურის გამო მას „გვარდიული ბაფთა“ ეწოდა. ასეა, წავალთ-წამოვალთ და ისევ სტალინთან მივალთ, ყელში გყავთ გაჩხერილი.

ეი, თქვენ! **მსოფლიო ომი კი არა, ერთ პატარა ბრძოლა მოიგეთ, საქართველოს დაკარგული მიწები დაიბრუნეთ და სტალინზე მერე ილაპარაკეთ!**

თუმცა თქვენ რა გეთქმით, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, დაგლახვროთ წმინდა გიორგიმ!

# ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ რუსეთთან ლაპარაკი საჭირო არ არის, საქართველოს მტრები არიან



**გასული კვირა პოლიტიკური პროცესების მხრივ დატვირთული იყო. კვირის დასაწყისში მთავრობის ხელახალი დამტკიცების მოლოდინში ვიყავით და პროცესმა მშვიდობიანად ჩაიარა, მეორე ნახევარში კი უმთავრეს საკითხად რიგის სამიტი განიხილებოდა, მაგრამ, ცოტა არ იყოს, იმედგაცრუება იგრძნობოდა. ბრიტანული გამოცემა „ობსერვერი“ რიგის სამიტის შესახებ აღნიშნავდა: „ევროკავშირი ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან კავშირებს აღრმავებს, თუმცა რიგის სამიტის დეკლარაციის პროექტში აღნიშნულია, რომ უკრაინასა და საქართველოს უვიზო რეჟიმის გაფორმებას არ სთავაზობს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინასთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებები არის მდგრადი განვითარების მიღწევისა და ამ ქვეყნების ეკონომიკისა და საზოგადოების მოდერნიზაციის საშუალება“.**

**წინა კვირის მეორე ნახევარში საცხრამაისო ღონისძიებებისას ლოკალური დაპირისპირებები საბოლოოდ მშვიდობიანად დასრულდა, თუმცა დამაფიქრებელი აღმოჩნდა ბევრი პოლიტოლოგისთვის...**

**11 მაისს კი ამერიკული ორგანიზაცია ენ-დი-აის კვლევის შედეგმა სრულიად საქართველო გააოცა – ევრაზიულ კავშირში გაწევრების მსურველთა რაოდენობა 31% აღმოჩნდა, რამაც პროდასავლური პოლიტიკოსების აღშფოთება გამოიწვია.**

**კვირის მოვლენების მიმოხილვა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ თამარ კიკნაძეს ვთხოვეთ.**

**— ქალბატონო თამარ, 21-22 მაისის რიგის სამიტისგან რას უნდა ელოდოს საქართველო? უკვე ცნობილია, რომ ვიზების ლიბერალიზაციაზე უარს გვეტყვიან, სამაგიეროდ, ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალებების შესრულებაზე მეტ პასუხისმგებლობას დაგვაკისრებენ.**

— ხელისუფლების მიერ გაცხადებული იყო, რომ პრეზიდენტი და მთავრობის წევრები რიგის სამიტამდე ევროკავშირისა და ევროპის ქვეყნების მაღალჩინოსნებს შეხვდებიან. მომზადდა წერილი, რომელშიც აღწერილ იქნა საქართველოს მიერ ევროპული გზისკენ მომავალი წარმატებები. ეს ყველაფერი სამიტის მოსალოდნელი შედეგების კორექტირების მიზნით კეთდება. ჩემი აზრით, ასეთი ქმედებები არაფრის მომტანია. **ევროკავშირი, საქართველოსგან განსხვავებით, პოლტიკას პრაგმატულად გეგმავს და ვარირების საშუალებასაც იტოვებს. მოცემულ ეტაპზე საქართველო, ვიზალიბერალიზაციას ვერ მიიღებს.**

**— ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით, რომელ პუნქტებზე დაგვეკისრება პასუხისმგებლობა? პოლიტოლოგები ამბობენ, რომ გართულდება სავაჭრო პოლიტიკის მოთხოვნების შესრულება.**

— ევროპას ჭარბი პროდუქცია და მისი გასაღების პრობლემა აქვს. **რუსეთის მიმართ დაწესებულმა სანქციებმა ევროკავშირის ქვეყნები დიდად დააზარალა — ფერმერებმა ასეულობით ტონა სოფლის მეურნეობის პროდუქტი გაანადგურეს. ასოცირების ხელშეკრულებაში კი ბევრი ისეთი პუნქტია, რომელთაც საქართველო ვერ დააკმაყოფილებს.** ეს სტანდარტები, გარკვეულწილად, გამოუცხადებელი ბარიერია. **გვეუბნებიან, ბაზრის კარი ღიაოო და, ამასთანავე, ამ სტანდარტების გამო, პროდუქცია ვერ შეგვაქვს. ევროპული ბაზარი მაღალი კონკურენციის, მაღალი სტანდარტების, პოლიტიკური და ეკონომიკური კონიუქტურის გამო, საქართველოს პოტენციური ბაზრის სივრცე არ არის.**

გასაანალიზებელია, რატომ მძიმდება ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაცია. საქართველო პატარა ქვეყანაა, შესაბამისად, ბაზარიც პატარაა და შესაძლებლობები — შეზღუდული. საჭიროა, მოვიპოვოთ გასასვლელი უფრო დიდ საბაზრო სივრცეზე, რომლისთვისაც საჭიროა, ინტეგრაცია ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

დღეს ევრაზიულ კავშირზე ლაპარაკს ცოტა თუ ბედავს, არავინ იცის, რა გაერთიანებაა, რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს საქართველოს, მომგებიანია თუ არა მასთან ურთიერთობა. ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გაუთვლელია და მხოლოდ პოლიტიკური ელიტისა და ადამიანების ვიწრო წრეზეა მორგებული, რაც მოსახლეობას მძიმე სიტუაციაში ამყოფებს.

**— თუ არც ვიზების ლიბერალიზაციას ველოდებით, არც სავაჭრო ურთიერთობები მოგვარდება, აბა, რიგის სამიტს ცის გახსნასავით რატომ ველოდებით?**

— დღევანდელი ურთიერთობები ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან საქართველოსთვის მომგებიანი არ არის. ნატოში მრავალრიცხოვანი საჯარისო დანაყოფი გვყავს და ნატოს წევრები არ ვართ, ევროასოცირების ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი და ვალდებულებებს, ძირითადად, ცალმხრივად ვასრულებთ. დასავლეთისგან ფინანსურ დახმარებს ვიღებთ, რომელიც, სად მიდის, კაცმა არ იცის და რამდენი ასეთი რამ... ბოლოს და ბოლოს, ომამდეც კი მივედით, სადაც ჩვენი ბიჭები დაიხოცნენ, დე იურედ დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო. მათ კოდორი და ასამდე სოფელიც მივაყოლეთ.

**პოლიტიკური ელიტა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების მონაწილეა.** წინა ხელისუფლება იყო დამნაშავეთა გუნდი, რომელმაც გენოციდი მოუწყო საკუთარ მოსახლეობას, ხოლო ახალი მთავრობა, წინა მთავრობის დანატოვარს გვერდს ვერ უვლის. ყოფილი თავდაცვის მინისტრის — მინდია ჯანელიძის მოხსნის ფაქტი კარგი მაგალითია. გახსოვთ, მის მიერ უკრაინაში დაღუპულ მებრძოლზე „დაუფიქრებელ“ განცხადებას რა ამბავი მოჰყვა და ამას შეეწირა კიდეც... თავდაცვის მინისტრის პოსტზე უფრო პროდასავლურად განწყობილი მინისტრი დაინიშნა.

**— რას გამოიწვევს თინა ხიდაშელის დანიშვნა თავდაცვის მინისტრის პოსტზე?**

— ეს ნიშნავს, რომ გაძლიერდა პროდასავლური კურსი, რაც ლავირების საშუალებას აღარ მოგვცემს, განსაკუთრებით — სამხედრო მიმართულებით.

## «თუკი ამერიკული ორგანიზაცია აქვეყნებს კვლევის შედეგს, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის 31% ევრაზიული კავშირის მომხრეა, ეს იმას ნიშნავს, რომ მომხრე გაცილებით მეტია»

გამიხარდა, როდესაც ირაკლი ალასანია წავიდა თანამდებობიდან, რადგან ის მკვეთრ პროდასავლურ განცხადებებს აკეთებდა, მაგრამ ეს კურსი უფრო გაძლიერდა **თინა ხიდაშელის დანიშვნასთან ერთად და ეს უკვე იგრძნობა — შავი ზღვის აკვატორიაში ნატოს ტექნიკა შემოვიდა და სამხედრო წვრთნებიც დაიწყო; ამას გარდა, ანტისარაკეტო სისტემების დადგმაზეც დაიწყო საუბარი, რომელიც კარგ შედეგს არ მოგვიტანს, რადგან რუსეთის მხრიდან უკვე გაკეთდა ძალიან მკვეთრი განცხადებები.**

**— ნატოს ყველა მოთხოვნას, მათ შორის, მისი ტექნიკისა და ანტისარაკეტო სისტემების დადგმას, რომ შევასრულებთ, ეს უკვე სადავოც აღარ არის, თუმცა ახლახან ენ-დი-აიმ გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რომელთა თანახმადაც, საქართველოს მოსახლეობის 31% ევრაზიულ კავშირში გაერთიანების მომხრეა. როგორ ფიქრობთ, ქვეყნის მოსახლეობის ასეთი განსხვავებული თვალსაზრისი არ გამოიწვევს დაპირისპირებას?**

— შეჯახებები, რომლებიც დღეს გვაქვს, ლოკალურია, ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ამ ყველაფერმა მასშტაბური სახე მიიღოს. ასეთი რამის დაშვება არ შეიძლება იმიტომ, რომ ყოველი არეულობა უფრო დიდ საშინელებას გამოიწვევს, ამის მაგალითები გვაქვს...

საქართველოს მოსახლეობა უკიდურესად მძიმე ეკონომიკურ პირობებშია. 300 ათასი ბავშვი შიმშილობს, აღარ ვლაპარაკობ სხვა ფენაზე. გამოქვეყნდა დემოგრაფიული ფონდის მონაცემები — 2002 წლიდან 14,2 პროცენტით არის შემცირებული საქართველოს მოსახლეობა. საჭიროა ჩვენი შეცდომების გაანალიზება და დაფიქრება, რაღაცის შეცვლა. პოლიტიკა პოლიტიკისთვის არ არსებობს, პოლიტიკა საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის უნდა გამოიყენო.

წინა ხელისფლების წარმომადგენლები ავადმყოფები იყვნენ, დღევანდელნი ქმედუუნაროები არიან. ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ რუსეთთან ლაპარაკი საჭირო არ არის, საქართველოს მტრები არიან.

**— აგრესია, რომელიც უწყვეტ ნაკადად იღვრება ტელევიზორის ეკრანიდან უცნობი ჯარისკაცის საფლავზე მისული ადამიანებისადმი, სტალინის სახლ-მუზეუმთან შეკრებილი ხალისადმი, ამერიკის მოწყობილია? ვიცით, რომ ანტირუსული პროპაგანდის დასაფინანსებლად 10 მილიონი გამოიყო, მაგრამ ასეთ ლოკალურ დაპირისპირებებს აფინანსებენ?**

— ფული ჩაიდო, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ჩვენი, ქართველების ბრალი და წვლილიც ამ ყველაფერში ძალიან დიდია.

მოსახლეობის შემცირება, ეკონომიკური ნგრევა — ასეთი საფრთხეები სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებშიც არსებობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამისათვის ყველაზე ნოყიერი ნიადაგი საქართველოში აღმოჩნდა.

**— რაც შეეხება ენ-დი-აის კვლევებს, 31% ევრაზიული კავშირის მომხრე – ეს, ფაქტობრივად, აღიარებაა, რომ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი იმედგაცრუებულია...**

— **თუკი ამერიკული ორგანიზაცია აქვეყნებს კვლევის შედეგს, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის 31% ევრაზიული კავშირის მომხრეა, ეს იმას ნიშნავს, რომ მომხრე გაცილებით მეტია. პოლიტიკოსებმა, რომლებიც ქვეყნის სათავეში იყვნენ, თავადვე მოახდინეს დასავლეთის დისკრეტიდაცია. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის დემოკრატია და დასავლური კურსი ასოცირდება სიღატაკესთან, ეკონომიკურ გაჩანაგებასა და გაუსაძლის ყოფასთან.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოში ცხოვრობდა სამი მილიონ 729 ათასი ადამიანი, მაშინ, როდესაც 2002 წლის აღწერით მოსახლეობა შეადგენდა ოთხი მილიონ 371 ათას ადამიანს."**

# მიგრაცია კატასტროფულ ზღვარს აღწევს. საქართველო ბენდუქიძის «ნაცისტური» პოლიტიკის შედეგს იმკის...



## ანზორ თოთაძე: 2002-დან 2014 წლამდე საზღვარგარეთ მუდმივად საცხოვრებლად წავიდა 740 ათასი კაცი, ანუ ქვეყანა, ფაქტობრივად, დაიცალა



**საქართველოს ხელისუფლება და მისი პოლიტიკური გარანტორი ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ სათავეში მოსვლამდე გვარწმუნებდა, რომ მისი მმართველობის მესამე წელი ეკონომიკური გაფურჩქვნისა და იბერიის გაბრწყინების წელი იქნებოდა. სწორედ ამ და სხვა დაპირებების ხიბლმა 2012 წლის 1 ოქტომბერს ხალხი საარჩევნო ყუთთან მიიყვანა და, მიუხედავად რეჟიმის უმძიმესი წნეხისა, მხარი „ქართულ ოცნებას" დაუჭირა. მოსახლეობის დიდ ნაწილს მაშინ, ალბათ, გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ კოალიციის „ლომი" ამ დაპირებებს პირნათლად შეასრულებდა და მალე მართლაც ბრწყინვალების გვირგვინი დაადგებოდა იბერიას, მაგრამ, აი, რა მივიღეთ — ცვლილებებიდან ორ წელიწად-ნახევრის თავზე ეკონომიკა ლამისაა ჩამოგვექცეს, ეროვნული ვალუტა სულს ღაფავს და სოციალური ფონი დღითიდღე მძიმდება (სამართლიანობის აღდგენის დაპირებაზე არაფერს ვამბობ), მოკლედ, სახელმწიფო უფსკრულისკენ მიექანება და მოქალაქეთა დიდ ნაწილს თვალი უკვე გაქცევაზე უჭირავს. ერი საშოვარსაა გადაგებული. უიმედოდ დარჩენილი მოქალაქეები სამშობლოს ტოვებენ და ლუკმაპურის საშოვნელად საზღვარგარეთ მიდიან.**

**...წინა კვირას არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" დემოგრაფიული კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, შეიძლება ითქვას, უმძიმესი მონაცემი. დოკუმენტის თანახმად, ამჟამად საქართველოდან 1 607 744 ადამიანია გასული. აღნიშნულ კვლევას არასამთავრობო ორგანიზაცია დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მიწოდებულ სტატისტიკაზე დაყრდნობით აქვეყნებს, თუმცა კვლევაში ასევე აღნიშნულია, რომ იგი, შესაძლოა, რეალობას ზუსტად ვერ ასახავდეს. მიზეზი არის ის, რომ მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი საზღვარგარეთ არალეგალურად იმყოფება და მათი აღრიცხვა ვერ ხერხდება. ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, იმას ნიშნავს, რომ რეალურად მათი რაოდენობა, შესაძლოა, გაცილებით მეტი იყოს...**

**რამ განაპირობა მოქალაქეთა ასე სტიქიურად გადინება საზღვარგარეთ, რა მექანიზმებით შეიძლება, სახელმწიფომ შეაჩეროს ეს პროცესი და რას აკეთებს ამისთვის დღეს ხელისუფლება — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო" დემოგრაფ ანზორ თოთაძეს დაუკავშირდა.**

**— ბატონო ანზორ, უწინარესად გკითხავთ, ენდობით იმ ციფრებს, რომლებიც ამას წინათ ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა? ზოგიერთი თქვენი კოლეგა ფიქრობს, რომ რეალურად 1 607 744-ზე გაცილებით მეტი ადამიანია დღეს საზღვარგარეთ გასული.**

— მონაცემს ვენდობი, მაგრამ ცდომილება შეიძლება იყოს. ეს ბუნებრივიცაა, მით უმეტეს, რომ უამრავი მოქალაქე არალეგალურადაა გასული. თანაც აქ ერთი მომენტია: თუ მოქალაქე გასულია 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ის დემოგრაფიულ აღრიცხვაში ვერ ხვდება, ამიტომაც ჭირს ზუსტი მონაცემების დადგენა და ყოველთვის, ყველა სტატისტიკურ მონაცემში აღნიშნულია ხოლმე, რომ რეალურად შეიძლება გაცილებით მეტი მოქალაქე იმყოფებოდეს საზღვრებს გარეთ.

— ბოლო ხანს გამოქვეყნებული ყველა სტატისტიკური **მონაცემი ცხადყოფს, რომ მიგრანტების რაოდენობა იზრდება და მომავალში, შესაძლოა, კიდევ უფრო სწრაფი ტემპით გაიზარდოს.**

— პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ გასული წლის დემოგრაფიულმა აღწერამ მოგვცა საგანგაშო მონაცემი. **ერი უკვე, ფაქტობრივად, უფსკრულშია გადაჩეხილი. 2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოში ცხოვრობდა სამი მილიონ 729 ათასი ადამიანი, მაშინ, როდესაც 2002 წლის აღწერით მოსახლეობა შეადგენდა ოთხი მილიონ 371 ათას ადამიანს. აღსანიშნავია ისიც, რომ 2002-დან 2014 წლამდე საზღვარგარეთ მუდმივად საცხოვრებლად წავიდა 740 ათასი კაცი, ანუ ქვეყანა ფაქტობრივად დაიცალა.**

რაც შეეხება სოფლებს, იქ პრაქტიკულად ვხედავთ დემოგრაფიულ აღსასრულს. **მაგალითად ავიღოთ კახეთი, ამ რეგიონში გასული საუკუნის 70-80-იან წლებში სოფლად იბადებოდა 60 ათასი ბავშვი, ბოლო ათწლეულში კი დაიბადა ოცი ათასი, ანუ შობადობა სამჯერ შემცირდა.** ეს ერთი. და მეორეა კიდევ რელიგიური ფაქტორი, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს დემოგრაფიულ პროცესებზე.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— ავიღოთ გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონები და ერთმანეთს შევადაროთ, გურჯაანში ცხოვრობს 69 მაჰმადიანი, ხოლო საგარეჯოში — 19 ათასი. ახლა სტატისტიკა ნახეთ: გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, როცა შობადობა იყო გაცილებით მაღალი, გურჯაანში მოსახლეობის ბუნებრივი მატება 1989-1990 წლებში შეადგენდა 4036 კაცს, საგარეჯოს რაიონში კი — 6760-ს. არადა, საგარეჯოს რაიონი მოსახლეობით გაცილებით ნაკლებია, ვიდრე გურჯაანისა, ანუ რის თქმა მინდა, რელიგიური ფაქტორი თამაშობს ძალიან დიდ როლს და ერთ-ერთი გადამწყვეტია დემოგრაფიულ პროცესებში.

**— რამ განაპირობა შობადობის ასეთი მკვეთრი შემცირება საქართველოში?**

— არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: უმთავრესი მიზეზი იყო ის, რომ **ცხრა წლის განმავლობაში ყველაფერი იღონა „ნაცმოძრაობამ", რათა საქართველოს მოსახლეობა არ გაზრდილიყო. მათ გაუუქმეს ხალხს ყველანაირი შეღავათი, დახმარება, შემწეობა. მოშალეს ისედაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი სოფლის მეურნეობა და რაიონები, ფაქტობრივად, გააუკაცრიელეს. ცხადია, ეს იყო მიზანმიმართული პოლიტიკა და ამ ყველაფერს ჰქონდა კონკრეტული ამოცანა — მოსახლეობა უნდა აეყარათ და გაეშვათ ქალაქში ან საზღვარგარეთ.** ზუსტად ამ მიზანს ემსახურებოდა მათ მიერ დეკლარირებული პოლიტიკაც, რომ თურმე სოფლის მეურნეობა არ არის მომგებიანი სფერო და ეს არ შეიძლება პრიორიტეტი იყოს. აი, ამან დაღუპა ქართული სოფელი და, ბუნებრივია, ამ ყველაფერმა გამანადგურებელი შედეგი იქონია დემოგრაფიულ ვითარებაზეც.

**— წინა ხელისუფლების მისამართით მსგავსი ბრალდებები ხშირად ისმის, მაგრამ მოდი, დავაკონკრეტოთ, რა ნაბიჯები გადაიდგა სააკაშვილის პერიოდში ისეთი, რამაც სოფლის მეურნეობა მოშალა?**

— კონკრეტულ ციფრებს მოგიყვანთ. მაგალითად ავიღოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები: **2002 წელს ხორბალი დათესილი იყო 139 ათას ჰექტარზე, ეს მონაცემი 2007-ში უკვე 45 ათასამდე დავიდა, ანუ შემცირდა სამჯერ. სიმინდი დათესილი იყო 201 ათას ჰექტარზე (2002 წელს), 2008-ში 146 ათას ჰექტრამდე შემცირდა.** ახლა სხვა კულტურები ვნახოთ: კარტოფილი დათესილი იყო 38 ათას ჰექტარზე, შემცირდა 24 ათას ჰექტრამდე, ერთწლიანი ბალახები, რომელიც უმნიშვნელოვანესია მეცხოველეობის გასავითარებლად, დათესილი იყო 19 ათას ჰექტარზე და შემცირდა 1,3 ათას ჰექტრამდე. ასევე შეამცირეს მრავალწლიანი ბალახების სათესი ფართობებიც... ახლა მეცხოველეობას გადავხედოთ: პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, ფაქტობრივად, განახევრდა. მაგალითად, **2003-2008 წლებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი შემცირდა მილიონ 246 ათასიდან მილიონ 45 ათასამდე. აი, ამ ყველაფერმა გამოიწვია სოფლის მეურნეობის გაჩანაგება და სოფელი რომ განადგურდა, ბუნებრივია, ხალხიც აიყარა.** ვიმეორებ: ეს იყო მიზანმიმართული პოლიტიკა და სპეციალურად აკეთებდნენ, რათა ყველაფერი მოშლილიყო, მრეწველობა პრაქტიკულად მიწასთან გასწორდა...

**— თუმცა სააკაშვილი ხშირად ამბობდა, რომ მისი მმართველობის პერიოდში ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამას თავის ერთ-ერთ მიღწევად მიიჩნევდა.**

**— ამაზეც მოგახსენებთ. 2004 წელს ექსპორტი იყო 646 მილიონი აშშ დოლარის, ხოლო 2008 წელს შეადგინა 1 496 მილიონი, სამაგიეროდ იმპორტი გაიზარდა კატასტროფულად — 2004 წელს შეადგინა მილიარდ 845 მილიონი დოლარი, ხოლო 2008 წელს — უკვე 6 მილიარდ 304 მილიონი. ხვდებით, ეს რას ნიშნავს? შენი წარმოება მკვდარია, ყველაფერი შემოგაქვს, ყველაფერს ყიდულობ. რომელ ეკონომიკურ ზრდაზეა აქ საუბარი, სააკაშვილი რასაც ამბობდა, ეს იყო ტიპური დემაგოგია...**

**— ორი წლის წინათ „ქართულმა ოცნებამ" მილიარდი ლარი ჩადო სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მაგრამ დემოგრაფიულ მდგომარეობაზე ეს არ ასახულა. ყოველ შემთხვევაში, შობადობისა და მიგრაციის მაჩვენებელი სერიოზულად არ შეცვლილა. როგორ ახსნით ამას?**

— სოფლის მეურნეობა დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების ერთ-ერთი ფაქტორია და არა — ერთადერთი, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში კი დემოგრაფიაზე სხვა უამრავი ფაქტორიც ახდენდა გავლენას. მაგალითად, პატიმართა რაოდენობის გაზრდა პირდაპირ კავშირშია დემოგრაფიულ პროცესებთან და თქვენ იცით, რომ „ნაცმოძრაობის" ზეობის ხანაში საქართველოს დაახლოებით 40 ათასამდე მსჯავრდადებული ჰყავდა. ცალკე საკითხია, რა ხდებოდა საპყრობილეებში და რა ჯოჯოხეთურ პირობებში უწევდათ ადამიანებს სასჯელის მოხდა. **ეს იყო ერის გენოციდზე გათვლილი პოლიტიკა და, რა თქმა უნდა, მე აქაც იმ აზრზე ვარ, რომ ეს ყველაფერი კეთდებოდა მიზანმიმართულად.** აქვე სხვა ფაქტორებზეც, შეგვიძლია, ვისაუბროთ, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანს...

**— რის გაკეთება შეუძლია დღეს სახელმწიფოს იმისთვის, რომ დემოგრაფიული კატასტროფა თავიდან ავიცილოთ?**

— არსებობს მთელი რიგი პროგრამებისა, რომელთა ამოქმედებაც ამ პროცესს გარკვეულწილად შეანელებს, მაგრამ ეს დაკავშირებულია კოლოსალურ თანხებთან. დღეს საქართველოს ამის ფუფუნება არ აქვს, თუმცა მთავარია ნება და ინტერესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან, რაღაც რომ შეიცვალოს. ამის გარეშე, უბრალოდ, შეუძლებელია, ვითარების გამოსწორებაზე ვიფიქროთ. თუ სახელმწიფოს არ ექნება ნება და დაინტერესება, ჩვენ რაც უნდა გავაკეთოთ და რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, არაფერი შეიცვლება. არადა, ფაქტია: მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, ჩვენი ერის დემოგრაფიული სურათი კატასტროფული და საგანგაშოა.

*ესაუბრა* **ჯაბა ჭუანია**

**P.S. ყველაფერი, რასაც დღეს ვხედავთ, იქნება ეს შობადობის კატასტროფული შემცირება თუ მიგრაციის სტიქიური ზრდა, სააკაშვილის საამაყო მინისტრის, ან გარდაცვლილი კახა ბენდუქიძის გეგმის ნაყოფია. მოგეხსენებათ, თავის დროზე ის ამბობდა, სოფლის მეურნეობა არარენტაბელურია და ფეხზე უნდა დავიკიდოთ, — სოფლად მცხოვრები ქალები საზღვარგარეთ წავლენ მეძავებად, კაცები კი შავ მუშებადო. როგორც ჩანს, „ქოცები" ზედმიწევნით აპირებენ მამალი „ნაცის" ანდერძის შესრულებას და ძნელი მისახვედრი არ არის, რა გველოდება...**

**ყოველ შემთხვევაში, ქართული მიწა უპატრონოდ არ დარჩება, ოღონდ საკითხავია, ვისი იქნება ეს მიწა და რა ერქმევა ამ ქვეყანას...**

**თუკი ადამიანი, რომელიც ამბობს, მაგალითად, უცხოპლანეტელი ვარ ან ფრინველი, ან თევზიო, ითვლება არანორმალურად და მიჰყავთ საავადმყოფოში; კაცი, რომელიც ამბობს, ქალი ვარო და ქალი, რომელიც ამბობს კაცი ვარო, შეიძლება ნორმალური იყოს?!**

რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მამა გიორგი (რაზმაძე):

# ვეკითხები ბატონ კახა კალაძეს და, საერთოდ, ხელისუფლების ყველა წარმომადგენელს — ღმერთის უფრო გეშინიათ თუ ევროკავშირის?

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).

**— ბოლო ხანს არასამთავრობო ორგანიზაცია „17 მაისმა“ და ამავე სახელწოდების ჟურნალმა, რომელიც ე.წ. სექსუალური უმცირესობების მხარდამჭერ პროპაგანდას ეწევა, კარდაკარ დაუარა თითქმის ყველა სამთავრობო უწყებას და მინისტრებს ერთადერთი შეკითხვა დაუსვა: არის თუ არა ჰომოსექსუალობა ავადმყოფობა? მინისტრებმაც ერთმნიშვნელოვნად უპასუხეს, რომ ჰომოსექსუალობა არც ავადმყოფობაა და არც ცოდვა. ამას წინათ ვიცეპრემიერმა კახა კალაძემ ჟურნალს ვრცელი ინტერვიუ მისცა და ზუსტად იგივე გაიმეორა. მეტიც, მან 2013 წლის 17 მაისის მოვლენებიც გაიხსენა და განაცხადა, თუკი მსგავსი რამ მომავალშიც განმეორდება, შესაბამისი სტრუქტურები ძალადობას თავშივე აღკვეთენო. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე? 17 მაისამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა...**

— პირველ რიგში, **ვეკითხები ბატონ კახა კალაძეს, საპარლამენტო უმრავლესობას და, საერთოდ, ხელისუფლების ყველა წარმომადგენელს — ღმერთის უფრო გეშინიათ თუ ევროკავშირის? თუ ვაჟკაცობა გეყოფათ, გამეცით პასუხი მედიით ან შემხვდით და პირადად.**

რაც შეეხება გამოცემა **„17 მაისს“**, ეს იგივეა, რაც ტელევიზია **„ტაბულა“**, ორგანიზაცია **„იდენტობა“** და სხვა მსგავსი უცხოური გრანტით ნაკვები მეხუთე კოლონა. **მათ ფულს უხდიან იმაში, რომ 24 საათი აკრიტიკონ და ლანძღონ ეკლესია, სამღვდელოება, რომ დასცინონ და აქილიკონ ყველაფერი ქართული;** ლოგიკურია ის, რასაც მსგავსი ორგანიზაციები აკეთებენ, უბრალოდ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა ძალები დგას მათ უკან. მთავარია, საზოგადოებას გავაგებინოთ, ვინ არიან მათი მფარველები და რა უნდათ იმ დასავლურ ე.წ. ნეოლიბერალურ ძალებს, რომლებიც ვითომდა სიყვარულს, შემწყნარებლობას და ტოლერანტობას ქადაგებენ. **ეს ძალები არიან კაცობრიობის მტრები და მათი უპირველესი ამოცანაა ადამიანის სულიერი გახრწნა, ზნეობრივი დაცემა. მათი უმთავრესი მიზანია, ადამიანებს გამოაცალონ სულიერი საყრდენი და დაამსგავსონ მხეცს, ცხოველს, რომელსაც არანაირი მორალური პრინციპები არ ექნება. აი, ამისთვის იბრძვის ის ხალხი, რომელიც კარდაკარ დარბის სამინისტროებში და ცდილობს, სამთავრობო უწყებების ხელმძღვანელებს ათქმევინოს, რომ ჰომოსექსუალობა თურმე ცოდვა არ არის.**

ამით ისინი ცდილობენ, საფუძველი შეუმზადონ ისეთ დიდ უბედურებებს, რომლებიც ევროპის რიგ ქვეყნებში, უკვე დიდი ხანია, ხდება. ნაბიჯ-ნაბიჯ მივყავართ საყოველთაო გარყვნილებისა და სულიერი მოსპობისკენ...

**— რას გულისხმობთ?**

— ვროპაშიც ზუსტად ასე დაიწყო მზადება ერთსქესიანთა ქორწინების დასაკანონებლად, იქაც ასე ნელ-ნელა აჩვევდნენ ხალხს აზრს, რომ თურმე მამათმავლობა ცოდვა არ არის. **ჩვენთანაც, ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ მიიღეს, ბევრი, მათ შორის პარლამენტში მსხდომი ვითომ პატრიოტებიც, ამბობდნენ, ამით არაფერი მზაკვრობა არ მზადდება და ეს კანონი არანაირი გარყვნილების ხელშემწყობი არ იქნებაო, მაგრამ ეს არის ზუსტად იმ მზაკვრობის ნაწილი. სწორედ მსგავსი კანონებით ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ საზოგადოების მიყვანა აღვირახსნილობამდე და, როდესაც ამბობენ, ევროპული ოჯახი ჩვენი ისტორიული არჩევანიაო, ეს სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ აქაც ისეთი აღლუმები უნდა ტარდებოდეს და ისეთი თავისუფლება უნდა ჰქონდეთ სოდომური ცოდვით შეპყრობილ ადამიანებს, როგორც ევროპის რიგ ქვეყნებში.** არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: **ასეთი ევროპა, არათუ ჩვენი ისტორიული არჩევანი არ არის, თვით ევროპელებისთვისაც მიუღებელია.** საფრანგეთში მილიონობით ადამიანი აღუდგა წინ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას და გახსოვთ, რა ამბები იყო... ანუ თვითონ ევროპელებიც მხსვერპლნი არიან ამ გარყვნილების პროპაგანდისა და ამის ფონზე ჩვენ არ უნდა დავიჯეროთ ის აბსურდი, რომ ეს ევროპა თურმე ჩვენი ისტორიული არჩევანია. პირიქით — ასეთ ევროპაში შესვლა ისტორიული ფესვებიდან მოწყვეტაა და, თუ ეს მოხდება, საქართველო ვერ გადარჩება...

**— და მაინც, თუკი 17 მაისს ე.წ. უმცირესობები მსვლელობას ან რამე აქციას ჩაატარებენ, რა შეიძლება ამას მოჰყვეს?**

— სამშაბათს, 12 მაისს, დაიწყო აწყურის ღვთისმშობლის ხატის მომლოცველთა მსვლელობა და 16 მაისს ეს მსვლელობა ვარდების მოედნიდან სამების საკათედრო ტაძრამდე გაივლის. მეორე დღეს, თუ ესენი გამოვლენ, არ შერცხვებათ ან სინდისი არ შეაწუხებთ, ღვთისმშობლის ნაკვალევზე აღლუმს რომ ჩაატარებენ?! ეს ერთი და მეორე — ხალხს არ ეკითხებიან, უნდათ თუ არა თავიანთ ქვეყანაში ასეთი უმსგავსობის ხილვა?!

რაც შეეხება საკითხს, არის თუ არა მამათმავლობა ავადმყოფობა, **თუკი ადამიანი, რომელიც ამბობს, მაგალითად, უცხოპლანეტელი ვარ ან ფრინველი, ან თევზიო, ითვლება არანორმალურად და მიჰყავთ საავადმყოფოში; კაცი, რომელიც ამბობს, ქალი ვარო და ქალი, რომელიც ამბობს კაცი ვარო, შეიძლება ნორმალური იყოს?!** სხვა საკითხია, რომ ულმერთო ევროპა ამას ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამს, მაგრამ ჩვენ რატომ უნდა მივბაძოთ?!

**— გვეუბნებიან, რომ სხვანაირად ევროკავშირში არ მიგვიღებენ.**

— საერთოდ არ გვჭირდება ეს ევროკავშირი, აქეთ შეგვეხვეწონ ბევრ რამეზე. რას გვაძლევს ჩვენ იქ შესვლა ან ეკონომიკურად, ან პოლიტიკურად, ვინმეს შეუძლია ამიხსნას? ნახეთ, რა დაემართა აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებს მას შემდეგ, რაც ამ კავშირის წევრები გახდნენ, — ეკონომიკა თავზე დაემხოთ. და ჩვენ რას ველოდებით, აგვაყვავებენ?! ხუთასმილიონიანი ბაზარი გვექნებაო, რომ იძახიან, ქართული წარმოება, ფაქტობრივად, არ არსებობს და რა შეგაქვს იმ ბაზარში, რა გაქვს?

**— წარმოება არ გვაქვს, სამაგიეროდ, საქართველოს მოქალაქეები ივლიან ევროპის ქვეყნებში მარტივად. ეს ხომ ეკონომიკაზეც აისახება?**

— კი, ახლა თუ მილიონ 700 ათასამდე ქართველია საზღვარგარეთ გადახვეწილი და შავ მუშად გადაქცეული, ეს რიცხვი გასამმაგდება. კაციშვილი აღარ დარჩება ამ ქვეყანაში და, ამას თუ ჩავთვლით ეკონომიკურ აღორძინებად, მაშინ ყველაფერი კარგადაა. არადა, რა გვაქვს სასიხარულო, მალე ქართველი სანთლით საძებარი იქნება...

**— ბოლო ხანს მედიასაშუალებებს ხშირად გამოჰყავთ სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები და აქტუალურ საკითხებზე ალაპარაკებენ. მაგალითად, ამას წინათ ერთ-ერთ ჟურნალში იყო ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორის — ჯუზეპე პაზოტოს ინტერვიუ. იგი ტოლერანტობაზე საუბრობდა და აცხადებდა, ყველა ადამიანს აქვს გამოხატვის თავისუფლებაო. როგორ ფიქრობთ, ეს ადამიანებიც ანტიმართლმადიდებლური კამპანიის ნაწილი ხომ არ არიან?**

— ცხადია, ისინი მონაწილეობენ იმ ბინძურ პროპაგანდაში, რომელიც 24- საათიან რეჟიმში მოედინება „რუსთავი 2“-დან, ჩერგოლეიშვილის „ტაბულადან“ და სხვა მსგავსი ე. წ. მედიასაშუალებიდან.

რაც შეეხება იმ კონკრეტულ ინტერვიუს, შემიძლია, გითხრათ, რომ სისულელეების ბუდურია. ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ამ ადამიანის, **პაზოტოს ადგილზე რომ ვიყო, ხმას საერთოდ არ ამოვიღებდი. ჯერ მხოლოდ ინკვიზიციის პერიოდში რამდენი ადამიანი წამებით მოკლეს ამ გარეწრებმა და ახლა ეს კაცისმკვლელები ჩვენ გვასწავლიან ადამიანის სიყვარულს. ამათ რა უფლება აქვთ, შემწყნარებლობაზე გველაპარაკონ, თავიანთი ისტორია გაიხსენონ! ან რომელ უმცირესობებზე და მათ უფლებებზე გველაპარაკებიან, სოდომი და გომორი ნახონ, დღემდე ცეცხლი უკიდია იმ მიწას...**

**— ირაკლი ალასანიამ ამას წინათ განაცხადა, ჩემთვის ეკლესია ძალაუფლების ინსტიტუტი არ არის და ის სახელმწიფოს საქმეებში არ უნდა ერეოდესო. როგორ ფიქრობთ, სად გადის ზღვარი სახელმწიფოსა და ეკლესიის იდეოლოგიურ გავლენას შორის?**

— საქმე რა არის, იცით, **ამათ უნდათ, სასულიერო პირი ეკლესიის გარეთ არ დაინახონ. ანუ, ვთქვათ, როდესაც პოლიტიკოსი მიიღებს კანონს, რომლის თანახმადაც, მამაკაცს შეეძლება მამაკაცზე დაქორწინება ან ქალს — ქალზე, ეკლესია უნდა გაჩუმდეს, რადგან ეს უკვე სახელმწიფოს საქმეებში ჩარევა იქნება.** კიდევ ვიმეორებ: ესენი არიან ბოროტების მსახურები და ყველაფერი, რასაც ცდილობენ საქმით თუ განცხადებებით, არის მიზანმიმართული პოლიტიკა. ეს ეხება ყველას, ვინც მონაწილეობს იმ ალვირახსნილ პროპაგანდაში, რომ თურმე განსხვავებულს პატივი უნდა ვცეთ. **ცხადია, განსხვავებულს პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ მამათმავლობა განსხვავებულობა არ არის, ეს არის ადამიანის სულიერი სნეულება, მომაკვდინებელი ცოდვა და ამ ცოდვის მიმართ შემწყნარებლობა არც მეტი, არც ნაკლები, ღვთის გმობა, უფლის უარყოფაა.**

**— ასე თუ ისე, ხელისუფლებისთვის პოლიტიკური დღეგრძელობის გარანტი მაინც ის რიტორიკაა, რომლითაც დღეს საუბრობენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაკარგავენ დასავლეთის მხარდაჭერას... რამ შეიძლება თუნდაც ნაწილობრივ შეცვალოს ეს მოცემულობა, რა გზით შეიძლება მივიდეს ქვეყანა იქამდე, რომ პოლიტელიტას დასავლეთი არ გვინიშნავდეს?**

— მე პოლიტოლოგი არ ვარ და პოლიტიკურ ანალიზს, ბუნებრივია, ვერ გავაკეთებ, მაგრამ ერთი რამ ძალიან მარტივია, — **თვითონ პოლიტიკაში მყოფმა ადამიანებმა უნდა გააკეთონ არჩევანი, რას ემსახურონ — გარე ძალას, რომელიც უმეტესად შენივე ქვეყნის საზიანოდ გმართავს თუ სამშობლოს.** აი, ეს არჩევანია გასაკეთებელი. ხალხზეც, რა თქმა უნდა, ბევრია დამოკიდებული, რაღაც პოლიტიკური მზაკვრობით თავბრუ არ უნდა დაგახვიონ და მერე ისე არ უნდა გაგიხდეს საქმე, რომ თავში ხელს იცემდე. სიფხიზლე და წინდახედულობაა საჭირო. ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, თორემ მოღალატეს და დამაქცევარს რა გამოლევს?!







# «ასეთ ევროპაში შესვლა ისტორიული ფესვებიდან მოწყვეტაა და, თუ ეს მოხდება, საქართველო ვერ გადარჩება»

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ახალი თავდაცვის მინისტრის შემხედვარე, ნამდვილად ველოდები ახალი საარჩევნო ბლოკის ჩამოყალიბებას სახელწოდებით „თინას ოცნება — გადაგდებული საქართველო“ ან „ახუნტრუცებული თინა — დაბეჩავებული საქართველო“, ან რამე სხვა ამგვარით.**

# სამშობლოვ, თინდება!

**როგორც იქნა, ვენდეთ! უფრო ზუსტად, ჩვენ რა — პარლამენტი ენდო. არ ენდობოდა და მისი აჯობებდა! ისედაც ეკლებზე ზის უკვე ჩვენი სასიქადულო მილიარდერი და რო რამე, კიდეც ამოხტებოდა აკვირიუმის ზვიგენივით... საქმე და თავშისაცემიც ეგაა, ეგზომ მორჩილი პრეზიდენტ-პარლამენტიც კი ამდენს რომ გაწრუწუნებს ნდობის გამოსაცხადებლად. ყველაფერი რიგზეა და შეთანხმებულიაო, — ღიმილით გვაცნობა მანამდე პრემიერმინისტრმა, მაგრამ სასახლიდან არგამოსულის თუ ვერგამოგდებულისთვის არ ყოფილა თურმე მთლად ასე — „ვსიო პო მასლუ“!**

„თქვენო ფორსმაჟორში მუშაობთო!“ (ეტა, რაზო);

„ეს ძალიან ეტყობა თქვენს არჩევანს მინისტრებისას და ცოტა დალაგდითო!“ (ეტა დვაო);

„წელიწადში რამდენჯერ უნდა ცვალოთ თავდაცვის მინისტრიო?“ (ეტა ტრიო) (რითმა შემთხვევითია);

„და, საერთოდ, მე აქ პრეზიდენტი ვარ თუ პრობკაო?!“ (ეტა ჩეტირეო!) და არ მოაწერა ხელი!

**საზოგადოდ, მარგველაშვილს ხელის მოწერა უჭირს ხოლმე. ძირითადად „ტაბუისტია“ და არათუ მისთვის გაგზავნილ და ბიძინასთვის სასურველ კანონპროექტებსა თუ სხვა დოკუმენტებზე, საყვარელ ქალთან ოფიციალურ ქორწინებაზეც ძალიან გაუჭირდა და გააჭიანურა ხელის მოწერა, თუ გახსოვთ.**

ამიტომ ზედმეტია ივანიშვილისა და ღარიბაშვილის თუნდაც თავშეკავებული, მაგრამ აშკარა ბრაზი, რადგან მარგველაშვილი ხომ, უბრალოდ, ერთობა! რეალურად მანაც იცის, რომ არც არაფერს წყვეტს მისი ხელის მოწერა — საბოლოოდ კანონებიც იბადება და ბიჭიც, მიუხედავად იმისა, მოაწერს ის ხელს თუ არა.

ამ კაცს, უბრალოდ, ჰობი აქვს ასეთი — ხელის მოწერა არ უყვარს!

სამაგიეროდ, თინას უყვარს, ხიდაშელს, ძალიან!

ის ანდაზა ხომ არის ცნობილი: „მინისტრად ჯერ არ დანიშნულიყო და უკვე გენერალური შტაბის უფროსს იბარებდაო!..“ თუ როგორ არის ეგა?

მოკლედ, ანდაზა, როგორც გინდათ, ისე იყოს და ჩვენი **ახალი თავდაცვის მინისტრის შემხედვარე, ნამდვილად ველოდები ახალი საარჩევნო ბლოკის ჩამოყალიბებას სახელწოდებით „თინას ოცნება — გადაგდებული საქართველო“ ან „ახუნტრუცებული თინა — დაბეჩავებული საქართველო“, ან რამე სხვა ამგვარით.**

ისე, ასეთი აცანცარებული თვით თინაც კი არასოდეს მინახავს. ვაღიარებ — ყოველთვის მიკვირდა, რატომ ჰქონდა ამ ყოვლად ცანცარა და უწიგნურის შთაბეჭდილების მომხდენ ქალს ინტელექტუალისა და ჭკვიანის იმიჯი... უფრო ზუსტად, ეგ ვიცოდი, ასეთებს იმიჯს ვინ, რა მეთოდებითა და რა მიზნით უქმნის, მაგრამ ის მიკვირდა, ხალხს როგორ აჯერებენ ასე იოლად...

თუმცა ისიც საკითხავია, სჯერა კი ხალხს ეს? სურათი ასეთია: **ხალხს ჯიუტად არ სჯერა, ხოლო „თინები“ (მიუხედავად სქესისა) სულ უფრო მეტი მონდომებით ცდილობენ, ინტელექტუალებად და ჭკვიანებად მოგვაჩვენონ თავი.**

მაინც ხდება გამონაკლისი, როდესაც ეს „ინწილიკტუალები“ თავს ველარ იკავებენ და აცანცარდებიან ხოლმე. ეს უმეტესად ის შემთხვევებია, როდესაც ჰგონიათ, რომ „წარმატებულის“ იმიჯს უფრო და უფრო ამართლებენ. აი, ჩვენი აწ უკვე თავდაცვის მინისტრიც ისე აახუნტრუცა მორიგმა თანამდებობრივმა წინსვლამ, რომ მისი ცანცარი უკვე საყოველთაოდ შესამჩნევი გახდა.

ვერაფრით გავიხსენე, ბოლოს როდის მინახავს ასეთი უაღრესად თვითკმაყოფილი სახე და გამომეტყველება! **„პატარა თინიკო“ ლამის ასკინკილით დარბოდა პარლამენტის დერეფნებში ტელეკამერების წინ და ისე ახუნტრუცდა, ორიოდე დღე ვერ მოითმინა და გენერალური შტაბის უფროსიც კი გამოიძახა ქუთაისში.**

ცანცარობა თინა ხიდაშელის დამახასიათებელი იყო ყოველთვის და პირდაპირ უნდა უნდა ვთქვათ — ვითომ



**«პატარა თინიკო» ლამის ასკინკილით დარბოდა პარლამენტის დერეფნებში ტელეკამერების წინ და ისე ახუნტრუცდა, ორიოდე დღე ვერ მოითმინა და გენერალური შტაბის უფროსიც კი გამოიძახა ქუთაისში**

„ინწილიკტუალისა“ და „ძაან ნაკითხის“ ნილაბი დაკვირვებული თვალისთვის ყოველთვის ცუდად ჰქონდა მორგებული, მაგრამ ისეთ აცანაცარებას, როგორიც თავდაცვის მინისტრად დასახელების შემდეგ დაემართა, მისგანაც კი არ ველოდი.

**„მე უკვე მინისტრი ვარ! მე უკვე მინისტრი ვარ! მინისტრი ვარ! მინისტრი ვარ!“ — ისეთი გაცისკროვნებულ-აცანცარებული სახით იმეორებდა ხიდაშელი ყველა კამერასა და მიკროფონთან, რომ მართლაც უნამუსო იქნებოდა პარლამენტი, თუ ნდობას არ გამოუცხადებდა!**

თუმცა ცანცარა თინას არც ეს აღელვებდა ნამეტნავად — „სულაც არ არის საჭირო პარლამენტის კენჭისყრა და ნდობა!“ — ეს ფარაზაც კი ესროლა გაოგნებულ ჟურნალისტებს.

და **რის მაქნისია პარლამენტი, რომლის არც კენჭისყრა ყოფილა საჭირო, არც ნდობის გამოცხადება და, საერთოდ, მისი შეკრებაც კი არავის არაფერში ანაღვლებს?! ან რა საჭიროა პრეზიდენტი, რომელიც 7 დღით გადადებს მინისტრთა კაბინეტის წარდგენილ შემადგენლობაზე ხელის მოწერას თუ 700 დღით, როცა არაფერს ცვლის?!**

რა თქმა უნდა, **ამ ქვეყანაში არც პარლამენტი სჭირდება ვინმეს და არც — პრეზიდენტი. აქ მთავარია ასრულება თინიკოსა და თინიკოსებრთა ოცნებისა, რომლისთვისაც რატომღაც „ქართული ოცნება“ დაურქმევიათ!**

თორემ ნდობასა და დამტკიცებას რაც შეეხება, სად წავა? ნდობაც იქნება, დამტკიცებაც, კენჭისყრაც და ყანწის ტრიალიც!

ცრემლის ღვრაც იქნება! აბა, არა? როგორ არა, როდესაც ეს „სუსტი სქესის“ წარმომადგენლები ისეთ „მძიმე“ საქმეს შეჭიდებიან, როგორიც არის მინისტრობა.

აბა, მოუსმინეთ!

**თეა წულუკიანი,** იუსტიციის მინისტრი: „მინისტრობა არ არის პრივილეგია! მინისტრობა არის, პირველ რიგში, უდიდესი დისკომფორტი!“

აი, ასე! ზუსტად ასე განგვიცხადა „სტრასბურგის პრინცესამ“ პირდაპირ სატელევიზიო ჩართვაში, პარლამენტის მიერ ახალი მინისტრთა კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადებამდე ორიოდე საათით ადრე.

ნუ, ის ხომ ისედაც ვიცოდით და უკვე სამი წელია, ყოველდღე ვიცით, სულ ვიცით, მუდამ ვიცით და ვინ აღარ იცის, რომ თეა წულუკიანმა „თავი გაწირა“ და ევროპაში მისთვის შექმნილი „უმაგრესი“ სამუშაო პირობებისა და უდიდესი სახელფასო ანაზღაურების მიუხედავად, მაინც წამოვიდა სამშობლოში!

ჰო, მაგრამ მთლად ასე უნდა გაგვეწირა? მაინცდამაინც მინისტრად უნდა ჩამოგვეყვანა? ის არ ეყოფოდა ადამიანს, რომ იმ კარგი და კომფორტული პირობებიდან მოდიოდა, კიდევ ეს მინისტრობა, დავიდარაბა, ხათაბალა დისკომფორტი უნდოდა?

არა რა! დანდობა არ ვიცით ქართველებმა! გაგვეშვა სადმე წყნარად, დავუშვათ, კინოში შემსვლელებს რომ ბილეთებს უხევენ იქ, მშვიდად, უპრობლემოდ. ხომ იქნებოდა დასვენებული? ქალმა ისედაც თავი გაწირა სამშობლოსთვის და ჩვენ კიდევ ავდექით და აქ მინისტრიობა შევტენეთ! ხალხი ვართ ახლა ჩვენ?

თანაც, რომ იცოდეთ, ეს სულაც არ არის პირველი შემთხვევა და არც ბოლო.

აი, რას ამბობს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი **მაია ფანჯიკიძე:**

„მინისტრობის დროს მთელი წელიწად-ნახევარი ჰაერში, თვითმფრინავში გავატარე! ეს იყო უმძიმესი პერიოდი ჩემს ცხიოვრებაში!“

აბა!

ხედავთ, რა დღეში ვაგდებთ ადამიანებს?!

ამ დროს კი ვიღაც ტუტუცები გამოდიან და აქციებს ატარებენ, — მეტი ქალი პარლამენტში და მთავრობაშიო! ნამუსი აღარ გაქვთ, ადამიანებო? ცოდონი არ არიან? ან ჩვენ მაინც დაგვინდეთ, სამიოთხი ასე აწუწუნებული და აწიკვინებული ქალი კიდევ ჯანდაბას! მეტი და მეტი ქალი რომ აწიკვინდება და აწუწუნდება, — მძიმეა ეს მინისტრობა და ნუ გვტენითო, რა გაუძლებს მერე მაგათ?!

დადებითი არის ის, რომ ნელ-ნელა უკვე სახელმწიფოსა და ოჯახს შორის ე.წ. ინტერესთა კონფლიქტის დაძლევასაც ვეჩვევით. მაგალითად, როდესაც ნინო ბურჯანაძე იყო პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო მისი მეუღლე ბადრი ბიწაძე — ჯერ გენპროკურორის მოადგილე, შემდეგ კი — სასაზღვრო დეპარტამენტის შეფი, თუ არ ვცდები, სწორედ რესპუბლიკელები და თინათინ ხიდაშელი გაჰკიოდნენ ხმამაღლა, — სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი! ოჯახური კლანი არ შეიძლება მართავდეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შტოებს ერთობლივად, მით უმეტეს, ძალოვან მიმართულებასო!

ახლა კი უკვე წინსვლა გვაქვს ამ მიმართულებით. გამოვედით „გურჯული“ სიბნელიდან და ჩამორჩენილობიდან. ამის ყველაზე კარგი მაგალითი იყო თავდაცვის პირველი ქალი მინისტრის პასუხი ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას დასმულ კითხვაზე:

„ქალბატონო თინა, თქვენ თავდაცვის მინისტრი ხართ, თქვენი მეუღლე პარლამენტის თავმჯდომარეა, ეს არანაირ დისკომფორტს არ ქმნის?“

ქალბატონი თინას პასუხი: **„არა, არავითარი დისკომფორტი არ გვექმნება, ჩვენ საჯარო სექტორში გავიცანით ერთმანეთი და შეგუებულები ვართ, რომ დიდხანს მოგვიწევს ყოფნა საჯარო სექტორში“.**

ბრძნული პასუხია!

მათ, პირადად, არ უქმნით დისკომფორტს ეს ყველაფერი და ქვეყნის, სახელმწიფოს, კონსტიტუციის დისკომფორტი ვის დაჰკარგვია?!

მაშ, წინ — ახალი და დიადი მიზნებისაკენ!

**ხომ ვხედავთ, როგორ სანაქებოდ განაგრძობენ გმირი ქართველი ქალების ტრადიციას თანამედროვე ქართველი ქალებიც და, როგორც თინა წავკისელი, როგორც მაია წყნეთელი, როგორც თამარ ვაშლოვნელი — სამშობლოსთვის სამსხვერპლოზე მისატანად, არათუ სიკვდილს, თვით მინისტრობასაც კი არ ერიდებიან!**

ბარაქალა თქვენ, ჭეშმარიტო ქართველო ქალებო!

**რის მაქნისია პარლამენტი, რომლის არც კენჭისყრა ყოფილა საჭირო, არც ნდობის გამოცხადება და, საერთოდ, მისი შეკრებაც კი არავის არაფერში ანაღვლებს? ან რა საჭიროა პრეზიდენტი, რომელიც 7 დღით გადადებს მინისტრთა კაბინეტის წარდგენილ შემადგენლობაზე ხელის მოწერას თუ 700 დღით, როცა არაფერს ცვლის?.. ამ ქვეყანაში არც პარლამენტი სჭირდება ვინმეს და არც — პრეზიდენტი. აქ მთავარია ასრულება თინიკოსა და თინიკოსებრთა ოცნებისა, რომლისთვისაც რატომღაც «ქართული ოცნება» დაურქმევიათ!**

**„ამ ხელისუფლებამ ვერ შეიგნო, რომ „თავისუფალი ზონა“ თუ ქათმების ზონა ამას იმიტომ აკეთებს, რომ რუსეთიდან ტურისტები არ შემოვიდნენ და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას ძირი გამოეთხაროს.“**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გულბაათ რცხილაძე:

# ამერიკელების წაქეზებით, საქართველოში, შესაძლოა, მეორე ფრონტი გაიხსნას

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი, პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი გულბაათ რცხილაძე ესაუბრება.**

**— 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავად რამდენიმე საინტერესო ღონისძიება გამართეთ. სათანადოდ აღინიშნება ეს დღე საქართველოში?**

— ისტორიული მეხსიერების შესანარჩუნებლად „ევრაზიის ინსტიტუტი“ ბევრ ღონისძიებას ატარებს. გარდა ამისა, მივიწყებული მონუმენტების, საძმო სასაფლაოების აღსადგენადაც არ ვიშურებთ ძალისხმევას. ცოტა ხნის წინათ, ჩვენი ორგანიზაციის ეგიდით, თელავისა და შიდა ქართლის რაიონის სოფელ დირბის ვეტერანებს 45-ლარიანი უფასო ვაუჩერები გადავეცით. ამ საქმეში ძალიან დამეხმარა ჩემი მეგობარი, კომპანია „ნიჟფარმის“ დირექტორი **ალექსანდრე პაპუკაშვილი.** შიდა ქართლში მცხოვრები ლტოლვილი მოზარდები ჩამოვიყვანეთ თბილისში და დიდი სამამულო ომის თემატიკაზე მე და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა **ნანა წითელაშვილმა** სემინარი ჩავატარეთ. ვაჩვენეთ ფილმები, ახალგაზრდებმა მოუსმინეს ომის ვეტერანებს — **ტარას იჩქიტიძესა** და **შოთა ბუაძეს**, რომლებმაც მათ რეალური სამხედრო ისტორიები უამბეს. ეს მეტად საჭირო ღონისძიება იყო, ვინაიდან **სკოლის სახელმძღვანელოებში იმ ქართველებს, რომლებიც ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ, მხოლოდ ერთი გვერდი აქვთ დათმობილი, ფაშისტების მომხრე ერთ მუჭა ქართველებს კი ორგვერდ-ნახევარი ეძღვნებათ. გარდა ამისა, ამ სახელმძღვანელოებში შეურაცხყოფენ ქართველ მებრძოლებს, თითქოს წითელი არმიის ჯარისკაცები ევროპის ტერიტორიაზე ისევე იქცეოდნენ, როგორც ფაშისტები — საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.** აი, ასეთ დამახინჯებულ ისტორიას ასწავლიან სკოლებში და ჩვენი ნაბიჯით სწორედ ამ დეზინფორმაციას გავეცით პასუხი.

ახალგაზრდებმა თემებიც დაწერეს — „რატომ არის 9 მაისი გამარჯვების დღე საქართველოსთვის“ და ყველა მონაწილე სერტიფიკატებით, წიგნებითა და აკვაპარკ „ჯინო პარადაიზის“ პაკეტებით დავაჯილდოვეთ. აქვე მინდა, აუცილებლად აღვნიშნო აკვაპარკის ადმინისტრაციის კეთილი ჟესტი, რომელმაც გაითვალისწინა ვითარება და ვაუჩერებზე ფასები გაგვინახევრა.

საქართველოში ვეტერანების მდგომარეობა პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე სავალალოა. **ის მაინც ხომ შეეძლო მერიას, მისალოცი პლაკატი გამოეფინა ქალაქში ვეტერანებისთვის? ეს სულში ჩაფურთხება არ არის?! თუ არ უნდათ, ნუ დაახატავდნენ ამ „გიორგიევსკის ბაფთას“, საქართველოს დროშა დაეხატათ პლაკატზე და ისე მიელოცათ; ან ამ წმინდა გიორგის ორდენის ბაფთას რას ერჩიან? ახალაიას „ნაბიჭვრებმა“ აქციეს ოკუპაციის სიმბოლოდ, თორემ რა შუაშია ოკუპაცია ამ ბაფთასთან?!** რუსულ-ქართული ომის დროს ამ ბაფთით არავინ შემოსულა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამით უკრაინელებს ბაძავენ. **მაპატიეთ და, მე მაგათი უკრაინა ფეხებზე მკიდია, რადგან უკრაინა დღეს ჩვენთვის მტრული სახელმწიფოა, ამას პირდაპირ ვაცხადებ. უკრაინამ სუვერენიტეტი დაკარგა და ის დღეს არის რაღაც მახინჯი წარმონაქმნი, რომლის მეშვეობითაც დასავლეთი ცდილობს, საქართველოში, რუსეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებში არიოს სიტუაცია.**

9 მაისს ჩვენ შევხვდით რეგიონების მცხოვრებლებს, წმინდა გიორგის ბაფთებით გავედით თბილისში — ვაკის პარკში, ბათუმში —საძმო სასაფლაოზე, თელავში ჩვენი მეგობრების დახმარებით ვეტერანებს შევხვდით და დიდების მემორიალი ყვავილებით შევამკეთ... ხალხი ყველგან კარგად გვხვდებოდა, ყველგან იგრძნობოდა, რომ 25-წლიანი სტაგნაციის შემდეგ ქართველ ერს დიდი განახლებები სურს.

**— რატომ ცდილობს დღეს ზოგიერთი ამ გამარჯვების გაუფასურებას?**

— **სურთ, ხალხის ცნობიერება შეცვალონ. მათი მიზანია, ისტორიული მეხსიერება დაიკარგოს და მართული საზოგადოება გავხდეთ. დასავლური იდეოლოგებიც კარგად ხედავენ, რომ, ტაქტიკური უთანხმოების მიუხედავად, ეს ომი აღიქმება, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამაერთიანებელი რაღაც წმინდა მოვლენა ჩვენს ისტორიაში.** თვით სომეხსა და აზერბაიჯანელსაც კი, რომლებიც, სამწუხაროდ, ერთმანეთის დაუძინებელი მტრები არიან, ეს დღე აერთიანებთ. დიდი სამამულო ომის დისკრედიტაციის კამპანიის საბოლოო მიზანი საქართველოს რუსეთის საწინააღმდეგო ინსტრუმენტად გადაქცევაა.



**— ბოლოდროინდელ სამთავრობო ცვლილებებს როგორ შეაფასებთ და, როგორც დღეს საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, არის თუ არა გამოსავალი რიგგარეშე არჩევნებში?**

— ვფიქრობ, დღეს უკვე არც რიგგარეშე არჩევნები შეცვლის ვითარებას. ირაკლი ღარიბაშვილს რიგგარეშე არჩევნები შარშან, დეკემბერში რომ დაენიშნა ან წლის დასაწყისში, უპირობოდ გაიმარჯვებდა, მაგრამ ახლა მეეჭვება, მან არჩევნები ასე იოლად მოიგოს, რადგან უკვე დისკრედიტებულია, როგორც სუსტი მმართველი. მან ვერ გაბედა თამამი ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის, ვერც რუსეთთან ურთიერთობაში...

**დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ, — თინა ხიდაშელი იქნება თავდაცვის მინისტრი თუ ირაკლი ალასანია, მაგრამ მაინც და მაინც თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრის პოსტზე დანიშვნით ირაკლი ღარიბაშვილი დაამცირეს. კარგად გვახსოვს, როგორი უშვერი სიტყვებით იხსენიებდა ღარიბაშვილი ხიდაშელს და ამ ქალს უნიშნავენ მინისტრად მის დაუკითხავად.**

**— ვინ დაუნიშნა, ვის გულისხმობთ?**

— სავარაუდოდ, აშშ-ის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა და მისმა მესვეურებმა. რადგან „ქართული ოცნება“ მათ გარეშე ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავს. რესპუბლიკელები რომ განუდგნენ „ოცნებას“, ეს ავტომატურად საპარლამენტო უმრავლესობის დაშლას გამოიწვევს. დააკვირდით, **ოპოზიცია ამ ხელისუფლებას ყველაზე ხშირად უნიათოს ეძახის. რადგან არავინ იჭერს მათ და ცოცხებს არავინ უკეთებს, ამიტომ გათამამდნენ.** ხელისუფლება „ნაციონალების“ ბანდიტებისგან ტურისტების დაცვას ვერ ახერხებს, რომლებიც წმინდა გიორგის ორდენის ბაფთებს ხალხს ძალადობრივი გზით ართმევენ. **ამ ხელისუფლებამ ვერ შეიგნო, რომ „თავისუფალი ზონა“ თუ ქათმების ზონა ამას იმიტომ აკეთებს, რომ რუსეთიდან ტურისტები არ შემოვიდნენ და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას ძირი გამოეთხაროს.** ჰკითხეთ ნებისმიერი ბარის ან რესტორნის მენეჯერს, რამდენ თანხას ხარჯავენ რუსი ტურისტები. ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენი ტურისტული სექტორი სწორედ რუსმა ტურისტებმა გამოაცოცხლეს.

ჩვენს ქვეყანას სტრატეგიულად, გეოპოლიტიკურად მოაზროვნე ერთი კაცი მაინც სჭირდება მთავრობაში. ასეთი სტრატეგის ფუნქციას ერთადერთი ჩვენი პატრიარქი ითავსებს, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული საქართველოსთვის რუსეთთან ურთიერთობის მნიშვნელობა, რაც, თავის მხრივ, სხვა ქვეყნებთან კარგ ურთიერთობას არ გამორიცხავს. ასე რომ, **სჯობს, ჩვენს პატრიარქს უფრო მეტად დავუჯეროთ, ვიდრე გამყიდველ პოლიტიკოსებს.**

ამ დღეებში მოხდა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი, რომლებიც ასე შეიძლება შეფასდეს — მორალური შეტევა საქართველოს წინააღმდეგ. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ, რომ უკრაინის ხელისუფლებამ, ამერიკელების მითითებით, „ნაციონალებს“ უკრაინაში სასათბურე პირობები შეუქმნა, მაგრამ რა ხდება აზერბაიჯანში? **პრეზიდენტ ალიევის მიწვევით, სააკაშვილმა ბაქოში ამოყო თავი და აზერბაიჯანიდან თავს უფლება მისცა, საქართველოს წინააღმდეგ საშიში და დამცინავი განცხადებები გაეკეთებინა. საყურადღებოა, რომ ეს ალიევმა დაუშვა. სომხეთში კი სამხრეთ ოსეთის პარლამენტის სპიკერი ანატოლი ბიბილოვი სომხეთის პარლამენტის სპიკერ გალუსტ სააკიანს შეხვდა. სომხეთის მხრიდან, რომელიც არ აღიარებს ამ რესპუბლიკებს, მაგრამ იღებს ოსების პარლამენტის თავმჯდომარეს, ეს ძალიან სერიოზული გამოწვევაა საქართველოსთვის.** მთლიანობაში კი, ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ „კბილს უსინჯავენ“, რამდენად ადეკვატურია ჩვენი ხელისუფლება, დაიცვას საქართველოს ინტერესები. **მეზობელი სახელმწიფოები თავს ასე მოქცევის უფლებას არ უნდა აძლევდნენ, მაგრამ დააკვირდით, როგორი უნიათოა საქართველოს ხელისუფლების რეაქცია — ამ ქვეყნებს დიპლომატიური ნოტაც კი არ აკადრეს.**

**— საქართველოში ჩატარდება ქართულ-ამერიკული ერთობლივი სამხედრო წვრთნები, პროგრამა „მაღალი დონის პარტნიორონის“ ფარგლებში მიზნად ისახავს ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების დაახლოებასა და ნატოს მომავალ ოპერაციებსა და წვრთნებში მონაწილეობისთვის მზადყოფნის ამაღლებას. ამ ფაქტს რუსულ პრესაში გამოხმაურება უკვე მოჰყვა. შესაძლოა თუ არა, ამან რაიმე საფრთხე შეუქმნას ჩვენს ქვეყანას?**

— თვითონ **ეს ფაქტი პირველი ნაბიჯია, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორია რუსეთის წინააღმდეგ რაიმე სამხედრო პროვოკაციების მოსაწყობად რომ გამოიყენონ და საქართველო იყოს ამერიკის სტრატეგიულ ორბიტაზე. დასაფიქრებელია ისიც, რომ სწორედ ამ დროს ხდება მინისტრის შეცვლაც. ასე რომ, ამერიკელების წაქეზებით, საქართველოში, შესაძლოა, მეორე ფრონტი გაიხსნას. ამ ომში ამერიკელები არც გამოჩნდებიან.**

ეს წვრთნები, რა თქმა უნდა, ქვეყანას საფრთხეს უქმნის, ვინაიდან, უკრაინაში როგორ განვითარდება მოვლენები, ჯერჯერობით არ ვიცით. ამას გარდა, ყოველ წუთს შეიძლება დაბრუნდნენ საქართველოში ისლამისტები, რომლებსაც სააკაშვილის ხელისუფლება წლების განმავლობაში ხელს უწყობდა და ისინიც რუსეთის წინააღმდეგ შეიძლება გამოიყენონ.

**— გაჩნდა ასეთი მოსაზრებაც, რომ ვაზიანი, შესაძლოა, საქართველოში ნატოს პირველ სამხედრო ბაზად იქცეს...**

— დიახ, ის რეალურად იქცევა სამხედრო ბაზად. ის ფაქტი, რომ აქ საყრდენი პუნქტი შეიქმნეს ამერიკელებმა, ცხადია. კარგი იქნება, ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მასმედიის წარმომადგენლებს თუ შეუშვებენ და აჩვენებენ, რა ხდება იქ. თუ საწვრთნელი ცენტრია, რა პრობლემაა, მონიტორინგი ჩავიტაროთ?

**— ცოტა ხნის წინათ თბილისში ჯორჯ ბუშის ბანერი დააზიანეს. მსგავსი შემთხვევა 2010 წელსაც მოხდა, როცა ირაკლი კაკაბაძემ და ახალგაზრდებმა, ქუჩისთვის ბუშის სახელის გადარქმევის მოთხოვნით აქცია ჩაატარეს და აბრა შეღებეს. როგორ ფიქრობთ, ამ შემთხვევაში, რა მოტივაცია ჰქონდათ, ვინც ეს ჩაიდინა?**

— არ ვიცი, ეს ვინ გააკეთა, მაგრამ მინდა, ვთქვა, რომ სამარცხვინოა საქართველოში ჯორჯ ბუშის ქუჩის არსებობა. სხვათა შორის, ჩვენი ორგანიზაციის ახალგაზრდებმა საკრებულოში შეიტანეს ხელმოწერები, რომ კონსტანტინე ლესელიძის ქუჩას თავისი სახელი დაუბრუნდეს. პასუხად მივიღეთ საკრებულოს წევრის, ვინმე **ჯახველაძის** პასუხი, რომ თურმე გლდანში უკვე დაურქმევიათ ქუჩისთვის ლესელიძის სახელი და რაიმეს შეცვლა საჭიროდ აღარ მიაჩნიათ.

ვფიქრობ, ხალხს ეს ყველაფერი ყელში ამოუვიდა, ბუშის ქუჩის ბანერის შემდეგ მალე, ალბათ, მარჯანიშვილის ხიდსაც გადაღებავენ, რომელიც ახალაიას დამქაშებმა უკრაინის დროშის ფერებად გათხუპნეს. რას აკეთებს მერია? ჩვენს უნიათო ხელისუფლებას ეშინია, ვაიმე, უკრაინის დროშა არ წაეშალოთ. მეცოდებიან!

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ს ელ-გე-ბე-ტეს საკითხებში პირველი ოფიციალური დესპანი ჰყავს. გეირწმუნებულის ახალ თანამდებობაზე რენდი ბერი აირჩიეს, რომელიც ჰომოსექსუალთა უფლებებს დაიცავს მსოფლიოში. როგორ ფიქრობთ, რატომ გახდა აუცილებელი ცალკე თანამდებობა ელ-გე-ბე-ტე ადამიანების უფლებების დასაცავად?**

— ეს ყველაფერი უკვე კომედიას ემსგავსება. მე პირიქით — კმაყოფილი ვარ, ამას ასე ღიად რომ აკეთებენ. შეფარვით მოქმედებას, ისევ გულახდილობა სჯობს, რადგან ასე ხალხი უფრო კარგად დაინახავს დასავლეთის სახეს და, მოყვარეა თუ მტერი, დასკვნასაც თვითონ გამოიტანს.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# რა ხდებოდა გორში 2015 წლის 9 მაისს

**2015 წლის 9 მაისს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავი შესრულდა. ეს დღე ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ზარ-ზეიმით აღინიშნა. 1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირს, რომლის ნაწილი საქართველოც იყო, თავს დაესხა ფაშისტური გერმანია, — ასე გვასწავლიდნენ ჩვენს თაობას, რომელმაც იცის, რომ არა სტალინის გენიალური მთავარსარდლობა 1945 წელს უდიდეს გამარჯვებას ვერ მოვიპოვებდით.**

9 მაისს გამარჯვებისა და სიამაყის განცდა ქალაქ გორში შესვლისთანავე იგრძნობოდა: იყო სადღესასწაულო განწყობა; ისმოდა „გაფრინდი შავო მერცხალო"; ბედნიერი, გაღიმებული ომის ვეტერანები სტუმრებს ახლობლებივით ესალმებოდნენ. ქალაქის ცენტრში სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა ყველა მსურველს ჰქონდა. რიგი იდგა სტალინის სახლ-მუზეუმთან.

**9 მაისს გორში, ავდრის მიუხედავად, უამრავი ხალხი ჩავიდა, საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჰყავდათ სტუმრები გორელებს, განწყობა საზეიმო იყო, თუმცა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი აუცილებლად უნდა აღინიშნოს — სამამულო ომის დასრულებიდან 70-ე წლისთავზე გორში ჩასული ხალხის მსვლელობა საპროტესტო აქციას უფრო ჰგავდა.**

„ჩვენ არ გვინდა ევროპა, ჩვენ გვინდა რუსეთი!" — ასეთი იყო შეძახილები და ლოზუნგები. აქციის მონაწილეები სტალინის სახლ-მუზეუმთან შეიკრიბნენ სტალინის სურათებითა და საბჭოთა დროშებით ხელში. მათ მოგვიანებით გორის ცენტრალურ მოედანზე, ადმინისტრაციული შენობის წინ გადაინაცვლეს და ქალაქის მერთან შეხვედრას მოითხოვდნენ, რომელიც სტალინის ძეგლის დადგმას დაჰპირდათ, თუმცა გორის მერი ზურაბ ჯირკველიშვილი აქციის მონაწილეებს არ შეხვედრია.

ძეგლი, რომელიც სტალინის სიცოცხლეში, 1952 წელს გაიხსნა, მოქანდაკე შოთა მიქატაძეს ეკუთვნის, ხოლო არქიტექტორები ზაქარია და არჩილ ქურდიანები არიან. ბრინჯაოს ექვსმეტრიანი ქანდაკება გრანიტის ცხრამეტრიან, სამიარუსიან კვარცხლბეკზე იდგა, რომელიც, ამასთანავე, ტრიბუნის ფუნქციასაც ასრულებდა.

**გორში დიდი ბელადის ძეგლი 2010 წლის 24 ივნისს აიღეს. ეს დღე შემთხვევით არ შეურჩევიათ — 1945 წლის 24 ივნისს სტალინმა გამარჯვების აღლუმი ჩაიბარა. სწორედ ეს დღე — 24 ივნისი დაუთქვეს საზეიმო მსვლელობის მონაწილეებმა გორის მერს — ზურაბ ჯირკველიშვილს სტალინის ძეგლის თავის ადგილზე დასაბრუნებლად.**

თავში უკვე ვახსენეთ, რომ 9 მაისის ზეიმის მონაწილეებს პროტესტის გამოხატვის სურვილი უფრო ჰქონდათ, ვიდრე საზეიმო განწყობა, რომელიც ბოლო 25 წლის განმავლობაში შესამჩნევი არ ყოფილა. 9 მაისის მომვლენებს თუ თვალს გადავავლებთ, ამას ნათლად დავინახავთ, ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავზე მომხდარი ინციდენტისა და გორში საბჭოთა კავშირის დროშებით მისული ხალხის ფონზე. ამ ყველაფერზე იუმორისტმა დავით გოგიშვილმა სოციალურ ქსელში მეტად საგულისხმო რამ განაცხადა, რასაც მისი ნებართვით გთავაზობთ.

**დავით გოგიშვილი, იუმორისტი:**

— პოლიტტექნოლოგების ენაზე რომ ვიმსჯელოთ, ქვეყანაში ლოკალური სამოქალაქო დაპირისპირებას ან ომის დაწყებას მყარი ნიადაგი აქვს მაშინ, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ღირებულებით, მენტალური ნიშნით ერთმანეთისგან რადიკალურად, არსებითად, ინსტიტუციონალურად განსხვავებული ორი პოლიტიკური დაჯგუფება, ორი პრინციპულად განსხვავებული იდეოლოგია. ეს გაყოფა უკვე სახეზეა. ახლა მთავარია, სად გაივლის ფრონტის ხაზი პრორუსულად და პროდასავლურ-პროამერიკულად განწყობილ ქართველობას შორის.

**გორში საბჭოთა კავშირის დროშები გამოფინა არა ქართველი ხალხის ტრფიალმა იმ დროშის მიმართ და საბჭოთა ნოსტალგიამ, არამედ ჩვენი დასავლელი „პარტნიორების" მხრიდან ქართველი ხალხის მიმართ 25-წლიანმა სულში ჩაფურთხებამ, ტყუილში, სიყალბეში ცხოვრებამ.**

გორში საბჭოთა კავშირის დროშების ფრიალის მოთხოვნილება გუშინ და დღეს არ დაწყებულა და გაცილებით ღრმა ფესვები აქვს.

გადავხედოთ ქრონიკას:

**ანგელა მერკელი:** „ის სახელმწიფოები, რომლებიც ჩართულნი არიან რეგიონულ კონფლიქტებში, ვერ გახდებიან ნატოს წევრები".

**2008 წლის 4 აპრილი. ბუქარესტის სამიტი.**

**ჰაიდი ტალიავინი:** „რუსეთის მიერ სამხედრო ძალის გამოყენება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საკუთარი სამშვიდობოების დაცვის მიზნით იყო ლეგიტიმური. რუსეთის მოქმედებამ აგრესიის სახე მიიღო მას შემდეგ, რაც რუსეთის არმია გასცდა სამხრეთ ოსეთის საზღვრებს".

2008 წ. სექტემბერი.

**დავით უსუფაშვილი:** „მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ოჯახში 28-ნი ხართ და ჯერ ჩვენი ადგილი არ არის, ვაკაკუნებთ თქვენს კარზე და დაჟინებით გავაგრძელებთ დაკაკუნებას ევროკავშირის კარზე".

**2014 წელი.**

**ფრანსუა ოლანდი:** „ნატოს გაფართოებისა და ახალი წევრების მიღების პროცესი უნდა დავასრულოთ".




**«გორში საბჭოთა კავშირის დროშები გამოფინა არა ქართველი ხალხის ტრფიალმა ამ დროშის მიმართ და საბჭოთა ნოსტალგიამ, არამედ ჩვენი დასავლელი „პარტნიორების" მხრიდან ქართველი ხალხის მიმართ 25-წლიანმა სულში ჩაფურთხებამ, ტყუილში, სიყალბეში ცხოვრებამ. გორში საბჭოთა კავშირის დროშების ფრიალის მოთხოვნილება გუშინ და დღეს არ დაწყებულა და გაცილებით ღრმა ფესვები აქვს»**

ეს ის გამონათქვამებია, რომლებიც სამომავლოდ კიდევ უფრო მოამრავლებს საბჭოთა კავშირის დროშების ფრიალს არა მხოლოდ გორში, არამედ სხვა ქალაქებშიც. **პროტესტსა და აგრესიას ეგრეთ წოდებული დასავლური ღირებულებების მიმართ გააღრმავებს რიგის სამიტი, რომელიც ქართველ ხალხს თვალებში ნაცრის შეყრის, მოტყუების, სიყალბისა და ილუზიებში ცხოვრების „ახალ ნარკოტიკს" შესთავაზებს. ქართველ საზოგადოებას აღიზიანებს არა ამ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან საქართველოს მიმართ მიღებული დეკლარაციებისა თუ კომუნიკეების არარეალურობა და სიყალბე, არამედ ნატოსა და ევროკავშირში „ინტეგრაციით", პერსპექტივითა და „ნათელი მომავლის" თემით კომერციულად დაინტერესებული კასტის მოქმედება ჩვენს ქვეყანაში, მათი სიტუტუცე, აღვირახსნილობა.** ოღონდ ამ თემის აჟიტირებით თვითონ იკვებონ გრანტებით „პო ნასლედსტვუ" და საქართველოს მომავალი სულ ფეხებზე ჰკიდიათ. რამდენადაც დიდხანს გაგრძელდება ამ სიყალბეში ცხოვრება, მით მეტად მოიმატებს გეორგიევსკის ლენტების, რუსეთისა და საბჭოთა კავშირის დროშების რაოდენობა საქართველოში".



**ზეიმის მონაწილეებმა კი, აი, რა გვითხრეს:**

„თუ სტალინის ძეგლი თავის ადგილას არ დაბრუნდება 24 ივნისამდე, ქალაქის მერს, როგორც ავირჩიეთ, ისე გადავირჩევთ. თავადაც იცის, რომ სწორედ ამ დაპირების გამო მისცა მას ხალხმა ხმა", — განაცხადა ერთ-ერთმა „სტალინელმა" **სოსო ქუმსიაშვილმა.**

„ერთადერთი ქვეყანა, სადაც 9 მაისს უცნობი ჯარისკაცის საფლავზე გვირგვინის მიტანისთვის სალებავები და კვერცხები დაუშინეს ხალხს, საქართველო აღმოჩნდა, ქვეყანა, რომელმაც სტალინი გაზარდა. **გეიაღლუმების მომხრე და დიდ სამამულო ომში დაღუპული 300 ათასი ქართველის უარმყოფელი ე.წ. ლიბერალები 8 მაისს იოსებ ჯუღაშვილის გორსაც ესტუმრნენ კვერცხებით შეიარაღებულები, მაგრამ გორელებმა ივაჟკაცეს და თბილისიდან სტალინის შეურაცხყოფისთვის ჩამოსულებს გასაქანი არ მისცეს, თუმცა გორის ცენტრში დაპირისპირება მაინც მოხდა,"** — გვითხრა აღშფოთებულმა **სერგო კახნიაშვილმა**, რომელიც გორში მომხდარ ინცინდენტსაც შეესწრო და თბილისში, ვაკის პარკში მომხდარ შეხლა-შემოხლასაც. ▶




## ალასკისა და ჰავაის მოსახლეობამ მათი ტერიტორიების ანექსიასა და ოკუპაციაში აშშ დაადანაშაულა

**ალასკისა და ჰავაის მოსახლეობამ გაეროს მიმართა და შეერთებული შტატები მათი ტერიტორიების ანექსიასა და ოკუპაციაში დაადანაშაულა.** განცხადების ავტორებს, რომლებმაც გაეროს საბჭოს სხდომაზე ალასკისა და ჰავაის თვითგამორკვევის საკითხის დაყენება მოითხოვეს, რეფერენდუმის გამართვა სურთ. ჟენევაში გამართულ პრესკონფერენციაზე კი შეერთებული შტატები მკვიდრი ხალხების მიმართ არსებული პოლიტიკის გამო გააკრიტიკეს და ალასკისა და ჰავაის მიერთებით გაეროს პრინციპების დარღვევაში დაადანაშაულეს.






# „ყველაზე დიდ ბოროტებაზე — ფაშიზმზე გამარჯვების დღის გაუფასურებას ცდილობენ ის ახალგაზრდები, რომლებსაც ენა და სამშობლო სწორედ სტალინმა შეუნარჩუნა ამ ომში გამარჯვებით“.

ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სამწუხაროა და სამარცხვინოც, რომ **ყველაზე დიდ ბოროტებაზე — ფაშიზმზე გამარჯვების დღის გაუფასურებას ცდილობენ ის ახალგაზრდები, რომლებსაც ენა და სამშობლო სწორედ სტალინმა შეუნარჩუნა ამ ომში გამარჯვებით.** დიდ სამამულო ომში 16-17 წლისანი, სრულიად ახალგაზრდები წავიდნენ და უკან ველარ დაბრუნებულან უწვერულვაშო ქართველი ახალგაზრდები, 300 ათასი ვაჟკაცი დაიღუპა საქართველოდან... 8 მაისს გორში ვილაცები ჩამოვიდნენ, აქ თქვეს, „თავისუფალი ზონააო“, არ ვიცი, ვინ არიან, მთელი ქალაქი ქუჩაში გამოვიდა, მეც ვიყავი და, **იცით, ამ უზრდელ ახალგაზრდებთან ერთად, ვინ იყო? – დუტა სხირტლაძე, მას სტალინის კიტელი ეცვა და, როდესაც ხალხმა ჰკითხა, შენც მათთან ერთად ხარო? — უპასუხა, შოუს ვდგამო. ის სტალინს დასცინოდა...“** — გვითხრა ქალბატონმა **ნათელა ჩოხელმა**, ხანდაზმულმა ქალბატონმა, რომელსაც ხელში საბჭოთა კავშირის დროშა ეჭირა.









„დიდ სამამულო ომში საქართველომ 300 000 შვილის სიცოცხლე გაიღო, უფრო მეტი, ვიდრე მსოფლიოს დიდმა ქვეყნებმა. ამ ბრძოლის მთავარსარდალიც ქართველი იყო და გამარჯვების დროშის აღმმართველიც — ქართველი. გულსატკენია, რომ ბოლო რამდენიმე ათეული წელიწადია, საქართველოში გამოჩნდნენ ძალები, რომლებიც ცდილობენ, შეურაცხყონ 9 მაისის შემოქმედი გმირები და მათი უმაღლესი მთავარსარდალი — სტალინი. ისტორიას მიზანმიმართულად ამახინჯებენ და სტალინის ღვაწლს თაობებს არასწორად აწვდიან. უფრო მეტიც, დიდ სამამულო ომს აღარც ახსენებენ, ამ ომს მეორე მსოფლიო ომად მოიხსენიებენ...

**9 მაისი დიად გამარჯვებას ნიშნავს, ბედნიერი ვარ, რომ შემამჩნიეთ და საჭიროდ ჩათვალეთ ჩემთან საუბარი. ვფიქრობ, ახლა სიკვდილიც ღირს, დიადი გამარჯვების 70-ე წლისთავზე ვნახე ახალგაზრდა, რომელიც ჩემით დაინტერესდა. ალბათ, არ გადავგვარდებით,“** — ასეთი იყო სამამულო ომის მონაწილის — **ივანე ცაციაშვილის** პასუხი შეკითხვაზე: რას ნიშნავს დღევანდელი დღე კაცობრიობისთვის?

## «თუ სტალინის ძეგლს თავის ადგილას არ დააბრუნებენ 24 ივნისამდე, ქალაქის მერს, როგორც ავირჩიეთ, ისე გადავირჩევთ»







**ვილჰელმ მახარაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

— **რომ არა 9 მაისი მსოფლიო ფაშისტური უღლის ქვეშ იქნებოდა გართხმული, მსოფლიოს უდიდესი ნაწილი ისე იქნებოდა განადგურებული, როგორც ეს დღეს მასონურ კლანებს სურთ.** ფაშისტური გერმანია და მსოფლიოს მასონური მოძრაობა ერთი და იგივეა, მათ ერთნაირი მიზნები ჰქონდათ, განსხვავება ის იყო, რომ ჰიტლერს სურდა, მსოფლიო გერმანულენოვანად გადაექცია, დღევანდელ სიონისტებს კი ინგლისურენოვანი მსოფლიო სურთ.

სტალინის როლი მსოფლიოს გადარჩენაში განუსაზღვრელია. მხოლოდ ის რად ღირს, რომ მსოფლიოს იმჟამინდელი მმართველები აღიარებდნენ სტალინის სიდიადეს, აღიარებდნენ, რომ სწორედ ქართველი ჯუღაშვილის ნიჭისა და შეუდრეკელობის დამსახურება იყო ფაშიზმის დამარცხება. რომ არა სტალინი, ჰიტლერის დამმარცხებელი არავინ იყო. ამას ჰიტლერიც კი აღიარებდა, მას ეშინოდა სტალინის და გამართლდა კიდეც მისი შიში. ჰიტლერმა არ გაითვალისწინა ბისმარკის სიტყვები — არ შეიძლება რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყება, ვინც ამას გაბედავს, დამარცხება გარდაუვალიაო.

**ვალერიან სუხიშვილი, სუხიშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი:**

— ისტორიის ფალსიფიკაციის გამო, სიმართლე საძებარია და აუცილებლად უნდა გაირკვეს სიმართლე სტალინზე, რომელმაც ხალხს სიკეთე მოუტანა და ბოროტებას, რომელიც მის ეპოქაში ხდებოდა, ნურავინ მიაწერს სტალინს. იმხანად სპეციალურად ქმნიდნენ ვითარებას, თითქოს ყველა ბოროტების სათავე სტალინი იყო.

1937 წელი, რომელიც დღეს პირზე აკერიათ, სწორედ სტალინს მოუწყვეს. ესენი იყვნენ ლევ ტროცკი, ლევ კამენევი, ნიკოლაი ბუხარინი და სხვები. სამჯერ იყო დაგეგმილი სტალინის ლიკვიდაცია, მაგრამ ის ალღომ გადაარჩინა, მტრის ცნობა იცოდა. **ჩვენ უნდა ვიამაყოთ, რომ სტალინი ქართველი იყო, გორელებმა კი ორმაგად უნდა იამაყონ! სტალინმა, უბრალო გლეხის შვილმა, ფაშიზმი დაამარცხა. უინსტონ ჩერჩილი ამბობდა: „მე ყოველ დილით ვლოცულობ, რომ იოსებ სტალინმა იცოცხლოს, რადგან მხოლოდ მას შეუძლია ფაშიზმის დამარცხება“.**

სირცხვილია, როდესაც მთელი მსოფლიო აღიარებს სტალინის სიდიადეს და საკუთარ ქვეყანაში არ აფასებენ. 8 მაისს გორში თბილისიდან ახალგაზრდები ჩამოვიდნენ და ცუდად მოიქცნენ. მათ გასაგონად ვიტყვი — შეიძლება, სხვადასხვა თვალსაზრისი გვქონდეს, მაგრამ ყველას მიზანი საქართველოს კეთილდღეობა უნდა იყოს. პირადი ამბიციებისთვის არ ღირს საკუთარი ხალხის წყენინება. ქართველები ემოციური ხალხი ვართ, სწორედ ამ ემოციის ვერ მოთოკვით დავანგრიეთ სამშობლო. **25 წელია, რაც ვანგრევთ, არაფერს ვაშენებთ... გონს უნდა მოვეგოთ. 1990-იან წლებამდე საქართველოში ცხოვრების დონე გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და, თუ გინდათ, ევროპაშიც, მაგრამ დღეს ყველაზე ღატაკი და მათხოვარი ქვეყანა ვართ. ყველა ჩვენმა მეზობელმა შეძლო გადარჩენა, ჩვენ ვიღუპებით.**

პოლიტიკოსებმა ზნეობა დაკარგეს, მათი მოსმენა აღარ შეიძლება. თქვენ იცით, რომ სტალინს ჰიტლერი აუგად არასოდეს უხსენებია და არც ჰიტლერს — სტალინი. დიდი პოლიტიკოსები არ კადრულობდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკანები გვყავს.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**P.S. საღამოს გორის ქუჩებში გავიარეთ, სასიამოვნო მოსასმენი იყო სიტყვები, რომლებიც თითქმის ყველა კუთხიდან ისმოდა, სადღეგრძელოები, რომლებიც დიდ სამამულო ომსა და სტალინს შეეხებოდა. ყველაზე ხშირად 1943 წელს სტალინის თეირანში ჩასვლას ახსენებდნენ...**

**9 მაისს გორში ნამდვილად იგრძნობოდა ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვების სიხარული.**

---

მოკლედ

## ნოდარ ხადური — ჟურნალისტებს: თქვენც კი გაგიხარდებათ, ისეთი კარგი შედეგები გვექნება



**ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ჟურნალისტების შეკითხვას, თუ როგორ აპირებს მთავრობის განახლებული შემადგენლობა გამოწვევებთან გამკლავებას, ასე უპასუხა: „დაგველოდეთ და ნახავთ ყველა გამოწვევაზე შესაბამის პასუხს. მერწმუნეთ, თქვენც კი გაგიხარდებათ ისეთი კარგი შედეგები გვექნება“.** ხადური ირწმუნება, რომ მთავრობას კარგი შედეგები ექნება.

„მინდა, მთელ მსოფლიოს და განსაკუთრებით საქართველოს მივულოცო ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლის იუბილე. ეს იყო ომი, რომლის მოგებაშიც ქართველებმა სხვებზე არანაკლები წვლილი შეიტანეს“, — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა 9 მაისს ვაკის პარკში ყოფნისას, სადაც ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავზე უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინით შეამკო.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გამოდის პარლამენტის თავმჯდომარე, ბატონი დავით უსუფაშვილი და ამბობს: ეს ვენეციის კომისიას არ ესიამოვნება; ამას დასავლეთი როგორ შეხედავს; ეს ევროპარლამენტი როგორ შეშფოთდება და ა. შ. იმას კი არ ფიქრობს, ჩემს ქვეყანას რა გამოადგება. იმათ თვალებში რომ შესცინებს, ჩვენს ხალხს ჩახედა თვალებში? გაიგო, რა აწუხებს?“**



## ზარბეგ ბერიაშვილი: არ მეგონა, თუ ამდენი მოღალატე ეყოლებოდა საქართველოს ხელისუფლებაში!

**ზარბეგ ბერიაშვილს, სახელგანთქმულ სპორტსმენსა და რაინდს, სამშობლოს გულშემატკივარ კაცს, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში მოსვლა დაუგვიანდა, კარგა ხანია, არ გამოჩენილა. გასულ კვირა დღეს მოვიდა.**
**მოვიდა და თქვა:**
**— ჩვენს ტელევიზიებს რომ ვუყურებ, ისე ჩანს, რომ საქართველოში აზრის გამოთქმის უფლება მხოლოდ ერთსა და იმავე პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს აქვთ მინიჭებული. რას ფიქრობს ხალხი, რა აწუხებს რიგით ადამიანს, არ აინტერესებთ.**
**თქვენთან სალაპარაკოდ მოვედი.**
**— ბრძანეთ, ბატონო!**
**— მაშ, დამიგდეთ ყური...**
**და ვიდრე მის გულისტკივილს გადმოგცემთ, გეტყვით, რომ ახლახან თბილისში ფალავანთა კლუბის წინ გაიხსნა ქართველი მოჭიდავეების ორი ვარსკვლავი —**
**ზარბეგ ბერიაშვილისა და როსტომ აბაშიძის.**
**პირველი ვარსკვლავები.**
**მიაქციეთ ყურადღება: დაფასებული ადამიანია ბატონი ზარბეგი, აღიარებული და პატივცემული.**
**მისი ნათქვამი სიტყვა არც ხელმოცარულის წუწუნია, არც კერძოდ მის წინააღმდეგ გამოჩენილი უსამართლობის გამო გამწარებული კაცის აღშფოთებით არის ნაკარნახევი.**
**ვარსკვლავი კი გაუხსნეს, მაგრამ ამ საზეიმო ცერემონიას ვერ დაესწრო, რადგან წინა დღით სასწრაფო დახმარების მანქანამ გულიკო ჩაფიძის კლინიკაში გადაიყვანა.**
**გულის უკმარისობის გამო: არანორმალურმა დაძაბულობამ მთელი მისი ცხოვრებისა და საქმიანობის წლებში, განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში საქართველოში დატრიალებულმა მოვლენებმა თავისი გაიტანა.**
**გულიან კაცებს ასე ემართებათ, როგორც წესი.**
**მეორედ მოხვდა გულის კლინიკაში.**



სადაა საღი აზრი?! გეკითხებით! რუსეთის ეკონომიკური დაუძლურება პირდაპირ ჩვენ გვირტყამს. ერთიც ვნახოთ და, რუსეთმა გამოყაროს იქ არალეგალურად მომუშავე ქართველები, წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩავცვივდებით?

ევროპა შეგვინახავს თუ ამერიკა?

იმაზეც გვიპასუხოს ჩვენმა ხელისუფლებამ, ნატოს ერთგულებას რომ ეფიცება, ამ სამხედრო ბლოკში თუ შევალთ, ავტომატურად რუსეთს არ დავუპირისპირდებით?

**— ნატოში ჩვენ მიღებას არავინ ჩქარობს...**

— მაგრამ საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, რაც რუსეთს აშფოთებს. არ მითხრათ, რომ შეშფოთების უფლება მხოლოდ ამერიკას აქვს. **თუ რუსეთი დამპყრობელია, მაშ, შეერთებული შტატები რაღაა?! 1000-ზე მეტი სამხედრო ბაზა აქვს აშშ-ს მსოფლიოში.**

**«მეგობრები, მეგობრებიო, — გავიძახით, მაგრამ ერთი კაცი მაჩვენეთ, ევროპიდან ან ამერიკიდან ჩამოსული, რომელიც ჩვენი მდგომარეობით შეწუხებულიყო და კონკრეტული სიკეთე გაეკეთებინა ჩვენთვის. ის კი არა, ევროკავშირის ელჩმა საქართველოში — იანოშ ჰერმანმა ახლახან გამოგვიცხადა, რომ ჩვენ, თურმე, ჯერ უფლებაც არ გვაქვს, ვიკითხოთ, როდის გახდება საქართველო ევროკავშირის წევრი»**

— სასწაულად მომიარეს, მიმკურნალეს. მხოლოდ მე კი არა, ყველას ასე ყურადღებით ეპყრობიან. ამის დაუნახაობა და ართქმა სირცხვილია.

უანგაროდ!

დამლაგებელს ჩემმა შვილმა ფული ვერ ჩაუდო ჯიბეში! არავითარ შემთხვევაშიო! — არ გამოართვა...

იქ, საავადმყოფოში მეტი რა საქმე გვქონდა პაციენტებს ველაპარაკებოდით ერთმანეთს ჩვენი ქვეყნის ავსა და კარგზე, ამიტომ, რასაც გეტყვით, მხოლოდ ჩემი საწუხარი არ არის.

**და პირველივე წინადადება, რომლითაც თავისი პოზიციის გადმოცემა დაიწყო, გამაოგნებელი იყო:**

**— საქართველოში მდგომარეობა გაცილებით უარესია, ვიდრე ჩვენ გვგონია!**

**და ჩამოთვალა: სკოლაში სწავლების დონე დაბალია; დავკარგეთ ტექნიკისა და ტექნოლოგიების ის მიღწევები, რომლებიც ახლო წარსულში გვქონდა, მსოფლიო კი თავისი განვითარებით ძალიან შორს წავიდა. დაკნინდა მეცნიერების როლი და ადგილი.**

— ჩემი თავი ჯანდაბას, 76-ე წელიწადში გადავდექი, მაგრამ ახალგაზრდობამ რა ქნას?

ისე გამოდის, რომ, ჩვენდა უნებურად, სხვისი კარნახით თუ იძულებითა და დაშინებით წინ ვერ მივდივართ. მხოლოდ ლაპარაკია: აი, ეს პროექტები, აი, ეს რეფორმები. მაჩვენეთ ერთი, რომელმა იმუშავა ამ 25 წლის განმავლობაში, რომ ხალხმა თავი გაიტანოს.

ერთი **გამონაკლისი ჯანმრთელობის დარგია. მარტო ჩაფიძის კლინიკა არ მაქვს მხედველობაში, ნებისმიერი საავადმყოფო აიღეთ!**

ესე იგი, რაღაცის გაკეთება თურმე შეიძლება, მაგრამ რად გინდა, როცა ქვეყანა დამოუკიდებელი არ არის.

გამოდის პარლამენტის თავმჯდომარე, ბატონი დავით უსუფაშვილი და ამბობს: ეს ვენეციის კომისიას არ ესიამოვნება; ამას დასავლეთი როგორ შეხედავს; ეს ევროპარლამენტი როგორ შეშფოთდება და ა. შ. იმას კი არ ფიქრობს, ჩემს ქვეყანას რა გამოადგებაო.

ერთხელ იკითხა მაინც? იმათ თვალებში რომ შესცინებს, ჩვენს ხალხს ჩახედა თვალებში? გაიგო, რა აწუხებს?

აბა, ნახეთ, რა ხდება ბელარუსში! როგორც ძველ სპორტსმენს, ურთიერთობა მაქვს იქაურ ვეტერანებთან და მათგან ბევრი რამ მაქვს გაგებული. ლუკაშენკო, რომელიც ახლახან იყო საქართველოში, ხალხს ძალიან უყვარს.

თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონი სიურჟინი ამას წინათ მეუბნებოდა, ჩვენს პრეზიდენტს რამე რომ დაემართოს, რა გვეშველებაო! ბევრი რომ არ გავაგრძელო, ვნახოთ, **რამდენია პენსია ჩვენთან და რამდენი აქვთ ბელარუსში? შედარებაც არ შეიძლება! ჩვენთან კაცი 150-ლარიან პენსიას რომ აიღებს, იმას პენსია არ ჰქვია! 300-ლარიან ხელფასს რომ აიღებს, იმას ხელფასი არ ჰქვია! ბელარუსში ქარხნები არ გაჩერებულა, მოდერნიზაცია მოახდინეს და კონკურენტუნარიან პროდუქციას აწარმოებენ. უმუშევრობა არ აწუხებთ: ხალხი დასაქმებულია და იმაზე უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე საბჭოთა კავშირის დროს ცხოვრობდა.** ჩვენ იმ პერიოდს შევნატრით. ხალხზე ვამბობ, თორემ ზოგიერთი ბობოლა ჩვენთან მშობელ დედას გაყიდის, მუცელი გასკდომამდე რომ ჰქონდეს. როგორ შეიძლება, მთელი საქართველო ცუდად იყოს და ზოგ-ზოგები სიმსუქნისგან კანში ვერ ეტეოდნენ?!

მეგობრები, მეგობრებიო, — გავიძახით, მაგრამ ერთი კაცი მაჩვენეთ, ევროპიდან ან ამერიკიდან ჩამოსული, რომელიც ჩვენი მდგომარეობით შეწუხებულიყო და კონკრეტული სიკეთე გაეკეთებინა ჩვენთვის. ის კი არა, ევროკავშირის ელჩმა საქართველოში — იანოშ ჰერმანმა ახლახან გამოგვიცხადა, რომ ჩვენ, თურმე, ჯერ უფლებაც არ გვაქვს, ვიკითხოთ, როდის გახდება საქართველო ევროკავშირის წევრი.

შეიძლება, ვილაცამ აგენტად მომნათლოს, მაგრამ, ნეტავ, ბევრი ჰყავდეს საქართველოს ისეთი აგენტები, რომლებიც ჩემნაირად უერთგულებენ ჩვენს ქვეყანას.

რუსეთთან ურთიერთობაზე, მინდა, ვთქვა.

წლების განმავლობაში ვიყავი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი და ტენდენციურობის ნატამალი არ მიგრძვნია...

ცუდადაა გადაკიდებული დასავლეთი რუსეთზე! ყველაფერს აკეთებს, რომ დაინგრეს, მაგრამ ხომ ვხედავთ, რომ არ ინგრევა. მერკელმა, გერმანიის კანცლერმა, ამას წინათ თქვა, რომ გვინდა, რუსეთთან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობა გვქონდესო, 10 მაისს კი ჩავიდა მოსკოვში და პუტინს შეხვდა. გერმანიის ყოფილმა კანცლერმა შრედერმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატების ტონი რუსეთის მიმართ მცდარია და საშიში. ამ დროს საქართველოს ყოველგვარი კავშირი აქვს გაწყვეტილი რუსეთთან, სადაც საშოვარზე წასული ასიათასობით ჩვენი მოქალაქე მუშაობს.

ის ტელევიზიებიც კი, რომლებიც ძალიან ცდილობენ, რუსეთი შეგვაჯავრონ, აცხადებენ, რომ უცხოეთიდან შემოსული ფულის ნახევარზე მეტი რუსეთში მომუშავე ქართველების მიერ არის გამოგზავნილი. ამ დროს კი რა ხდება? რუსეთი ეკონომიკურად თუ დაეცემა, ჩვენ ტაშს ვუკრავთ!

მაინცდამაინც საქართველოში უნდა გაიხსნას კიდევ ერთი ბაზა? ვის წინააღმდეგ? ცხადია, რუსეთის წინააღმდეგ.

**— გახსნიან და ეგაა!**

— ჰოდა, **საქართველო რუსეთის წინააღმდეგ გაშლილი ფრონტის წინა ხაზად იქცევა: ჩრდილოეთიდან რუსულ რაკეტებს დაგვიმიზნებენ (ყირიმში ხომ განალაგეს უკვე „ბასტიონი“ და არც მალავენ), სამხრეთიდან — ირანულს. რამე რომ მოხდეს, საქართველო დარჩება საერთოდ? მიპასუხონ მათ, ვისაც „კარგი ცხოვრებით“ მუცელი თავზე ემხობა!**

რა აზრი მაქვს, იცით, მე როგორც ძველ მოჭიდავეს? თუ ერთმანეთთან ჭიდაობა უნდათ, ეგერ ალასკა და კამჩატკა იქ იჭიდაონ, ჩვენ თავი დაგვანებონ!

პირდაპირ გეტყვით, **არ მეგონა, თუ ამდენი მოღალატე ეყოლებოდა საქართველოს ხელისუფლებაში!**

**— ამიტომაც ხომ არ ცვლიან მინისტრებს** ▶

**სესიაშვილმა, რომელსაც ელემენტარული სამხედრო სავალდებულო სამსახურიც არ გაუვლია და რუსეთი, შესაძლოა, რუკაზეც ვერ მოძებნოს, ალბათ, არ იცის, რას ნიშნავს კრემლის შეშფოთება და ჩრდილოეთის დათვის გავეშება დასავლელი „ლიბერასტების“ შეშფოთებაში ეშლება.**

**რას მოგვივა დავითაო...**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენს მთავრობაში?** — ხალხი გამოფხიზლდა. აქ, თბილისში კი არა, მიყრუებული სოფელი რომ არის, იქაც ვერავის მოატყუებ.

შეცვლით კი შეცვალეს, მაგრამ, ჩემი აზრით, მაგალითად, თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა ხალხის მასხრად აგდებაა. პირდაპირ დაწერეთ: ეს ისეთივე მასხრად აგდებაა საქართველოს სახელმწიფოსი და მისი მოქალაქეების, როგორი მასხრად აგდებაც არის აქედან გაქცეული ყოფილი მაღალი თანამდებობის დამნაშავე მოხელეების უკრაინის ხელმძღვანელობაში დანიშვნა. ერთი და იგივეა!

საქართველოს არ აქვს სახელმწიფო უშიშროების სამსახური, თუ არ ჩავთვლით აშშ სპეცსამსახურებს. ახლა აღარც თავდაცვის მინისტრი გვეყოლება. ან, იქნებ, ვინმე მართლა დარწმუნებულია, რომ ხიდაშელის ქალი მომზადებულია, ნასწავლია, სამხედრო საქმეს ისეა დაუფლებული, რომ მინისტრობა გასწიოს?! როცა სწავლის დრო ჰქონდა, იურისპრუდენცია ისწავლა. ვუცადოთ ახლა, ვიდრე თავდაცვის ურთულეს ნიუანსებს საფუძვლიანად აითვისებს? 2008 წლის ომის დროს უსწავლელმა, მაღალი თანამდებობების სამოქალაქო პირებმა სამხედროების სარდლობა რომ დაიბრალეს, საქართველოს რა უბედურებაც დამართეს, ხომ ყველამ ვიცით!

ამიტომ ვამბობ, — ასეთი დანიშვნები ღალატსა ჰგავს!

ორ სიტყვას მრეწველობაზეც ვიტყვი.

მაღალი გადასახადები მწარმოებლებს რომ აწუხებთ, ისე არავის. წლების განმავლობაში მსხვილ საწარმოს ვხელმძღვანელობდი და ვიცი, რასაც ვლაპარაკობ. **გაზი ძვირია, დენი ძვირია, წყალი, რომელსაც მიაქვს საქართველო, ძვირია და ა.შ., ნებისმიერი ორგანიზაციისთვის ეს დახრჩობას ნიშნავს. მისი გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება ძვირდება. ეს კი უფრო აძვირებს ისედაც ცეცხლმოკიდებულ ბაზარს.**

ეკონომიკისთვის ხელის შეწყობაზე ხელისუფლებაში კი ლაპარაკობენ, მაგრამ კარგი ჩანაფიქრებისა და პროექტების იქით საქმე ვერ დაძრულა. ევროკავშირის წევრობა გვინდა და **ჩვენი ეკონომიკა ისეა ჩამორჩენილი ევროპული ბაზრის სტანდარტებს, რომ დაწევა-გათანაბრებაზე კი არა, მიახლოებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია! როდემდე უნდა დავიმშვიდოთ თავი, რომ ქართული ღვინის რაღაც ნაწილი საზღვარგარეთ გასაყიდად გავიტანეთ?**

მოდით, გავიხსენოთ: 1990-იანი წლების დასაწყისში „თელასი“ ამერიკელებს მივყიდეთ. სქოული ედგა სათავეში იმხანად ამ ორგანიზაციას. ჰოდა, ეს სქოული რუსეთიდან ყიდულობდა ელექტროენერგიას და საქართველოში ყიდდა, ე.ი. ამერიკელისთვის შეიძლება რუსეთთან ვაჭრობით ფულის მოგება, ქართველებს აკრძალული გვაქვს? რა ამბავს ატეხს ხოლმე „ნაცების“ ოპოზიცია, როცა აბაშიძე-კარასინის კომისია რაღაც სასიკეთო შეთანხმებას მიაღწევს, ჩვენთვის სასარგებლოს.

რუსეთთან ურთიერთობა ჩვენს ხალხს სჭირდება.

ამ დროს კი ვიღაც ახალგაზრდა „იმედის“ ტელევიზიით გამოდის და „გეორგიევსკის“ ლენტს ცეცხლს უკიდებს, ვაჟკაცობს. თუ ვაჟკაცობის გამოჩენა უნდა, წავიდეს დონბასში, ლუგანსკში!

არ მოგვწონს? **დავუძახოთ, ჩამოვიყვანოთ ჩვენი მოქალაქეები რუსეთიდან და აქ დავასაქმოთ! არ შეგვიძლია? მაშინ ვის და რატომ ვეჭიმებით?!**

ხომ მაქვს უფლება, ჩემი სიტყვა ვთქვა თავისუფალ პრესაში? აი, ვამბობ კიდეც, მაგრამ გვაქვს კი სიტყვის თავისუფლება?

**გამოვიდა ახლახან ტელევიზიით ბატონი გოგი თოფაძე და თქვა, რომ ნატოს წინააღმდეგია. თავს დაესხნენ წკავწკავა ძაღლებივით აი, ასე დაწერეთ! მეც ამ აზრისა ვარ. შეიძლება ვცდები, მაგრამ ამის გამო უნდა შემჭამონ?!**

ბუნდესტაგში ოპოზიციონერი ქალი გამოვიდა და განაცხადა: ჩვენი პირველი მტერი, რუსეთი კი არა, ამერიკააო.

ერთი რამეც, მინდა, დავამატო, უმადურის ლაპარაკი რომ არ გამომივიდეს.

ამას წინათ ტელევიზიით ერთ გარეწარზე უფრო გარეწარი გამოდის და ლანძღავს ბიძინა ივანიშვილს: კადრები ვერ უმართლებს, ვერ შეარჩია, კულისებიდან მართავს ქვეყანასო და ა.შ. არაფერს ამბობენ მის მიერ დათესილ სიკეთეებზე. მე ვიტყვი და მომისმინონ „ნაცების“ აგიტატორებმა. **საქველმოქმედო საქმიანობაში ბიძინა ივანიშვილს დახარჯული აქვს სამ მილიარდამდე ლარი. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილის დახარჯვის შემდეგ, დაახლოებით, 800 მილიონი, ავტომატურად შედის სახელმწიფო ბიუჯეტში და პენსიების და სხვადასხვა დახმარების თანხას ემატება.**

რა სიყვარული და როგორი პატივისცემა აქვს ამ ადამიანს თავისი ქვეყნისა და ხალხის, რომ ფეხი არ დაკრა და საქართველოდან არ წავიდა! ბევრი ჩვენგანი კი ვიღაცეების ჩაგონებით გაიძახის, მე რა გამიკეთაო.

ჩემი სათქმელი გითხარით: ვისაც ეჭვი ეპარება, დაჯდეს და დაითვალოს, თორემ საკუთარი უნიათობის გადაბრალება სხვაზე ვაჟკაცის საქმე არ არის.

**საუბარი ჩაიწერა
არმაზ სანებლიძემ**

**P.S. გასულ კვირაში 70-ე ცხრა მაისი აღინიშნა. ამ თემაზე ისაუბრა ბოლოს ბატონმა ზარბეგ ბერიაშვილმა:**

**— კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს ომში ქართველი კაცის იოსებ სტალინის უმაღლესი მთავარსარდლობით გავიმარჯვეთ. ერთი კაცი გვყავს ქართველებს მსოფლიოში სახელგანთქმული. ჩვენ კი მის სამშობლოში, მის მშობლიურ ქალაქში ძეგლი გავანადგურეთ და ნაძირალას ვეძახით.**

**ვინ ვართ, გამაგებინეთ, ქართველები?!**



# რისთვის შემოიტანეს ამერიკული სამხედრო ტექნიკა საქართველოში?!

## ვაშინგტონი რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირებას ცდილობს...

**5 მაისს ქართულ-ამერიკული ერთობლივი სწავლებისთვის განკუთვნილი სამხედრო ტექნიკა ბათუმის პორტში შემოხრიგინდა. 14 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა „ბრედლი“, ლოჯისტიკური უზრუნველყოფის მანქანები და სხვადასხვა სახის აღჭურვილობა პროგრამა „მაღალი დონის პარტნიორობის“ ფარგლებში შემოიტანეს. მეორე დღეს აღნიშნული ტექნიკა სპეციალური ეშელონებით ვაზიანში გადაიყვანეს და ხუთი დღის შემდეგს, 11 მაისს, სწავლება ოფიციალურად დაიწყო. მასში საქართველოს შეიარაღებული ძალების მხრიდან I ქვეითთა ბრიგადის მე-12 ბატალიონის „ალფა“ ასეული, მე-4 მექანიზირებული ბრიგადის 42-ე ბატალიონის I მექანიზირებული ასეული და სამხედრო პოლიციის ოცეული მონაწილეობს, ამერიკელების მხრიდან კი — ზემონახსენები ჯავშანტრანსპორტიორები „ბრედლი“ და მედესანტეების რამდენიმე ათეული.**

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის სწავლება საქართველოში პირველად ტარდება და ამ პროცესის მიმართ ინტერესი დიდია. როგორც თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრში განმარტავენ, იგი ქართული ასეულების ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებთან დაახლოებას ისახავს მიზნად და ბლოკის მომავალ ოპერაციებსა თუ წვრთნებში მონაწილეობისთვის მზადყოფნის ამაღლებას ემსახურება.

მარტივად რომ ვთქვათ, „სტრატეგიულმა მეგობარმა“ ამ ძნელბედობის ჟამს მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოგვიცხადა და ძალუმი ხელი გვაგრძნობინა. **ვაშინგტონმა ჩვენს „მტრებს“ თითი დაუქნია და უთხრა, რომ ჩვენი შემწუხებელი, მისი შემწუხებელია. ამით აღფრთოვანებული „ქოცხროვაც“ და „ნაცხროვაც“, ეს დღეებია, სიხარულით მეცხრე ცაზე დაფრინავენ.** რა განცხადებებს არ მოისმენს კაცი, — თურმე იმ ჟანგიანმა ამერიკულმა ტექნიკამ, რომელსაც, ალბათ, უკან არც წაიყვანენ, რადგან, დიდი ალბათობით, ჩამოწერილია და ჯართის გროვაა, რუსეთს მოსვენება დაააკარგვინა; თურმე ეს ისეთი დონის სამხედრო მოწყობილობებია, რომელთა დარიც რეგიონში არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს (თუ არ ჩავთვლით ისევ ნატოს წევრ თურქეთს).

ცხადია, ეს რიტორიკა იაფფასიანი დემაგოგიაა და სერიოზულად არავინ აღიქვამს, მაგრამ მთავარი აქ სხვა რამეა. **უბედურება არის ის, რომ ამ ბინძური პროპაგანდის უწყვეტ ნიაღვარს მართლა შეუძლია რუსულ-ქართული ურთიერთობების დათბობის შეფერხება, უარეს შემთხვევაში კი დაძაბვა და კიდევ უფრო ღრმა ჩიხში შეყვანა.** ამას, ალბათ, ხელისუფლებაში მყოფი ცხელი თავებიც ხვდებიან, მაგრამ მათი ყოველი განცხადების უკან მსუყე პოლიტიკური დივიდენდები დგას, ანუ მათ **იციან, რომ რაც მეტ ხოტბას შეასხამენ ამერიკელ „პარტნიორებს“ და დაუკრავენ ტაშს ამერიკელი სამხედროების საქართველოში შემოხრიგინებას, მით მეტ მხარდაჭერას მიიღებენ. ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, პოლიტიკური დღეგრძელობის საწინდარია.**

რაც შეეხება რუსეთის დამოკიდებულებას და მოსალოდნელ რეაქციას ქართულ-ამერიკული ერთობლივი წვრთნების ჩატარებაზე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანა და, შესაბამისად, რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენის ისტორიული სივრცე, მოსკოვისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, კრემლის მესვეურმა თავი შეიკავა და მკვეთრი განცხადებები არ გააკეთა. ამას, შესაძლოა, ორი მიზეზი ჰქონდეს: პირველი — ამ წვრთნებს რუსები საფრთხედ არ აღიქვამენ და მეორე — მიზეზთა გამო სიტუაციის გამწვავება საჭიროდ არ ჩათვალეს. ნებისმიერ შემთხვევაში მისასალმებელია ის, რომ მეზობელი სახელმწიფო, რაღაც ჟანგიანი ტექნიკის გამო, ურთიერთობას არ გიძაბავს, მაგრამ ჩვენმა „ბედოვლათმა“ ხელისუფლებამ ეს სულ სხვაგვარად გაიგო — ზოგიერთმა „ქოცნებისტმა“ ჩათვალა, რომ კრემლი სათანადო პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენს და მისი მხრიდან გამოთქმულ შეშფოთებას ეფექტი მაინც არ ექნებოდა. მაგალითად, **პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, გვაქვს მოლოდინი, რომ კრემლის მხრიდან ე.წ. შეშფოთება გამოიხატება, მაგრამ ამას მხოლოდ სტანდარტული ფორმა ექნებაო,** ანუ ეს ნიშნავს: **„ქოცი“, ფაქტობრივად, გვეუბნება, — კი, შეიძლება რუსეთი გაგიჟდეს, გაცოფდეს და შფოთისგან ყველაფერი დაიბრდღვნას, მაგრამ ფეხებს ვერ მოგვჭამს, რადგამ ძია სემი ჩვენთან არისო...** კომენტარი აქ, ალბათ, ზედმეტია იმიტომ, რომ მსგავსი რიტორიკა ბაგა-ბაღის დონეა, მაგრამ მთავარი ეს არ არის, **სესიაშვილმა, რომელსაც ელემენტარული სამხედრო სავალდებულო სამსახურიც არ აქვს გავლილი და რუსეთი, შესაძლოა, რუკაზეც ვერ მოძებნოს, ალბათ, არ იცის, რას ნიშნავს კრემლის შეშფოთება და ჩრდილოეთის დათვის გავეშება დასავლელი „ლიბერასტების“ შეშფოთებაში ეშლება.** სწორედ ამიტომ ამბობს ის ასე თავდაჯერებულად, კრემლის შეშფოთებას მხოლოდ სტანდარტული ფორმა ექნებაო. ზუსტად ასე ეგონა თავის დროზე „ვარდოსნების გურუსაც“, როცა მძინარე ცხინვალს დასცხო და, თავის ჭკუით, ბლიცკრიგი მოუწყო სამაჩაბლოს.

იმის თქმა მინდა, რომ **ღმერთმა ნუ ქნას, კრემლმა ჩვენგან საფრთხე დაინახოს და საომარი მოქმედებების დაწყება აუცილებლად ჩათვალოს, თორემ რუსულ სამხედრო მანქანას ჟანგიანი ამერიკული ჯავშანტრანსპორტიორები ნამდვილად ვერ შეაჩერებს; სესიაშვილი კი, ალბათ, თავის ჩრდილს გამოასწრებს პარლამენტიდან და სააკაშვილის მიერ 2008 წლის აგვისტოში გორში დამყარებულ ხოხვის რეკორდს მოხსნის.** „სტრატეგიული პარტნიორების“ მხარდაჭერას რაც შეეხება, წყალი და პამპერსი თავზე საყრელად რომ გვექნება, ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ ომს ხომ ამით ვერ იგებენ. **შეშფოთებაზე თუა, რუსულისგან განსხვავებით, ევროატლანტიკური შეშფოთება პოლიტიკურ იმპოტენციას ნიშნავს და რა გამოდის: ამ იმპოტენტების წაქეზებით უნდა შევასკდეთ ჩრდილოელ მეზობელს?!** როგორც ჩანს, ვიღაცას სურს, ისტორია განმეორდეს და, ალბათ, ასე გაგრძელდება უსასრულოდ, ვიდრე ქვეყნის სათავეში საღი ძალა არ მოვა. მართალია, ის ძალა მყისვე დაკარგავს ვაშინგტონის „მხარდაჭერას“ და შესაბამისად, პოლიტიკურ დივიდენდებსაც, სამაგიეროდ, ექნება შანსი, სახელმწიფო ეროვნული ინტერესებით მართოს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ძალა დასავლელი ემისრების ნაჩურჩულევზე არ იქნება დამოკიდებული და თვალში ნაცარს არ შეგვაყრის, — ევროატლანტიკური სივრცე ჩვენი ისტორიული არჩევანიაო. თუმცა ეს ჯერ მხოლოდ ოცნებაა და მსგავსი ძალა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში რეალურად არ არსებობს, მსგავს ძალებს დღეს ჩანასახშივე სპობენ და ამარგინალებენ, რადგან მედასავლეთე პოლიტიკანებს ასპარეზი მთლიანდ აქვთ დაპყრობილი...

**ჯაბა ჟვანია**

ჩა საჩგებლობა მოაქვს გაეჩოს

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ უახლეს პერიოდში გაეროს მოქმედებაში რეალური პოლიტიკური ცვლილებები არ მოხდება, გამორიცხული არ არის, მან წინამორბედ ერთა ლიგის ბედი გაიზიაროს, რომელიც უუნარო აღმოჩნდა, — საერთაშორისო იურიდიული ნორმების დაცვით თავიდან აეცილებინა კონფლიქტები და მოეგვარებინა კაცობრიობის წინაშე მდგარი გამოწვევები, რომელთა გამოც მხოლოდ 27 წელი იარსება და 1946 წელს გაუქმდა.**

# გაეროს სამშვიდობო მისია — დამცველები თუ გამაუპატიურებლები?



**სკანდალი გაეროს სამშვიდობო მისიის წევრების მიერ ცენტრალურ აფრიკაში ბავშვების გაუპატიურების გარშემო, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა დიდი მონდომების მიუხედავად, უკვე ველარ მიჩუმათდება. მსოფლიოს საზოგადოებრიობამ კი, ბოლოს და ბოლოს, უნდა გაიხსენოს ჭეშმარიტი როლი საერთაშორისო ორგანიზაციისა, რომელიც მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულმა ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნებმა დააარსეს 1945 წლის 24 ოქტომბერს (ამ დღეს შევიდა ძალაში გაეროს წესდება).**

ბოლო დღეებში გამოქვეყნებული სტატიების მიხედვით, რომლებიც საზოგადოებრიობას წარუდგინეს ისეთმა გამოცემებმა, როგორებიცაა Bruxelles 2, France info, Guardian-ი და სხვ., ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში გაეროს სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილე რამდენიმე ფრანგი ჯარისკაცი ბავშვებზე სექსუალური ძალადობის აქტებში მონაწილეობდა.

ცენტრალური აფრიკის ხელისუფლებასა და ამბოხებულთა (ძირითადად, მუსლიმანები) შორის კონფლიქტის გამო (ამ ქვეყანაში სამოქალაქო ომი 2004-2007 წლებშიც მძვინვარებდა), 2013 წლის 26 ნოემბერს საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა **ჟან-ივ ლე დრიანმა** განაცხადა, რომ განზრახული აქვს, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 1000 ფრანგი ჯარისკაცი გაგზავნოს გაეროს სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისთვის. 2013 წლის 9 დეკემბერს ამ ოპერაციას შეუერთდა ამერიკის შეერთებული შტატებიც. **2014 წლის 22 თებერვალს კი საქართველოს პარლამენტიც დაეთანხმა ამ მისიაში ქვეყნის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა მონაწილეობას და ცენტრალურ აფრიკაში 140 ქართველი სამხედრო მოსამსახურის გაგზავნას.**

როგორც ზემოხსენებული მედიასაშუალებები იუწყებიან, ფრანგმა სამხედრო მოსამსახურეებმა სამხედრო კონფლიქტის ზონაში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის აეროპორტ მ'პოკოში 8-დან 15 წლამდე რამდენიმე მოზარდი გააუპატიურეს.

**აქ აღსანიშნავია ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის დეზინფორმაცია. მან აფრიკელი მოზარდების გაუპატიურებაში ბრალი ქართველ ჯარისკაცებსაც დასდო, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ბავშვებზე ძალადობის ფაქტები ამ ქვეყანაში ჩვენი სამხედროების ჩასვლამდე მოხდა, ანუ 2014 წლის ივნისამდე; ქართველმა ჯარისკაცებმა კი გაეროს მისიის შესრულება ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 2014 წლის ივნისის შუა რიცხვებში დაიწყეს. სამწუხაროდ, ამ ბინძური დეზინფორმაციის გავრცელების გამო ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ისთვის პასუხი არავის მოუთხოვია.**

2013 წლის დეკემბერსა და 2014 წლის ივნისამდე პერიოდში აეროპორტ მ'პოკოსთან მდებარე ლტოლვილთა ბანაკში მომხდარი სექსუალური ძალადობის ცალკეული ინციდენტი მოხსენიებული იყო გაეროსთვის გაგზავნილ სპეციალურ, დახურულ მოხსენებაში **(„Sexual Abuse on Children by Intemational Armed Forces")**. ამ დოკუმენტში მოყვანილია ჩვენებები მოზარდებისა (მათგან რამდენიმე ობოლი ბიჭის), რომლებსაც ფრანგი სამხედროები წყლისა და საკვების სანაცვლოდ სქესობრივ კავშირის დამყარებას აიძულებდნენ.

2014 წლის ზაფხულში ეს ჩვენებები ჟენევაში გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარიატის მაღალჩინოსნებს გადასცეს, მაგრამ გაეროს ხელმძღვანელობას არც გამოიძიება დაუწყია და არც მნიშვნელოვანი ზომები გაუტარებია.

ცოტა ხნის წინათ კი გაეროს ჟენევის განყოფილების თანამშრომელმა **ანდერს კომპასმა** თავისი ინიციატივით გადასცა ეს დოკუმენტები საფრანგეთის ხელისუფლებას, რათა დაწყებულიყო გამოვლენილი ინციდენტების გამოძიება და გაეროს საერთაშორისო მისიაში მონაწილე ჯარისკაცები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს, მკაცრად დასჯილიყვნენ.

**მიუხედავად ამისა, გაეროს ხელმძღვანელობა, რომელსაც არ სურს „ჭუჭყიანი თეთრეულის გამომზეურება", სხვა გზით წავიდა და განზრახული აქვს, ანდერს კომპასი სამსახურიდან დაითხოვოს „სამსახურებრივი ინფორმაციის არასანქცირებული გამჟღავნებისთვის".**

**აღსანიშნავია, რომ წარსულში გაერო უკვე მოხვდა პედოფილიის ინციდენტების მიჩქმალვასთან დაკავშირებულ სკანდალებში, რომლებშიც მონაწილეობდნენ გაეროს საერთაშორისო მისიების წარმომადგენლები კონგოს რესპუბლიკაში, კოსოვოსა და ბოსნიაში, აგრეთვე, ჰაიტიზე, ბურუნდისა და ლიბერიაში.**

ცოტა ხნის წინათ გაეროს ბრალდება წაუყენა ყოფილმა ამერიკელმა დიპლომატმა **ჯეიმს ვასერშტრომმა**, რომელიც ამ ორგანიზაციიდან იმის გამო დაითხოვეს, რომ კოსოვოში გაეროს მისიის მაღალი თანამდებობის პირებს შორის კორუფციაზე ალაპარაკდა.

**ვასერშტრომმა განაცხადა, რომ, ანდერს კომპასის დათხოვნის ნაცვლად, რომელმაც ცენტრალურ აფრიკის რესპუბლიკის მისიის გაეროს სამშვიდობო ძალებში სკანდალური ინფორმაცია გაასაჯაროა, ამ საერთაშორისო ორგანიზაციას ასეთი ფაქტების განმეორების წინააღმდეგ პრევენციული ზომები უნდა მიეღო და დამნაშავეები დროულად და მკაცრად დაესაჯა.**

გამოძიების გულდასმით ჩატარება და გაეროს თანამშრომლების მხრიდან მსგავსი ინციდენტების აღსაკვეთად მკაცრი ზომების გატარება მოითხოვა შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა **ანდერს რონკვისტმაც**, რომელმაც ანდერს კომპასს დაუჭირა მხარი.

რა თქმა უნდა, გაეროს თანამშრომელთა მიერ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ჩადენილი დანაშაულები ხელს არ უწყობს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ავტორიტეტის განმტკიცებას, ამიტომაც არის საჭირო ზემოაღნიშნული ინციდენტების გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა.

საგულისხმოა, რომ **ავტორიტეტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოში მშვიდო-** ▶



**გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელიც უკვე სრულიად ემორჩილება აშშ-ის ნებას, ბოლო წლებში სანქციები გასცა სხვადასხვა რეგიონში ინტერვენციაზე, რომლითაც დააკმაყოფილა დასავლეთის სამხედრო-სამრეწველო წრეების მოთხოვნები. ამ პოლიტიკის შედეგად კი ასიათასობით ადამიანი დაიღუპა, კიდევ მეტი დაიჭრა და უსახლკაროდ დარჩა ავღანეთში, ერაყში, ლიბიაში, სირიასა და ახლო აღმოსავლეთისა და ამერიკის ქვეყნებში, აგრეთვე, ყოფილ იუგოსლავიაში.**
**ეს პოლიტიკა ამჟამადაც გრძელდება, საერთაშორისო იურიდიული ნორმები დღესაც ირღვევა და ეს ხდება გაეროს ჩუმი თანხმობით**

## ცნობისათვის:

გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) — საერთაშორისო ორგანიზაცია შეიქმნა მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების განსამტკიცებლად და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გასავითარებლად. მისი მოღვაწეობის საფუძვლები და სტრუქტურა შემუშავდა მეორე მსოფლიო ომის წლებში ანტიჰიტლერული კოალიციის წამყვანი წევრი ქვეყნების მიერ. სახელმწოდება „გაერთიანებული ერები" პირველად გამოიყენეს გაერთიანებული ერების დეკლარაციაში, რომელსაც ხელი მოეწერა 1942 წლის 1 იანვარს.

გაეროს წესდება დამტკიცდა სან ფრანცისკოს კონფერენციაზე 1945 წლის 26 ივნისს 50 სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ, ძალაში კი იმავე წლის 24 ოქტომბერს შევიდა.

გაეროს ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი, რომელიც 5 წლით ირჩევა. ამჟამად ამ ორგანიზაციის გენერალური მდივანია სამხრეთ კორეელი პან გი მუნი (2007 წლის 1 იანვრიდან).

წარმომადგენლობითი ორგანოა გენერალური ასამბლეა, რომელსაც აქვს 6 კომიტეტი.

უშიშროების საბჭო, რომელშიც 5 მუდმივი (დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, აშშ, საფრანგეთი, ჩინეთი) და 10 „არამუდმივი" წევრია, პასუხისმგებელია მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებასა და უსაფრთხოებაზე.



გარდა ამისა, გაეროს ეგიდით მოქმედებს საერთაშორისო სასამართლო, რომლის რეზიდენციაც არის ჰააგაში (ჰოლანდია).

**საქართველომ ქვეყანაში მოკვდავობით სარეკორდო დონის გამო „მადლობა უნდა გადაუხადოს“ სწორედ ვაშინგტონს – ქვეყნის მოსახლეობა ხომ 2002-2014 წლებში 4,3 მლნ-დან 3,7 მლნ-მდე შემცირდა, რაც საქართველოს მოსახლეობის 14%-ზე მეტია.**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## «რუსთავი 2»- მა აფრიკელი მოზარდების გაუპატიურებაში ბრალი ქართველ ჯარისკაცებსაც დასდო, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ბავშვებზე ძალადობის ფაქტები ამ ქვეყანაში ჩვენი სამხედროების ჩასვლამდე მოხდა, ანუ 2014 წლის ივნისამდე, ქართველმა ჯარისკაცებმა კი გაეროს მისიის შესრულება ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 2014 წლის ივნისის შუა რიცხვებში დაიწყეს. სამწუხაროდ, ამ ბინძური დეზინფორმაციის გავრცელების გამო ტელეკომპანია «რუსთავი 2»-ისთვის პასუხი არავის მოუთხოვია

◀ **ბის დასაცავად შეიქმნა, სულაც არ იზრდება, პირიქით ამ ორგანიზაციის ზოგიერთი წევრის მიერ თავისი სტრატეგიული ამოცანების გადასაჭრელად, შეიარაღებული კოალიციის შეკოწინწებისა და ამა თუ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების შედეგად განუხრელად ეცემა.**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელიც უკვე სრულიად ემორჩილება აშშ-ის ნებას, ბოლო წლებში სანქციები გასცა სხვადასხვა რეგიონში ინტერვენციაზე, რითაც დააკმაყოფილა დასავლეთის სამხედრო-სამრეწველო წრეების მოთხოვნები. ამ პოლიტიკის შედეგად კი ასიათასობით ადამიანი დაიღუპა, კიდევ მეტი დაიჭრა და უსახლკაროდ დარჩა ავღანეთში, ერაყში, ლიბიაში, სირიასა და ახლო აღმოსავლეთისა და ამერიკის ქვეყნებში, აგრეთვე, ყოფილ იუგოსლავიაში. ეს პოლიტიკა ამჟამადაც გრძელდება, საერთაშორისო იურიდიული ნორმები დღესაც ირღვევა და ეს ხდება გაეროს ჩუმი თანხმობით.

თუ უახლეს პერიოდში გაეროს მოქმედებაში რეალური პოლიტიკური ცვლილებები არ მოხდება, გამორიცხული არ არის, რომ მან წინამორბედ ერთა ლიგის ბედი გაიზიაროს, რომელიც უუნარო აღმოჩნდა, — საერთაშორისო იურიდიული ნორმების დაცვით თავიდან აეცილებინა კონფლიქტები და მოეგვარებინა კაცობრიობის წინაშე მდგარი გამოწვევები, რომელთა გამოც მხოლოდ 27 წელი იარსება და 1946 წელს გაუქმდა.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**




# ამერიკელები ქართველებს საცდელ ვირთხებად იყენებენ

**ექსპერტი ჰენრი კამენსი წერს, რომ ბევრი საექსპერიმენტო წამალი საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს და ამიტომ მათ ჯერ ვირთხებზე ცდიან, მაგრამ ამჟამად ამერიკელმა ფარმაცევტულმა ფირმებმა ექსპერიმენტების ჩატარება ადამიანებზე დაიწყეს. მათი ცდების პოლიგონი კი, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოა — მისი მოსახლეობა. გთავაზობთ ჰენრი კამენსის სტატიას „ვაშინგტონმა გადაწყვიტა, ქართველები სახიფათო ცდების ჩასატარებლად გამოიყენოს“, რომელიც ინტერნეტგამოცემა New Eastern Outlook-მა გამოაქვეყნა.**

ცოტა ხნის წინათ წამლების ამერიკულმა მწარმოებლებმა მოიპოვეს უფლება და შესაძლებლობა, ადამიანები საცდელ ვირთხებად გამოიყენონ და ახალი წამლების მოქმედება მათზე გამოსცადონ. ამ მხრივ საქართველო ფართო საცდელი ველია ფარმაცევტული კომპანიებისთვის, რადგან მსოფლიოს არც ერთი სხვა სახელმწიფო ასე უპატივცემულოდ არ ეპყრობა საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. **მას შემდეგ, რაც ვაშინგტონის წარმომადგენლები მიხვდნენ, რომ საქართველოში შეუძლიათ, ისე შექმნან ბიოლოგიური იარაღის ახალი სახეობები, რომ მთავრობისგან არ შეხვდებათ წინააღმდეგობა და არც მშვიდობიანი მოსახლეობა გააპროტესტებს, ისეთი „წვრილმანები“, როგორიცაა თანხმობის მიუღებლად ადამიანებზე საექსპერიმენტო წამლების გამოცდა, „ბავშვურ ცელქობად“ შეიძლება ჩაეთვალოთ.**

მაგალითად, ახლო წარსულში, საქართველოში წითელას ეპიდემიის დაწყების შემდეგ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ამ ქვეყანაში 75 ათასი საექსპერიმენტო საშუალება შეიტანა, რომლებიც შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობაზე გამოსცადეს ადამიანებისგან თანხმობის მიუღებლად. ახლა კი **კომპანია GILEAD-ი საქართველოში C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ახალი პრეპარატის გამოსაცდელად ემზადება მოსახლეობის 7%-ზე — სწორედ ამდენი ადამიანია დაავადებული C ჰეპატიტით საქართველოში.**




## საქართველოს მოსახლეობა 2002-2014 წლებში 15 პროცენტით შემცირდა




ის, რომ საქართველოში ჰეპატიტით დაავადების მაღალი დონეა მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, არ იძლევა საბაბს, ამ ქვეყნის მოსახლეობა საცდელ ვირთხებად გადააქციონ. ბევრ ქვეყანაში ჰეპატიტით დაავადების შემთხვევების მატების პრობლემა მოსახლეობის გათვითცნობიერების, მედიცინის მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამედიცინო ინსტრუმენტების კონტროლის დანერგვით გადაჭრეს. საინტერესოა, რატომ არ სურთ ამერიკელ „მეგობრებს“, ამ მიმართულებით დაეხმარონ საქართველოს, იმის ნაცვლად, რომ ისედაც დაავადებული ქართველების სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდონ.

**საქართველომ კი ქვეყანაში მოკვდავობის სარეკორდო დონის გამო „მადლობა უნდა გადაუხადოს“ სწორედ ვაშინგტონს ქვეყნის მოსახლეობა ხომ 2002-2014 წლებში 4,3 მლნ-დან 3,7 მლნ-მდე შემცირდა, რაც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 15%-ია.**

**ჰენრი კამენსი**
**New Eastern Qutlook**

## კომპანია Gilead-ი საქართველოში C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ახალი პრეპარატის გამოსაცდელად ემზადება მოსახლეობის 7%-ზე — სწორედ ამდენი ადამიანია დაავადებული C ჰეპატიტით საქართველოში

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„ბერიას წახალისებით, სვანეთის მოსახლეობა აღდგა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. მოხუცები, ქალები და ბავშვები ხარებით, ცხენებითა და სახედრებით ჭიუხებში საბრძოლო მასალასა და სურსათს აწვდიდნენ გმირ სვან მებრძოლებს. სვანეთში გუგუნებდა სიმღერა ბერიაზე ,,დარიალს კარი შეაბი, კავკასიონი შეჰკარი“.

# სტალინი და კავკასიის დაცვა

**მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ჰიტლერის უშუალო ბრძანებით კავკასიონის უმაღლესი მწვერვალის – იალბუზის დაპყრობა და ქედის გადალახვა 49-ე მსროლელ კორპუსს დაევალა გენერალ კონრადის მეთაურობით. საბრძოლო დავალება ასეთი იყო: პირველი — დარტყმა უნდა განხორციელებულიყო საქართველოს სამხედრო გზით თბილისზე; მეორე — ოსეთის სამხედრო გზით ქუთაისზე; ხოლო მესამე დარტყმა ითვალისწინებდა კავკასიონის დასავლეთი უღელტეხილის გადალახვას და სოხუმზე გასვლას. ამ ოპერაციის კოდური სახელწოდება იყო „ედელვაისი“.**

პირველხარისხოვანი შეიარაღებისა და უდიდესი გამოცდილების მქონე 97- და მე-4 სამთო დივიზიები კავკასიონს მოადგნენ. პირველს გენერალ-ლეიტენანტი **ჰუბერტ ლანცი** მეთაურობდა, მეორეს კი, რომელიც ტიროლელებისაგან შედგებოდა, — გენერალ-მაიორი **ეგელზეერი.**

გენერალი კონრადი ფიქრობდა, რომ ამ საბრძოლო დავალებას ადვილად შეასრულებდა და თან წამოიყვანა ჰიტლერის მიერ ამიერკავკასიის გაერთიანებული რაიხკომისარიატის მბრძანებლად დანიშნული პირი, რომელიც ემზადებოდა თბილისში შესასვლელად. ჰიტლერელები კავკასიონამდე კი მოვიდნენ, მაგრამ უღელტეხილზე ამოსვლა ძალზე გაუჭირდათ. ნერვებდაწყვეტილმა „კავკასიის მბრძანებელმა“ დეპეშა გაუგზავნა ჰიტლერს: „ჩვენი ჯარები 4-5 დღეში კავკასიის აღების ნაცვლად ერთ ადგილს ტკეპნიან, ეშმაკმა იცის, რას აკეთებენ. თქვენს ბრძანებას არ ასრულებენ და დროს ტყუილუბრალოდ ვკარგავთ“. ჰიტლერი ცოფებს ყრიდა, დირექტივას დირექტივაზე იძლეოდა და პროპაგანდისტული მანქანით ათასნაირი ბოდვით აყრუებდა მსოფლიოს: „კავკასიონის უმაღლეს მწვერვალ იალბუზს ფეხი დავადგით“.

კრემლში კი კავკასიის შვილი სწორედ კავკასიონის რუკას დაჰყურებდა და მისი გადარჩენის სტრატეგიას ამუშავებდა. მაგიდასთან სულ ხუთი კაცი იჯდა; ხუთი კაცი, რომლებზეც იყო დამოკიდებული არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ კაცობრიობის ბედი — **სტალინი, მოლოტოვი, ბერია, ვოროშილოვი, მალენკოვი.**

— მდგომარეობა კავკასიაში, — წარმოთქვა სტალინმა, — სერიოზულია, თითქმის კატასტროფული. დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგად ფრონტის ხელმძღვანელობამ და ქვედანაყოფებმა საშუალება მისცეს ჰიტლერელებს, დაეკავებინათ ცენტრალური კავკასიონის გარკვეული ნაწილი, რითაც საშუალება მიეცა ჰიტლერს, მთელი მსოფლიო გააყრუოს კავკასიონის დაძლევაზე ტრაბახით. ეს შორს მიმავალი პოლიტიკა და იდიოლოგიაა, მათ სურთ, დაარწმუნონ თურქეთი, რომ კავკასია დაპყრობილია, ჩვენს საზღვრებთან მომდგარი მილიონიანი თურქული არმია საქართველოში შემოიჭრას და დაიკავოს ამიერკავკასია. შევინარჩუნებთ თუ არა კავკასიონს, ამას ომის მიმდინარეობა დაგვანახვებს. კავკასიონის უღელტეხილების დაცვას უშუალოდ თქვენ უხელმძღვანელებთ, ამხანაგო ლავრენტი. შეკრიბეთ ოცკაციანი ჯგუფი, რომელიც წამოგყვებათ. ჯგუფის თითოეული წევრი მე შემახვედრეთ. გისურვებთ წარმატებებს!“

1942 წლის 17 აგვისტო იყო, როდესაც **ვარლამ ქაქუჩაია,** შინაგან საქმეთა კომისარიატის №4 სპეციალური სამმართველოს უფროს პავლე სუდოპლატოვის მოადგილე, მოსკოვის ახლოს ერთ-ერთ საკომანდო პუნქტში იპოვეს და მაღალი სიხშირის ტელეფონით კომისარიატის ადმინისტრაციის უფროს მამულოვს დააკავშირეს. — სასწრაფოდ გამოცხადდით სამუშაო ადგილზე, — მიიღო ბრძანება. ქაქუჩაია სასწრაფოდ მოსკოვისაკენ გაეშურა.

— ღამის 12 საათი იყო, როდესაც ბერიას კაბინეტში შევედი,— ყვება ვარლამ ქაქუჩაია, — ამათვალიერ-ჩამათვალიერა, ნორმალურად თუ ვიყავი ჩაცმული და მითხრა: „სასწრაფოდ კრემლში — სტალინთან“. რამდენიმე წუთში სტალინის კაბინეტის კარი პირველად შევაღე და იქვე გავჩერდი. სტალინი გამომეგება და ხელით მანიშნა: — „პოდოიდიტე ბლიჟე“. შემდეგ მკითხა: „სად იყავით დღეს, რას აკეთებდით, რა ნახეთ?“. დაწვრილებით მოვუყევი იმ ნაწილების საფრონტო განწყობის შესახებ, რაც ჩემი თვალით ვნახე.

— თუ იცით, რატომ გამოგიძახეთ? — მკითხა სტალინმა.

— არა, — ვუპასუხე მე.

**— კავკასიონზე მდგომარეობა კატასტროფულია, კავკასიონის დაკარგვა მოსკოვის აღების ტოლფასია. შეგიძლია თუ არა, დაიცვა კავკასიონი და შენი ქვეყანა? სვანეთის უღელტეხილებისა და, კერძოდ, ბეჩოს გადასასვლელის დაცვა თქვენი უპირველესი დავალებაა.**

მივხვდი, რომ სტალინი ჯგუფის ყველა მონაწილეს შეხვდა და შესაბამისი დავალებაც მისცა.

— მზად ვარ, მოვკვდე სამშობლოსათვის, დავიცვა მისი ღირსება და დამოუკიდებლობა.

— უნდა მოკვდნენ გერმანელები და არა თქვენ, — ღიმილით შემისწორა და განაგრძო, — ხვალ, დილის 5 საათზე, ჩემი თვითმფრინავითა და მფრინავით გაფრინდებით თბილისში, თქვენი ხელმძღვანელი იქნება ბერია. შემდეგ ხელი ჩამომართვა და გამომემშვიდობა.

აეროპორტში წასვლამდე კომისარიატის კანცელარიის



**სტალინი: «ჩვენ არ გვაქვს უსაზღვრო რესურსი ჯარისა და ხალხის გამოკვებისა, ჩვენ არ გვაქვს ტერიტორია, რომელსაც საზღვარი არ აქვს, ჩვენი ჯარები პოზიციურად იხევდნენ უკან, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი, ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი მიწა, ჩვენი ხალხი — «არც ერთი ნაბიჯი უკან!»**



უფროს **სტეფანე მამულოვთან** შევიარე, სწორედ მისგან შევიტყვე, რომ ლავრენტი ბერიას კავკასიის ფრონტზე მოჰყავდა თავისი შვილი სერგო“.

ხუთ საათზე სტალინის თვითმფრინავმა 18 კაცის შემადგენლობით კურსი თბილისისაკენ აიღო, მათ შორის იყო ლავრენტი ბერია შვილთან, სერგოსთან, ერთად. თვითმფრინავში, გარდა გენერალ-ლეიტენატ ბოდინისა, რომელიც კავკასიის ფლოტის შტაბის უფროსად იყო დანიშნული, ყველა ქართველი იყო.

საღამოს 11 საათზე თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვა. ტრაპთან სამხედრო სალმით გაჭიმული იდგა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი **ტიულენევი**, იქვე იყვნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნები: **ჩარკვიანი, ბაგიროვი, არუთინოვი.**

მოკლე მისალმების შემდეგ, შენიშნა რა დამხვდურთა დაღვრემილი სახეები, ბერიამ მკაცრად მიმართა მათ: „რა მოხდა? რა სახეები ჩამოგტირით. თქვენი გარეგნობითა და საქციელით ხალხს პანიკაში ჩააგდებთ. ჩვენამდე მოვიდა ხმა, რომ ქალაქი იცლება, არ არის წყალი, არ დადის ტრამვაი, ნუთუ ტრამვაიც ომში წავიდა?

ბერია განსაკუთრებულად მკაცრი იყო ტიულენევის მიმართ: „ეს როგორ, ამხანაგო ტიულენევ, როგორ დაუშვით, რომ გერმანელებმა გადმოლახეს ბილიკები და დაეუფლენ კავკასიონს! სად იყო შეიარაღებული ძალები, რას აკეთებდით თქვენ?“

ბერიამ გასცა განკარგულება, სასწრაფოდ შეკრებილიყვნენ ამიერკავკასიის ფრონტის შტაბში.

შტაბში გამართულ თათბირზე, რომელიც უშუალოდ ბერიას მიჰყავდა, განისაზღვრა კავკასიონის დაცვის ძირითადი მიმართულებები. პირველი, ვისაც საბრძოლო დავალება მიეცა, იყო ბერიას მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი **სეროვი**, რომელიც ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა კომისარიატის სპეციალურ შენაერთებს. მას დაევალა სოხუმის მიმართულებით გამგზავრება და ქლუხორის უღელტეხილზე საომარი მოქმედებების წარმოება.

მეორე დავალება ვლადიმერ ქაქუჩაიამ მიიღო. მას სახელმძღვანელოდ, სხვა შენაერთებითან ერთად, გადაეცა თბილისის წითელდროშოვანი პოლკი. ეს შენაერთები უნდა გამგზავრებულიყვნენ ზემო სვანეთში — ბეჩოში.

თათბირი გამთენიისას დასრულდა და ფრონტზე წამსვლელი მეთაურებიც თავიანთი ვაგონებისაკენ გაემართნენ (თორმეტი საათიდან დილის ხუთ საათამდე ახალგაზრდა სერგო ბერია შტაბის დერეფნებში დასეირნობდა, რათა ხალხს დაენახა, თბილისში რომ იმყოფებოდა).

გერმანელებისთვის მოულოდნელად კავკასიონზე სულ სხვა დილა თენდებოდა. ქართველ მებრძოლთა ბრძოლის ყიჟინა აყრუებდა ჭიუხებს, მათ უკვე შეიტყვეს მაშველი ძალისა და კავკასიის დასაცავად მეორე სტალინის — ბერიას ჩამოსვლის ამბავი.

სამი დღის განმავლობაში ლავრენტი ბერია დაკარგული იყო მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც. მეოთხე დღეს კი ქაქუჩაიამ ბეჩოში მეკავშირის ხელით ბარათი მიიღო. „ვარ ზუგდიდში, ადგილმონაცვლედ დატოვეთ პოლკოვნიკი, თქვენ კი სასწრაფოდ ჩამოდით“, — ატყობინებდა ბერია. ქაქუჩაიას ბერია ზუგდიდში არ დახვდა, მაგრამ შეხვდა კაცი, რომელმაც უთხრა, რომ ბერია სასწრაფოდ თბილისში წავიდა და დაიბარა ქაქუჩაიაც დაუყონებლივ გამოემგზავროს თბილისშიო.

— სამი დღით დაკარგული **ბერია, — ყვებოდა დივიზიის მეთაური გიორგი ყურაშვილი, — სვანი მონადირეებისა და ალპინისტების თანხლებით, მონადირის ტანსაცმელში გამოწყობილი, თითქმის ყველა ნაწილში მივიდა და ყველა ბატალიონი დაათვალიერა. დაწვრილებით შეისწავლა ფრონტის ყველა უბნის საბრძოლო მზადყოფნა და მომარაგება, როგორც საბრძლო მასალებით, ასევე სურსათით. ყველა წვრილმანის ცოდნა და მებრძოლთა სულიერი განწყობის ცოდნა ბერიას აძლევდა საშუალებას, დაესაბუთებინა თავისი დავალების სისწორე.**

საბჭოს სხდომის დაწყებამდე ბეჩოდან ჩამოყვანილი სამხედრო საბჭოს რწმუნებული ვარლამ ქაქუჩაია ბერიას მოადგილე ქობულოვმა შეიყვანა თავის სამუშაო ოთახში და გამოჰკითხა ბეჩოს ამბები. რწმუნებულის მოხსენება, რომ კავკასიონს, ძირითადად, სვანები იცავდნენ და მათი შეიარაღება უპირველესი პირობაა გერმანელთა დამარცხებისა, ქობულოვმა ლამის სამშობლოს ღალატად მიიჩნია: „როგორ შეიძლება სვანების ნდობა და მათი შეიარაღება?! ეს იარაღი ჩვენ შემოგვიტრიალდება. თუ შენ ამას ლავრენტი პავლოვიჩს ასე მოახსენებ, შეიძლება, სამშობლოს ღალატში დაგადანაშაულოს და დაგხვრიტოს!“

თათბირი დაიწყო და მეორე თუ მესამე მომხსენებლად ბერიამ ქაქუჩაია გამოიძახა, რომელმაც დაწვრილებით გააცნო კავკასიონზე შექმნილი ვითარება:

**— სვანების დახმარება კავკასიის დაცვაში უპირველესია. ჩვენ გვეხმარება და კავკასიას იცავს, არა მხოლოდ წითელი არმია, არამედ სვანეთის მოსახლეობა, რომელიც თავგანწირვით იბრძვის სამშობლოსათვის, როგორი გასაკვირიც უნ-**

▶

„სვანების დახმარება კავკასიის დაცვაში უპირველესია. ჩვენ გვეხმარება და კავკასიას იცავს, არა მხოლოდ წითელი არმია, არამედ სვანეთის მოსახლეობა, რომელიც თავგანწირვით იბრძვის სამშობლოსასთვის, როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, ჩვენ გვეხმარებიან საბჭოთა წყობილებაზე განაწყენებული ადამიანები, რომლებიც ტყეში ყაჩაღებად არიან გავარდნილნი და აქტიურად იბრძოდნენ საბჭოთა წყობის წინააღმდეგ. სწორედ ის ხალხია დღეს ჩვენი საიმედო დამრტყმელი ძალა, რომლებიც მიუვალ ადგილებში გამაგრებული მტრის „დოტებსა“ და „ძოტებს“ ანადგურებენ“.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**და იყოს, ჩვენ გვეხმარებიან საბჭოთა წყობილებაზე განაწყენებული ადამიანები, რომლებიც ტყეში ყაჩაღებად გავარდნილნი აქტიურად იბრძოდნენ საბჭოთა წყობის წინააღმდეგ. სწორედ ის ხალხია დღეს ჩვენი საიმედო დამრტყმელი ძალა, რომლებიც მიუვალ ადგილებში გამაგრებული მტრის „დოტებსა“ და „ძოტებს“ ანადგურებენ.** ჩვენ მივიღეთ ყველა საჭირო ზომა, კარგად შეგვეიარაღებინა ასამდე სვანი მონადირე და მოხალისე, რამაც შექმნა მტრის განადგურების ერთიანი სურვილი, რაც მალე ჩვენი გამარჯვებით დასრულდება.

— ეს ძალიან ცოტაა, — განაცხადა ბერიამ, — სასწრაფოდ შექმენით სპეციალური დანიშნულების ბატალიონი, რომელიც მთლიანად სვანებით იქნება დაკომპლექტებული და გადაეცით სრული სამხედრო აღჭურვილობა და სახელმწიფო უზრუნველყოფა, როგორც წითელი არმიის ერთ-ერთ ქვედანაყოფს. ბერიას მიერ გაცემულ ბრძანებაში ეწერა:

**„1. სვან მებრძოლს, რომელიც მოკლავს გერმანელ ოკუპანტს, გადაეცეს ჯილდოდ 500 მანეთი და მოკლულის მთელი აღჭურვილობა იარაღის ჩათვლით;**

**2. თუ მოკლული უნტეროფიცერია, ჯილდო გაორმაგდეს და მიეცეს მოკლულის იარაღი;**

**3. სვან მებრძოლს, რომელიც მოიტაცებს მოენეს და ტყვედ აიყვანს გერმანელ ოფიცერს, ჯილდო გაეზარდოს;**

**4. განსაკუთრებული მამაცობის გამოჩენისათვის სპეცდანიშნულების ბატალიონის წევრები წარდგენილნი იქნან სახელმწიფო ჯილდოებსა და ორდენებზე. ასევე დაჯილდოებულნი იქნან სამახსოვრო იარაღით წარწერით: „ლ. პ. ბერია“.**

ბერიას წახალისებით სვანეთის მოსახლეობა აღდგა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. მოხუცები, ქალები და ბავშვები ხარებით, ცხენებითა და სახედრებით ჭიუხებში საბრძოლო მასალასა და სურსათს აწვდიდნენ გმირ სვან მებრძოლებს. სვანეთში გუგუნებდა სიმღერა ბერიაზე „დარიალს კარი შეაბი, კავკასიონი შეჰკარი“.

სატელეფონო საუბარში სტალინმა უსაყვედურა ბერიას: „როდემდე უნდა ფრიალებდეს იალბუზზე გერმანული დროშა. გადაეცით სვან ალპინისტებს, რომ სხვა ვერავინ ჩამოაგდებს მას“.

ამ საუბრიდან მალე, **1943 წლის 9 თებერვალს, ყინულის გიგანტურ სამყაროს გაბრიელ და ბექნუ ხერგიანებმა შეუტიეს. ყინულთან რამდენიმესაათიანი გააფრთებული ბრძოლის შემდეგ ვეფხის სადარი ბექნუ ხერგიანი ნახტომით მისწვდა დროშას, ჯერ ჩამოხია, შემდეგ კი ტარი ძირშივე გადატეხა.**

როგორც მეორე მსოფლიო ომში უსტალინოდ ვერ გავიმარჯვებდით, ისე ლავრენტი ბერიას გარეშე კავკასიონს ვერ დავიცავდით.

## ბრძოლა კავკასიისათვის

1942 წლის 27 აგვისტოს სტალინმა ხელი მოაწერა დირექტივას, რომლითაც 46-ე არმიის სარდალი სერგაცკოვი გათავისუფლებული იქნა თანამდებობიდან და მის ადგილას დაინიშნა გენერალ-მაიორი **კონსტანტინე ლესელიძე.** ამ პერიოდში გერმანელებს უკვე დაკავებული ჰქონდათ კავკასიონის სტრატეგიული ობიექტები, რომლებიც მტერმა არცთუ დიდი წინააღმდეგობის შედეგად ჩაიგდო ხელში.

ლესელიძის არმიის სარდლად დანიშვნასა და კავკასიის ფრონტის ბერიასათვის ჩაბარებას ფრონტზე სწრაფად უნდა შეეცვალა მდგომარეობა. 242-ე და 392-ე შენაერთები გენერლების — **გიორგი ყურაშვილის** და **ისიდორე სილაგაძის** მეთაურობით ახალ საბრძოლო დავალებებს იღებდნენ უღელტეხილის დასაბრუნებლად და მტრის გასანადგურებლად.

ომის დამთავრების შემდეგ გენერალი გიორგი ყურაშვილი საქართველოს სამხედრო კომისრად დაინიშნა. სხვადასხვა გარემოებათა გამო დასვენების დღეებს ყველა რანგის მოხელე ადგილობრივ კურორტებზე ატარებდა. გიორგი ყურაშვილიც ჩვენს სოფელში არსებული საუცხოო წყლითა და ჰაერით დაჯილდოებულ აგარაკ „მუაშის“ რეგულარული სტუმარი გახლდათ. ის სვანეთის ახალგაზრდებს გვიყვებოდა ბრძოლის ეპიზოდებს. მე ბევრი რამ მახსოვს მისი მონათხრობიდან, რომლის ფრაგმენტები ჩაწერილიც კი მაქვს თორმეტფურცლიან სასკოლო რვეულში. ჩემი მონათხრობის დიდი ნაწილი გენერალ ყურაშვილის მონათხრობზეა აგებული, თუმცა გენერლის მონაყოლი შემდგომ ბევრ ბეჭდურ და მემორიალურ ლიტერატურაშიც გამოჩნდა...

ახალდანიშნულ სარდალს მაღალი სიხშირის ტელეფონთან უხმეს, — თქვენ სტალინი დაგელაპარაკებათ. ცოტა ხანიც და სტალინი კონსტანტინე ლესელიძეს ახალ თანამდებობას ულოცავს და წარმატებებს უსურვებს.

— იცით, ამხანაგო ლესელიძევ, როგორ იბრძოდა ნაპოლეონი ალპებში? მან პირველმა გამოიყენა მიუვალ ალპებში არტილერია. უღელტეხილები გადალახა და ზურგში დაარტყა ავსტრიულ არმიას. თქვენც უნდა აიტანოთ დაშლილი ზარბაზნები მწვერვალებზე, იქ ააწყოთ და იქიდან დაარტყათ მტერს. ჩვენ ყველაფრით დაგეხმარებით.

როგორც ყოველთვის, სტალინის სიტყვას საქმე მოჰყვა. გაიცა განკარგულება კავკასიონზე 4 000 სახედრისა და 1 000 სახედრის გამყოლის გადაყვანის თაობაზე; აგრეთვე, — 1 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე დაემზადებინათ 80 000 მეტრი სპეციალური ქსოვილი 30 000 კომპლექტი ალპინისტის თბილი ტანსაცმლის შესაკერად, დაემზადებინათ 15 000 წერაყინი, 2 000 კლდის ჩაქუჩი, 50 000 წრიაპი, კავი, 30 000 მეტრი ალპინისტური წნული და გრეხილი თოკი, 1 600 000 ტრიკონი — ფეხსაცმლის ლანჩაზე დასაჭედებელი სამკბილა. დავალება 1 ოქტომბრისათვის შესრულებული იყო და აღჭურვილობა გაიგზავნა ფრონტზე. ჰიტლერის მიერ კავკასიის დაპყრობის გეგმა, რომელიც წარმატებით მიმდინარეობდა, შემაშფოთებელი იყო. ჰიტლერელებთან ერთად კავკასიონს უტევდა ჰიტლერის მიერ შეკოწიწებული და მსოფლიო პროპაგანდისათვის ესეოდენ საჭირო „ქართული ლეგიონი“, რომელიც მდინარე ბაქსანის ნაპირზე იყო გამაგრებული.


კონსტანტინე ლესელიძე


ვარლამ ქაქუჩაია

**მოკრძალებული, რაინდული თვისებებით გამორჩეული, უაღრესად ნიჭიერი და სამხედრო საქმის მცოდნე კონსტანტინე ლესელიძე უკიდურესად პრინციპული იყო რიგი საკითხების გადაწყვეტისას. ინტუიციის წყალობით, ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ცნობილი იყო მისი ცუდი დამოკიდებულება ხრუშჩოვისადმი**

უსასტიკეს მტერთან საბრძოლველად მომზადება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. კავკასიის მწვერვალებზე მოსალოდნელი დიდთოვლობა ძალზე ართულებდა დაცვის პოზიციებს. სპეცბატალიონი, რომელიც სვანი ალპინისტებისა და მონადირეებისგან იყო დაკომპლექტებული, განლაგებულნი იყვნენ უკიდურეს სიმაღლეებზე, საიდანაც ზღუდავდნენ მტრის წინ წამოწევას. სვანების სპეცბატალიონს შეუერთდა ბერიას მიერ მოსკოვიდან ჩამოყვანილი 150 სნაიპერი უხმო თოფებით. ისინი მამაც სვან მონადირეებთან ერთად ფხიზლად იცავდნენ ყველა ბილიკს კავკასიონზე. მთავარი ბანაკიდან კავკასიონზე დაშიფრული ტელეგრამა მოვიდა, მოითხოვდნენ, რომ ბატალიონი და სხვა სამხედრო ნაწილები სასწრაფოდ დაშვებულიყვნენ ბარში და ზამთარი ბეჩოში გაეტარებინათ. მებრძოლებმა და მათმა მეთაურებმა გადაწყვიტეს, არ დამორჩილებოდნენ დირექტივას და დაშიფრული ტელეგრამითვე უპასუხეს ფრონტის სამხედრო საბჭოს, რომ ისინი დაკავებულ სიმაღლეებს არ დატოვებდნენ, როგორი პირობებიც უნდა შექმნილიყო. ეს წინააღმდეგობა სამხედრო საბჭოსთვის გამაოგნებელი იყო. პასუხად იმავე დღეს დაშიფრული ტელეგრამა მიიღეს: „გამოგზავნილ დირექტივას არ ვამტკიცებთ. თქვენთან ჩამოვლენ არმიის სარდალი ლესელიძე და ვ. ბაქრაძე, ადგილზე შეთანხმდით და გადაწყვიტეთ ჯარების გამოზამთრების საკითხი. ბერია“.

სამი დღის შემდეგ კოსტანტინე ლესელიძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვალერი ბაქრაძე (რომელიც ფრონტის საბჭოს წევრიც გახლდათ) ბეჩოს მიადგნენ. გიორგი ყურაშვილმა (დივიზიის მეთაურმა) დეტალურად ილაპარაკა უღელტეხილზე მიმდინარე ბრძოლაზე, რომელიც კარგად ჩანდა ოპერატიულ რუკებზე.

— ქაღალდზე ყველაფერი კარგად არის, მაგრამ უნდა ვნახოთ ადგილზე, — განაცხადა ლესელიძემ. ბაქრაძემ გზის გაგრძელება ვერ შეძლო, რადგან კენჭის გავლის გამო ძლიერი ტკივილები ჰქონდა და ხანდახან გონებასაც კი კარგავდა. ლესელიძე და ყურაშვილი ორი დღის განმავლობაში გულდასმით ათვალიერებდნენ საოცარ გამოქვაბულებს და ერთმანეთთან დაკავშირებულ მიწისქვეშა გასასვლელებს, რომლებიც სვან ალპინისტებსა და მონადირეებს შეექმნათ ამ ურთულეს პირობებში. კლდის ღრმა ჯურღმულებში განთავსებულ ჯარისკაცთა საცხოვრებელს, იარაღისა და სურსათის შესანახ საწყობებს რომ ათვალიერებდა, სარდალი ლესელიძე აღფრთოვანებას ვერ მალავდა, თუ როგორ და რა ძალამ შეძლო ამ სამუშაოს შესრულება ჭიუხების სიღმეებში. ერთობ კმაყოფილმა და ამაყმა სარდალმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ეს უნიკალური თავშესაფარი შექმნა და გამოთქვა რწმენა, რომ ეს ხალხი მალე გაათავისუფლებდა კავკასიას ჰიტლერელებისაგან.

— სამხედრო საბჭოს დირექტივას შევცვლი, — განაცხადა ლესელიძემ, — თქვენ, რა თქმა უნდა, მართალი იყავით, როცა მწვერვალები არ დატოვეთ და დაბლა არ ჩახვედით.

ამით დამთავრდა კონსტანტინე ლესელიძის ორდღიანი სტუმრობა ბეჩოში.

1943 წლის 7 მარტს ლავრენტი ბერია კვლავ ჩავიდა კავკასიონზე და მარტის ბოლომდე დარჩა ფრონტზე. მისივე ინიციატივით, სტალინი მეორეჯერ აწერს დირექტივას ხელს კონსტანტინე ლესელიძის 18-ე არმიის სარდლად დანიშვნის თაობაზე.

ჰიტლერი კავკასიონის დატოვებას არ აპირებდა. „ბლაუ III“ ზესაიდუმლო ოპერაციად ითვლებოდა, სადაც ეწერა, რადაც უნდა დაჯდომოდათ, გადაელახათ კავკასიონი და გაჭრილიყვნენ ბაქოს მიმართულებით. „კავკასიური ნავთობის გარეშე ომს ვერ მოვიგებთ!“ — ისტერიულად გაჰკიოდა ფიურერი. კავკასიისკენ დაიძრა სიკვდილის მანქანა, რომელიც მუსრს ავლებდა ყველას და ყველაფერს. კავკასიისათვის გადამწყვეტი ბრძოლა ჰიტლერმა 1942 წლის 23 ივლისს დაიწყო.

5 დღის შემდეგ კი სტალინმა, 1942 წლის 28 ივლისს, გამოსცა ბრძანება № 227, რომლის ანალოგი არ მოიძებნება მსოფლიო ომების ისტორიაში. სტალინმა ბრძანებაში მიუთითა: **„ჩვენ არ გვაქვს უსაზღვრო რესურსი ჯარისა და ხალხის გამოკვებისა, ჩვენ არ გვაქვს ტერიტორია, რომელსაც საზღვარი არ აქვს, ჩვენი ჯარები პოზიციურად იხევდნენ უკან, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი, ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი მიწა, ჩვენი ხალხი — არც ერთი ნაბიჯი უკან!“**

**1. 1941 წლის 7 ნოემბრის სამხედრო აღლუმი წითელ მოედანზე.**

**2. 1942 წლის 28 ივლისის სტალინის ბრძანება № 227.**

**3. 1943 წლის სტალინგრადის ბრძოლა.**

**4. 1945 წლის ბერლინის ოპერაცია.**

ზემოაღნიშნული მოვლენები სტალინური გენიის ნაყოფია, რომლებიც შესულია მსოფლიო ომების ისტორიაში, როგორც ომის კლასიკური ნიმუში, და არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას.

კავკასიისათვის გადამწყვეტი ბრძოლების დროს სტალინმა მოიკითხა ლესელიძე და ვასილევსკის სთხოვა, მოეხსენებინა ლესელიძის შესახებ. ვასილევსკიმ ძალზე ამაყად და სიხარულით აცნობა მთავარსარდალს, რომ **„ლესელიძე ისე ხელმძღვანელობს საარტილერიო ბრძოლებს, როგორც დირიჟორი ორკესტრს“. მოკრძალებული, რაინდული თვისებებით გამორჩეული, უაღრესად ნიჭიერი და სამხედრო საქმის მცოდნე კონსტანტინე ლესელიძე უკიდურესად პრინციპული იყო რიგი საკითხების გადაწყვეტაში. ინტუიციის წყალობით ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ცნობილი იყო მისი ცუდი დამოკიდებულება ხრუშჩოვისადმი.**

ომის შემდეგ რიწის ტბაზე სტალინთან ერთად ბაღში ვსეირნობდით, — წერს თავის მემუარებში **აკაკი მგელაძე,** — მან დიდი სიამაყითა და სიყვარულით გაიხსენა სახელოვანი მარშლები: **ჟუკოვი, როკოსოვსკი, ვასილევსკი, კონევი** და მათ შორის მოიხსენია კონსტანტინე ლესელიძეც. მომიბრუნდა და მითხრა: „მე მას ფრონტის სარდლობა შევთავაზე, არ დამთანხმდა“.

სტალინს არაერთხელ მოუხსენებია კონსტანტინე ლესელიძე საბჭოთა კავშირის მარშლებისა და ფრონტის ხელმძღვანელთა შორის.



ახალი და უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბალტიისპირელი ემიგრანტების ცხოვრება საშინელებათა ფილმი არ არის. მათ ფენებში დამკვიდრებულია „რკინისებრი“ წესი, რომლის მიხედვით, დამცირების, აუტანელი საცხოვრებელი პირობებისა და ჯოჯოხეთური შრომის პირველი წლების შემდეგ, დგება სოციალიზაციის, კარგი სამუშაოსა და მატერიალური უზრუნველყოფის პერიოდი.**

ამ წიგნის ანოტაციაში წერია, რომ რეგიონი, რომელიც საბჭოთა კავშირში ყველაზე უფრო წარმატებულად იყო მიჩნეული, ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ ორმაგ პერიფერიად იქცა, მივარდნილ გარეუბნად ევროპისა. ახლა ეს ქვეყნები, რომელთაც უნდა შეესრულებინათ გეოპოლიტიკური ბუფერის როლი ვლადივოსტოკსა და ლისაბონს შორის, ერთგვარ ხიდად გადებულიყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, აღარავის აინტერესებს.
ინტერესის დაკარგვას კი შედეგად მოჰყვა ადგილობრივი ეკონომიკის დეგრადაცია და სოციალური დონის მკვეთრი დაქვეითება. მიგრაციის ტალღა ისე გაძლიერდა, რომ ბალტიისპირეთი დღეს სწრაფად ცარიელდება. აღნიშნული წიგნის რამდენიმე თავის გადმოქართულებული ვარიანტი არამც და არამც არ არის (მიხლოებითაც კი) ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის საშინაო საქმეებში რაიმე ფორმით ჩარევის მცდელობა. მკითხველებს ამ ნაშრომს ვთავაზობთ ერთადერთი მიზნით — გასაანალიზებლად და გასათვალისწინებლად იმ პერსპექტივისა, რომელიც შეიძლება დადგეს ჩვენი ქვეყნის წინაშე, თუ ბალტიის სახელმწიფოების გზას ავირჩევთ.
შეცდომები ისედაც საკმარისად დავუშვით...

## ალექსანდრე ნოსოვიჩი:

# ევროპის მივარდნილი გარეუბანი




# რატომ კვდება ბალტიისპირეთი




ბალტიის რეგიონის მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №15-16 (297-298)

## ემიგრანტების ისტორიები

**2012 წელს ბრიტანულმა The Guardian-მა მკითხველებს მოუთხრო ერთი ბანდის შესახებ, რომელიც ინგლისელ ფერმერებს ლიტველი მონებით ამარაგებდა.**

**ბანდის წევრები ლიტვაში ქირაობდნენ ქალებსა და კაცებს ინგლისში მომგებიან სამუშაოზე მოწყობის დაპირებით; ჰპირდებოდნენ ხელფასებს თვეში 350 ფუნტი სტერლინგის ოდენობით იოლი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებისთვის.**

ინგლისში ჩასვლის შემდეგ ლიტველები დამქირავებლებზე სრულად დამოკიდებული ხდებოდნენ, რადგან სანარდო სამუშაოზე მათი მოწყობა მხოლოდ ბანდის წევრების ხელში იყო. ისინიც „უსრულებდნენ“ დაპირებას: დღე-ღამეში 17 საათს ამუშავებდნენ, უხდიდნენ მიზერულ თანხას, ზოგჯერ, საერთოდ, უფულოდ ტოვებდნენ. ადგილიდან ადგილზე გადაჰყავდათ, აცხოვრებდნენ ბარაკებში, ეძინათ ბაღლინჯოებითა და ტარაკნებით სავსე ლეიბებზე. „დაცვა“ სცემდა მუშებს და ფულს სძალავდა. გატეხილი ნეკნები, ჩალურჯებული თვალები, სხვა ტრავმები, ნორმა იყო,— ყვებიან ხანდაზმული ლიტველები, რომლებმაც მოახერხეს და თავი დააღწიეს თავიანთ „პატრონებს“.

„ჩვენ მრავალთაგან ერთ-ერთი კომპანია ვიყავით, რომელიც ლიტველ მუშებს იყენებდა. ამჟამად ჩვენ გავწყვიტეთ კავშირი ორგანიზაციასთან, რომელიც მათ ქირაობდა. არ ვაპირებთ რაიმეს კომენტირებას, სანამ გამოძიება არ დამთავრდება“, — ასე გამოეხმაურნენ ატეხილ სკანდალს კომპანია Nobla Food-ის წარმომადგენლები, რომელიც ბალტიისპირელი გასტერბაიტერების შრომას იყენებდა. ლიტველებს მონებივით ამუშავებდნენ ფერმებში, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას **Tesco-ს სუპერმარკეტებისა და “მაკდონალდსის” რესტორნებისთვის**, რომელთა წარმომადგენლებმაც არ მოისურვეს აღნიშნული ფაქტების კომენტირება. იმდროინდელი ინგლისური კარიკატურა: შიშველი კაცუნები, ათ-ათად დაფასოებული, წარწერით „10 ლიტველი ერთის ფასად“.

**ეს, თუნდაც, გამონაკლისი შემთხვევა, წარმოდგენას გვიქმნის არაადამიანურ მოპყრობაზე, რომელიც დამკვიდრებულია „ძველი ევროპის“ მძიმე ფიზიკური შრომის ბაზარზე ბალტიისპირელი მიგრანტების მიმართ.**

ბომბის აფეთქების ეფექტი ჰქონდა 2013 წელს ლატვიაში დაბრუნებული ემიგრანტის — **ალექსეი ლუკიანენკოს** მონათხრობს, რომლითაც იტალიური ნეორეალიზმისთვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და პატიოსნებით წარმოგვიდგინა ლატვიელი გასტერბაიტერების ჩვეულებრივი „შრომითი გზა“ დიდ ბრიტანეთში. 2008 წლის კრიზისის დროს გაკოტრებული ლუკიანენკო შოტლანდიაში გაემგზავრა და მუშაობა თევზის დამმუშავებელ ქარხანაში დაიწყო.

**„სახელფასო განაკვეთი კონტრაქტის გარეშე — 6,05 გირვანქა სტერლინგი საათში, კონტრაქტით — 6,55. ეს ქარხანაში ყველაზე უფრო მძიმე სამუშაოა. მზა პროდუქციის დატვირთვა და გაგზავნა. აქ მუშაობენ ჩვენები, რომლებსაც სხვა გზა არ აქვთ“.**

„თუ ავად გახდი ან დაშავდი, ეს შენი თავსატეხია. ერთმა ლიტველმა წელი დაიზიანა და ექიმმა უთხრა, რომ ორი კვირა შინ უნდა იწვეს. როცა ამის შესახებ მან სამუშაო ადგილზე განაცხადა, იგი დაითხოვეს, რათა არ აენაზღაურებინათ საავადმყოფო ფურცელი. სამუშაოზე მხოლოდ მაშინ აღადგინეს, როცა მორჩა. შეწყვეტილი სტაჟის გამო მან დაკარგა ყველა წლიური დანამატი.

...სხვა რეგიონებთან შედარებით, ბალტიისპირელები აქ ძალიან ცოტანი არიან. ძირითადად პოლონელები არიან ჩამოსულები და ცოტანიც სხვები. ბოსტონში კი მან ნახა ლიტველთა დიდი დასახლება. პირველი, რამაც გააკვირვა, კუნთმაგარი, თავგადაპარსული ახალგაზრდების რაოდენობა იყო, რომლებიც სპორტულ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი, კისერზე ოქროს ჯაჭვები ეკიდათ და ბე-ემ-ვეებით დასეირნობდნენ. მისი სიტყვებით, ისეთი განცდა გაუჩნდა, თითქოს მშობლიურ ლიტვაში დაბრუნდა, სადაც ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ წაგართვან ფული და მობილური ტელეფონი.“

**ბალტიისპირელი ემიგრანტების ცხოვრება საშინელებათა ფილმი არ არის. მათ ფენებში დამკვიდრებულია „რკინისებრი“ წესი, რომლის მიხედვით, დამცირების, აუტანელი საცხოვრებელი პირობებისა და ჯოჯოხეთური შრომის პირველი წლების შემდეგ, დგება სოციალიზაციის, კარგი სამუშაოსა და მატერიალური უზრუნველყოფის პერიოდი.**

**ბალტიის საერთაშორისო აკადემიის (რიგა) პროფესორი, The Baltic course საქმიანი ჟურნალის მთავარი რედაქტორი და გამომცემელი ოლგა პავუკი წერს:** „რიგის აეროპორტში თვითმფრინავში ჩასხდომის მოლოდინში გავესაუბრე თანამგზავრს, რომელმაც მოკლედ მომიყვა თავისი ისტორია. სამი წლის წინათ 25 წლის ახალგაზრდა რიგიდან ინგლისში საშოვარზე გაემგზავრა. ურჩიეს მეგობრებმა, რომლებიც უკვე მუშაობდნენ ქათმის ხორცის დამფასოებელ ფაბრიკაში. რიგაში იგი თავისი სიმამრის ლითონის დამამუშავებელ მცირე საწარმოში მუშაობდა. კრიზისის დროს ეს კაცი გაკოტრდა და იძულებული გახდა, რუსეთში პარტნიორებს დაქირავებულ მუშად მიკედლებოდა. ინგლისში ეს ახალგაზრა მარტო ჩავიდა, მაგრამ სამი თვის შემდეგ ცოლმა პატარა გოგონასთან ერთად ჩააკითხა. თავიდან ისინი ერთად მუშაობდნენ ქათმის ხორცის ფაბრიკაში. ამ სამუშაომ ორივენი დაზაფრა, განსაკუთრებით ცოლი. ახალგაზრდებმა არ იცოდნენ, რას წარმოადგენდა საწარმო, მით უფრო, ხორცის გადამამუშავებელი, რომელშიც დადგენილი იყო მუშაობის მკაცრი განრიგი. მაგრამ ორი წლის თავზე ქმარი ბრიგადის ხელმძღვანელი გახდა, ცოლმა კი მეორე ბავშვი შვა... და მცირე შემოსავლის მიუხედავად ოჯახი ლატვიაში დაბრუნებას არ აპირებდა“.

ასეთია ბალტიისპირელი ემიგრანტების ერთსულოვანი პოზიცია. მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, ისინი მზად არიან აიტანონ ყველაფერი, იბრძოლონ ბოლომდე და არავითარ შემთხვევაში არ დაბრუნდნენ სამშობლოში. მოსახლეობის რეემიგრაციის ყველა პროგრამა მხოლოდ თავის მოტყუებაა.

## 6. რეემიგრაცია: შეძლებენ კი ბალტიის ქვეყნები თავიანთი მოქალაქეების დაბრუნებას?

მას შემდეგ, რაც 2009-2011 წლებში ემიგრაციის მასშტაბმა ეროვნული უბედურების ხასიათი მიიღო, ბალტიის რესპუბლიკების მთავრობებს აღარ შეეძლოთ ამ პრობლემის იგნორირება. ადგილობრივ პოლიტიკაში ჩამოყალიბდა ორი მანტრა, რომლებსაც ბალტიისპირელი მოღვაწეები დღემდე იმეორებენ.

**პირველი:** „ჩვენი ადამიანები უცხოეთშიც რჩებიან ლიტველებად, ლატვიელებად, ესტონელებად, და სათუთად ინარჩუნებენ თავიანთ ეროვნულ ფესვებს.

**მეორე** (და მთავარი): როცა მძიმე დრო სამშობლოში დამთავრდება, ყველა ეს ადამიანი საკუთარ ქვეყანაში დაბრუნდება.

პირველ მანტრას დეტალურად განვიხილავთ მე-10 თავში: „გადაშენების პირას მდგარი სახეობანი“.

მეორე მანტრის უარყოფა კი იოლად არის შესაძლებელი როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მეთოდებით.

**ჯერ ერთი, საკმარისია მოვიშველიოთ სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურების მონაცემები, რათა დავრწმუნდეთ, რომ ლიტვიდან და ლატვიიდან დასავლეთში საცხოვრებლად წელიწადში ათობით ათასი მოქალაქე გადის, ხოლო დიდი ბრიტანეთიდან და ირლანდიიდან ბალტიისპირეთში მუდმივად საცხოვრებლად ერთეულები ბრუნდებიან.**

დაფიქსირებულია ტენდენცია, რომ ემიგრანტები არა მხოლოდ არ ბრუნდებიან, არამედ მას შემდეგ, რაც უცხოეთში ცხოვრების პირობებს მოიწყობენ, ოჯახებიც იქ გადაჰყავთ, ბოლო წლებში თავიანთი მშობლებიც კი. ევროპულ საემიგრაციო სამსახურებს აღრიცხული აქვთ მეორადი ემიგარციის პრაქტიკაც, როცა ბალტიისპირელი, რომელმაც ვერ მოახერხა მოწყობა, ვთქვათ, გერმანიაში, გადადის კიდევ ერთი სამშობლოს დასაპყრობად ნორვეგიაში, ირლანდიაში და ა.შ. თუმცა ასეთი პრაქტიკა უფრო ხშირია, ვიდრე სამშობლოში — ლატვიაში ან ლიტვაში დაბრუნება.

**ლიტვის სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა** 2011 წელს საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა ლიტველ ემიგრანტთა შორის. **შეკითხვას, აპირებენ თუ არა ისინი ლიტვაში დაბრუნებას, ემიგრანტთა 31-მა პროცენტმა გაურკვევლად უპასუხა, რომ „შეიძლება დავბრუნდე, მაგრამ არ ვიცი, როდის“. 16-მა პროცენტმა უფრო კატეგორიულად განაცხადა: „უფრო სარწმუნოა, რომ არ დავბრუნდები“. გამოკითხულთა 11 პროცენტი მხოლოდ მაშინ აპირებდა დაბრუნებას,** ▶

უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საკმარისია მოვიშველიოთ სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურების მონაცემები, რათა დავრწმუნდეთ, რომ ლიტვიდან და ლატვიიდან დასავლეთში საცხოვრებლად წელიწადში ათოგით ათასი მოქალაქე გადის, ხოლო დიდი ბრიტანეთიდან და ირლანდიიდან ბალტიისპირეთში მუდმივად საცხოვრებლად ერთეულები ბრუნდებიან.

როცა „კარიერას გაიკეთებენ“, ან „იშოვნიან საკმაო რაოდენობით ფულს შემდგომი ცხოვრების მოსაწყობად“. 3 პროცენტი აპირებს ლიტვაში დაბრუნებას „მას შემდეგ, როცა პენსიას მიიღებენ“. ემიგრანტების ერთი პროცენტი დარწმუნებულია, რომ სამშობლოში არასოდეს დაბრუნდება.

**ამრიგად, ლიტველი ემიგრანტების დაახლოებით 60 პროცენტი არ აპირებს დაბრუნდეს შინ, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში.**

**ამასთანავე, რესპონდენტთა 6 პროცენტი დაბრუნებას მხოლოდ 5-10 წლის შემდეგ აპირებს, 4 პროცენტი — 3-4 წლის შემდეგ და 8 პროცენტი — ორი-სამი წლის შემდეგ.**

**ანალოგიური გამოკითხვა ლატვიის კულტურის სამინისტრომ 2012 წელს ლატვიელ ემიგრანტთა შორის ჩაატარა. გაირკვა, რომ დაბრუნებას გამოკითხულთა მხოლოდ 35 პროცენტი აპირებს.**

„ყველას, ვინც ლაპარაკობს მავანთა საიდანღაც დაბრუნების შესაძლებლობაზე, მინდა ვუთხრა: „დაივიწყეთ!“ რეემიგრაცია არ იქნება. იგი არცაა საჭირო, რადგან ლიტვა, ალბათ, არასოდეს იქნება ისეთი მდიდარი და კეთილგანწყობილი, როგორიც დიდი ბრიტანეთია“, წერს **ლიტველი ჟურნალისტი არტურ რაჩასი.**

„აქ უფრო რბილი ჩვეულებები აქვთ, ადამიანები გაცილებით ზრდილობიანები არიან ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვენს სამშობლოში კი ცხოვრების მძიმე პირობების გამო თავხედობა ყოველდღიურ მოცემულობად იქცა. ერთი შეხედვით, თითქოს წვრილმანია, სინამდვილეში — მნიშვნელოვანი... ბალტიისპირეთში პოლიტიკური მოვლენების შესახებ საუბარი, როგორც წესი, ნეგატიურად წარიმართება. ხოლო როცა იგებ, რას აკეთებენ იქ პოლიტიკანები, თმები ყალყზე დაგიდგება! ზოგი დიდ ბედნიერებად აღიქვამს თვით ფაქტს, რომ შეძლეს თავი დაეღწიათ იმ ვაიმმართველებისთვის, რომლებმაც თავიანთი სახელმწიფოები სრულ გაღატაკებამდე მიიყვანეს, ხალხი კი აიძულეს მასობრივად გადასულიყო საზღვარს მიღმა. ეს ეხება არა მხოლოდ რუსულენოვანებს, არამედ ლატვიელებსაც და ლიტველებსაც — ადამიანებს არ სურთ უცხოეთში თავიანთი ამჟამინდელი კეთილმოწყობილი მდგომარეობა შეცვალონ კეთილმოუწყობელზე“, — წერს ამჟამად ირლანდიაში მყოფი ყოფილი **ლატვიელი ჟურნალისტი კარინა კოშელევა.**

ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ 2014 წლის აპრილში ლიტველ გასტერბაიტერებს მიმართა, შინ დაბრუნებულიყვნენ. მოუწოდა ჩაბმულიყვნენ ლიტვის რესპუბლიკის სახალხო დიპლომატიაში თავიანთი ქვეყნის იმიჯის ასამაღლებლად, ნაცვლად მისი დისკრედიტაციისა, რომელსაც ეწევიან, როცა ინგლისელებს მოუთხრობდნენ მათ სამშობლოში არსებული შემაძრწუნებელი მდგომარეობის შესახებ.

სავსებით ლოგიკურია ბალტიისპირეთის მიწების გაუკაცრიელება და ასობით ათასი მოქალაქის უარი დაბრუნდეს საკუთარ სამშობლოში.

**ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა თავიანთ მოქალაქეებს შეუქმნეს ცხოვრების აუტანელი პირობები, შემდეგ კი მოსახლეობის გადინება ყველა სოციალურ-ეკონომიკური გართულების დაძლევის პანაცეად გამოცხადდეს. რა უფლება აქვთ ხელისუფალთ, მოსთხოვონ ემიგრანტებს შინ დაბრუნება, როცა თავიანთი პოლიტიკით იძულებული გახადეს ქვეყნიდან გაქცეულიყვნენ?!**

სურთ კი ადგილობრივ პოლიტიკოსებს ნამდვილად განხორციელდეს რეემიგრაცია? 2013 წელს ლატვიის მთავრობამ მოიწონა 2013-2014 წლების რეემიგრაციის პროგრამა. თანამემამულეთა დასაბრუნებლად პრემიერ დომბროვსკის მთავრობამ გამოჰყო 2,4 მილიონი ლატი (3 მილიონამდე ევრო). ეს თანხა უნდა დახარჯულიყო საზღვარგარეთ მყოფი ლატვიელებისთვის ქვეყანაში არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მოსაწოდებლად, ასევე, კვალიფიციური პერსონალის მისაზიდად ლატვიის საწარმოებში, დიასპორებთან მუშაობის გასაფართოებლად და ემიგრანტების შვილებისა და მეუღლეებისთვის ლატვიური ენის შესასწავლად. ეროვნული ემიგრაციის ფონზე ასეთმა „გრანდიოზულმა“ გეგმამ, რომელსაც ავტორთა ჩანაფიქრით უნდა აღედგინა მოსახლეობის რაოდენობა, ლატვიური საზოგადოების მხოლოდ დაცინვა დაიმსახურა.

**საჭიროა კი, რომ ბალტიის ქვეყნების მთავრობებმა რეალურად იზრუნონ ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებაზე? რა უნდა გააკეთონ? სად უნდა იმუშაონ, როცა საწარმოები მთლიანად განადგურებულია და სწორედ ამის გამო გაედინება მუშახელი ქვეყნიდან? ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა თავი დააღწიეს უმუშევრობის სამხრეთ ევროპულ პროცენტებს იმით, რომ თავიანთ უმუშევარი მოქალაქეები ახალ სამუშაო ძალაში დაინტერესებულ დიდ ბრიტანეთში, ირლანდიასა და სკანდინავიაში განდევნეს.** ამ მოსახლეობის არყოფნის პერიოდში ვერ ვიტყვით, რომ ბალტიისპირეთში სამუშაო ადგილები შეიქმნა, ამიტომაა, რომ წასულების დაბრუნება უაზრობაა. თანაც, ისინი არც აპირებენ ამის გაკეთებას.


რიგა

**ლიტველი ემიგრანტების დაახლოებით 60 პროცენტი არ აპირებს, დაბრუნდეს შინ, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში. ამასთანავე, რესპონდენტთა 6 პროცენტი დაბრუნებას მხოლოდ 5-10 წლის შემდეგ აპირებს, 4 პროცენტი — 3-4 წლის შემდეგ და 8 პროცენტი — ორი-სამი წლის შემდეგ**

## თავი II
## „ბალტიის ვეფხვები“: როგორ გავანადგუროთ წარმოება და შევქმნათ „საპნის ბუშტების“ ეკონომიკა

ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის დამოუკიდებლობის მოპოვების ისტორია კრილოვის იგავის ჭრიჭინობელას თავს გადამხდარ ამბავსა ჰგავს. **„მომღერალი რევოლუციებით“ დაიწყო მათი გზა ახალი ცხოვრებისკენ, 1991 წლის შემდეგ კი ბალტიისპირელებმა პოსტინდუსტრიული პერიოდისკენ გაუტიეს, ფეხებზე დაიკიდეს სოფლის მეურნეობა, შეგნებულად დაანგრიეს მრეწველობა და ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს „დაწყევლილ“ ერთიან ეკონომიკურ სივრცესთან აღმოსავლეთით ნათელ დასავლეთში სრულად ინტეგრაციის მიზნით.**

XX საუკუნეში ბალტიისპირეთი მწარმოებელი რეგიონი იყო, XXI საუკუნეში მომხმარებელ რეგიონად იქცა. 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ჟამს აშკარა გახდა, რომ ამ გზით სიარული „ბალტიის ვეფხვებს“ სიკვდილამდე მიიყვანდა. ეკონომიკური ზრდის პოტენციალი, რომელიც 90-იანი წლების რადიკალურმა საბაზრო რეფორმებმა შექმნა, თითქმის ამოიწურა. 90-იანივე წლებიდან მოყოლებული რეალური სექტორი თანდათან ინგრეოდა, მისი აღდგენა შეუძლებელი ხდება, რადგან ევროკავშირში გაერთიანებული ბალტიისპირეთი საქონლის გასაღებისა და სამუშაო ძალის ბაზრად იქცა. პოსტინდუსტრიული ეკონომიკის შენობის აგება იქ შეუძლებელია, რადგან ამშენებლები, ანუ მოსახლეობა, მასობრივად გადის საზღვარგარეთ და რესპუბლიკებში სიკვდილიანობა სტაბილურად აჭარბებს შობადობას.

### 1. ბალტიისპირეთის დინოზავრები: ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სამრეწველო საწარმოების ჩონჩხები

ბალტიის სახელმწიფოების ტერიტორიაზე რომ მგზავრობ, დრო და დრო ამ ჩონჩხებს ხვდები. ბეტონის დიდი კოლოფები, ნახევრად დანგრეული შენობები აჭედილი ფანჯრებით, დაჟანგული არმატურა — სხვა ეპოქის არტეფაქტები, ბაქტიისპირეთი ინდუსტრიულად განვითარებული რეგიონი რომ იყო, იმდროინდელი. „იმ დროში“ კი მაინცდამაინც საბჭოთა პერიოდი არ იგულისხმება, რომელზეც, როგორც წესი, მიგვანიშნებენ ადგილობრივი პოლიტიკოსები, რომელთაც მოსპეს მრეწველობა და თავს იმით იმართლებენ, რომ მათ ქვეყნებს იგი არ სჭირდებოდა, რადგან არარენტაბელური იყო „ოკუპაციის მემკვიდრეობა“. არსებობა შეწყვიტა ფაბრიკებმა და ქარხნებმა, რომლებიც პირველი რესპუბლიკების დროს ამუშავდა და რომლებსაც თანამედროვე ლიტვა, ლატვია და ესტონეთი ეტალონად მიიჩნევენ. დაიხურა საწარმოები, რომლებიც დაარსებული იყო რუსეთის იმპერიაში კაპიტალისტური ბუმის დროს (XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში).

**ბალტიის ქვეყნებში რეალურად დადგა პოსტინდუსტრიული ერა მაშინვე, როგორც კი ტექნოაპოკალიფსისის ფორმით გამჟღავნდა, როცა დაიხურა სამრეწველო საწარმოების უმრავლესობა და ახალი სამუშაო ადგილები პრაქტიკულად გაქრა. შედეგად, მოსახლეობა ან დროებით სამუშაოზე მოწყობით ირჩენს თავს და ლოთობს, ან ემიგრირებს.**

იმ საწარმოების შესახებ, რომლებიც ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში განადგურდა, ცალკე წიგნის დაწერა შეიძლება. ასეთი საწარმო ასობითაა: საბჭოთა და ადრინდელი პერიოდის მძიმე და მსუბუქი, კვების მრეწველობის, ენერგეტიკის და ა.შ. საწარმოები. მათ შორის იყო მცირე, ლოკალური ხასიათის საწარმოები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, მაგალითად, შაქრის ქარხანა ეკაპილსში (ლატვია), ან ხის სახერხი საამქრო პანევეჟისის მახლობლად (ლიტვა). იყო საშუალო საწარმოები, რომლებიც თავიანთ პროდუქციას აგზავნიდნენ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში: გემთმშენებელი ქარხანა ლიეპაეში (ლატვია), მანქანათმშენებელი ქარხანა პიარუმააში (ესტონეთი). იყო საკავშირო ბრენდებიც და ბიუჯეტის შემავსებელი გიგანტებიც.

მეჟეიკიაის ნავთობის გადამამუშავებელი ერთადერთი ქარხანა ბალტიისპირეთში და ლიტვის უმსხვილესი სამრეწველო საწარმო, საბჭოთა მთავრობამ ააგო როგორც ციმბირის ნავთობის გადამუშავებისა და ტრანსპორტირების მნიშვნელოვანი ობიექტი. ეს ქარხანა დამოუკიდებლობის წლებში ხან ამერიკელებს მიჰყიდეს, ხან — პოლონელებს და ყოველთვის ნახევრად გაკოტრების მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამჟამადაც დგას მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი — იგი კვლავ გაკოტრების პირზეა.

ცნობილი **რაფი** — რიგის ავტობუსების ფაბრიკა, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირს პოპულარული „რაფებით“ ამარაგებდა.

ნახევარგამტარების ქარხანა **„ალფა“,** რომლის მრავალკილომეტრიანი ტერიტორია რიგის ცენტრში სარეველა მცენარეებითაა დაფარული, შენობების ფანჯრები კი ბრმა კაცის თვალებივითაა ჩაშავებული.

ელექტროტექნიკის ქარხანა **„ელმა“** და მიკროსქემების მწარმოებელი **„ვენტა“** ვილნიუსში, ტალინის **„მოტორი“** — ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმო, რომელიც ჯერ კიდევ ნიკოლოზ II-ის დროს აშენდა და ამუშავდა.

მთელმა ამ ინდუსტრიულმა მემკვიდრეობამ, რომელიც ბალტიის ქვეყნებს 90-იან წლებში ერგო, ერთი გზა გაიარა — პრივატიზება-დანაწევრება-გაკოტრება. ეს საწარმოები საშუალებას აძლევდა ასობით ათას ადამიანს — მუშებს, მოსამსახურეებს და მათ ოჯახებს — ნორმალურად ეცხოვრათ. დღეს ისინი უმეტესად სტოკჰოლმის, ბირმინჰემის ან გლაზგოს ანალოგიურ საწარმოებში შრომობენ.

**(გაგრძელება იქნება)**

**P.S. „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს არ გაუჭირდებათ გაავლონ პარალელები ქუთაისის ავტოქარხნის, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის, ბათუმის კატარღების მშენებელ, თბილისის მმსუბუქი მრეწველობის, რაიონებში წიაღისეულის მომპოვებელ და ა.შ. საწარმოებთან.**

**არის კიდევ ერთი ტრაგიკული დამთხვევა: ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების უნიკალური აღჭურვილობა ჯართად გაიყიდა მეზობელ ქვეყნებში ისევე, როგორც ბალტიის ქვეყნების საწარმოების დაზგები ფაქტობრივად კაპიკებზე გაასაღეს. გაქნილმა ბიჭებმა ამ „ბიზნესით“ დიდი ფული იშოვეს და ამჟამად, პატივცემულ გვამებად აღზევებულები, განაგრძობენ გამდიდრებას.**

**ამ თემაზე მომდევნო ნომერში ვისაუბრებთ.**

**P.P.S. ბალტიისპირელთა საპროტესტო განწყობილების ერთგვარ გამოხატვად იქცა 9 მაისის დღესასწაულის აღნიშვნა რიგაში. საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, „ათასობით ადამიანმა მიიტანა ყვავილები გამათავისუფლებელთა ძეგლთან რიგაში. მონუმენტი ყვავილებით შეამკო რიგის მერმა ნილ უშაკოვმა, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა და ცალკეულმა პოლიტიკოსებმა“.**

**პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, წლეულს მონუმენტთან გაცილებით მეტი მოქალაქეები მივიდნენ, ვიდრე წინა წლებში.**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლოვდება საკონსტიტუციო კრიზისი, რომელსაც შეუძლია, დაარღვიოს შიგა ბაზრის იურიდიული საფუძვლები: მისი პირველი ამოფრქვევა მოსალოდნელია კარლსრუეში.**

# გადარჩება თუ არა ევროზონა

**2015 წლის დასაწყისში ევროპულ არენაზე განსაკუთრებით აღსანიშნავი გახდა ორი მიოვლენა, რომლებიც უპირისპირებიან ერთმანეთს ლოგიკითაც და მთავარი მოქმედი პირებითაც. საუბარია ევროპის ცენტრალური ბანკის გეგმაზე სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებით და საბერძნეთში ჩატარებულ არჩევნებში პარტია სირიზას გამარჯვებაზე.**



**ევროკავშირის სასამართლოში ამჟამად განხილული ევროპის ცენტრალური ბანკის სავალუტო ოპერაციების პროგრამები შენელებული მოქმედების ბომბს წარმოადგენს**



დამოუკიდებელი ევროპული ინსტიტუტი გასცდა შეთანხმებების მიხედვით მისთვის მინიჭებული მანდატის ფარგლებს. საბერძნეთში კი უკიდურესი მემარცხენე პარტია არჩევნებში გამარჯვებას ევროპული შეზღუდვების მიუღებლობაზე აგებულ პროგრამას უნდა უმადლოდეს. ორივე მოვლენა წარმოადგენს ევროპული ინტეგრაციის ტენდენციების ორი ურთიერთსაპირისპირო პროცესის შედეგს, მაგრამ სათავეს საერთო წყაროდან იღებს: ფუძემდებლური ევროპული პაქტის ხელახალი გააზრებისთვის ბრძოლიდან.

ევროპის ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილება შეეფერება ეგრეთ წოდებულ ინტეგრაციის ფუნქციონალურ ლოგიკას. წევრი სახელმწიფოები თავდაპირველად საკუთარი უფლებამოსილებებით შედიან რაღაც სექტორში, რათა ამით მიაღწიონ მისი ეფექტურობის გაზრდას. მაგრამ სექტორების ინტეგრაცია განაპირობებს მუშაობის დარღვევას მის პერიფერიებზე, ამის აღსაკვეთად კი საჭიროა მომიჯნავე დარგების ინტეგრაცია. მრავალი ეკონომისტის აზრით, სავალუტო კავშირს ავტომატურად მოსდევს საბანკო კავშირი, რომელსაც, თავის მხრივ, არ შეუძლია ნორმალურად მუშაობა საბიუჯეტო კავშირების გარეშე, ამ უკანასკნელს კი უკვე ესაჭიროება საგადასახადო კავშირებიც, რომლებიც თითქმის შეუძლებელია პოლიტიკური კავშირების გარეშე. ამგვარი ლოგიკით ევროპის ცენტრალური ბანკის პოლიტიკამ, შესაძლოა, დაარღვიოს შეთანხმება, მაგრამ, ვინაიდან ეს საჭიროა ევროზონის გადასარჩენად, დარღვევა გამართლებულია.

**საარჩევნო უბნებზე ბერძენი ხალხის ბუნტი, თავის მხრივ, ეხმაურება დემოკრატიის იმ პრინციპს, რომელიც სუვერენულ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს. არ შეიძლება არსებობდეს დემოკრატია, თუ ხელისუფლების ძალაუფლება (კრატოს) ასე თუ ისე არ არის ხალხის (დემოს) კონტროლქვეშ. დემოკრატია არ არსებობს არც იმ შემთხვევაში, თუ ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას არ შესწევს უნარი იმ ყველაფრის რეალიზებისთვის, რისთვისაც აირჩიეს.**

ამ ლოგიკით, საბერძნეთის გასვლა ევროზონიდან, შესაძლოა, იქცეს ტრაგიკულ ნაბიჯად (თანაც არა მხოლოდ ბერძნების, არამედ სხვა წევრი სახელმწიფოებისა და თავად ევროპული პაქტისთვისაც კი), მაგრამ ეს არ აუქმებს მისი დემოკრატიული გადაწყვეტილების შედეგის ლეგიტიმურობას.

აუცილებლობა დემოკრატიის საწინააღმდეგოა. კი, ევროპა აქამდეც მივიდა. ევროპა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, თავს ახვევს თავის კანონებს და იმორჩილებს მათ, ვისაც მისგან თავის დაღწევა სურს. ბერძნების უმრავლესობა კატეგორიულად არ ეთანხმება სამეულის სტრუქტურული რეფორმების პროგრამას, მაგრამ ევროზონაში დარჩენა სურს, რადგან ქაოსის ეშინია...

ზოგიერთი, შესაძლოა, დაამშვიდოს იმან, რომ არჩევნებში ტრიუმფიდან სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ სირიზაში შეეშინდათ ევროზონიდან გასვლასთან დაკავშირებული ავანტიურის და საკუთარ პოზიციაზე დარჩენა არჩიეს. მაგრამ ამ შემთხვევაში სახეზეა სუვერენული ხალხის დამცირება. თუ საზოგადოებრივმა კრიზისმა ევროკავშირის ხალხს უბიძგა, რადიკალური მემარცხენეების სასარგებლოდ გაეკეთებინა არჩევანი, რამდენად შორს შეატოპინებს მას ეს დამცირება? შესაძლებელია, რომ მან მხარი დაუჭიროს ულტრამემარჯვენეებს?

სწორედ ეს წარმოადგენს დემოკრატიული პრინციპისა და ინტეგრაციის ფუნქციონალური ლოგიკის დაპირისპირების ერთ-ერთ გამოვლინებას: ეს ხალხის მიერ არჩეული პოლიტიკური განხეთქილებაა.

**დაპირისპირების კიდევ ერთი შესაძლო ვარიანტი კონსტიტუციური განხეთქილებაა. ამ შემთხვევაში საფრთხის სათავეს წარმოადგენს ყველა მაჩვენებლის მიხედვით საბერძნეთის საწინააღმდეგო ქვეყანა — გერმანია.** ზეწოლის შედეგად ისეთი დამოუკიდებელი ევროპული ორგანიზაციების ინტეგრაციის წინსვლა, როგორიცაა ევროკავშირის სასამართლო და ევროპის ცენტრალური ბანკი, განაპირობებს საკონსტიტუციო ზეწოლის გაზრდას ნაციონალური სახელმწიფოების იურიდიულ სისტემებზე.

ზემოხსენებული მიზეზებითა და ხელისუფლების ლოგიკით ევროპული შეთანხმებების ფუძემდებლური პაქტი (იმ სახით, რა სახითაც სახელმწიფოების მიერ იყო ჩაფიქრებული) ნელ-ნელა ხელახლა გაანალიზდება და გადაფასდება ზენაციონალური ინსტიტუტების მიერ. ეს ინსტიტუტები არავის აურჩევია და არ არიან დამოკიდებულნი ნაციონალურ ხელისუფლებებზე.

მაგალითად, ევროკავშირის სასამართლო 1960-იანი წლებიდან იურიდიულად ამყარებს სასარგებლო ქმედების სახელით ევროკავშირის სამართლის (შიგა ბაზარი შეუძლებელია ერთნაირი ინტერპრეტაციის და მთელი კავშირის მასშტაბით ევროკავშირის სამართლის თანაბარი რეალიზაციის გარეშე) კონსტიტუციური ხასიათის ორ პრინციპს, რომლებიც არ არის შეტანილი საკავშირო შეთანხმებებში: **პირდაპირი ქმედების პრინციპი** (ევროკავშირის სამართალი პირდაპირ გამოიყენება ნაციონალურ იურისდიქციაში) და **ევროკავშირის სამართლის უმთავრესობის პრინციპი** (ის ნაციონალურ კანონებზე მაღლა დგას, მათ შორის კონსტიტუციაზე მაღლაც).

სხვადასხვა მექანიზმის საშუალებით ის განაგრძობს მუშაობას ევროკავშირის სამართლის მოქმედების მაქსიმალური გაფართოებისთვის. ევროპის ცენტრალური ბანკი უკვე 2012 წელს სავალუტო ოპერაციების გეგმით და ახლა სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვების გეგმით იოლად უვლის გვერდს შავით თეთრზე გაწერილ აკრძალვას — გაუწიოს ფინანსური დახმარება სახელმწიფოებსა და მათ მეორად ბანკებს.

რაც უნდა იყოს, **ევროზონის გადარჩენისა და ევროკავშირის სამართლის ეფექტიანობის უზრუნველყოფის აუცილებლობა, ნაციონალური საკონსტიტუციო მოსამართლეების აზრით, არ შეიძლება იდგეს უფრო მაღლა, ვიდრე იმ სამართლებრივი სახელმწიფოსადმი პატივისცემა, რომელთა გარანტებსაც წარმოადგენენ თავად.** ყველას თავისებურად ესმის სამართლებრივი სახელმწიფო და ყველა თავისებურად ახდენს ევროკავშირის მოთხოვნების ინტერპრეტაციას.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია, დოგმატური თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე მკაცრია. გერმანია სხვა ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაზე მეტად ამყარებს თავისი პოლიტიკური რეჟიმის ლეგიტიმურობას სამართლებრივ სახელმწიფოზე, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში ხორციელდება. მან მკაცრად გააფრთხილა ევროკავშირის სასამართლო, რომ აპირებდა, არაკონსტიტუციურად ეცნო მისი და ევროპის ცენტრალური ბანკის ქმედებები შეთანხმებებთან დაკავშირებით. **ევროკავშირის სასამართლოში ამჟამად განხილული ევროპის ცენტრალური ბანკის სავალუტო ოპერაციების პროგრამები შენელებული მოქმედების ბომბს წარმოადგენს.**

ამრიგად, ევროპა ჯერჯერობით ინარჩუნებს მყიფე წონასწორობას დემოკრატიული უფსკრულის პირას. **ფუნქციური ინტეგრაციის პროცესის მუდმივი გაღრმავების შედეგად ფორმირებული ზეწოლა დემოკრატიულ პრინციპზე სამომავლოდ აბსოლუტურად მიუღებელია. და ევროპა უახლოვდება ამ პერსპექტივას, ანუ იმ პარადიგმის აღსასრულს, რომელიც ამიერიდან საკუთარ თავს ამოწურავს.**

როგორ მოიქცევა საბერძნეთი ივლისში, როდესაც საუბარი იქნება დახმარების მესამე გეგმაზე? საფრანგეთში გამართულ არჩევნებზე ვხედავთ ნაციონალური ფრონტის ახალ შედეგებს, რომლებიც ჯერ კიდევ 10 წლის წინათ რაღაც აბსოლუტურად წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა. მთელ რიგ მსხვილ რეგიონებში ხელისუფლებაში ნაციონალური ფრონტის მოსვლა ახლა სავსებით შესაძლებელია. და თვით 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე გამარჯვებაც კი არ გამოიყურება აბსურდულად. დასასრულ, **ახლოვდება საკონსტიტუციო კრიზისი, რომელსაც შეუძლია, დაარღვიოს შიგა ბაზრის იურიდიული საფუძვლები: მისი პირველი ამოფრქვევა მოსალოდნელია კარლსრუეში.**

ასეთია იმ ევროპული პროექტის ბედი, რომელიც დიდწილად ინტეგრაციის ფუნქციონალურ პროცესამდე დადის. საქმე ისაა, რომ პროცესი არ არის ფუძემდებლური აქტი. ის ერთბაშად კი არ წყვეტს კავშირს ამოსავალ წერტილთან, ანუ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის პრინციპთან, არამედ ნელ-ნელა შორდება მას და სულ უფრო მეტ დაძაბულობას ქმნის. „ევროპის ხალხთა კიდევ უფრო მჭიდრო კავშირის ფორმირების მიზანში დევს შიგა წინააღმდეგობა, რომელიც საბოლოო კრახს განაპირობებს.

რა საფუძველი აქვს პოლიტიკურ ევროპას? — ევროპელები ველარ შეძლებენ, მომავალშიც გაექცნენ ამ კითხვას. ადრე თუ გვიან აუცილებელი გახდება საკონსტიტუციო (სუვერენიტეტი) ან საბიუჯეტო (სახელმწიფო ხელისუფლება) ხასიათის ნახტომი, რომელიც გარდაქმნის ევროკავშირის პოლიტიკურ ბუნებას. წინ კიდევ 10 წელიწადია.

Slate.fr

მოკლედ



## ბრიტანეთი ევროკავშირიდან გასვლას რეფერენდუმზე გადაწყვეტს

**საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ბრიტანეთის პრემიერმა დევიდ კემერონმა განაცხადა, რომ ქვეყანაში გაიმართება რეფერენდუმი, რომელიც გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირში დარჩენის საკითხს გადაწყვეტს.** განცხადებას უკვე გამოეხმაურა ევროპული საბჭოს პრეზიდენტი დონალდ ტუსკი, რომელიც პირობას დებს, რომ ბრიტანეთის პრემიერის გადარწმუნებას შეეცდება. ტუსკის თქმით, ბრიტანეთი ევროკავშირის ჩამოყალიბებაში, ასევე ევროპის საერთო პრინციპების მხარდაჭერაში, გადამწყვეტ როლს თამაშობს.



**ევროპის გარდა, ექსპანსიისთვის შესაბამისი მიმართულება პლანეტაზე არ მოიძებნება. ევროპული ეკონომიკისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის კავშირების გასანადგურებლად მოეწყო მთელი უკრაინული ეპოპეა, ამავე მიზნით გადაიბუგა ახლო აღმოსავლეთი — რაც მეტი ომია რეგიონში, მით ნაკლებია ევროპული ვაჭრობა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ ევროკავშირის დასაპყრობად ომობს

**აშშ ომობს, ომობს არა მხოლოდ ავღანეთში, ერაყსა და უკრაინაში. ამერიკა ომობს არა ისლამის ან რუსეთის წინააღმდეგ, მისი ომის მიზანი ევროკავშირია. წარსულის ომებისგან განსხვავებით, მას აინტერესებს არა ევროპის ტერიტორია, არამედ მისი ფინანსური სიმდიდრები. აშშ-ს ძალიან სჭირდება ფული, ბევრი ფული. სოციალიზმის ამერიკული ვერსია ძალიან ძვირი ღირს. ფერგიუსონსა და ბალტიმორში განვითარებული მოვლენები კი თვალნათლივ წარმოაჩენს, თუ რა ელის ამერიკას, თუ სოციალური პროგრამებისთვის ფული გამოელევა.**



რასაც უნდა ამბობდეს მასმედია რასიზმსა და პოლიციურ დაუნდობლობაზე, მიმდინარე მოვლენების ფესვები სულ სხვაგანაა გადგმული. ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ჩვეულებრივი სოციალური შეთანხმება ამერიკაში საბოლოოდ დაემსგავსა იმპერიის აღსასრულის პერიოდის ძველ რომს. **თუ 1950-იან წლებში საბიუჯეტო ხარჯები იკავებდა ამერიკის საერთო შიგა პროდუქტის 24%-ს, ახლა ეს მაჩვენებელი 40%-ს აჭარბებს. ყოველწლიურად იზრდება ამერიკის ეკონომიკის დამოკიდებულება საბიუჯეტო ფულზე. რაზე იხარჯება ეს ფული?**

2011 წელს აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის ხარჯვითმა ნაწილმა 3,6 ტრილიონი დოლარი შეადგინა, შემოსავალმა კი — 2,3 ტრილიონი დოლარი. 1,3 ტრილიონი დოლარის სხვაობა იქცა საბიუჯეტო დეფიციტად, რომელიც სახელმწიფო ვალების ხარჯზე დაიფარა. **2014 წლის ნოემბრისთვის ამერიკის სახელმწიფო ვალის საერთო მოცულობამ 17,9 ტრილიონს მიაღწია. ეს დაახლოებით შეადგენს ქვეყნის საერთო შიგა პროდუქტის 109,9%-ს.**

ნებისმიერი ვალი საჭიროებს მომსახურებას, თუნდაც პროცენტების გადახდის სახით. საშუალოდ მსოფლიოში სახელმწიფო ვალების მომსახურება სახელმწიფოებს, თუნდაც იგივე გერმანია, 2,5-3% უჯდებათ, ანუ ყოველწლიურად აშშ-მა ბიუჯეტიდან 537 მილიარდ დოლარზე მეტი — მისი საშემოსავლო ნაწილის მეოთხედი ან ხარჯვითი ნაწილის 15% უნდა იხადოს, მაგრამ რეალურად ამერიკა ხაზინის საერთო გასავლების მხოლოდ 12,6%-ს იხდის. ეს შესაძლებელი ხდება იმის წყალობით, რომ ამერიკა თვითონ ბეჭდავს დოლარებს და ადგენს მათზე სააღრიცხვო განაკვეთს.

**თითქმის ათი წლის მანძილზე ფედერალური სარეზერვო სისტემა ახორციელებდა რაოდენობრივი შერბილების პროგრამებს, ანუ ჰაერიდან არიგებდა ფულს და ამცირებდა სააღრიცხვო განაკვეთს. ამჟამად ის შეადგენს 0,25%-ს და ამ მაჩვენებელზე დგას 2008 წლიდან.** ფედერალური სარეზერვო სისტემა მას დიდი სიამოვნებით გადაიტანდა უარყოფით ნაწილში, მაგრამ ეს გამოიწვევდა ამერიკის ყველა საპენსიო ფონდის — აშშ-ის სავალე ვალდებულებების ძირითადი მფლობელების გაკოტრებას. **სახელმწიფო ვალის მომსახურების საფასური ხელოვნურად დაწეულია 16%-ით. კიდევ 18,8%-ს (678,1 მილიარდი დოლარი) ბიუჯეტი თავდაცვის სამინისტროს საჭიროებებზე ხარჯავს.**

ყველაზე საინტერესო რამ ამის შემდეგ იწყება. ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურების სამინისტრო ხარჯავს 891,2 მილიარდ დოლარს, სოციალური დაცვის სამმართველო — 784,2 მილიარდს. ეს შესაბამისად 24,7 და 21,8 პროცენტია. აღნიშნულ ციფრებს უნდა დაემატოს შრომის სამინისტროს ხარჯები, რომელიც 135 მილიარდ დოლარს შეადგენს (უმუშევართა დახმარება) და ვეტერანთა საქმეების სამინისტროს ხარჯი 126,9 მილიარდი, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც ფერმერების დოტაციებზე 139,4 მილიარდს ხარჯავს. ამრიგად, თუ ყველაფერს გავაერთიანებთ, დაახლოებით ასეთ სურათს მივიღებთ: სამხედროებს — 18,8%, სახელმწიფო ვალის მიმსახურებას — 12,6%, ათასგვარ სოციალურ პროგრამას — 57,6%, სხვა ყველაფერს ერთად კი — 11%.

ბიუჯეტის ამგვარი განაწილება განა სოციალიზმი არ არის? **ოფიციალურად ამერიკა სიამაყით აცხადებს, რომ მრავალი წლის განმავლობაში უმუშევრობის ყველაზე დაბალ დონეს — 6,7%-ს მიაღწია, ანუ 229 მილიონი შრომისუნარიანი მოსახლიდან მხოლოდ 15,3 მილიონი არ არის (თუნდაც ნაწილობრივ) დასაქმებული.**

სინამდვილეში გაცილებით უფრო მძიმე სურათია. აქ გათვალისწინებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ან მუშაობს, ან ვერ შოულობს სამსახურს არაუმეტეს 6-8 თვის განმავლობაში. ყველა, ვისაც ერთ წელზე მეტია, სამსახური არ აქვს, სამუშაო ძალის შემადგენლობაში, უბრალოდ, არაა გათვალისწინებული. არადა, აშშ-ში ასეთი 4 მილიონზე მეტი ადამიანია. ამ და სხვა დაუთვლელი კატეგორიების გათვალისწინებით ამერიკაში უმუშევრობის დონე სინამდვილეში აღწევს 9,2-9,5%-ს, ანუ დაახლოებით 21,75 მილიონ ადამიანს. ყველა მათგანი დახმარებას იღებს.

სოციალური დაცვის სამმართველო დაახლოებით 60 მილიონ ინვალიდს უხდის დახმარებასა და პენსიას. უფრო მეტიც, რაიმე სახის სოციალურ დახმარებას ამერიკის შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 42% იღებს. იმავე რაოდენობის ადამიანები, როგორც ღარიბები, არ იხდიან გადასახადებს.

**ამერიკელი მოსახლეობის 6%-ს დაბადებიდან არასდროს უმუშავია და არც აპირებს. მათ აქვთ სახლი, მანქანა, კომპიუტერი, უფასო ინტერნეტი და უფასო საშუალო განათლება. ამერიკაში მოსახლეობის 14,3% ოფიციალურადაა ღატაკად აღიარებული და ამ ადამიანების უმეტესობისთვის ეს სტატუსი მომგებიანია.** როდესაც სახელმწიფო ზრუნავს, რომ ყველაზე ღატაკებიც იყვნენ დანაყრებული, ჩაცმული და უზრუნველყოფილი, ეს უდავოდ კარგია, მაგრამ ვისი ჯიბიდან აანაზღაურებს ამერიკა ამ ხარჯებს?

**პრობლემა ისაა, რომ აშშ-ს აღარ შეუძლია, მანიპულაციებით შეიმსუბუქოს სახელმწიფო ვალის მომსახურების სიმძიმე, რადგან ეს გაანადგურებს ამერიკის მთელ საპენსიო სისტემას. ფედერალურ სარეზერვო სისტემასაც აღარ შეუძლია, განაგრძოს ჰაერში გაჩენილი ფულის ჩაყრა ეკონომიკაში, რადგან არსებობს ინფლაციის ზრდის რისკი.** ეს განაპირობებს სოციალური დახმარებების მოცულობის გაზრდას, ანუ კიდევ უფრო გაზრდის საბიუჯეტო დეფიციტს. ამ შემთხვევაში ბალტიმორში მომხდარი დაემსგავსება საბავშვო გართობას, რადგან ძირითადად თეთრკანიანები მუშაობენ, სოციალური დახმარებების მიმღებთა 2/3 და მათი 3/4, ვინც მხოლოდ ამ დახმარებებით ცხოვრობს, ფერადკანიანია. ამ ყველაფერთან ერთად, პოლიტკორექტულობისა და მულტიკულტურიზმის პროგრამების წყალობით, ეს ფერადკანიანები დარწმუნებულნი არიან, რომ ყველა თეთრკანიანს ტოტალური დანაშაული მიუძღვის ყველა შავკანიანის წინაშე მონობის გამო.

ამერიკის ვალის გაზრდაც აღარ გამოდის. თუ ადრე US Treasuries-ს მფლობელები სხვადასხვა სახელმწიფოები და საინვესტიციო ფონდები იყვნენ, უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე მათი მყიდველი ფედერალური სარეზერვო სისტემაა. ამერიკის საგარეოპოლიტიკური მარცხების გამო დოლარის ვალებიდან გადის ყველა მსხვილი კრედიტორი. 50 მილიარდი დოლარის ღირებულების ამერიკის სახელმწიფო ობლიგაციები ჩინეთმა მოიშორა, 57 მილიარდისა — რუსეთმა. გაყიდვა დაიწყეს სხვა სახელმწიფოებმაც. ამერიკული ვალები ჯერ კიდევ ყველაზე საიმედოდ ითვლება მსოფლიოში, მაგრამ ამ რეპუტაციის შესანარჩუნებლად მათი დიდი ნაწილის შესყიდვა ფედერალურ სარეზერვო სისტემას უწევს.

**ვაშინგტონს ბიუჯეტის შევსების ერთადერთი გზა რჩება — ამერიკული კორპორატიული ბიზნესის მასშტაბების გაზრდა.** შიგა ბაზარზე ბოლო 15 წლის განმავლობაში კრიტიკული სიმჭიდროვეა, ზრდისა და განვითარებისთვის ახალი კონტინენტია საჭირო, საკმაოდ დიდი და მდიდარი კონტინენტი.

**ევროპის გარდა, ექსპანსიისთვის შესაბამისი მიმართულება პლანეტაზე არ მოიძებნება. ევროპული ეკონომიკისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის კავშირების გასანადგურებლად მოეწყო მთელი უკრაინული ეპოპეა, ამავე მიზნით გადაიბუგა ახლო აღმოსავლეთი — რაც მეტი ომია რეგიონში, მით ნაკლებია ევროპული ვაჭრობა.** ირანის, სირიისა და იემენის ირგვლივ მდგომარეობის გამწვავება კეტავს სატრანსპორტო მაგისტრალს სუეცის არხის გავლით ჩინეთისკენ. ეს, სულ მცირე, გააძვირებს ტვირთბრუნვის დაზღვევას და ძლიერ დარტყმას მიაყენებს ისედაც ძლივსლა მფეთქავ ევროკავშირის ეკონომიკას, ევროკავშირისა, რომელიც ჯერ კიდევ უარს ამბობს ტრანსატლანტიკური ვაჭრობის თავისუფალ ზონაზე, რომლისთვისაც იბრძვის ამერიკა.

**ტრანსატლანტიკური ვაჭრობის თავისუფლაი ზონა არის ამერიკის გადარჩენის ერთადერთი გზა და ამერიკული სოციალიზმის შენარჩუნების ერთადერთი ვარიანტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც ხელისუფლება ველარ გასცემს სასურსათო ტალონებს და სამუდამოდ უმუშევრებს უფასო ინტერნეტს გაუთიშავს, ქუჩაში მარადიორობისა და ნგრევალეწვისათვის, ორიოდე ათასი ადამიანი კი არა, ორიოდე ათეული მილიონი ადამიანი გამოვა და წერტილს დაუსვამს ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოს, არსებობას. აშშ-ისთვის ერთადერთი გამოსავალი ევროპის დაპყრობაა...**

cont.ws

**თუ 1950-იან წლებში საბიუჯეტო ხარჯები იკავებდა ამერიკის საერთო შიგა პროდუქტის 24%-ს, ახლა ეს მაჩვენებელი 40%-ს აჭარბებს. ყოველწლიურად იზრდება ამერიკის ეკონომიკის დამოკიდებულება საბიუჯეტო ფულზე. რაზე იხარჯება ეს ფული?**

მოკლედ



## ამერიკელთა სატელეფონო მოსმენები უკანონოდ გამოცხადდა

**ნიუ იორკის ფედერალურმა სასამართლომ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ ამერიკის მოქალაქეთა სატელეფონო მონაცემების მიყურადება და ინფორმაციის შეგროვება უკანონოდ გამოაცხადა.** მოსამართლეებმა დაადგინეს, რომ NSA თავისი ქმედებებით კონგრესის მიერ მიღებული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამის საზღვრებს გასცდა. ვერდიქტის მიხედვით, ტელეფონების მეშვეობით მონაცემების სისტემატური მოპოვება წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უხეშ დარღვევას. ამავე დროს, მოსამართლეებმა NSA-ს ქმედებები არ შეაფასეს, როგორც ცალსახად ანტიკონსტიტუციური. ვერდიქტში ხაზგასმულია, რომ მოქალაქეთა პირადი ცხოვრების, ასევე, პოლიტიკური და რელიგიური კუთვნილების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად სპეცსამსახურს კონგრესისაგან უფლების მიღება სჭირდებოდა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის სპეცსამსახურებმა ჩრდილოეთ სუდანში სახალხო მღელვარებები მოაწყვეს, ხელისუფლება ამ მღელვარებებს ძალზე სასტიკად ახშობდა, მაგრამ ხალხი არ ცხრებოდა, მათ სათავეში ედგა საკმაოდ ძლიერი ოპოზიცია, რომელიც დასავლეთის მხრიდან მგრძნობიარე მხარდაჭერით სარგებლობდა.**

# დიდი აფრიკული ხაფანგი

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ვაშინგტონმა გაააქტიურა ქმედებები აფრიკაში გავლენის გასაძლიერებლად. პირველები მის თვალთახედვაში მოხვდნენ სუდანი და ეთიოპია, რომლებიც წარსულში აქტიურად თანამშრომლობდნენ საბჭოთა კავშირთან.**



## სუდანის კრიზისი

1983 წელს სამოქალაქო ომმა სუდანი ორ ნაწილად გახლიჩა: ჩრდილოეთი — მუსლიმანური და სამხრეთი — პირობითად ქრისტიანული.

ამერიკის შეერთებული შტატები თავდაპირველად მხარს უჭერდა ხართუმის ხელისუფლებას, რომელმაც მის კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიაზე შარიათის კანონები დააწესა, რამაც მხოლოდ გაამწვავა ისედაც გაცხარებული ბრძოლები. ომს სახელად დაერქვა „მეორე სამოქალაქო“ და გრძელდებოდა დაახლოებით 22 წლის განმავლობაში, 2005 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში შიმშილის, ავადმყოფობის, ეგზეკუციისა და საომარი მოქმედებების გამო 2 მილიონზე მეტი ადამიანი გარდაიცავა, 4 მილიონზე მეტი კი — დევნილად იქცა.

სუდანში მოვლენები კრიზისულად ვითარდებოდა.

1989 წელს ჩრდილოეთ მუსლიმანურ ნაწილში სამხედრო გადატრიალება მოხდა, ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს უფრო რადიკალურმა ისლამისტმა ფუნდამენტალისტებმა. ამჯერად აშშ-მა გადაწყვიტა, მხარი დაეჭირა სამხრეთელ ამბოხებულთათვის.

1990 წელს ამერიკული კომპანია Chevron-ის მიერ სუდანში ნავთობის საბადოს გახსნამ ცეცხლზე ნავთი დაასხა.

ომმა უფრო გაცხარებული სახე მიიღო სწორედ ნავთობის რაიონებში, ყველა მხარე ცდილობდა ამ რაიონების გაკონტროლებას. ამერიკელ მენავთობეებს საბრძოლო მოქმედებები ხელს უშლიდა ნავთობის მოპოვებაში და 1994 წელს აშშ-ის ზეწოლით სუდანის ისლამურ ხელისუფლებასა და სამხრეთსუდანელ მეამბოხეებს შორის გაფორმდა დეკლარაცია ქვეყნის ახალი სახელმწიფო წყობის შესახებ. დოკუმენტი ძალაში შევიდა 1997 წელს, კვლავაც აშშ-ის და მისი ნატოელი მოკავშირეების ზეწოლით. მაგრამ მუსლიმანური ჩრდილოეთის მმართველები სიტყვაძუნწები აღმოჩნდნენ. რეაქციამ არ დააყოვნა. **აშშ-ის სპეცსამსახურებმა ჩრდილოეთ სუდანში სახალხო მღელვარებები მოაწყვეს, ხელისუფლება ამ მღელვარებებს ძალზე სასტიკად ახშობდა, მაგრამ ხალხი არ ცხრებოდა, მათ სათავეში ედგა საკმაოდ ძლიერი ოპოზიცია, რომელიც დასავლეთის მხრიდან მგრძნობიარე მხარდაჭერით სარგებლობდა.**

1998 წელს ამერიკული ავიაცია ბომბავდა ჩრდილოეთ სუდანის დედაქალაქ ხართუმს. ამის კვალდაკვალ ხართუმის პარლამენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც ამტკიცებდა მრავალპარტიულობას და ოპოზიცია დაშვებულ იქნა არჩევნებზე, მაგრამ ომი გრძელდებოდა.

მხოლოდ 2005 წელს მივიდნენ შეთანხმებამდე ჩრდილოეთი და სამხრეთი, შეეწყვიტათ შეიარაღებული დაპირისპირება. მიღწეულ იქნა შეთანხმება გარდამავალი პერიოდის შესახებ. მშვიდობიანი პროცესი ძალზე დიდხანს ვითარდებოდა. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ 2011 წლის რეფერენდუმის შემდეგ სამხრეთ სუდანმა დამოუკიდებლობა მიიღო, მაგრამ ამან ამ დრომდეც ვერ მოუტანა მშვიდობა ვერც სამხრეთის და ვერც ჩრდილოეთის ხალხებს. ამერიკა მხარს უჭერს, მათ შორის სამხედრო სფეროშიც, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს. ორივე ხელისუფლება დიდწილადაა დამოკიდებული ამერიკის მხრიდან სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებაზე და, მიუხედავად იმ უმდიდრესი ბუნებრივი რესურსებისა, რომელთაც სუდანი ფლობს (მართალია, ნავთობს სამხრეთ სუდანში მოიპოვებენ, მაგრამ ყველა ნავთობსადენი და ნავთობტერმინალი ჩრდილოეთ სუდანის ტერიტორიაზეა), ორივე მხარე ჩაფლულია სიღატაკესა და კორუფციაში შესაბამისი შედეგებით.

## ომი ეთიოპიაში

სუდანის მეზობელი ეთიოპია არანაკლებ სასტიკი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა.

1993 წელს ორწლიანი სამოქალაქო ომის შედეგად ქვეყანა ორ ნაწილად გაიხლიჩა: სამხრეთი — მუსლიმანური, რომელმაც შეინარჩუნა ძველი სახელწოდება და ჩრდილოეთი — პირობითად, ქრისტიანული, რომელსაც მსოფლიო ერითრიის სახელით იცნობს. აღსანიშნავია, რომ ორივე ახალი სახელმწიფო იყო და ამ დრომდე რჩება ამერიკის მოკავშირედ.

**2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-ის სპეცსამსახურებმა ეთიოპიის ტერიტორიაზე შექმნეს სომალის ოპოზიციის ბოევიკების საწვრთნელი ბანაკები**

1996 წელს აშშ-ის ზეწოლით ერითრიამაც და ეთიოპიამაც მონაწილეობა მიიღო სუდანში მიმდინარე სამოქალაქო ომში. მათი გაერთიანებული სახმელეთო ჯარების მოქმედებებს მხარს უჭერდა ამერიკის ავიაცია. 1998 წელს კი აშშ-ის ორივე მოკავშირემ ერთმანეთს შორის გააჩაღა ომი. იმავე წელს ეთიოპიის ჯარისკაცებმა დატოვეს სუდანი, 1999 წლის 2 მაისს კი ერითრიამ გაიყვანა იქიდან საკუთარი ჯარები.

**2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-ის სპეცსამსახურებმა ეთიოპიის ტერიტორიაზე შექმნეს სომალის ოპოზიციის ბოევიკების საწვრთნელი ბანაკები. ასევე ავიაციის მოქმედებისთვის, მათ შორის სომალისა და იემენის წინააღმდეგ უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებისათვის, სათანადოდ აღიჭურვა ქვეყნის აეროდრომები.**

2006 წელს ამერიკელთა ზემოქმედების შედეგად ეთიოპიამ ჯარი შეიყვანა სომალიში და ამ დრომდეც არ გაუყვანია. დღეისათვის მშვიდობიანი ურთიერთობა ეთიოპიას, ერითრიასა და სუდანს შორის კვლავაც არ არის და, რაც კიდევ უფრო უარესია, ამ მშვიდობიანი ურთიერთობებისკენ მიმავალ პროცესში რაიმე პროგრესი არ შეინიშნება და, სავარაუდოდ, არც ახლო მომავალშია მოსალოდნელი მდგომარეობის დარეგულირება.

## ექსპანსია სომალიში

1993 წლის გაზაფხულზე აშშ-მა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში სომალის მთელ რიგ ოპერაციებში მიიღო მონაწილეობა. ამერიკელმა სამხედროებმა განახორციელეს ექვსი რეიდი ერთ-ერთი უმსხვილესი შეიარაღებული საბრძოლო დაჯგუფების ლიდერის — გენერალ აიდიდის გასანეიტრალებლად. საბოლოო რეიდი განხორციელდა 1993 წლის 3-4 ოქტომბერს სომალის დედაქალაქ მოგადიშოში. ამ ოპერაციაში აშშ-ის მხრიდან 160 სპეცრაზმელი მონაწილეობდა. მათ მხარს უჭერდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობისმყოფელები. ყველა მცდელობა წარუმატებლობით დასრულდა. ამერიკელი ჯარისკაცების დანაკარგებმა შეადგინა: 18 მოკლული, 73 დაჭრილი, ერთი ადამიანი ტყვედ ჩავარდა. გარდა ამისა, ბოევიკებმა ჩამოაგდეს „ბლექ ჰოკის“ ორი ვერტმფრენი და დაწვეს ერთი სატვირთო მანქანა. ამ შემთხვევის შემდეგ ამერიკელებს თავიანთი სახმელეთო ძალებით სომალიში სახმელეთო ოპერაციები აღარ განუხორციელებიათ, ხოლო 1994 წლის მარტში ქვეყნიდან ევაკუირებულ იქნა აშშ-ის შეიარაღებული ძალების მთელი კონტიგენტი.

**2000 წლის დასაწყისისათვის ქვეყანაში გაჩნდა ძლიერი რადიკალური საზოგადოება „ისლამური სასამართლოების ორგანიზაცია“, რომელმაც პირდაპირი დახმარება მიიღო მუსლიმანური ქვეყნებისგან, მათ შორის საუდის არაბეთისა და სპარსეთის ყურის ქვეყნებისგანაც.**

2004 წელს აშშ-ის სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა მოახერხეს, რომ სომალის ოპოზიციის საველე მეთაურები, რომლებიც „ისლამური სასამართლოების ორგანიზაციის“ წინააღმდეგ იბრძოდნენ, გარდამავალი ხელისუფლების ჩამოყალიბებაზე დაეთანხმებინათ. იმავე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ჩინოვნიკების ინიციატივით ამბოხებულთა დაჯგუფებები, სინამდვილეში იგივე ტერორისტები და ბანდიტები, ფორმალურად გაერთიანდნენ ალიანსში მშვიდობის აღსადგენად და ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

იმავე წელს ამერიკელების ზეწოლით აფრიკულმა კავშირმა ეს ეფემერული ხელისუფლება აღიარა, მაგრამ სიმართლე ისაა, რომ ამ ეგრეთ წოდებულ ხელისუფლებას ერთი დღეც არ უარსებია რაღაც მთლიანის სახით. საველე მეთაურები ცდილობდნენ, დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ. შედეგად, 2006 წლის ივლისში „ისლამური სასამართლოების ორგანიზაციის“ რაზმებმა აიღეს მოგადიშო, 12 დეკემბრისათვის კი ისლამისტები უკვე ქვეყნის მთელ ტერიტორიას აკონტროლებდნენ.

**2007 წლის დასაწყისში სომალიში ეთიოპიის, ავტონომიური პუნტლენდისა და ოპოზიციის ჯარები შეიჭრნენ. აშშ-ის ავიაციამ ჰაერიდან მიაყენა დარტყმები ისლამისტებს. ამის შემდგომ ვაშინგტონი აფრიკული კავშირის ჯარისკაცების ჩართვას გეგმავდა, მაგრამ ამ ჩანაფიქრიდან არაფერი გამოვიდა. ომის სიმძიმე ძირითადად ეთიოპიის სამხედრო შეიარაღებულ ძალებს დააწვა.**

2008 წლის აგვისტოში ომის პერიოდში ძალამოკრებილი უკიდურესად რადიკალური ორგანიზაცია „ელ-შაბაბი“ გამოეყო „ისლამური სასამართლოების ორგანიზაციას“ და აშშ-ის მიერ ჩამოყალიბებული კოალიციის წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლა დაიწყო.

ამჟამად სომალის გარდამავალი ხელისუფლება, რომელმაც ასეც ვერ მიაღწია ერთიანობას, მხოლოდ ეთიოპიური ხიშტების წყალობით ინარჩუნებს პოზიციებს. ამასთანავე, ქვეყანაში ძალებს იკრებენ მრავალრიცხოვანი ჯიჰადისტური დაჯგუფებები. ამ ტალღაზე კვლავაც გაიზარდა „ისლამური სასამართლოების ორგანიზაციის“ გავლენა. ამასთან, ისლამური სახელმწიფოების მხრიდან სომალისთვის გაწეული დახმარება საბოლოო ჯამში ჯიჰადისტების წისქვილზე ასხამს წყალს. მაგალითად, არაბეთის გაერთიანებული საემიროები — აშშ-ის მოკავშირე — Somali Telecom Association-ის აქციების უმსხვილესი მფლობელია, თავის მხრივ Somali Telecom Association-ი კი „ისლამური სასამართლოების ორგანიზაციას“ აფინანსებს.

შედეგად, აფრიკული რქის ქვეყნების — ჩრდილოეთ და სამხრეთ სუდანის, სომალისა და ეთიოპიის ხელისუფლებები გრდემლსა და უროს შორის აღმოჩნდნენ და ახლა თავიდან ბოლომდე აშშ-ის მხარდაჭერაზე არიან დამოკიდებულნი.

სიტუაცია გაამწვავა 2009 წლის უდიდესმა გვალვამ და

---

მოკლედ



## ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი გადადგა

**ისრაელის პარტიის „ისრაელი ჩვენი სახლია“ ლიდერმა ავიგდორ ლიბერმანმა, რომელიც ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრია, თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განაცხადა.** ლიბერმანმა პარტიის სპეციალურ სხდომაზე უარი განაცხადა პრემიერ ბენიამინ ნეთანიაჰუს მომავალ მთავრობაში ყოფნაზე. „ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ვმსჯელობდით და მივედით დასკვნამდე, რომ იმ სამთავრობო კოალიციასთან მიერთება, რომლის ფორმირებაც პრემიერმა მიმდინარე კვირაში უნდა განახორციელოს, არასწორი იქნებოდა“, — აღნიშნა ლიბერმანმა. მისი თქმით, მისმა პარტიამ კოალიციური მოლაპარაკებების მსვლელობისას ყველაფერი მიიღო, რაც პორტფელებსა და ბიუჯეტებს ეხება, მაგრამ, ლიბერმანის განცხადებით, ამჟამინდელი მთავრობის წევრები არიან ოპორტუნისტები და არა ეროვნული ხელმძღვანელები.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-ისა და მისი ნატოელი მოკავშირეების ექსპანსიის სამაგალითო მსხვერპლად ლიბია იქცა. 2011 წელს არაბული გაზაფხულის ტალღაზე ის ქაოსის მორევში იქნა ჩათრეული.

ამის შემდგომ დაწყებულმა შიმშილის პერიოდმა, რომელმაც სუდანი და ეთიოპია მთლიანად მოიცვა, ხოლო 2011 წელს ანალოგიურმა უბედურებამ მთელი აღმოსავლეთ აფრიკა, მათ შორის სომალი, კენია, ეთიოპია, უგანდა და ჯიბუტი გაანადგურა. ამ უკანასკნელ კატაკლიზმს ასი ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის კი ყოველივე ზემოხსენებული ძალიანაც ხელსაყრელი იყო.

## ლიბია და მალი

**აშშ-ისა და მისი ნატოელი მოკავშირეების ექსპანსიის სამაგალითო მსხვერპლად ლიბია იქცა. 2011 წელს არაბული გაზაფხულის ტალღაზე ის ქაოსის მორევში იქნა ჩათრეული.**

2011 წლის 15 თებერვალს დაიწყო მღელვარებები, უფრო ზუსტად კი სამხედრო ამბოხებები ლიბიის მსხვილ ქალაქებში. 18 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭომ აშშ-ის ზეწოლით მიიღო რეზოლუცია №1973, ხოლო 19 თებერვალს საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ლიბიის სამხედრო და სამრეწველო ობიექტებზე ავიადარტყმების განხორციელება დაიწყეს.

აშშ და დიდი ბრიტანეთი საჰაერტო დაზვერვას ახორციელებდნენ საომარი მოქმედებების მთელ ტერიტორიაზე. 20 ოქტომბერს კადაფი მოკლეს, მეამბოხეების ერთ-ერთი ორგანიზაცია — გარდამავალი ნაციონალური საბჭო — ფორმალურად მოვიდა ხელისუფლებაში. ნატოს ძალების სახმელეთო ოპერაცია შემოიფარგლებოდა აშშ-ის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის სპეცდანიშნულების რაზმების მოქმედებებით, სახმელეთო ძალების სახით, ძირითადად, მეამბოხეები (იგივე ბანდიტები) გამოიყენებოდნენ.

**ლიბიაში მიმდინარე მოვლენების შედეგები პირველმა საკუთარ თავზე საფრანგეთის ყოფილმა კოლონიამ, რესპუბლიკა მალიმ იწვნია.**

თავისი ხანმოკლე პოსტკოლონიური ისტორიის მანძილზე ეს ქვეყანა განუწყვეტლივ იდგა ჩრდილოელი თემების ამბოხების საფრთხის წინაშე. ამ თემებს შორის უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენდნენ ტუარეგები, რომელთაც სურდათ, საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფო აზავადი შეექმნათ. მათი ჩანაფიქრისა და სურვილების მიხედვით, ამ სახელმწიფოს საზღვრებს უნდა მოეცვა მალის ჩრდილოეთი ნაწილი, ალჟირის სამხრეთი, მავრიტანიის აღმოსავლეთ პროვინციები და ნიგერის ჩრდილოეთ რაიონები. ეს ამბოხებები, ფაქტობრივად, შეუჩერებლად მიმდინარეობდა.

ამ რეგიონში, ისევე, როგორც მთელ აფრიკაში, კოლონიალიზმის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებულ სახელმწიფოთა საზღვრები გაივლო ეთნოსების საცხოვრებელი ტერიტორიებისა და მომთაბარე ტომების გზების გაუთვალისწინებლად, რომელმაც ეთნიკებს შორის კონფლიქტებისათვის მდიდარი ნიადაგი შექმნა.



## დასავლეთი, ცენტრალური და სუბეკვატორული აფრიკა ერთბაშად გახდა აშშ-ისა და მისი მოკავშირეების სამხედრო დახმარებაზე დამოკიდებული

მალის ჩრდილოეთის თემთა საომარი აქტივობა მრავალჯერ გაიზარდა კადაფის რეჟიმის დამხობის შემდეგ. ტუარეგები, რომლებმაც ლიბიის არმიაში მსახურების შემდეგ სოლიდური არსენალი გააყოლეს ხელს, სამხრეთისა და დასავლეთისკენ წავიდნენ. გარდა ამისა, ლიბიის არმიის იარაღის საწყობებიდან არაერთი აღმოჩნდა მთელი ჩრდილოეთ აფრიკის ისლამისტი ბოევიკების მრავალრიცხოვანი დაჯგუფებების ხელში. ამ იარაღმა მყიდველები ლიბიიდან დიდი მანძილის დაშორებით იპოვა: მალიში, ნიგერიაში, კამერუნში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, სამხრეთ სუდანსა და სომალიში.

2012 წლის დასასრულს ტუარეგებმა მორიგი ამბოხი წამოიწყეს და მალის სამხრეთს შეუტიეს. სახელისუფლო ჯარი შეირყა მომთაბარეთა ზეწოლით და უკან დახევა დაიწყო. აფრიკული კავშირის გაერთიანებული სამხედრო ჯგუფის დიდი ძალისხმევის შედეგად ამბოხებულები შეაჩერეს რესპუბლიკის დედაქალაქის მისადგომებთან, ქალაქ ბომაკოსთან, მაგრამ ომში გარდატეხა მხოლოდ ფრანგული სამხედრო ექსპანსიის წყალობით მოხდა. მალიში ისლამისტების შეტევა საბოლოოდ შეჩერებულ იქნა, მათი ძირითადი ძალები კი დაიფანტა საფრანგეთის სამხედრო-სახმელეთო კონტიგენტის (დაახლოებით 4000 შუბი) ძალისხმევით. ფრანგი სამხედრო მრჩეველების დახმარებით აღდგენილ იქნა მალის არმიის ბრძოლისუნარიანობა.

**საფრანგეთის პრეზიდენტი, იღებდა რა გადაწყვეტილებას მალიში სამხედრო შეჭრის შესახებ, არწმუნებდა საფრანგეთისა და მსოფლიო საზოგადოებას, რომ მეხუთე რესპუბლიკის ჯარისკაცები იქ არაუმეტეს ერთ თვეს დარჩებოდნენ. ეს 2013 წლის იანვრის დასაწყისში ხდებოდა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა.** ოპერაცია „სერვალი“ ოფიციალურად დაასრულეს, მაგრამ საფრანგეთის ჯარები მალიში დარჩა იმ ახალი ოპერაციის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაა „ბარხანი“. საქმე ისაა, რომ მალისა და მის მოსაზღვრე ნიგერში არის ურანის უმდიდრესი საბადოები, რომელთა დამუშავებასაც ახორციელებს საფრანგეთის ატომური ენერგეტიკის ფლაგმანი კონცერნი Areva. საფრანგეთში ატომური ელექტროსადგურები ელექტროენერგიის 80%-ს იძლევიან, კონცერნი კი არის გამდიდრებული ურანის, რეაქტორებისა და ატომური ელექტროსადგურების აღჭურვილობის უმსხვილესი მწარმოებელი მსოფლიოში.

ექსპერტების აზრით, ფრანგული სპეცსამსახურები დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდნენ შექმნილ მდგომარეობას. სწორედ მათ და მათმა ამერიკელმა კოლეგებმა შეუწყეს ხელი ტუარეგების ამბოხს მალიში. საფრანგეთი რეგიონში სამხედრო დასწრებისაკენ მიისწრაფვის, რათა იქ კონკურენტები არ დაუშვას. მალის ხელისუფლება კი მხოლოდ ფრანგულ ხიშტებზე დგას და ახლა უკვე მთლიანად დასავლეთის მხარდაჭერაზეა დამოკიდებული.



## არაბული გაზაფხულის გამოძახილი

კადაფის რეჟიმის დამხობის შემდეგ ჯიჰადისტურმა შეიარაღებულმა ორგანიზაციებმა გააქტიურება დაიწყეს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ნიგერში, კამერუნსა და განსაკუთრებით ნიგერიაში.

**ყველაზე სასტიკი ორგანიზაცია „ბოკო ხარამი“ აღმოჩნდა. ეს სახელწოდება ნიშნავს, რომ „ყველაფერი დასავლური აკრძალულია“. ამ ორგანიზაციის დაუნდობლობას მართლაც არ აქვს საზღვარი, მის ქმედებებს მრავალი მუსლიმანიც კი გმობს.** ნიგერიის, კამერუნისა და ნიგერის ხელისუფლებები ვერ ახერხებენ მასთან გამკლავებას. ისარგებლა რა შექმნილი სიტუაციით, აშშ-მა 2014 წელს ნიგერიაში, რომელსაც მსუბუქი ნავთობისა და ბუნებრივი გაზის კოლოსალური მარაგები აქვს, 300 სამხედრო სპეციალისტი გაგზავნა. მათი ფორმალური მიზანი „ბოკო ხარამთან“ ბრძოლა იყო. გარდა ამისა, ისლამისტების წინააღმდეგ გამოიყენება ამერიკის საბრძოლო ავიაცია, მათ შორის უპილოტო საფრენი აპარატებიც. ამერიკის სამი ათასზე მეტი სამხედრო გაიგზავნა დასავლეთ აფრიკაში, რომელიც მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. იქ ამერიკელები ვითომდა ებოლასთან საბრძოლველად დაირაზმნენ. დასავლეთი ამ რეგიონს აქტიურად ამარაგებს იარაღითაც.

საბოლოო ჯამში, **დასავლეთი, ცენტრალური და სუბეკვატორული აფრიკა ერთბაშად გახდა აშშ-ისა და მისი მოკავშირეების სამხედრო დახმარებაზე დამოკიდებული.**

## ისტორიის სპირალი

თანამედროვე აფრიკის პრობლემების წინაპირობები ჯერ კიდევ კოლონიზატორებმა შექმნეს. არ გაუწიეს რა ანგარიში მიწათმფლობელობასთან და სოფლის მეურნეობასთან, საზოგადოებრივ ურთიერთობებთან და კულტურულ თავისებურებებთან დაკავშირებით იქ ჩამოყალიბებულ ტრადიციებს, ევროპელები ყველაფერს თავისებურად გადააკეთებდნენ და ამით ჩადეს შენელებული მოქმედების ბომბი, რომელიც ახლა ამოქმედდა. ამჟამად დასავლური ქვეყნები და, უპირველეს ყოვლისა, აშშ, ასევე, საერთაშორისო კორპორაციები, რომლებიც აფრიკისა და მისი რესურსების ექსპლოატაციას ეწევიან, წარმატებით სარგებლობენ იმავე დასავლური ქვეყნების მიერ შექმნილი კრიზისული სიტუაციით. დასუსტებული ნაციონალური ხელისუფლებები ერთი მეორის მიყოლებით ხდებიან აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მხარდაჭერაზე დამოკიდებულნი.

tehnowar.ru



## Charlie Hebdo-ზე თავდასხმის ორგანიზატორი მოკლულია

ტერორისტული ორგანიზაცია „ალ ქაიდას“ ერთ-ერთი ლიდერი ნასრ ალ-ანსი, რომელმაც Charlie Hebdo-ზე თავდასხმაზე აიღო პასუხისმგებლობა, მოკლულია. ამის შესახებ ინფორმაციას ტერორისტული ორგანიზაციის ვებგვერდი ავრცელებს. ის იემენში ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატის მიერ განხორციელებულ დაბომბვას შეეწირა. ნასრ ალ-ანსისთან ერთად მისი უფროსი შვილი და ორგანიზაციის რამდენიმე წევრიც დაიღუპა. შემთხვევა აპრილის დასაწყისში მოხდა, თუმცა ინფორმაცია მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი. აშშ ჯერჯერობით მომხდარზე კომენტარს არ აკეთებს.



## საბჭოთა კავშირი ზესახელმწიფოების ხუთეულშია

**ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ამერიკულმა გამოცემამ National Interest-მა შეადგინა მსოფლიო ისტორიაში 5 ზესახელმწიფოს სია.** ზესახელმწიფოს სტატუსი განსხვავდება დიდი იმპერიის სტატუსისაგან, რამდენადაც მხოლოდ ზესახელმწიფო ფლობს რესურსებს, რითიც კონკურენტებზე უდავო უპირატესობას ინარჩუნებს. ზესახელმწიფოებად National Interest მიიჩნევს: რომის, მონღოლეთის, ბრიტანეთის იმპერიებს, საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს.

მოკლედ



## პოლონეთის პრეზიდენტი რუსეთის გადამტერებაში დაადანაშაულეს

**პოლონეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა მემარცხენე ძალებიდან — მაგდალენა ოგურეკმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა ბრონისლავ კომოროვსკიმ რუსეთთან ურთიერთობა გაამწვავა.** „ჩემი მთავარი ბრალდება პოლონეთის პრეზიდენტის მიმართ მდგომარეობს იმაში, რომ მან პოლონეთ-რუსეთის ურთიერთობა სრულ კრახამდე მიიყვანა. მესიჯებმა, რომელთაც ჩვენი ხელისუფლება აგზავნის, იქამდე მიგვიყვანა, რომ რუსულ მედიაში ჩვენ რუსეთის უდიდეს მტრად ვართ წარმოჩენილნი, ისევე, როგორც აშშ“, — განაცხადა ოგურეკმა. პოლონეთში საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური 10 მაისს გაიმართა.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველმა ხალხმა ოქტომბრის არჩევნებში ხმა იმას კი არ მისცა, რომ, სააკაშვილის ხელისუფლების რეჟიმთან შედარებით, რაღაც პარამეტრებით უკეთესი მმართველობა დამყარებულიყო, არამედ, ხმა მისცა საქართველოში რადიკალურად განსხვავებული, ჭეშმარიტი დემოკრატიული აღმშენებლობის დაწყებას და დაამტკიცა თავისი მისწრაფება, რომ მას სურს, გახდეს მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა ოჯახის ღირსეული წევრი და ჭეშმარიტი დემოკრატიული მმართველობითი ინსტიტუტების ფორმირებასთან ერთად აღმოფხვრას ქვეყანაში სიღატაკე და უმუშევრობა. ეს არის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგად, ქართველი ხალხის მიერ პირადად თქვენდამი და თქვენი დანატოვარი ხელისუფლებისადმი დაკვეთა.**

# ღია წერილი

# საქართველოს ექსპრემიერს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

**საქართველოს მიერ ნანატრი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ოცდაოთხწლიანი სამარცხვინო ისტორიის განმავლობაში რევოლუციის გმირებად და ხალხის განმათავისუფლებლად მოსული ხელისუფალნი, სამწუხაროდ, ასევე სამარცხვინო სამოქალაქო ომის შედეგად, ან ხალხისვე მიერ უარყოფილნი და შეჩვენებულნი, ერთიმეორის მიყოლებით, სატანის სახელდებით ტოვებდნენ პოსტებს.**




ამ ოცდაოთხი წლის განმავლობაში უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა არცთუ მცირე ნაწილის ამბიციურობის, ძალაუფლებისა და მომხვეჭელობისკენ დაუოკებელი სწრაფვის, მხოლოდ პოლიტტექნოლოგიური კუთხით გაწაფულობისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტის, არაპროფესიონალიზმისა და ნეპოტიზმის გამოვლენის, მმართველობის საკვანძო პოსტებზე მორჩილების პრინციპით შერჩეული კადრებით დაკოპლექტების, ამასთანავე, სახელმწიფოებრვად მოაზროვნე პიროვნებათა აშკარად მიზანმიმართული იგნორირებისა და ქვეყნის დემოკრატიული, სამართლებრივი და ფინანსურ-ეკონომიკური მმართველობის მოწყობა-აღმშენებლობის უმნიშვნელოვანეს საქმეში მათი თამაშგარე მდგომარეობაში დატოვების შედეგად, ვერ შევძელით, აგვეშენებინა თანამედროვე, ევროპული დონის მმართველობაზე დაფუძნებული სამართლებრივი და განვითარებული ეკონომიკის სახელმწიფო, რომელშიც არა მხოლოდ ხელისუფლება და მასთან დაახლოებული პირები, არამედ თითოეული ადამიანი იქნებოდა უმთავრესი ღირებულება.

კაცობრიობის ისტორიაში ცივილიზაცია მეტ-ნაკლებად იწყებოდა იქ და იმ პერიოდში, სადაც და რომელ პერიოდშიც ადამიანი თავისუფლდებოდა არსებობისთვის ბრძოლის ყოველდღიური ყოფითი პრობლემებისგან. ჩვენი ქვეყნის დღევანდელი განადგურებული ეკონომიკისა და უმწვავესი სოციალური ვითარების პირობებში, როცა მოსახლეობის უმრავლესობა, ფაქტობრივად, მშიერ და ნახევრად მშიერ მდგომარეობაშია და, აქედან გამომდინარე, ფიზიკური გადარჩენისთვის უწევს ბრძოლა, ჩვენ ვიმყოფებით უახლოეს წარსულში უკვე მიღწეული გარკვეული დონის ცივილიზაციის ოცდახუთწლიანი დეგრადაციის რეჟიმში და, **თუ დღევანდელი მსოფლიოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების მაღალი ტემპის პირობებში სასწრაფოდ გონს არ მოვეგებით და არ გადავდგამთ მასშტაბური და სტრატეგიული მნიშვნელობის ნაბიჯებს ამ ვითარების გამოსასწორებლად, აღმოვჩნდებით არა მხოლოდ ცივილიზაციის, არამედ, ეთნიკური და ფიზიკური გადაშენების საფრთხის წინაშეც და, თუ გავითვალისწინებთ ოცდამეერთე საუკუნის გლობალიზაციის მზარდ ტალღას, გამორიცხული სულაც არ არის, რომ ასეთ ვითარებაში კავკასიური ალბანეთის ბედი გავიზიაროთ.**

ნუ იფიქრებთ, რომ ეს, უბრალოდ, რიტორიკული პასაჟი ან მახვილსიტყვაობით თამაშია. არა, ეს არის და იქნება ჩვენი ქვეყნისთვის იმ რეალობის მკაცრი და ლოგიკური შედეგი, რომელშიც აღმოვჩნდით ჩვენივე უგუნურებისა და უზნეობის შედეგად ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთში.

**ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ყველაზე დიდი შეცდომა და ნაკლი იყო და არის ღრმა გააზრებისა და ყოველგვარი პრაგმატიზმის გარეშე რეალობის შავ-თეთრ ფერებში აღქმა და მოდური, დისიდენტური იდეოლოგიის ზეგავლენით ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა.**

როგორც კონიუქტურის ტალღებზე მოტივტივე მედროვე პოლიტიკანებს სჩვევიათ, ტოტალური ბოლშევიზმის ელემენტების გარეშე სოციალისტური მმართველობის სისტემის ღირებულებათა უგულებელყოფითა და მისი ირონიულ კონტექსტში მოხსენიებით, ამასთანავე, საბაზრო ეკონომიკის ყოველგვარი კრიტიკული გააზრების გარეშე ზედმეტად გაიდეალებითა და ფსევდოდემოკრატიის დროშების ტრიალ-ფრიალით, **ჩვენ აღმოვჩნდით ამორფული ავტორიტარული მმართველობისა და ველური, ამასთანავე, მონოპოლისტური კაპიტალიზმის სისტემის პირობებში.** სადაც, ერთი მხრივ, საბჭოთა ეპოქის დანატოვარი საკმაოდ ღირებული მატერიალური და ფინანსური რესურსების გარკვეული წილის ეტაპობრივად და მწყობრ მეცნიერულ დონეზე ჩამოყალიბებული სისტემით საზოგადოებაზე სამართლიანად გადანაწილების ნაცვლად, მტაცებლურად და უსამართლოდ, მხოლოდ მმართველ ელიტასთან დაახლოებული სუბიექტების მიერ ამ რესურსების მითვისებით, ხოლო, მეორე მხრივ, მიტაცებული ფინანსებით შექმნილი ძალიანი ძვირი საბანკო კრედიტების ფონზე, ბიზნესწარმოებისთვის საჭირო შემოქმედებითი და ნოვატორული უნარებისა და ცოდნის არქონის გამო, მოდერნიზაციის ნაცვლად, საწარმოო საშუალებების უცხოეთის ბაზრებზე ჩალის ფასად გასხვისება-განიავებით, **მივიღეთ: განადგურებული ეკონომიკა; გაუგონარი მასშტაბის უმუშევრობა; მოსახლეობის ფართომასშტაბიანი მიგრაცია საზღვარგარეთ; თითქმის მთლიანად მონოპოლიურ იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნის სასურსათო და ენერგეტიკული მომარაგება; უმთავრესად ბუნებრივ რესურსებსა და არსებულ ენერგოსისტემებზე დაფუძნებული მონოპოლისტური ბიზნესგარემო მაღალი სატარიფო გადასახადებით: ამან, საბოლოო ჯამში, წარმოშვა ღრმა სოციალური დისბალანსი მდიდართა და ღარიბთა შორის, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის დონის მკვეთრი დაცემა და ქვეყნის ინტელექტუალური ძალის გადინება უცხოეთში.**

ფაქტია, რომ **2 ათეულ წელზე მეტია, ვიწრო მერკანტილურ პარტიულ-პოლიტიკურ და ბიზნესინტერესებს ეწირება საქართველოს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები, რომლის ნათელი და უტყუარი დასტურიც არის ქვეყნაში შექმნილი კატასტროფული ვითარება პოლიტიკურ, ფინანსურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროებში.**

საქართველოს ხელისუფლების სათავეში, აგერ უკვე ორ წელიწად-ნახევარია, „ქართული ოცნებაა“ და, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ თქვენივე გადაწყვეტილებით დატოვეთ საქართველოს პრემიერმინისტრის პოსტი და მიიღეთ რიგითი მოქალაქის სტატუსი, 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე და მას შემდეგაც, საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის იმედი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მოწესრიგების, სამართლიანობის აღდგენა-დამკვიდრების, უმუშევრობის დაძლევისა და ცხოვრების დონის ამაღლების კუთხით რეალურად მიმართული იყო და ჯერჯერობით კვლავაც არის მიმართული თქვენი პერსონისადმი.

ქართველმა ხალხმა სრული თანადგომა და მზადყოფნა გამოგიცხადათ სწორედ თქვენ იმ კეთილშობილ და, ამასთანავე, სარისკო გადაწყვეტილების აღსრულების საქმეში, რომელიც მიზნად ისახავდა „ნაცმოძრაობის“ ავტორიტარული სამარადჟამო მმართველობის მზაკვრული ჩანაფიქრისგან ქვეყნის გადარჩენას და ხმა მისცა თქვენს წინასაარჩევნო დაპირებებს, რომლებიც ასევე კოალიცია „ქართული ოცნების“ 2012 წლის 21 თებერვლის სადამფუძნებლო დეკლარაციაშია.

დიახ, **ჩვენ, ქართველი ხალხი, თქვენი წინამძღოლობით, აშკარად სწორად გათვლილი სტრატეგიითა და ტაქტიკით, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის თავდაუზოგავი თანადგომით, რევოლუციური პათოსით, მაგრამ მეტნაკლებად მშვიდობიანი და ცივილიზებული არჩევნების გზით ნამდვილად გავთავისუფლდით „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანი ავტორიტარული მმართველობისაგან, მაგრამ ხალხისთვის პერსონალურად მიხეილ სააკაშვილისა და მისი ხელისულებისაგან განთავისუფლება იყო არა თვითმიზანი, არამედ საშუალება, რომლის შედეგადაც პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას უნდა განეხორციელებინა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების მოწყობის ფართომასშტაბიანი და სისტემური რეფორმები, ამასთანავე, მოქალაქეთა ქონებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის უკანონოდ ხელყოფის ფაქტების გამოძიება და ამ კუთხით სამართლიანობის დამკვიდრება, რომელიც ქვეყანას მოუტანდა სამართლებრივ გარემოში ეკონომიკური განვითარების საშუალებას.**

მაგრამ ხელისუფლების მხრიდან ასეთი მასშტაბური და რადიკალური ქმედებების ხელშესახები და იმედისმომცემი მოქმედების პერსპექტივა ნამდვილად არ ჩანს და, მცირე ცვლილებების მიუხედავად, ფაქტობრივად, კვლავაც ვცხოვრობთ იმ სისტემაში, რომელიც წინა ხელისუფლებამ დაგვიტოვა.

**ქართველმა ხალხმა ოქტომბრის არჩევნებში ხმა იმას კი არ მისცა, რომ, სააკაშვილის ხელისუფლების რეჟიმთან შედარებით, რაღაც პარამეტრებით უკეთესი მმართველობა დამყარებულიყო, არამედ ხმა მისცა საქართველოში რადიკალურად განსხვავებული, ჭეშმარიტი დემოკრატიული აღმშენებლობის დასაწყისს და დაამტკიცა თავისი მისწრაფება, რომ სურს, გახდეს მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა ოჯახის ღირსეული წევრი და ჭეშმარიტი დემოკრატიული მმართველობითი ინსტიტუტების ფორმირებასთან ერთად აღმოფხვრას ქვეყანაში სიღატაკე და უმუშევრობა. ეს არის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგად ქართველი ხალხის მიერ პირადად თქვენდამი და თქვენი დანატოვარი ხელისუფლებისადმი დაკვეთა.**

სახელმწიფოს სრულფასოვანი ფუნქციონირება განვითარებული ეკონომიკის გარეშე შეუძლებელია. ეკონომიკის განვითარება კი ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში სტრატეგიული მნიშვნელობის წიაღისეულისა და ბუნებრივი რესურსის — სასმელი წყლის ნაციონალიზაციასთან ერთად, უნდა დაეფუძნოს ორ ძირითად უმნიშვნელოვანეს საყრდენს. ეს უნდა იყოს განვითარებული და მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ელექტროენერგეტიკა და, აგრეთვე, ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისა და ჭარბი პროდუქციის ექსპორტირებისთვის ადგილობრივი მრეწველობით განვითარებული სოფლის მეურნეობა, რომლებიც შექმნიან იმ ჯანსაღ ნიადაგსა და ბაზას, რომელზეც უნდა აღმოცენდეს „ფესვმაგარი გოლიათი მუხა“, თავისი მრავალმხრივი და უამრავი განშტოებებით, რომელსაც ეწოდება ქვეყნის ეკონომიკა და მის საფუძველზე განვითარებული განათლების სისტემა, მეცნიერება, კულტურა, ჩვენი ქვეყნის მასშტაბისთვის შესაბამისი მაღალტექნოლოგიური მრეწველობა და მცირე და საშუალო ბიზნესწარმოებათა ქსელი; აგრეთვე, შესაძლებლობის ფარგლებში მაღალტექნოლოგიური თავდაცვითი სისტემებით ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და, ღვთისგან ბოძებული უნიკალური ლანდ- ▶

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გათავისუფლდით „ნაციონალური მოძრაობის" ცხრაწლიანი ავტორიტარული მმართველობისგან, მაგრამ ხალხისთვის პერსონალურად მიხეილ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლებისგან განთავისუფლება იყო არა პირდაპირი მიზანდასახულობა, არამედ საშუალება, რომლის შედეგადაც პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების" ხელისუფლებას უნდა განეხორციელებინა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების მოწყობის ფართომასშტაბიანი და სისტემური რეფორმები, ამასთანავე, მოქალაქეთა ქონებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის უკანონოდ ხელყოფის ფაქტების გამოძიება და ამ კუთხით სამართლიანობის დამკვიდრება, რომელიც ქვეყანას მოუტანდა სამართლებრივ გარემოში ეკონომიკური განვითარების საშუალებას.**

**საქართველოს ხელისუფლების სათავეში, აგერ უკვე ორ წელიწად-ნახევარია, „ქართული ოცნებაა" და, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ თქვენივე გადაწყვეტილებით დატოვეთ საქართველოს პრემიერმინისტრის პოსტი და მიიღეთ რიგითი მოქალაქის სტატუსი, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე და მას შემდეგაც საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის იმედი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მოწესრიგების, სამართლიანობის აღდგენა-დამკვიდრების, უმუშევრობის დაძლევისა და ცხოვრების დონის ამაღლების კუთხით რეალურად მიმართული იყო და ჯერჯერობით კვლავაც არის მიმართული თქვენი პერსონისადმი**

◀ შაფტური და გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, მაღალი კლასის საერთაშორისო დონის ტურიზმისა და პოლიტიკურ, კულტურულ და სამეცნიერო ღონისძიებათა უზრუნველყოფისთვის შესაბამისი ინფრასრუქტურა, რომელიც საბოლოო ჯამში, სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესს შორის ბუნებრივი და საწარმოო რესურსების გონივრული გადანაწილებით და კანონის უზენაესობის დაცვით ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას მისცემს ისეთ მძლავრ იმპულსს, რომლის ავტომატურ რეჟიმში აღმასვლის შეჩერება, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება.

დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების გონიერმა ხელისუფლებებმა, საბჭოთა კავშირის სოციალისტური სისტემის ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკასთან შერწყმით, ამასთანავე, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვით, მიიღეს მართვის ის ოპტიმალური სისტემა, რომლის საშუალებითაც მიღწეულია, როგორც წარმოების ზრდისა და მისი ხარისხის განუხრელი აღმავლობა, ასევე მოსახლეობის სოციალური დაცვის მაღალი სტანდარტები, რომლის საშუალებითაც საქართველოს მასშტაბის დასავლეთევროპული არაერთი სახელმწიფოს ბიუჯეტმა გადააჭარბა ას მილიარდ დოლარს.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენი ხელისუფლებების მხრიდან ასეთი დასავლეთევროპული ცხოვრების წესის გამოცდილების გადმოღება გვესაჭიროებოდა და გვესაჭიროება დღესაც, ჩვენი ყოფის, კულტურისა და განსაკუთრებით იმ ტრადიციებისა და მენტალობის გათვალისწინებით და შენარჩუნებით, რომლებითაც საქართველოში მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგია და ქართველობა ადამიანთა ცნობიერებაში საუკუნეების მანძილზე აღიქმებოდა და აღიქმება იდენტურ ცნებად; **დასავლეთევროპული ცხოვრების წესის იმ გამოცდილების გადმოღება გვესაჭიროებოდა და გვესაჭიროება, რომლის დანერგვითაც დომინანტი უნდა იყოს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები, ხოლო კერძო კაპიტალი და ბიზნესი, რომელსაც თვითონ ხელისუფლებამ უნდა შეუქმნას განვითარების ყოველგვარი პირობა და, მათ შორის, უმთავრესი — სამართლიანი კონკურენტული გარემო, შემოქმედებითი მიდგომებითა და ნოვაციებით უნდა ქმნიდეს კონკურენტუნარიან მატერიალურ და ინტელექტუალურ პროდუქციას ისე, რომ მათი პირადი ბიზნესწარმატება პირდაპირ აისახებოდეს ქვეყნის წარმატებასა და ხალხის კეთილდღეობაზე და არა პირიქით, მდიდრდებოდეს მონოპოლიური გარემოს შექმნით, საკუთარი ხალხის გაღატაკების ხარჯზე.**

დროა, ჩვენც გავაცნობიეროთ, რომ ბიზნესისა და სახელმწიფოებრივი ინტერესები გარკვეულწილად ურთიერთდაპირისპირებული კატეგორიებია და, თუ გვინდა, სახელმწიფოებრივი წინსვლა და განვითარება, გვესაჭიროება კეთილსინდისიერი, კომპეტენტური და კვალიფიციური ხელისუფლების მიერ რეგულირებული საბაზრო ეკონომიკა.

ხალხს უქვამს: „თუ კაცი გონიერია, სოფელიც ღონიერიაო". ფაქტია, რომ წლებია, ჩვენი ქვეყანა არათუ ღონიერი, არამედ გაპარტახებული და დაკნინებულია და, აქედან გამომდინარე, სათანადო დასკვნებია გამოსატანი, როგორც ქვეყნის მართვის ოპტიმალური მექანიზმების შემუშავების, ასევე, უწინარესად, საკვანძო პოსტებზე ქმედუნარიანი და მაღალინტელექტუალური კადრების შერჩევის მხრივ.

სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ურთიერთობათა მართვის დარგში პოლიტიკური მოღვაწეობა არის ურთულესი სპეციალობა, რომელსაც სჭირდება არა მხოლოდ უმაღლესი ინტელექტი, არამედ შესაბამისი პიროვნული თვისებებიც. ისევე, როგორც ადამიანს, რომელსაც, რაც უნდა პირობები შევუქმნათ მუსიკალური განათლების დარგში, თუ ღვთისგან ბოძებული ნიჭი არ აქვს, მისგან ვერ მივიღებთ „მოცარტს"; ასევე, პიროვნებას, რომელსაც, რაც უნდა პოლიტიკური თანამდებობა ჩავაბაროთ და შევუქმნათ შესაბამისი კომფორტული გარემო, თუ მას ღვთისაგან ბოძებული ნიჭი არ აქვს, შესაძლოა, დიდხანს შეინარჩუნოს დაკავებული პოსტი, მაგრამ მისგან მაინც ვერ მივიღებთ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს და, შესაბამისად, ვერც რაიმე სიკეთეს.

**ნაცნობობის ფენომენი**, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი ფაქტორია. ქართველს გენეტიკურად მოსდგამს და არ ესწავლება ნაცნობ-მეგობრობა, ნათესაობა და, საერთოდ, მოყვასისადმი ერთგულება და თანადგომა, რაც, ალბათ, სამაგალითო და მისაბაძიც კი შეიძლება იყოს თანამედროვე მრავალი მოწინავე ერისთვის, რომლებიც ჩვენთან შედარებით გაცილებით მაღალი სამართლებრივი კულტურითა და ეკონომიკური განვითარების დონით გამოირჩევიან, მაგრამ **ასეთი ნაცნობ-მეგობრობის, ნათესაობისა და თანადგომის გამოხატულება სახელმწიფოს მართვის საკადრო პოლიტიკაში, რაც, რა თქმა უნდა, კომფორტული გარემოს შემცველია ზემდგომისთვის, არათუ მისაღები და მისაბაძი, არამედ კატეგორიულად მიუღებელი ანტისახელმწიფოებრივი ქმედება და უკიდურესი პროვინციალიზმის გამოვლენაა, მით უმეტეს, რომ ასეთ ქმედებას ხშირად საფუძვლად უდევს ზემდგომისადმი უსიტყვო მორჩილების პრინციპი და საჯარო სამსახურისთვის ყოვლად მიუღებელი ანტიდემოკრატიული კლანური დაჯგუფებების წარმოქმნა.**

თუ რეალობას თვალი არ გავუსწორეთ და არ დავსახეთ მისი გამოსწორების გზები, უფრო მეტად ჩავიძირებით იმ ჭაობში, რომელშიც ამჟამად ვიმყოფებით.

მოვუხმოთ ცნობილი ჩინელი ფილსოფოსისა და მოაზროვნის — კონფუცის სწავლებას: „თუ ვერ აღწევ მიზანს, შეცვალე გზა".

არსებულ კრიტიკულ ვითარებაში უნდა ვიპოვოთ ალტერნატიული გზა და ამ მასშტაბური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საქმის რეალური განხორციელებისა და ორგანიზებისთვის გადავდგათ არაორდინალური და გაბედული ნაბიჯი, რომელიც გულისხმობს შემდეგს: **ყოველგვარი ფორმალური კლიშეების გარეშე, სამოქალაქო-საზოგადოებრივ საწყისებზე, მიზანმიმართულად მოვახდინოთ ანალიტიკურად მოაზროვნე კვალიფიციური და კომპეტენტური, ეროვნული ინტელექტუალური ელიტის საკრებულოს, სავარაუდოდ, 15-25 პიროვნების შემადგენლობით დაკომპლექტება და მათი მეშვეობით მაღალკვალიფიციურ და მეცნიერულ დონეზე დავამუშაოთ ქვეყნის წინსვლისთვის აუცილებელი ხედვები ყველა მიმართულებით, როგორც ეროვნული იდეოლოგიის განსაზღვრის, ასევე, ქვეყნის დემოკრატიული, სამართლებრივი და ფინანსურ-ეკონომიკური მმართველობის მოწყობა-აღმშენებლობის სრულყოფის საქმეში.**

სუბიექტივიზმის თავიდან აცილების მიზნით, ცხადია, ამგვარი მნიშვნელობის საქმის ორგანიზება უნდა მივანდოთ ისეთ პიროვნებას, რომელსაც არ აქვს კარიერული ამბიციები, არ უკავია არანაირი საჯარო პოსტი ხელისუფლებაში, საზოგადოების მხრიდანაც აქვს შესაბამისი ავტორიტეტი და მხარდაჭერა და, რაც მთავარია, ხელეწიფება ამ საქმის რეალური განხორციელებაც. დიდი ამოცნობა არ უნდა იმის დადგენას, რომ ასეთი პიროვნება ყველა პარამეტრით ჩვენს დღევანდელ რეალობაში, ცხადია, ბრძანდებით თქვენ.

სამწუხაროა, რომ დამოუკიდებლობის დღეს კვლავ გვიწევს სახელმწიფოს მართვის სტრუქტურების სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად საკანონმდებლო ბაზის გადამუშავება და მათ შორის უმთავრესის — საქართველოს **კონსტიტუციისა**, რომელშიც ნათლად და მკაფიოდ იქნება განსაზღვრული, ვინ არის სახელმწიფოს მეთაური და რა ფუნქციები და ვალდებულებები ეკისრება მას ქვეყნისა და ერის წინაშე; ჩვენ უნდა გვქონდეს **კონსტიტუცია**, რომელშიც საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო სახელისუფლო შტოები ზუსტად, გარკვევით და ურთიერთკონტროლით იქნება დაბალანსებული; **კონსტიტუცია**, რომელშიც, ისტორიულად ჩამოყალიბებული მხარეების გათვალისწინებით, განსაზღვრული იქნება ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფა და მათი უფლებამოსილებათა მკაცრი გამიჯვნა; **კონსტიტუცია**, რომლითაც რეალურად განხორციელდება ჭეშმარიტი დემოკრატიის ფუძემდებლური ღირებულება — ადგილობრივი თვითმართველობა. სწორედ თვითმმართველობა უნდა გადაიქცეს სახელმწიფოს მმართველი კადრების გამოვლენის ბუნებრივი სელექციის კერად და „ინკუბატორად"; **კონსტიტუცია**, რომელშიც პარლამენტი იქნება გამიჯნული რეგიონული და საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების გამომხატველი პალატებით; ***კონსტიტუცია***, რომელშიც გამიჯნული იქნება შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები, ხოლო მოწინავე დემოკრატიის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით განხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს დეცენტრალიზაცია; **კონსტიტუცია**, რომლის მიხედვითაც დაფუძნდება აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი პროკურატურა, კონტროლის პალატა და ეროვნული საგამოძიებო სამმართველო, რომლებიც ანგარიშვალდებულნი იქნებიან მხოლოდ ქვეყნის პარლამენტის წინაშე; **კონსტიტუცია**, რომელშიც ნათლად და გარკვევით იქნება დადგენილი, მოქალაქის მინიმალური საარსებო კალათის ან პენსიის რამდენჯერადი სახელფასო სარგო უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს მეთაურს და შესაბამისად, დანარჩენ საჯარო თანამდებობის პირებს; **კონსტიტუცია** და **საარჩევნო კოდექსი**, რომლებითაც ქვეყნის მოსახლეობას ექნება, როგორც გაუყალბებელი არჩევნებით პოლიტიკური შეხედულების გამოხატვის საშუალება, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოს მეთაურისა და პარლამენტის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ახალი არჩევნების დანიშვნის რეალური საშუალება. **ჩვენ გვინდა ისეთი კონსტიტუცია, რომელიც გაუძლებს საუკუნეებს და გადაიქცევა ქართველი ხალხის საერო ცხოვრების ნამდვილ „ბიბლიად".**

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებით ქართველი ხალხისგან მიიღეთ ნდობისა და მხარდაჭერის ისეთი უზარმაზარი და შეუფასებელი კაპიტალი, რომლის პასუხადაც, უპრეცენდენტო მასშტაბის ქველმოქმედებისა და „ნაცმოძრაობის" რეჟიმის ბატონობისგან საქართველოს მოსახლეობის გათავისუფლების მიუხედავად, ვალდებული ხართ, მშობელ ერს ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ, რომ თქვენი ბედისწერა სამშობლოს გადარჩენაა, და ხორცი შეასხათ ამ საშვილიშვილო, ისტორიული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების პრაქტიკულ განხორციელებას და არაორდინარული გზით, მაგრამ **ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ჩიხიდან გამოყვანისა და აღმასვლისკენ რადიკალური შემობრუნების გადაუდებელი აუცილებლობის მოთხოვნით, მიზანმიმართულად დააფუძნოთ სამოქალაქო-საზოგადოებრივ საწყისებზე მაღალი ზნეობისა და პასუხისმგებლობის მქონე, კვალიფიციური და კომპეტენტური ეროვნული ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელთა საკრებულო, რომელიც შემდგომში, შესაძლებელია, ჩამოყალიბდეს, როგორც სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული მუდმივმოქმედი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც წლიდან წლამდე შეიმუშავებს და ხელისუფლებასა და, საერთოდ, ქვეყანას რეკომენდაციის სახით დაუსახავს სწორ დემოკრატიულ, სამართლებრივ, ფინანსურ-ეკონომიკურ და საგარეო ორიენტირებს და საქართველოს გადააქცევს მოწინავე სამართლებრივ და განვითარებული ეკონომიკის ქვეყნად.**

ვიცხოვროთ წესიერად! — ეს არის საქართველოს გადარჩენისა და წარმატების ერთადერთი სწორი გზა.

**პატივისცემით,**

**ანზორ დავითაშვილი**

**ვალდებული ხართ, მშობელ ერს ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ, რომ თქვენი ბედისწერა სამშობლოს გადარჩენაა და ხორცი შეასხათ ამ საშვილიშვილო, ისტორიული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების პრაქტიკულ განხორციელებას და არაორდინარული გზით, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ჩიხიდან გამოყვანისა და აღმასვლისკენ რადიკალური შემობრუნების გადაუდებელი აუცილებლობის მოთხოვნით, მიზანმიმართულად დააფუძნოთ სამოქალაქო-საზოგადოებრივ საწყისებზე მაღალი ზნეობისა და პასუხისმგებლობის მქონე, კვალიფიციური და კომპეტენტური ეროვნული ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელთა საკრებულო**

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95









# კოტ დ'ივუარი — აფრიკული ქვეყანა, რომელშიც ყველაზე მაღალი ქრისტიანული ტაძარია

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

რესპუბლიკა კოტ დ'ივუარი (ფრანგ. — Reoublique Cote d'ivoire — სპილოს ძვლის ნაპირი) აფრიკის დასავლეთში მდებარე ქვეყანაა. საფრანგეთის ყოფილი კოლონია დასავლეთით ესაზღვრება ლიბერიასა და გვინეას, აღმოსავლეთით — განას, ჩრდილოეთით — მალისა და ბურკინა ფასოს, სამხრეთით აქვს სანაპირო გვინეის ყურეში (ატლანტიკის ოკეანე).

კოტ დ'ივუარის ტერიტორია, ძირითადად, დაბლობია, რომელიც დაფარულია ტროპიკული ტყეებითა (სამხრეთში) და სავანით (ჩრდილოეთში).

**კლიმატი.** ქვეყნის სამხრეთში კლიმატი ეკვატორულია, ჩრდილოეთში — სუბეკვატორული. საშუალო წლიური ტემპერატურა **პლუს 26-28 გრადუსია.**

**ფლორა.** კოტ დ'ივუარის სამხრეთი ტერიტორია დაფარულია ტროპიკული ტყეებით, რომლებშიც ხარობს 600-მდე სახეობის მცენარე — პალმა, აკაჟუ, ყავის ხე, კაუჩუკი; ჩრდილოეთში კი — პალმა და ბაობაბი.

**ფაუნა.** ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობს: სპილო, შიმპანზე, ტურა, ლეოპარდი, ნიანგი.

**უდიდესი მდინარეები: ბანდამა (1050 კმ); კომოე (900 კმ); სასანდრა (560 კმ).**

კოტ დ'ივუარის ტერიტორია **322460 კვ.კმ-ს** შეადგენს (67-ე მსოფლიოში).

**მოსახლეობა.** თანამედროვე კოტ დ'ივუარის ტერიტორიაზე ჩვ.წ.აღ-მდე I საუკუნეში პიგმეები (ნეგროიდული რასის დაბალი ხალხი) ცხოვრობდნენ, შემდეგ იქ სხვადასხვა აფრიკული ტომი დასახლდა. ფრანგებმა კი ეს ქვეყანა 1842 წელს დაიპყრეს.

კოტ დ'ივუარში ცხოვრობს **21,1 მლნ კაცი** (2010 წლის აღწერით). ეთნიკური შემადგენლობა ასეთია: აკანი — 42%; გური — 17%; ჩრდილოეთ მანდები — 16%; კრუ — 11%; სამხრეთის მანდები — 10% და სხვ. მათ შორის არაბები (100 ათასი) და ფრანგები (14 ათასი).

**დედაქალაქი — იამუსუკრო (250 ათასი).**

**უდიდესი ქალაქები: აბიჯანი (3,9 მლნ); ბვაკე (400 ათასი);**

**ოფიციალური ენა: ფრანგული.**

**დამოუკიდებლობის დღე:** 7 აგვისტო (1960 წლის 7 აგვისტოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა საფრანგეთისგან).

## მმართველობის ფორმა და რელიგია

კოტ დ'ივუარი საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. ამჟამად პრეზიდენტია **ალასან უატარა**, პრემიერმინისტრი — **დანიელ კაბლან დუნკანი.**

საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი პარლამენტი.

კოტ დ'ივუარი დაყოფილია 12 ეკონომიკურ და 2 ავტონომიურ ოლქად, 30 რეგიონად, 95 დეპარტამენტად და 497 სუბპრეფექტურად.

**რელიგია.** კოტ დ'ივუარის მოსახლეობის 39% მუსლიმანია, 33% — ქრისტიანი, 11% — სხვადასხვა ადგილობრივი კულტის მიმდევარი, 17% — ათეისტი. ქრისტიანებს შორის ყველაზე მეტნი არიან კათოლიკები, შემდეგ — ორმოცდაათიანელები და ადვენტისტები.


იამუსუკრო


ნოტრდამ დე ლა პე

## ეკონომიკა

კოტ დ'ივუარი მდიდარია წიაღისეულით. მოიპოვებენ ნავთობს, ბუნებრივ აირს, ალმასს, მარგანეცს, რკინას, კობალტს, ბოქსიტებს, სპილენძს, ოქროს, ნიკელს, ტანტალს.

საექსპორტოდ აწარმოებენ კაკაოს (პირველი ადგილი მსოფლიოში), ყავას (მესამე ადგილი), ხეტყეს (მათ შორის, ძვირფასმერქნიანი შავი ებონიტის ხე), ნავთობს, ბამბას, ბანანს, ანანასს, პალმის ზეთს, თევზს. ამას გარდა, მოჰყავთ შაქრის ლერწამი, თამბაქო და არაქისი.

ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტი **34,0 მლრდ დოლარია** (84-ე მსოფლიოში), მოსახლეობის ერთ სულზე — **1800.**

**ვალუტა — ფრანკი** (ვალუტა აფრიკის ფინანსური თანამეგობრობისა, რომელშიც შედის აფრიკის 8 ქვეყანა). 1 აშშ დოლარი უდრის 580 კოტ დ'ივუარული ფრანკს.

**ინტერნეტდომენი: CI.**

**სატელეფონო კოდი: +225.**

**საათობრივი სარტყელი: +UTC 0.**


აბიჯანი

## კულტურა

კოტ დ'ივუარის ტრადიციულ კულტურაში დიდი ადგილი უკავია ხის სკულპტურებს, უპირატესად — რიტუალურ ნიღბებს, რომლებსაც აფრიკის ხალხების საუკეთესო ქმნილებებად მიიჩნევენ. განვითარებულია ბატიკის წარმოება — ნახატიანი ქსოვილები ორნამენტებით. ქვეყნის საზღვრებს გარეთ სახელი გაითქვა კოტ დ'ივუარელმა მხატვრმა **კაჯო ჰურამ.** მწერლებიდან აღსანიშნავია **ბერნარ დადუ, ამადუ კურუმი** და სხვები.

**ღირსშესანიშნაობები:** იამუსუკროში — **ნოტრდამ დე ლა პე,** კათოლიკური ტაძარი, რომელიც რომის პაპის — იოანე-პავლე II დახმარებით აიგო და რომელიც სიმაღლით (158 კმ) მეორეა მსოფლიოში. პირველია ულმის (გერმანია) ტაძარი (161,5 მ). ნოტრდამ დე ლა პე ძალიან ჰგავს წმინდა პეტრეს სახელობის ტაძარს ვატიკანში; აბიჯანში — ადგილობრივი ნაწარმის დიდი ბაზარი, წმინდა პავლეს ტაძარი; ქალაქ მონში — ნაციონალური პარკი კომოე. კონგში — XVII საუკუნის მეჩეთი.

## სამზარეულო

კოტ დ'ივუარის მოსახლეობის სიამაყე მათი ნაციონალური სამზარეულოა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და რომელზეც დიდი გავლენა იქონია ფრანგულმა სამზარეულომ.

კოტ დ'ივუარელები კერძებს ძირითადად ამზადებენ ხორცისგან, თევზეულისგან, ბოსტნეულისა და სანელებლებისგან. მათი საყვარელი სასმელია პალმის ღვინო „ბანგი". ცალკე თემაა საწებლები, რომელთაც პალმის თესლისა და სანელებლებისგან ამზადებენ აღსანიშნავია, რომ კოტ დ'ივუარელთა თითქმის ყველა კერძი ცხარეა. თუმცა, დიდი პოპულარობით სარგებლობს ტკბილეულიც, რომელსაც, ძირითადად, ბანანისგან, ანანასისა და კაკაოს მარცვლებისგან ამზადებენ.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**


პარლამენტის შენობა



## ფლამბე

**კოტ დ'ივუარში პოპულარულია დესერტი, რომელსაც ფლამბეს უწოდებენ.**

**ინგრედიენტები:**
*ბანანი — 6 ც.
*მცენარეული ზეთი 1 ს/კ
*შაქარი — 2 ჩ/კ
*დაფქული დარიჩინი — 1 ჩ/კ
*კონიაკი, ლიქიორიანი რომი — 2 ს/კ
*თხევადი შოკოლადი — 1 ს/კ.

**მომზადება:**

1. შაქარი და დარიჩინი ერთმანეთში აურიეთ.

2. ბანანები კარგად გარეცხეთ და კანიანად ორად გაჭერით. შემდეგ კი ზეთში ამოავლეთ.

3. გაჭრილი ბანანები დადეთ ტაფაზე ისე, რომ კანი ზემოთ ჰქონდეს და საშუალო ცეცხლზე შეწვით, ვიდრე არ გაყავისფრდება, შემდეგ გადააბრუნეთ.

4. გადმოიღეთ ტაფიდან ბანანი და გაჭრილი გულით დადეთ სინზე. მოაყარეთ შაქრისა და დარიჩინის ნარევი და 15-20 წუთით ასე დატოვეთ.

5. ბანანებს, როდესაც შაქრისა და დარიჩინის ნარევი კარგად გაუჯდება, დაასხით კონიაკი (ან სხვა ალკოჰოლური სასმელი) და გრძელი ასანთით ცეცხლი წაუკიდეთ. 1-2 წუთის შემდეგ, როდესაც ალკოჰოლი აორთქლდება, ფლამბე მზად არის.

სუფრაზე მიტანამდე მოასხით თხევადი შოკოლადი.

**ამ დესერტს ნაყინთან ერთად მიირთმევენ ან ხაჭოს კრემთან ერთად, შეიძლება არაჟანთანაც.**

**კარგი პერიოდია ახალი ცოდნის მიღებისა და თვითგანვითარებისთვის, აგრეთვე, წარსულის გასაანალიზებლად და დაწყებული საქმეების დასასრულებლად. წარმატებას მიაღწევენ კუროსა და თხის ნიშნით დაბადებულნი.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**13 – 19 მაისი ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

დასახულ მიზნებს იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ შეძლებთ ადამიანების გაერთიანებას საერთო იდეის გარშემო და მათ ხელმძღვანელობას ისე, რომ კონფლიქტი არ შეიქმნას. ამას კი ემოციების მოთოკვა და თავმდაბლობის გამოჩენა სჭირდება. თქვენი გულმოდგინე და მუხლჩაუხრელი მუშაობა ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება და დაგაწინაურებენ.

ახლობელი ადამიანების მიმართ მზრუნველობა და ყურადღება გამოიჩინეთ და უსამართლო მოთხოვნებისგან თავი შეიკავეთ.

დაიცავით დიეტა და მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღე: 16 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 14 მაისი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

ამ პერიოდში მოსალოდნელია შეხვედრები ადამიანებთან, რომლებიც იმავე სფეროში მოღვაწეობენ, რომელშიც თქვენ და შეიძლება შემოგთავაზონ ისეთ პროექტში მონაწილეობა, რომელიც სრულიად შეცვლის თქვენს ცხოვრებას, თუმცა მოგიწევთ მუხლჩაუხრელი მუშაობა.

მარტოხელა კუროებს ცხოვრების მეგზურის გაცნობის შესაძლებლობა მიეცემათ. დაქორწინებულებმა კი საყვარელ ადამიანთან მეტი დრო უნდა გაატარონ და გულწრფელად ესაუბრონ მომავალ გეგმებზე.

დაიცავით კვების რეჟიმი, რაციონში შეზღუდეთ ცხიმიანი საკვები და ალკოჰოლური სასმელი.

**დადებითი დღე: 17 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 16 მაისი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

სასიკეთო პერიოდია ფინანსური ოპერაციების განსახორციელებლად და ძველი პრობლემების მოსაგვარებლად. კოლეგებსა და ახლობლებთან ურთიერთობისას მოთოკეთ ემოციები. პატივმოყვარეობა და სურვილი, ყველაფერი სხვებზე ადრე მოიპოვოთ, კონფლიქტამდე მიგიყვანთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება. მარტოხელა ტყუპებს კი პირად ცხოვრებაში ცვლილებები ელით.

თბილი და მეგობრული ურთიერთობა ადამიანთან, რომელიც მოგწონთ, რომანტიკულ ურთიერთობაში გადაიზრდება.

ამ პერიოდში მაღალია თირკმლების ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 19 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 14 მაისი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

პროფესიულ სფეროში მოქმედებები გულდასმით დაგეგმეთ, საქმეები კი თვითდინებაზე არ მიუშვათ, თორემ კარგ შესაძლებლობებს ხელიდან გაუშვებთ, ამით კი თქვენი კონკურენტები ისარგებლებენ. შექმნილი პრობლემების მიუხედავად, ირწმუნეთ, რომ წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

თქვენი მომხიბვლელობა იმატებს და შეიძლება, მიიპყროთ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღება, მაგრამ, თუ ფლირტის გაჩაღებას დააპირებთ, ოჯახის წევრებთან შეიძლება კონფლიქტი შეგექმნათ.

გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას და შეეცადეთ, მეტი დაისვენოთ.

**დადებითი დღე: 19 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 14 მაისი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

თუ ყველა სამსახურეობრივ საკითხზე საკუთარი თვალსაზრისის დაცვას შეეცდებით და სხვის მოსაზრებას არ გაითვალისწინებთ, კონფლიქტი გარდაუვალი იქნება, ამიტომ შეეცადეთ, გადაწყვეტილებები კონსენსუსით მიიღოთ.

ამ პერიოდში, შესაძლოა, გაგიჩნდეთ დამატებითი შემოსავლის მიღების შანსი, თუმცა, თუ ეკონომიურობას არ გამოიჩენთ, თქვენს ბიუჯეტს არაფერი შეემატება.

საყვარელი ადამიანისთვის კატეგორიული მოთხოვნების წაყენებამ შეიძლება კონფლიქტამდე მიგიყვანოთ, ამიტომ შეეცადეთ, კორექტული იყოთ.

ყურადღება მიაქციეთ გულ-სისხლძარღვთა სისტემას, მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ გამოკვლევები.

**დადებითი დღე:15 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 19 მაისი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

გაგიჩნდებათ საინტერესო იდეები, რომლებსაც, დიდი ალბათობით, წარმატებით შეასხმათ ხორცს, თუმცა ამისთვის გამოცდილი და პროფესიონალი ადამიანების მხარდაჭერის მოპოვება დაგჭირდებათ.

ამ პერიოდში, შესაძლოა, ფულადი ჯილდო დაიმსახუროთ, რადგან ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება თქვენი მუხლჩაუხრელი მუშაობა და დაშვებული შეცდომების გამოსწორების უნარი.

დაქორწინებული ქალწულები შეიძლება არჩევანის წინაშე დადგნენ: ან მუშაობა და შემოსავლების მატება, ან საყვარელი ადამიანის შფოთვა და განაწყენება. სჯობს, ოჯახური სიმყუდროვე შეინარჩუნოთ.

შეეცადეთ, მშვიდად იყოთ და მეტი დრო გაატაროთ სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღე: 18 მაისი**
**უარყოფითი დღე: 15 მაისი**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

დროა, თავი დაანებოთ ილუზიებს და რეალურ ცხოვრებას დაუბრუნდეთ. ნამდვილ წარმატებას მხოლოდ ის სასწორები მიაღწევენ, რომლებიც ფეხზე მყარად დგანან. მოაგვარეთ ურთიერთობები კოლეგებსა და ხელმძღვანელებთან და შეეცადეთ, მომავალ გეგმებზე არ ილაპარაკოთ.

მარტოხელა სასწორები საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას მიიპყრობენ და შესაძლოა, რომანიც გააჩაღონ, დაქორწინებულები კი უნდა შეეცადონ, პრობლემები ოჯახის წევრებთან ერთად გადაწყვიტონ.

ამ პერიოდში დიდია კანის დაავადებების გამწვავების ალბათობა, ამიტომ ეწვიეთ ექიმს კონსულტაციისთვის.

**დადებითი დღე: 19 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 16 მაისი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

სამსახურში საქმეებთან გამკლავებას ძალდაუტანებლად შეძლებთ, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ სიმშვიდეს შეინარჩუნებთ და პრობლემების მოგვარებას აგრესიული მეთოდებით არ შეეცდებით. კოლეგებს არ დაუპირისპირდეთ და გაითვალისწინეთ ახლობლების რჩევები.

მარტოხელა მორიელებმა ცხოვრების თანამგზავრი, შესაძლოა, ახლობელთა წრეში იპოვონ, დაქორწინებულები კი საყვარელ ადამიანში ისეთ თვისებებს აღმოაჩენენ, რომლებზეც ადრე წარმოდგენა არ ჰქონდათ.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს, შეინარჩუნეთ დადებითი განწყობა და თქვენი ორგანიზმი შვეიცარული საათივით გამართულად იმუშავებს.

**დადებითი დღე: 13 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 15 მაისი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ და ყველა საქმის ერთდროულად მოგვარებას შეეცდებით, მაგრამ რამდენიმე კურდღლის გამოდევნება სასურველ შედეგს ვერ მოგიტანთ. შეეცადეთ, ვითარება კარგად გააანალიზოთ და თანამიმდევრულად იმოქმედოთ.

მარტოხელა მშვილდოსნების ცხოვრებაში მოსალოდნელია ცვლილებები — გაწყვეტილი ურთიერთობა შეიძლება აღდგეს.

დაქორწინებული მშვილდოსნებისთვის კი მთავარი საზრუნავი საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება იქნება.

ამ პერიოდში თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, თუმცა დასვენება, მაგალითად, ოჯახის წევრებთან ერთად ბუნების წიაღში გასეირნება, არ გაწყენდათ.

**დადებითი დღე: 15 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 18 მაისი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

ამ პერიოდში ყველა რთული სიტუაციიდან იპოვით გამოსავალს. პროფესიულ სფეროში კი ახალი პროექტები, ანაზღაურების მომატება ან პრემია გელით. ეს იქნება თქვენი ჯილდო წარსულში შესრულებული სამუშაოებისთვის.

მარტოხელა თხის რქებმა არ უნდა იყოყმანონ და იმ ადამიანებთან დასაახლოვებლად, რომლებიც მოსწონთ, პირველი ნაბიჯი თვითონ გადადგან.

დაქორწინებული თხის რქებისთვის კი ახლა მთავარი საზრუნავი შვილები იქნებიან.

მოერიდეთ ალკოჰოლის მიღებას და გაფრთხილდით ავტომობილის მართვისას.

**დადებითი დღე: 16 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 18 მაისი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

დასახული მიზნების მისაღწევად ძალების მობილიზება დაგჭირდებათ. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს, ვიდრე ძველს არ დაასრულებთ. მოაგვარეთ საფინანსო საკითხები: ფულის უთავბოლო ხარჯვა ვალების აღების აუცილებლობის წინაშე დაგაყენებთ.

პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება, ამიტომ სჯობს, ყურადღება ოჯახის წევრებს დაუთმოთ.

იტენსიური სამუშო რიტმისა და სტრესული სიტუაციების გამო შეიძლება ჯანმრთელობის პრობლემა შეგექმნათ, ამიტომ შეეცადეთ, სრულფასოვნად დაისვენოთ და ძალები აღიდგინოთ.

**დადებითი დღე: 14 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 16 მაისი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

ამ პერიოდში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება არ ღირს. დაკმაყოფილდით იმ სამუშაოს შესრულებით, რომელიც თქვენში მაინცდამაინც დიდ ენთუზიაზმს არ იწვევს. ახალი პროექტების დაწყება კი სამომავლოდ გადადეთ.

უნდა დაფიქრდეთ დამატებითი შემოსავლის მოძიებაზე, რადგან თქვენი ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ მის მიმართ მეტ ყურადღებას გამოიჩენთ და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებაში დაეხმარებით.

გაუფრთხილდით ტერფებს, რადგან დიდია მათი ტრამვირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 13 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 16 მაისი.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ანტიბიოტიკები არღვევს დაავადების გამომწვევი ორგანიზმის უჯრედულ კედელს, უჯრედის მემბრანებს სრულფასოვან ფუნქციობაში უშლის ხელს, რის შედეგადაც ირღვევა უჯრედში საკვებ ნივთიერებათა ტრანსპორტი და მისი ნორმალური მუშაობა. გარდა ამისა, ანტიბიოტიკები თრგუნავს ნუკლეინის მჟავების — დნმ-ისა და რნმ-ის, ცილების სინთეზს და ამით ხელს უშლის ბაქტერიების გამრავლებას.**

# ზოგი რამ ანტიბიოტიკების შესახებ



**ანტიბიოტიკები ის ქიმიური ნივთიერებებია, რომლებსაც დაავადების გამომწვევი ბაქტერიების ზრდისა და განვითარების შეჩერება, მათი განადგურება შეუძლია. ამ პრეპარატებს ბაქტერიებით გამოწვეული ანთებითი პროცესების სამკურნალოდ იყენებენ. პირველი ანტიბიოტიკები პენიცილინი და სტრეპტომიცინი იყო. დღეისთვის სხვადასხვა მოქმედების 10000-ამდე ანტიბიოტიკია ცნობილი, რომელთაგან მედიცინაში 3000 გამოიყენება. ანტიბიოტიკებმა მილიონობით ადამიანი გარდაუვალი სიკვდილისგან იხსნა, მაგრამ ბოლო წლებში ხალხმა მათი გაუმართლებელი და უსაფუძვლო გამოყენება დაიწყო, რამაც სხვა პათოლოგიებს დაუდო სათავე.**



ანტიბიოტიკები არღვევს დაავადების გამომწვევი ორგანიზმის უჯრედულ კედელს, უჯრედის მემბრანებს სრულფასოვან ფუნქციობაში უშლის ხელს, რის შედეგადაც ირღვევა უჯრედში საკვებ ნივთიერებათა ტრანსპორტი და მისი ნორმალური მუშაობა. გარდა ამისა, ანტიბიოტიკები თრგუნავს ნუკლეინის მჟავების — დნმ-ისა და რნმ-ის, ცილების სინთეზს და ამით ხელს უშლის ბაქტერიების გამრავლებას.

წარმოშობის წყაროს მიხედვით განასხვავებენ: ბუნებრივ ანტიბიოტიკებს, რომელთაც ცოცხალი ორგანიზმები გამოიმუშავებენ, მაგალითად, ობის სოკოს მიერ სინთეზირებული **პენიცილინი**; ნახევრადსინთეზურ ანტიბიოტიკებს, რომლებიც ბიოლოგიური პროდუქტების მოდიფიკაციით, დამუშავების გზით მიიღება და სინთეზურს, ანუ სინთეზური გზით მიღებულ ანტიბიოტიკებს წარმოადგენს.

ბაქტერიულ უჯრედზე ზემოქმედების მიხედვით მათ სამ ჯგუფად ყოფენ: ბაქტერიოსტატიკური ანტიბიოტიკების ზემოქმედებით ბაქტერიები ცოცხლები რჩებიან, მაგრამ კარგავენ გამრავლების უნარს; ბაქტერიოციდული ანტიბიოტიკების ზემოქმედებით ბაქტერიები იღუპებიან, მაგრამ ფიზიკურად რჩებიან საარსებო არეში; ბაქტერიოლიზისური ანტიბიოტიკები სპობენ ბაქტერიებს, მათ უჯრედთა გარსს კი შლიან.

მიკროორგანიზმებით გამოწვეული დაავადებები საუკუნეების განმავლობაში შიშის ზარს სცემდა კაცობრიობას. როდესაც დამტკიცდა, რომ ინფექციურ დაავადებებს ბაქტერიები იწვევს, ანტიბაქტერიული საშუალებები ჯერ კიდევ არ არსებობდა. იყენებდნენ პრეპარატებს, რომლებიც ტოქსიკური იყო და ეფექტიც არც ისე ძლიერი ჰქონდა.

მიკროორგანიზმების უნარი, გამოიმუშაონ ნივთიერებები, რომლებიც მათ სიახლოვეს მობინადრე სხვა მიკროორგანიზმებს ზრდასა და გამრავლებაში ხელს უშლის, ლუი პასტერმა აღმოაჩინა. მან ამ მოვლენას **ანტიბიოზი** უწოდა.

ანტიბიოზს აქტიურად შეისწავლიდა ინგლისელი ფარმაკოლოგი **ალექსანდრ ფლემინგი.** 1928 წელს მან შეამჩნია, რომ მწვანე ობით დაბინძურებული ოქროსფერი სტაფილოკოკის კულტურაში სოკოთა კოლონიების ირგვლივ სტაფილოკოკები აღარ იზრდებოდნენ. ფლემინგმა დაამტკიცა, რომ ეს ობის სოკოების მიერ გამოყოფილი ნივთიერების დამსახურება იყო და ამ ნივთიერებას პენიცილინი უწოდა.

პირველი ანტიბიოტიკები სწორედ პენიცილინი და სტრეპტომიცინია.

ტერმინი **ანტიბიოტიკი** პირველად 1942 წელს **სტრეპტომიცინისა** და რამდენიმე სხვა ანტიბიოტიკის აღმომჩენმა ამერიკელმა მიკრობიოლოგმა და ნობელის პრემიის ლაურეატმა სელმან ვაკსმანმა გამოიყენა იმ ნივთიერებების აღსაწერად, რომლებიც მიკროორგანიზმებისგან იწარმოება და სხვა მიკროორგანიზმებს ანადგურებს, ანდაც მათ განვითარებას აფერხებს.

ანტიბიოტიკების პრაქტიკული შესწავლა განსაკუთრებით ფართოდ გაჩაღდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა უამრავი დაჭრილი ჯარისკაცის მკურნალობა და მათი მწყობრში დაბრუნება გახდა აუცილებელი. ამავე პერიოდში გაირკვა, რომ ანტიბიოტიკებს ნიადაგსა და წყალში მობინადრე სხვა მიკროორგანიზმებიც გამოიმუშავებდნენ. ამ კვლევაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართველმა მეცნიერებმაც.

ანტიბიოტიკებს წარმოქმნიან: აქტინომიცეტები და ობის სოკოები; ბაქტერიები; უმაღლესი მცენარეები; ცხოველებისა და თევზების ქსოვილები.

ქიმიური ბუნების მიხედვით ანტიბიოტიკები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, თუმცა საერთო თვისებებიც აქვთ.

მათი მოლეკულური მასა 150-დან 5000-მდე ვარირებს.

ზოგიერთი ანტიბიოტიკის მოლეკულა მხოლოდ ნახშირბადისა და წყალბადისგან შედგება, ზოგიერთისა — ნახშირბადის, ჟანგბადის, წყალბადისა და აზოტისგან. ცნობილია გოგირდის, ფოსფორისა და ჰალოგენების შემცველი ანტიბიოტიკებიც.

**ტერმინი ანტიბიოტიკი პირველად 1942 წელს სტრეპტომიცინისა და რამდენიმე სხვა ანტიბიოტიკის აღმომჩენმა ამერიკელმა მიკრობიოლოგმა და ნობელის პრემიის ლაურეატმა სელმან ვაქსმანმა გამოიყენა იმ ნივთიერებების აღსაწერად, რომლებიც მიკროორგანიზმებისგან იწარმოება და სხვა მიკროორგანიზმებს ანადგურებს, ანდაც მათ განვითარებას აფერხებს**



დღეს ექსპერტები უკვე თვლიან, რომ ანტიბიოტიკების ოქროს ხანა დამთავრდა.

**ანტიბიოტიკი მნიშვნელოვანი წამალია, შეიძლება ითქვას, ცივილიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი მონაპოვარი, მაგრამ ეს სიკეთე კაცობრიობას გარანტირებული არ აქვს. საქმე ისაა, რომ ხშირი, ზედმეტი ან არასწორი მიღების შემთხვევაში, ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში მობინადრე ბაქტერიებში გადარჩევის შედეგად მხოლოდ ისინი რჩებიან, რომლებიც ანტიბიოტიკის მიმართ რეზისტენტულები ხდებიან. ასეთ ბაქტერიებს სუპერბაგები დაარქვეს. მათ წინაშე ჩვენ ხელთ არსებული ანტიბიოტიკები უძლურია.**

სუპერბაგები განსაკუთრებით გავრცელებულია კლინიკებში, სადაც ანტიბიოტიკებს დიდი რაოდენობით მოიხმარენ. Wall Street Journal-ის ინფორმაციით, ამერიკაში, ჰოსპიტალში შეძენილი ინფექციის შედეგად, რომლის გამომწვევი ბაქტერიაც ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტულია, ყოველწლიურად 60 ათასზე მეტი ადამიანი იღუპება. ევროპაში მსგავსმა ბაქტერიულმა ინფექციებმა შარშან 25 ათასი ადამიანი მოკლა.

სპეციალური საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც სწავლობდა ანტიბიოტიკებისადმი მდგრადობას, თვლის, რომ, თუმცა ანტიბიოტიკებმა იხსნეს უფრო მეტი სიცოცხლე, ვიდრე მედიკამენტების ნებისმიერმა სხვა კლასმა, მათმა გამოყენებამ მოძრაობაში მოიყვანა პოპულაციის გენეტიკაში ყველაზე დიდი ჩარევა, რაც კი ოდესმე უნახავს ჩვენს პლანეტას. ამ ჩარევის შედეგები ჩანს ისეთი გენების გავრცელებაში დედამიწაზე არსებული ბაქტერიების ყველა პოპულაციაში, რომლებიც მდგრადები არიან ანტიბიოტიკების მიმართ. ამ ცვლილებამ, რომელიც თუმც კი არ ჩანს შეუიარაღებელი თვალით, ადამიანების ჯანმრთელობაზე ისეთივე ძლიერი გავლენა მოახდინა, როგორც თვით ანტიბიოტიკებმა.

მსოფლიოში აქტუალურია ანტიბაქტერიული პრეპარატების მიმართ რეზისტენტობის პრობლემა. რეზისტენტობა იმდენად სწრაფად იმატებს, რომ არ გამორიცხავენ, მისი ჩამოყალიბების სისწრაფემ გაუსწროს ახალი ანტიბაქტერიული პრეპარატების შექმნის ტემპს, ანუ ჩამოყალიბდეს მიკროორგანიზმი, რომლის საწინააღმდეგო ეფექტური ანტიბაქტერიული პრეპარატი ჯერ არ შექმნილა. სწორედ ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მოგიწოდებთ ანტიბაქტერიული საშუალებების რაციონალური გამოყენებისკენ. ანტიბაქტერიული მედიკამენტების თვითნებური გამოყენება საგრძნობლად აჩქარებს რეზისტენტობის ტემპს.

ზოგიერთი ბაქტერია სხვადასხვა ანტიბიოტიკის მიმართ თავისი ბუნებითაა რეზისტენტული, ხოლო ხშირად ეს მდგრადობა შეძენილია. ბაქტერიები მდგრადებად გადაიქცევიან მას შემდეგ, რაც თავის გენებში ჩართავენ მდგრადობის ფაქტორს ანტიბიოტიკების ზემოქმედების გასანეიტრალებლად. ეს ფაქტორი, შესაძლებელია, სწრაფად გადაეცეს სხვა ბაქტერიებს, გადაიტანებიან რა პლაზმიდებად წოდებული გენეტიკური მასალის პატარა ნაწილებით.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ატეხილმა განგაშმა საერთაშორისო პრესა ანტიბიოტიკების შესაძლო ალტერნატივებზე აალაპარაკა და საქართველო გაახსენა.

**როგორც ბრიტანული გამოცემა Guardian-ი იუწყება, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ინფექციის ალტერნატიული პრეპარატით — ბაქტერიოფაგით მკურნალობა დაშვებულია.**

**ეს ტერმინი ბაქტერიების მჭამელს ნიშნავს და პირველად პარიზის პასტერის სახელობის ინსტიტუტის მიკრობიოლოგმა, კანადელმა ფელიქს დ'ერელმა გამოიყენა. ბაქტერიოფაგი ერთგვარი ვირუსია, რომლითაც ბაქტერია ინფიცირდება და კვდება.**

პირველი ეჭვი ფაგების ეფექტიანობის შესახებ ბრიტანელ ქიმიკოსს — ერნესტ ჰენბერი ჰანკინს გაუჩნდა. მან შეამჩნია, რომ მდინარე განგის ჭუჭყიან წყალს ქოლერის ბაქტერიის განადგურება შეეძლო. მაგრამ ფაგის სერიოზული კვლევა 1920-იანი წლებიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც ფელიქს დ'ერელმა და გიორგი ელიავამ 1923 წელს თბილისში ბაქტერიოფაგების კვლევის ინსტიტუტი დააფუძნეს.

კვლევის პირველი შედეგები იმედის მომცემი გამოდგა. დასავლური კომპანიები დაინტერესდნენ ბაქტერიოფაგურ თერაპიაში ფულის დაბანდებით, მაგრამ ფლემინგის მიერ პენიცილინის გამოგონებამ ფაგები ყველას დაავიწყა, თუმცა საქართველოში მისი კვლევა არ შეჩერებულა. საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ფაგებით თერაპიას აქტიურად მიმართავდნენ.

გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგების, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი დღესაც არსებობს. დღესდღეობით სამედიცინო სასწავლო პროგრამებიდან ფაგოთერაპიის შესახებ ვერაფერს შეიტყობთ. გზამკვლევიც მხოლოდ ახლა იქმნება.

სპეციალისტების მტკიცებით, ბაქტერიოფაგებს უკუჩვენება არ ახასიათებს — ეს არის ორგანიზმი, რომელიც ბუნებაში არსებობს. ნებისმიერი ჩვენგანი ჰაერთან ერთად რაღაც ბაქტერიოფაგებს შეისუნთქავს ან წყლიდან იღებს. ინსტიტუტში იმ ბაქტერიოფაგების სელექციას ახდენენ, რომლებიც კონკრე- ▶

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გახსოვდეთ, რომ ანტიბიოტიკებმა შეიძლება ალერგიული რეაქცია გამოიწვიოს. ყველაზე ხშირია პენიცილინის ჯგუფის ანტიბიოტიკებზე ალერგიული რეაქციები. პირველივე სიმპტომების დროს უნდა შეწყვიტოთ პრეპარატის მიღება და აცნობოთ ამის შესახებ ექიმს. დაიმახსოვრეთ რომელ ანტიბიოტიკზე გქონდათ ალერგიული რეაქცია და ყოველი ანტიბიოტიკის დანიშვნის წინ აცნობეთ ექიმს ამის შესახებ.

◀ ტულ ბაქტერიაზე მუშაობს. ხდება განწმენდა და იმ რაოდენობით კონცენტრირება, რომ ის წამლად გამოდგეს.

ანტიბაქტერიული პრეპარატები აუცილებელია, როცა ინფექცია პაციენტის სიცოცხლეს ემუქრება ან მოსალოდნელია, სიცოცხლისთვის საშიში გართულება გამოიწვიოს. პრეპარატის დანიშვნის საკითხს ასეთ შემთხვევებშიც ექიმი წყვეტს.

მრავალი მონაცემი მიუთითებს იმაზე, რომ ანტიმიკრობული საშუალებები ხშირად არასათანადოდ და არადანიშნულებისამებრ გამოიყენება.

ანტიბიოტიკების არასწორი გამოყენება ზრდის თანამდევი მოვლენების საფრთხეს. ისინი, შესაძლოა, იყოს სპეციფიკური (მაგალითად, ხლორამფენიკოლს შეუძლია ძვლის ტვინის დაზიანება, ნეომიცინს — თირკმელებისა) ან გამოწვეულ იქნას მაღალი მგრძნობელობით ან ალერგიული რეაქციებით. უფრო მეტიც, ადამიანის ორგანიზმში ანტიბიოტიკებით მიკროორგანიზმების ბალანსის დარღვევას, შესაძლოა, მოჰყვეს სუპერინფექცია ან საფუარის უჯრედების, სოკოებისა და ბაქტერიების უსაზღვრო ზრდა. ჩვეულებრივ, ეს სიტუაციები არ არის მძიმე, მაგრამ, შესაძლოა, სერიოზულ პრობლემებში გადაიზარდოს.

**ანტიბიოტიკების უმართებულო გამოყენების კიდევ ერთი შედეგია ნაწლავთა მწვავე აშლილობა. ამ გართულებისაგან თავის დაცვა შეუძლებელია. თუ ანტიბიოტიკებით მკურნალობის ფონზე ფაღარათი განვითარდა, პრეპარატის მიღება უნდა შეწყდეს. ზოგჯერ ეს საკმარისია მდგომარეობის გამოსასწორებლად. მძიმე შემთხვევებში პრეპარატის შეწყვეტასთან ერთად საჭიროა დამატებითი მკურნალობა.**

სოკოვანი დაავადება ანტიბაქტერიული მკურნალობის საკმაოდ იშვიათი გართულებაა. მის წინააღმდეგ სპეციალური პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება საჭირო არ არის, მით უმეტეს, რომ სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატები არ ამცირებს ანტიბიოტიკების ფონზე სოკოვანი ინფექციის განვითარების რისკს.

პაციენტისთვის ანტიბიოტიკის შერჩევისას აუცილებელია პრეპარატის ფარმაკოდინამიკისა და პაციენტის ინდივიდუალური თავისებურებების: ასაკის, იმუნიტეტის მდგომარეობისა და თანმხლები დაავადებების გათვალისწინება. გარდა ამისა, გადამწყვეტია ისეთი ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგები, როგორიც არის ბაქტერიოსკოპია, ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა და ანტიბიოტიკოგრამა.

ანტიბაქტერიული მკურნალობის ოპტიმალური რეჟიმის შესარჩევად სასურველია, დაავადების გამომწვევი ზუსტად იყოს ცნობილი, მაგრამ მეტწილად ეს ვერ ხერხდება, რაშიც რამდენიმე ფაქტორს მიუძღვის ბრალი. ეს ფაქტორებია სადიაგნოზო მეთოდების სიმცირე, სადიაგნოზო მეთოდის სიძვირე, დიაგნოსტიკის პროცესის ხანგრძლივობა. ეს უკანასკნელი საკმაოდ დააყოვნებდა ანტიბაქტერიული პრეპარატის დანიშვნას. ყოველივე ამის გამო ექიმი უმეტესად მიმართავს ემპირიულ ანტიბაქტერიულ მკურნალობას. მედიკამენტი შეირჩევა იმ პრინციპით, რომ ყოველ ინფექციას აქვს ჩვეული გამომწვევი. მაგალითად, ცნობილია, რომ ფილტვების ანთებას უმეტესად პნევმოკოკი იწვევს, საშარდე გზების ინფექციას — ნაწლავის ჩხირი. შესაბამისად, ექიმი ნიშნავს ანტიბაქტერიულ პრეპარატს, რომელიც აღნიშნულ აგენტებზე მოქმედებს.

იმისათვის, რომ ანტიბიოტიკების მიღებამ ზიანი არ მოგვაყენოს, აუცილებელია რამდენიმე წესის მკაცრად დაცვა:

* **არ მიიღოთ ანტიბიოტიკები გრიპისა და სხვა მწვავე რესპირატორული დაავადების დროს;**

* თავი შეიკავეთ პირველი 4 დღე. საქმე ისაა, რომ მწვავე რესპირატორული დაავადებების გამომწვევები უმეტეს შემთხვევაში ვირუსებია, რომლების მიმართაც ანტიბიოტიკები უძლურებია. Uმჯობესია, მიიღოთ ანტივირუსული პრეპარატები. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადი მდგომარეობა არ უმჯობესდება და 38°C-ზე უფრო მაღალი სიცხე გაქვთ 3 დღეზე მეტი, მაშინ გართულებების რისკი მატულობს და ექიმთან ვიზიტის გადადება გამორიცხული ხდება. ექიმი თვითონ დასვავს დიაგნოზს და საჭიროების შემთხვევაში დანიშნავს ანტიბაქტერიულ მკურნალობას.

* **მკაცრად დაიცავით ანტიბიოტიკის დოზირება, მიღების დრო და მკურნალობის ხანგრძლივობა. არასაკმარისი დოზა არაეფექტური იქნება, დიდი დოზა კი — ტოქსიკური. დღელამური ანტიბიოტიკის ნორმა ითვლება პაციენტის სხეულის მასიდან გამომდინარე და შემდეგ იყოფა იმდენ მისაღებ დოზაზე, რომ ანტიბიოტიკის კონცენტრაცია სისხლში ერთნაირი იყოს. ამიტომაც არის აუცილებელი მისი ზუსტად, საათების მიხედვით მიღება, საჭიროების დროს ღამითაც კი. მიღების ხანგძლივობა 5-დან 14 დღემდეა. 1-3-დღიანი კურსები კი**



**თაფლს მრავალი სასარგებლო თვისება აქვს. ის ძლიერი ანტისეპტიკური და ანტიბაქტერიული ზემოქმედებით ხასიათდება. კარგია, თუ დღეში ერთ კოვზ თაფლს რეგულარულად მივიღებთ. განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისთვის**



**ბაქტერიების რეზისტენტულობას იწვევენ, რაც ართულებს შემდგომ მკურნალობას.**

* სწორედ შეუთავსეთ ანტიბიოტიკები სხვა წამლებს და საკვებს. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე პრეპარატის ერთდროული მიღება გიწევთ, აუცილებლად აცნობეთ ექიმს ამის შესახებ. უმჯობესია, თუ ანტიბიოტიკს სხვა საათებში მიიღებთ. უმეტეს შემთხვევაში ანტიბიოტიკს ჭამამდე 1 საათით ადრე იღებენ ან ჭამის შემდეგ 2 საათი მაინც უნდა იყოს გასული. წამალს წყალი დააყოლეთ, ასეთ შემთხვევაში წამალი კარგად შეიწოვება ორგანიზმში. თუმცა ზოგი ანტიბიოტიკი კვების დროს არის მისაღები, რათა თავიდან ავიცილოთ კუჭ-ნაწლავის გართულებები.

* **გახსოვდეთ, რომ ანტიბიოტიკებმა შეიძლება ალერგიული რეაქცია გამოიწვიოს. ყველაზე ხშირია პენიცილინის ჯგუფის ანტიბიოტიკებზე ალერგიული რეაქციები. პირველივე სიმპტომების დროს უნდა შეწყვიტოთ პრეპარატის მიღება და აცნობოთ ამის შესახებ ექიმს. დაიმახსოვრეთ რომელ ანტიბიოტიკზე გქონდათ ალერგიული რეაქცია და ყოველი ანტიბიოტიკის დანიშვნის წინ აცნობეთ ექიმს ამის შესახებ.**

* შეამოწმეთ ვარგისიანობის ვადა. ვადის გასვლის შემდეგ წამალი თავის სამკურნალო თვისებებს კარგავს და შეიძლება ჯანმრთელობას ზიანი მოუტანოს.

* **ექიმის კონსულტაციის გარეშე არ მიიღოთ ანტიბიოტიკი ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში. ზოგიერთი ანტიბიოტიკი, მაგალითად, ტეტრაციკლინები, აღწევენ პლაცენტარულ ბარიერში და მოქმედებენ ნაყოფზე. ლაქტაციის პერიოდში კი რძეში გადადიან და ალერგიის, დისბაქტერიოზისა და სხვა გართულებების გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდნენ.**

* არ მისცეთ ბავშვებს ის პრეპარატი, რომლის ანოტაციაში არ წერია საბავშვო დოზები. ბევრი ფარმაცევტული ფირმა უშვებს საბავშვო ანტიბიოტიკებს აბების, წვეთების, სიროფებისა და ფხვნილების სახით, ამოტომაც არჩევანი ყოველთვის არსებობს. **არასდროს გაყოთ პრეპარატი, რომელიც მოზრდილებისთვის არის განკუთვნილი და არ მისცეთ ბავშვს.**

* **თუ იყენებთ ჰორმონალურ კონტრაცეფციურ საშუალებებს, აუცილებლად შეამოწმეთ, რამდენად შეთავსებადია ანტიბიოტიკი თქვენ მიერ გამოყენებულ ჰორმონალურ კონტრაცეპტივთან. ზოგიერთი ანტიბიოტიკი, მაგალითად, ამპიცილინი ამცირებს ჰორმონალური კონტრაცეპტივების ეფექტურობას, რამაც არასასურველი ორსულობა შეიძლება გამოიწვიოს.**

* არასდროს მიიღოთ ალკოჰოლური სასმელი ანტიბიოტიკთან ერთად. ერთდროულმა მიღებამ შეიძლება გულსისხლძარღვთა გართულებები გამოიწვიოს, განსაკუთრებით იმ პირებში, რომელთაც დაბალი არტერიული წნევა აქვთ.

* **ანტიბიოტიკებით მკურნალობისას მოერიდეთ მზის სხივებს. ზოგიერთი ანტიბიოტიკი (ტეტრაციკლინი, დოქსიციკლინი და სხვ.) მატებენ კანის მგრძნობელობას, რაც შეიძლება ფოტოდერმატიტის მამომწვევი მიზეზი გახდეს. ანტიბიოტიკის მიღების პერიოდში მოერიდეთ სოლარიუმში სიარულსაც.**

არსებობს მცენარეები, რომლებიც თავიანთი თვისებებით სასარგებლო, განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენენ ჩვენს ორგანიზმზე. მათგან ზოგიერთს რომლებსაც ანტიბიოტიკების მსგავსი მოქმედება აქვთ და, აგრეთვე, მათი მიღება მხოლოდ და მხოლოდ სასარგებლო ზემოქმედებას ახდენს ჩვენს ორგანიზმზე; მათ პრაქტიკულად არ აქვთ უკუჩვენება, არაჩვეულებრივად უწყობენ ხელს ჩვენს გამოჯანმრთელებას და ამავე დროს უფრო იაფია მათი შეძენა ვიდრე წამლების.

**ნიორი**. მართალია, ნიორს სპეციფიკური არასასიამოვნო სუნი აქვს, მაგრამ ის ეფექტიანად მოქმედებს მიკრობების, ვირუსების, სოკოსა და ბაქტერიების წინააღმდეგ. ნიორი დიდი რაოდენობით შეიცავს ვიტამინებს, მიკროელემენტებს. აუცილებელია მისი რეგულარულად მიღება, თუნდაც ერთი-ორი კბილის დღეში.

**ჟოლო.** ეს ტკბილი, სასიამოვნო გემოს კენკრაა, რომელიც იწვევს ოფლდენას, რაც ძალიან ეფექტური მკურნალობაა მაღალი ტემპერატურის დასაწევად. ის ასევე ძალიან ეფექტურად მოქმედებს ზემო სასუნთქ გზებზე, სასარგებლოა, აგრეთვე, გრიპის პროფილაქტიკისთვის. უფრო კარგია, მას თუ მივიღებთ ცოცხლად ან გავყინავთ და ისე შევინახავთ ზამთრისთვის.

**თაფლი.** თაფლს მრავალი სასარგებლო თვისება აქვს. ის ძლიერი ანტისეპტიკური და ანტიბაქტერიული ზემოქმედებით ხასიათდება. კარგია, თუ დღეში ერთ კოვზ თაფლს რეგულარულად მივიღებთ. განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისთვის.

**შინდი.** შინდი გამოირჩევა ანტიბაქტერიული მოქმედებით. ძალიან კარგ შედეგს იწვევს დისბაქტერიოზისა და დიარეის დროს, ამ შემთხვევაში კარგია, თუ მას მივიღებთ კისელის სახით.

**ბროწეული.** ხასიათდება ანტიმიკრობული და ორგანიზმის გასაძლიერებელი თვისებებით. ძალიან კარგია დაბალი ჰემოგლობინის დროს, ყელის ტკივილის დროს. შეგვიძლია, მივირთვად პირდაპირ ან გამოწურული. 2 ს/კ ბროწეულის წვენს ხსნიან 1 ჭიქა გადადუღებულ წყალში და ისე მიირთმევენ.

**ლიმონი.** შეუცვლელია ადამიანის ორგანიზმისათვის, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. ლიმონი დიდი რაოდენობით შეიცავს ვიტამინებს და მინერალურ ნივთიერებებს. აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და თირკმლების მუშაობას. იცავს ორგანიზმს ვირუსული ინფექციებისაგან. საჭიროა, ერთ ჭიქა წყალში ჩავაწვეთოთ რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი და ისე დავლიოთ.







ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ონლაინაუქციონებზე, მათ შორის EBAY-ზეც საკმაოდ ხშირია ყალბი საქონელი. მაიკლ ჯექსონის ხელთათმანსა თუ ელვის პრესლის 1973 წლის საკოლექციო ფირფიტაზე ვაჭრობა ზოგიერთისთვის შეიძლება მეტად მომხიბლავიც იყოს, მაგრამ მაინცდამაინც თავის დაკარგვა არ ღირს, რადგან გასაყიდად გამოტანილი ნივთები, შესაძლოა, ყალბი აღმოჩნდეს.






# თერმული კურორტი ტიროლის მთებში

**ავსტრიის მთებში, ტიროლის მხარეში მდებარეობს ულამაზესი კურორტი Aqua Dome, რომელიც თავისი თერმული წყლებითა და კონუსური არქიტექტურული ფორმებით არის ცნობილი. ეს არის ყველაზე თანამედროვე, უნიკალური არქიტექტურის მქონე თერმული „აბანო“ ავსტრიაში.**

სასტუმროში არის აუზები როგორც შენობაში, ისე ღია ცის ქვეშ – ფერადი ეფექტებით, წყალქვეშა მუსიკით, მასაჟითა და რასაკვირველია, ცხელი წყლით, რომელიც მიწის ქვეშ 1865 მეტრის სიღრმეზე განთავსებული რეზერვუარიდან იკვებება. აუზები სხვადასხვა ფორმისაა და მათი ერთიანი ფართობი 2200 კვ.მეტრია.

აქ შეგიძლიათ, ჯანმრთელობაზე ზრუნვა სიამოვნებას შეუთავსოთ, დატკბეთ სპა-სალონებითა და ცხელი აუზებით. სასტუმროს ირგვლივ უამრავი ადგილია, რომლებიც აუცილებლად უნდა მოინახულოთ, ასეთია, მაგალითად, ვარდნის 159-მეტრიანი სიმაღლის ჩანჩქერი შტუიბენი. ჯგუფური ტურების შემოთავაზების გარდა, თუ ტიროლის მთებში მარტო გასეირნებას გადაწყვეტთ, სასტუმრო მინი კუპერის კაბრიოლეტს გათხოვებთ და მარშრუტსაც დაგიხატავთ.

Aqua dome 4+ ვარსკვლავიანი სასტუმროა, რომელშიც წელიწადში 350 ათასზე მეტი ადამიანი ისვენებს. ის ღიაა მთელი წლის განმავლობაში.



# ცხოვრება წყალქვეშ

**წარმოიდგინეთ, რომ ტიტანიკის ჩაძირვის შემდეგ გემის მგზავრებს წყალქვეშ ცხოვრების გაგრძელება შეძლებოდათ ან იდუმალებით მოცული კუნძული ატლანტიდა ახლაც დასახლებული ყოფილიყო. ეს იდეა ამერიკელმა ფოტოგრაფმა სქოთ რეამ თავის შესანიშნავ ფოტოსერია „წყლისქვეშეთში“ განახორციელა. ფოტოგრაფის წყალქვეშა სამყარო წარმოგიდგენთ მომხიბლავ თავგადასავალს, რომელიც ყველას გადაგვხდებოდა თავს, ჰაერის მუდმივად სუნთქვა რომ არ გვჭირდებოდეს.**

სქოთ რეა ლუიზიანაში დაიბადა. ტანსაცმლის მოდელირებისა და ფოტოგრაფიისადმი სიყვარულმა იგი მოდის ფოტოგრაფის კარიერამდე მიიყვანა. ახლა სქოთი ევროპასა და ამერიკაში მოღვაწეობს და, ძირითადად, კინორეჟისურასა და სარეკლამო რგოლებზეა კონცენტრირებული, თუმცა ფოტოგრაფიის მეშვეობით ადამიანებს თავის უნიკალურ ხედვას უზიარებს, რომელიც დამთვალიერებელს ერთდროულად აშინებს და აღაფრთოვანებს კიდეც.

სქოთს „წყლისქვეშეთის“ სერიაზე მუშაობისას ექსპერტების მთელი არმიის მოწვევა დასჭირდა. თითო ფოტოს გადასაღებად მის გუნდში 50-მდე ადამიანი ერთიანდებოდა, ასევე საჭირო იყო წყალქვეშა დომოფონის სისტემა, სპეციალური, წყალგამძლე მაკიაჟი, არატოქსიკური ავეჯი და, რა თქმა უნდა, მოდელები. ფოტოგრაფი ყველა ასაკის მოდელთან მუშაობს და განსაკუთრებულად იხსენებს ერთ 10 წლის გოგონას, რომლის გადაღებაც ძალიან კომფორტული პროცესი აღმოჩნდა. გოგონამ რესპირატორის დახმარებით 30-35 წუთის განმავლობაში შეძლო წყალში გაჩერება.

# ინტერნეტთაღლითობის გავრცელებული სქემები

**თაღლითობა ინტერნეტში ახალი ამბავი არ არის, ფულის შოვნის ზოგიერთი სქემა დიდი ხნის განმავლობაში წარმატებით მოქმედებს და თაღლითებისთვის საკმაო მოგება ჯერ კიდევ მოაქვს.**




## ყალბი ნივთები აუქციონებზე

ონლაინაუქციონებზე, მათ შორის eBay-ზეც საკმაოდ ხშირია ყალბი საქონელი. მაიკლ ჯექსონის ხელთათმანსა თუ ელვის პრესლის 1973 წლის საკოლექციო ფირფიტაზე ვაჭრობა ზოგიერთისთვის შეიძლება მეტად მომხიბლავიც იყოს, მაგრამ მაინცდამაინც თავის დაკარგვა არ ღირს, რადგან გასაყიდად გამოტანილი ნივთები, შესაძლოა, ყალბი აღმოჩნდეს.

ასეთი ფაქტები ფეხის ყოველ ნაბიჯზე ხდება. და მიუხედავად იმისა, რომ eBay-ს თაღლითების გამოსავლენად სპეციალური კომისიაც აქვს შექმნილი, ყალბი ნივთის შემოსაღების ალბათობა მაინც არის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი ნამდვილობის დამადასტურებელი სერთიფიკატი არსებობს.

გარდა ამისა, ინტერნეტაუქციონებზე თაღლითები თანამოაზრეებთან ერთად ფასების ხელოვნურ აწევას ახდენენ. თუ აუქციონზე თქვენი კონკურენტის გვარი სხვა აუქციონების მყიდველთა სიებში ხშირად ფიგურირებს, დიდი ალბათობაა, „ფასის ამწევი“ იყოს და ცდილობდეს, მეტი გადაგახდევინოს.

## საბანკო თაღლითობა – ფიშინგი

ფიშინგი ინტერნეტთაღლითობის საკმაოდ პოპულარული სახეობაა. თუ თქვენ ბანკიდან მიიღეთ მეილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ვიღაც თქვენი ანგარიშის ნომრის გამოყენებას ცდილობს და მისი დაბლოკვისთვის ბანკს თქვენი პირადობის დამადასტურებელი ინფორმაციის მიწოდება ესაჭიროება, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააკეთოთ.

ბანკები არასოდეს ითხოვენ მსგავსი ტიპის ინფორმაციას ელექტრონული ფოსტით, სამაგიეროდ ასე თაღლითები იქცევიან.

როდესაც ფიშერები პირად ინფორმაციას იღებენ, მას საბანკო ანგარიშზე წვდომის მისაღებად იყენებენ. ასეთივე სქემები მოქმედებს საკრედიტო ბარათებთან დაკავშირებითაც, ამიტომ ბარათის მონაცემები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასცეთ.

## თქვენ მოიგეთ XBOX!

ყოველთვის, როცა ინტერნეტში უფასოდ გთავაზობენ იმას, რაც, ჩვეულებრივ, ფული ღირს, მეტად ფრთხილად უნდა იყოთ. ბილ გეითსი ცნობილი ფილანტროპია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ Microsoft-ი ათასობით Xbox-ს უფასოდ დაარიგებს.

იმ პროდუქციის მწარმოებლები, რომლებიც თქვენ ელექტრონული შეტყობინების თანახმად „მოიგეთ“, კომერციული ორგანიზაციებია და მათ გეგმებში ათასობით Xbox-ის, iPod-ისა და სხვა გაჯეტების დარიგება არ შედის.

ასეთ აფიორებში, ჩვეულებრივ, მიტანის ღირებულების წინასწარ გადარიცხვას ითხოვენ, როგორც წესი, 10 დოლარს მაინც.

## აფერა ქველმოქმედების სახელით

როდესაც რაიმე ტრაგედია ხდება, რომლის შედეგების შესამსუბუქებლად ქველმოქმედებაა საჭირო, ჩვეულებრივ, აქტივიზდებიან არა მხოლოდ საქველმოქმედო ფონდები, არამედ თაღლითებიც.

თუ თქვენ იღებთ წერილს, სადაც ქველმოქმედებას გთხოვენ, თანხის მაშინვე გადარიცხვა არ ღირს. 100 პროცენტით დარწმუნდით, რომ ასეთი ორგანიზაცია არსებობს, ეს სახსრები იმას მოხმარდება, რაც ნათქვამი იყო, და ფული მხოლოდ ამის შემდეგ გადარიცხეთ. არაა რეკომენდებული, მიუთითოთ თქვენი პირადი ინფორმაცია, თუნდაც პასპორტის ნომერი. თუ დახმარება გინდათ, შეგიძლიათ, მიმართოთ მსხვილ საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომლებიც გაჭირვებულებთან პირდაპირ კავშირშია.

## შანტაჟი

შანტაჟიც ასევე გავრცელებული ფორმაა. მსხვერპლი იღებს მუქარით სავსე წერილს მისი ან მისი ახლობლის გატაცებისა და მკვლელობის შესახებ, თუ გამომგზავნის ანგარიშზე გარკვეული თანხა არ გადაირიცხება. რა თქმა უნდა, ესეც აფიორაა. თუნდაც თქვენ გრძნობდეთ, რომ ვიღაცას მართლა შეუძლია, მოიტაცოს თქვენი ახლობელი ან აქვს კომპრომატები, ნებისმიერ შემთხვევაში სჯობს, სამართალდამცავებს მიმართოთ.

## რა ღირს კიბერუსაფრთხოება?

კიბერუსაფრთხოების ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა გასულ წლებში კიბერდამნაშავეების მიერ განხორციელებულმა შეტევებმა განაპირობა.

საკმარისია, გავიხსენოთ მასობრივი შეტევები, რომლებიც განხორციელდა ისეთ მსხვილ კომპანიებზე, როგორებიცაა Google, ასევე რამდენიმე წამყვან ბანკსა და სხვა ორგანიზაციებზე.

ორგანიზაცია Ponemon Institute-ს ჩატარებული ანალიტიკური კვლევის თანახმად, მაღალი ტექნოლოგიების სფეროში უსაფრთხოების ხარჯები ბოლო დროს დაახლოებით 56%-ით გაიზარდა.

კომპანია Hewlett-Packard-ი პრობლემის შესასწავლად და მასთან საბრძოლველად ყოველწლიურად 5,9 მილიონს გამოყოფს. კომპიუტერული უსაფრთხოების შესახებ კვლევებში ჩართული ყველა ორგანიზაციის ყოველწლიური ხარჯი 1,5 დან 36,5 მილიონამდე მერყეობს.

იმ ოთხი კვირის განმავლობაში, რომლის განმავლობაშიც კვლევა გრძელდებოდა, წარმატებული კიბერშეტევების სიხშირემ კვირაში საშუალოდ 72 შეადგინა, რაც 45 პროცენტით მეტია წინა წლების იმავე მაჩვენებელზე.

ყოველი ასეთი კიბერშეტევის შედეგების ნეიტრალიზებასა და უწინდელ სამუშაო რეჟიმში დაბრუნებას დაახლოებით 18 დღე სჭირდება. ამ ოპერაციების საშუალო ღირებულება 416 ათასი დოლარია.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დეზოდორანტების შემადგენლობა, უმრავლეს შემთხვევაში, არ არის ჯანსაღი, ეკოლოგიური და შეიცავს მრავალ საშიშ ელემენტს. დეზოდორანტების ერთ-ერთი ამგვარი არაჯანსაღი კომპონენტი არის ალუმინის მარილი.**

# დეზოდორანტმა, შესაძლოა, ალცჰაიმერის დაავადება და კიბო გამოიწვიოს



**ბევრ ჩვენგანს ვერც კი წარმოუდგენია, რამდენად საშიში შეიძლება იყოს ჯანმრთელობისთვის ყოველდღიური ჰიგიენის მოხმარების ისეთი საგანი, როგორიც დეზოდორანტია.**

დეზოდორანტების უმრავლესობა, ოფლის გამოყოფის შემცირების მიზნით, ბლოკავს საოფლე ჯირკვლებს. ოფლის გამოყოფა კი უმნიშვნელოვანესი პროცესია, რომლის საშუალებითაც ორგანიზმიდან გამოიყოფა ტოქსინები. როდესაც საოფლე ჯირკვალი ბლოკირებულია, ორგანიზმი ცდილობს, განთავისუფლდეს ზედმეტი ტოქსინებისგან სხვა ჯირკვლების მეშვეობით, მაგრამ ვიდრე ის ახდენს ამ ტვირთის ტრანსპორტირებას, მავნე ნივთიერებების მნიშვნელოვანი ნაწილი იწოვება სისხლში, რაც შემდგომში ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს — შეიძლება საოფლე ჯირკვლები დაიხშოს და განვითარდეს ანთება.

ამიტომ, თუ სარგებლობთ მსგავსი დეზოდორანტებით, აუცილებელია საღამოს მისი ჩამობანა, რათა ორგანიზმმა ღამის განმავლობაში მაინც „ისუნთქოს“ სრულფასოვნად.

დეზოდორანტების შემადგენლობა, უმრავლეს შემთხვევაში, არ არის ჯანსაღი, ეკოლოგიური და შეიცავს მრავალ საშიშ ელემენტს. დეზოდორანტების ერთ-ერთი ამგვარი არაჯანსაღი კომპონენტი არის ალუმინის მარილი, რომელიც შეიძლება დაგროვდეს ორგანიზმში და კრიტიკული მასის მიღწევისას გამოიწვიოს ყველა შესაძლო პათოლოგია, მათ შორის ალცჰაიმერის დაავადება და კიბო, განსაკუთრებით სარძევე ჯირკვლის სიმსივნე, რისი დამადასტურებელიცაა ამ დიაგნოზით დარეგისტრირებულთა რაოდენობის ზრდა.

ალუმინის გარდა, დეზოდორანტები შეიძლება შეიცავდეს ჯანმრთელობისთვის არასასურველ და მავნე კომპონენტებს, როგორიცაა:

**ტრიკლოზანი** — ანტიბაქტერიული საშუალება, რომელიც ოფლის სუნის წარმომქმნელი ბაქტერიების დამშლელია, მაგრამ სინამდვილეში ნაკლებადეფექტიანია და კლავს უფრო სუსტ კარგ ბაქტერიებს, რითაც ეხმარება ცუდ ბაქტერიებს;

**ბუტანი/პროპანე** — ნავთობმრეწველობის პროდუქტებია, ორგანიზმში დაგროვებისას იწვევს თავის ტკივილს;

**პოლიეთილენგლიკოლი/პოლიპროპილენგლიკოლი** — იწვევს ღვიძლისა და თირკმელების დაავადებებს;

**არანატურალური არომატები და სუნის გამაძლიერებლები** — შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციების განვითარება და გამწვავება;

თავის დასაცავად შეარჩიეთ ნატურალურ კომპონენტებზე დამზადებული და არომატების ნაკლებად შემცველი დეზოდორანტი, მაგალითად, მინერალური მარილების დეზოდორანტი-კრისტალები. მოქმედებით ის ნაკლებადეფექტიანია, ვიდრე ქიმიური მრეწველობის პროდუქტი, თუმცა ოფლის ზომიერ გამოყოფას წარმატებით უმკლავდება. ოფლი მაინც გამოგივათ, მაგრამ ცუდი სუნი არ შეგაწუხებთ. ეს არის ის მცირედი, რისი გაღებაც მოგიწევთ იმისათვის, რომ შეინარჩუნოთ ჯანმრთელობა.



# ყინულის ცისარტყელა-იგლუ

**ფერადი ყინულის იგლუს აშენების იდეა კრეატიულ დედას ედმონთონიდან (კანადა) ბრიჯიტ ბართონს ეკუთვნის.** საშობაოდ ბრიჯიტი თავისი შვილის — ქეთლინ სთარისა და მისი ბოიფრენდის — დენიელ გრეის სტუმრობას ელოდა და ფიქრობდა, რით შეეძლო თავის შექცევა კანადის -31°C ყინვაში ახალ ზელანდიელ დენიელს, რომელიც საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტია. ოქტომბრიდან ბრიჯიტმა რძის ყუთების ფერადი წყლით ავსება დაიწყო, რათა მოგვიანებით ფერადი გაყინული „აგურები“ ჰქონოდა. მას იმედი ჰქონდა, რომ დანარჩენ საქმეს დენიელის საინჟინრო განათლება გააკეთებდა. ფერადი წყალი გაიყინა, დენიელიც იოლად დათანხმდა გამოწვევას და ოჯახის წევრებისა თუ მეზობლების დახმარებით ყინულის დაახლოებით 500 აგურით ულამაზესი ცისარტყელა-იგლუ ააშენა. დენიელმა მშენებლობას დაახლოებით 150 საათი მოანდომა.

# ტირანა: თანამედროვე სახლი მიწაში



**არქიტექტურულმა კომპანიამ MOLOS Group (კოსოვო) ალბანეთის დედაქალაქ ტირანას შორიახლოს განახორციელა პროექტი — თანამედროვე სახლი მიწაში.** არქიტექტორთა მიზანი იყო, სახლის მცხოვრებლები ტირანას ხმაურიან ქუჩებს მოშორებოდნენ და მაქსიმალურად ახლოს ეგრძნოთ თავი ბუნებასთან. შენობა დიდწილად ლანდშაფტთან არის ინტეგრირებული, მისი გარე კედლები ბალახით დაფარული პატარა ბორცვია.

ამ ინოვაციური, თანამედროვე სახლის ინტერიერი ძალიან ღიაა, რადგან მისი ადგილმდებარეობა კონფიდენციალობას თავისთავად უზრუნველყოფს. სახლს ორივე მხრიდან დიდი აივნები აქვს, რათა მისმა მცხოვრებლებმა კარგ ამინდში ღია ცის ქვეშ შეძლონ დროის გატარება. სახლის შესასვლელში პატარა გუბურაა, რომელზეც ბეტონის ფილებია გადებული.



# ნახევარსაუკუნოვანი ბაღი ბოცაში

**როდესაც დევიდ ლატიმერმა 1960 წლის აღდგომის დღესასწაულზე შუშის ბოცაში მიწა და მცენარის თესლები ჩაყარა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ცოტა ხანში მიიღებდა ნამდვილ ჯუნგლებს, რომელიც ათეულობით წელს გაძლებდა.**

54 წლის წინათ ლატიმერმა უზარმაზარ ბოთლში ცოტა კომპოსტი და მიწა ჩაყარა, შემდეგ მავთულის საშუალებით პატარა ორმოები ამოთხარა და მათში ფრთხილად მოათავსა ტრადესკანციას თესლები. ბოლოს ცოტა წყალი მოასხა და ჰერმეტულად დახურა.

ბოცა სახლის მზიან კუთხეში წლების განმავლობაში იდგა. ის ბოლოს მოსარწყავად 42 წლის წინ გაიხსნა. მთელი ამ დროის განმავლობაში ბოთლში თვითკმარი ეკოსისტემა ჩამოყალიბდა — ფაქტობრივად, უნიკალურ გარემოში წარმატებულად შეიქმნა დედამიწის მაკრო სისტემა. დევიდ ლატიმერი უკვე 80 წლისაა და თავისი ექსპერიმენტის შედეგის დატოვებას შვილისა და შვილიშვილებისთვის აპირებს.

# ისლანდიაში ახალშობილს გვარის მაგივრად მამის სახელს აძლევენ

**ისლანდიაში 290 570 მცხოვრებია. ისინი არიან ვიკინგების შთამომავლები, რომლებიც კუნძულზე დაახლოებით 1100 წლის წინათ დასახლდნენ. ქვეყნის მცხოვრებთა ტრადიციების უმეტესობაც სწორედ ამ მეომარი ხალხის — ვიკინგების ტრადიციების გაგრძელებაა.**



პირველ რიგში, რაც იქ გაგაოცებთ, არის ის, რომ ვერ ნახავთ ორ ერთნაირად ჩაცმულ ადამიანს — გარემო იმდენად ნაცრისფერია გამუდმებული სიცივის გამო, რომ ხალხი „ფერადდება“ სამოსით და სახლებიც სულ ფერად-ფერადია.

ისლანდიელების ჩვევებსა და ტრადიციებში ბევრი კითხვაა, თუმცა განათლებაზე სულაც არ არიან გადარეულები, გემოვნების მხრივ საკმაოდ თავისუფლები გახლავან და, როგორც სურთ, ისე ცხოვრობენ.

ისლანდიელები ამაყობენ, რომ სკანდინაველ ხალხთა შორის მხოლოდ მათ შეინარჩუნეს ვიკინგების ჩვეულება — ახალშობილს გვარის ნაცვლად მამის სახელი მისცენ. შედეგად, ოთხკაციან ოჯახში მამას, დედას, ქალიშვილსა და ვაჟს სხვადასხვა გვარი ექნებათ.

თუ პეტური ბიორნის ვაჟი ქორწინდება გუდრუნზე, რომელიც ვილიაჰიალმის ქალიშვილია, მათ უჩნდებათ ორი შვილი — მარტა და ეინარი, მაშინ მარტა იქნება პეტურსდოტირი, ეინარი — პეტურსონი, მამის სახელის მიხედვით, თავად პეტური კი არის ბიორნსონი, ხოლო გუდრუნი — ვილიაჰიალმსდოტირი.

ამ ე.წ. პატრონიმების გამოყენება გვარებად ისლანდიის სატელეფონო წიგნაკში ძალიან დიდ არეულობას იწვევს უცხოელის თვალში. თუმცა საქმის გასაიოლებლად იქ არის ნომრები, როგორც გვარების, ისე სახელების მიხედვით. და კიდევ — რაკი სახელები მაინც შეზღუდული რაოდენობის აქვთ, აბონენტები ერთნაირი სახელებითა და გვარებით არც ისე ცოტაა.

ისლანდიელების საყვარელი საქმიანობაა ქსოვა. მას საზოგადოებრივ ცნობიერებაში არანაკლები ადგილი უკავია, ვიდრე პოლიტიკისა თუ ამინდის განხილვას, განსაკუთრებით ისლანდიის სოფლებსა და რაიონებში, ქსოვენ ქალებიც და კაცებიც. აქ ქსოვის ტექნიკა უმაღლეს დონეზეა აყვანილი და ნამდვილ შედევრებს ქმნიან.

ქალაქელები შედარებით ერიდებიან ამ საქმიანობას, განსაკუთრებით საზოგადოებრივ ადგილებში, ახალგაზრდა ხელოვანმა ისლანდიელებმა კი საქსოვი ჩხირები ფუნჯითა და ფანქრით შეცვალეს.

# სახელოვანი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე

**80 წელი შეუსრულდა საქართველოს აგრარული მეცნიერების ღირსეულ წარმომადგენელს, გამოჩენილ პიროვნებასა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოსა და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებისა და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილ წევრს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნაპოლეონ ქარქაშაძეს.**



80 წელი სოლიდური ასაკია, ზოგისთვის მშვიდ და უშფოთველ ცხოვრებასთან გაიგივებული, მაგრამ არა ბატონი ნაპოლეონისთვის. ჩვენ, ვინც მას ვიცნობთ, ვისაც მასთან ერთად დიდი საქმეები გვიკეთებია და დღესაც მის გვერდით ვაგრძელებთ საქმიანობას, ვიცით, რომ ნაპოლეონ ქარქაშაძე ფენომენური შესაძლებლობების, ულევი ენერგიის, დაწყებული საქმის ბოლომდე მიმყვანი ადამიანია და, რაც მთავარია, ყოველთვის ზუსტად გრძნობს დროის მოთხოვნებს და ამის გამო მუდამ ახალგაზრდა და ნოვატორია.

სანამ ბატონი ნაპოლეონი დაინიშნებოდა ჩვენი ინსტიტუტის რექტორად, მას ვიცნობდით, როგორც მეცნიერს, ღირსეულ მამულიშვილსა და პატიოსან მოქალაქეს, ბევრი ჩვენგანი კი მისი დროინდელი ასპირანტი და სტუდენტი აღმოჩნდა, ამიტომაც ინსტიტუტში მისი მოსვლა, არა მარტო ჩვენი კოლექტივის თანამშრომლებმა, არამედ აფხაზეთის ქართულმა საზოგადოებამაც ღირსეულად აღიქვა.

1975 წელს, მთავრობის დადგენილებით, ბატონი ნაპოლეონი ინიშნება საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორად, სადაც მან თითქმის 16 წელი იმუშავა. როგორც თვითონ აღნიშნავს, ეს იყო ახალი ეტაპი მის ცხოვრებაში. ინსტიტუტში მოსვლისთანავე მას არ დაუწყია მტკივნეული გარდაქმნები, მოქმედებდა დინჯად და ორიოდე წელიწადში სერიოზული კოლექტივიც ჩამოაყალიბა. ამ პერიოდში სრულად გამოვლინდა მისი ორგანიზატორული შესაძლებლობები, საქმიანობის ყოველი ნაბიჯი იყო გათვლილი. ვფიქრობ, სწორედ ესაა საუკეთესო გზა წინსვლისა და განვითარებისთვის. იგი დიდ ენერგიასა და ძალისხმევას ახმარდა ინსტიტუტის სასწავლო და სამეცნიერო დანაყოფების სრულყოფასა და განვითარებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფას, ახალგაზრდა კადრების მომზადებას. ის არის ადამიანი, რომელიც თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის — აფხაზეთის ცხოვრებაში, განამტკიცებდა საზოგადოების თვითშეგნებას და ერში ერთიანობის სულისკვეთებას, იყო ქართული მოძრაობის ლიდერი.

თუ ადამიანი სწორად განჭვრეტს თავის მისიას, გააცნობიერებს საკუთარ უნარს, შესაძლებლობებს, იგი თავისი საქმიანობით დიდ სარგებელს მოუტანს ქვეყანას, საზოგადოებას, თვითონ კი ამით ბედნიერი და სულიერად ძლიერი იქნება. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძე.

1983 წელს ბატონმა ნაპოლეონმა დაიცა სადოქტორო დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. იმავე წელს მიენიჭა პროფესორის წოდება; 1990 წელს აირჩიეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორად, სადაც 2004 წლამდე იმუშავა. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რათა ძნელბედობის ჟამს შეენარჩუნებინა ქვეყნისთვის აგრარული განათლება და მეცნიერება.

აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე თავისი საქმიანობის უმეტესი ნაწილი ხელმძღვანელ თანამდებობებზეა, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი მისი მოსაზრება: „ლიდერი აუცილებლად უნდა იყოს დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში, ჰქონდეს საკუთარი ხედვა. უდავოა, რომ ჭეშმარიტი ლიდერი პატიოსანი, მართალი, სანდო და განათლებული უნდა იყოს, იგი უნდა ფლობდეს ადამიანების სწორად მართვის ხერხებს“. ცხადია, თანამშრომლები ხელმძღვანელში ძლიერ და საქმის მცოდნე ადამიანს უნდა ხედავდნენ, რომელიც არ ჩაიკეტება კაბინეტში და თავის კომფორტზე ნაკლებად იზრუნებს, იქნება ღია და მათთვის მისაწვდომი, არ შელახავს მათ პატივსა და ღირსებას, იქნება მათი მოსარჩლე და ჭირის გამზიარებელი. ასეთი არის ბატონი ნაპოლეონი.

მსოფლიოში აღიარებული ქართული სამეცნიერო სკოლები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მეცნიერთა კოჰორტის წიაღში ამოიზარდა არაერთი თვალსაჩინო და მაღალი დონის მკვლევარი, რომლებმაც ყოველდღიური თანმიმდევრული შრომით წვლილი შეიტანეს მეცნიერების ამა თუ იმ დარგის განვითარებაში. ბატონი ნაპოლეონი იმ გამორჩეულ სწავლულთა შორისაა, რომელთაც თავისი მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობა სოფლის მეურნეობის ეკონომიკას დაუკავშირეს და ამ კუთხით არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი შეჰმატეს ჩატარებული კვლევების სოლიდურ ნუსხას.

ჩვენ, მისი მრავალრიცხოვანი კეთილის მსურველები, გულითადად ვულოცავთ აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძეს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დღეგრძელობას. მისი ბიოგრაფია თვით ისტორიაა, ისტორია, რომელიც გრძელდება და კვლავ შეივსება მრავალი წლის განმავლობაში ახალ-ახალი ფურცლებით.

**თამაზ ცანავა,**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიისა და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**

# «დინამოს» გამარჯვებისადმი მიძღვნილ ექსპოზიციას ეროვნული არქივი უმასპინძლებს

**1981 წლის 13 მაისს თბილისის „დინამო“ უეფას თასების მფლობელთა თასის 1980-1981 წლების სეზონის გამარჯვებული გახდა. სწორედ ამ თარიღს ეძღვნება ექსპოზიცია, რომელსაც ეროვნული არქივი მართავს.**



ექსპოზიციაზე „1981 წლის 13 მაისი — თბილისის „დინამო“ უეფას თასების მფლობელთა თასის მფლობელი“ წარმოდგენილი იქნება ტურნირის მატჩების, მათ შორის, დიუსელდორფში გამართული ფინალის ამსახველი ფოტოები, „დინამოს“ მწვრთნელებისა და ფეხბურთელების შარჟები, საგაზეთო პუბლიკაციები, რომლებიც ამ გამარჯვებას მიეძღვნა; ასევე, იმ თასის ასლი, რომელიც ქართველებმა იენის „კარლ ცაისთან“ ფინალურ დაპირისპირებაში მოიპოვეს. გამოფენა ორგანიზებულია ეროვნული არქივისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ. ექსპოზიცია 13 მაისს გაიხსნება, 22 მაისამდე გაგრძელდება და მასზე დასწრება თავისუფალი იქნება.

# იოკო ონო: ჰილარი კლინტონთან ხანმოკლე რომანი მქონდა!



**იოკო ონომ — მხატვარმა, ლეგენდარული „ბითლზის“ სოლისტის, ჯონ ლენონის ქვრივმა, რომელიც ლოს ანჯელესში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ჭიქებისა და თეფშების ექსპოზიციებს წარადგენდა, ჟურნალისტების სრული შოკი გამოიწვია, როცა განაცხადა, რომ ის არა მხოლოდ ხშირად შეხვედრია ჰილარი კლინტონს ნიუ იორკში 1970-იან წლებში გამართულ ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებზე, არამედ საკმაოდ „ახლოს“ იცნობდა მას.**

ონომ სიცილით აღნიშნა, რომ ჰილარისთან რომანიც ჰქონდა და ამ ქალბატონის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელება ამერიკაში ელ-გე-ბე-ტე-სა და ქალის უფლებების დაცვის საქმეში წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. „ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს ნიუ იორკში, როცა ვიეტნამის ომს ვაპროტესტებდით. ხანმოკლე რომანიც გვქონდა, როცა მე ჯონთან ერთად მანჰეტენზე ვცხოვრობდი, ჰილარი კი იელის უნივერსიტეტში სწავლობდა. შემდეგ ჩვენ დავშორდით ერთმანეთს. დღეს მე გაოცებული ვარ მისი წარმატებებით და ყველაფერს კარგს ვუსურვებ!“ — განაცხადა იოკო ონომ პრესკონფერენციაზე. ექსპერტთა აზრით, განცხადება ჰილარი კლინტონის ლესბოსურ წარსულზე დიდად არ შეუშლის მას ხელს საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიაში.

# «ჩემო ქართულო მიწავ!»

**ასე დაასათაურა ანზორ მესხიშვილმა ცოტა ხნის წინათ გამოცემული პატარა წიგნი.**



ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ანზორ მესხიშვილი ჩვენს ქვეყანაში აღიარებული მეცნიერია მიწათსარგებლობის, მიწათმოწყობის, მიწის სამართლის, მიწის კადასტრის, მიწის ბალანსის, მიწის კოდექსის პრობლემების კვლევის სფეროში. ამ პრობლემებს მან მრავალი საგულისყურო და დიდი მეცნიერული და გამოყენებითი ღირებულების ნაშრომი მიუძღვნა, ამიტომაც ლოგიკურია, რომ ეს წიგნი დიდ ინტერესსა და ყურადღებას იმსახურებს.

პატარა კრებულში „ჩემო ქართულო მიწავ!“ მან თავისი გულითადი და პატრიოტული დამოკიდებულება გადმოსცა ეროვნული საუნჯის — მიწის მიმართ. საზოგადოებას თვალნათლივ დაანახვა და აგრძნობინა, რა დიდ განსაცდელშია ჩვენი მიწა, ჯერ კიდევ როგორ ჯიჯგნიან მას და ცდილობენ, ყიდვა-გაყიდვის დაკანონებით უცხოელებს ჩაუგდონ ხელში, რაც ქართველებისთვის მოუშუშებელი სატკივარი და თავსატეხი გახდება. ავტორმა ამის შესახებ კიდევ ერთხელ ომახიანად შემოკრა ზარი: „ქართველებო, გამოვფხიზლდეთ!“.

მოგიწოდებთ: ყველამ ყური დაუგდეთ და გაითვალისწინეთ დიდი გამოცდილების მქონე მეცნიერისა და სამეურნეო მუშაკის — ანზორ მესხიშვილის ეს შეგონება.

ამ კრებულს ყველა უნდა გაეცნოს, ხოლო საქართველოს მთავრობამ სამოქმედო რეკომენდაციად მიიღოს.

მადლობა ავტორს ასეთი კარგი ნაშრომის შექმნისა და გამომზეურებისათვის!

**ომარ ქეშელაშვილი,**
**აკადემიკოსი**

# საქართველოს მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილები, ფასების ზრდა და სიღარიბე

**ენ-დი-აის კვლევის მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხების პირველ სამეულში სამუშაო ადგილები, ფასების ზრდა და სიღარიბე შედის.**



შეკითხვაზე, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხები, რესპონდენტთა 66%-მა დაასახელა სამუშაო ადგილები, ფასების ზრდა /ინფლაცია — 43%-მა, სიღარიბე კი — 39%-მა. შემდეგ მოდის: ტერიტორიულ მთლიანობა (27%), პენსიები (21%), ხელფასები (17%), ხელმისაწვდომი ჯანდაცვა (17%), რუსეთთან ურთიერთობა (12%), განათლება (10%) და ა.შ.

როგორც სასტუმრო „რედისონში“ გამართულ პრეზენტაციაზე ენ-დი-აის საქართველოს ოფისის დირექტორმა ლორა თორნტონმა განაცხადა, პირველი შემთხვევაა, როდესაც ტერიტორიული მთლიანობა ეროვნული საკითხების ჩამონათვალში პირველ სამეულში არ მოხვდა.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



საქართველო

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009